

მერაბ ბერიძე

სლოტაები და ნასლოტაანები
მოყვითხრობენ



198.659
3
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქმე
ქართული
ლიბრერი

მეტაზ ბეტიბე

სოფლები და ნასოფლატები მოგვითხტებუნ



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2011

საქართველოს ეროვნული
ლიბრერია

წიგნის თემატიკა ძირითადად შემოფარგლულია ისტორიული და თანამედროვე ონომასტიკით. გარდა სამეცნიერო ხასიათის შრომებისა, დაბეჭდილია ერთი ნასოფლარისა და ორი სოფლის ტოპონიმთა ლექსიკონები, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, ისტორიულ-განმარტებითი ხასიათისაა. ასევე მოხვდა კრებულში რამდენიმე ადრე გამოქვეყნებული სტატია, რომელსაც პუბლიცისტური ხასიათი აქვს და არ დაუკარგავს აქტუალურობა.

რედაქტორი: **ტარიელ ფუტყარაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **რევაზ ძნელაძე**
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

მურად კემულარია
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ნაილი ნებაძე**
მარიკა ბაბლუანი

© მ. ბერიძე, 2011

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2011

თბილისი, 0179, ი. შავსავაძის რაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-415-5



1283.834

უბჟელისი ქართული ცნობიანის ცნდნციტი ყვიმლოცივი



„ერთი კუ და ერთი მორიელი დამმობილდნენ, ნავიდნენ გზასა, გასავალი ნყალი დახვდათ.

მორიელი დალონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა ნყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუნყო.

კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმან უპასუხა: რა ექნა, არც მე მნებაეს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინოთო.

კუმ დაიყურყუმელავა და მორიელი ნყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებაეს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო“.

ეს იგავი დიდ ქართველ მწერალსა და ლექსიკოლოგს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის. მართალია, ძნელად თუ დააჯერებ ზოგიერთ სომეხ ყურნალისტს და მეცნიერს, რომ ორბელიანები ქართველები არიან, მაგრამ ეს ასეა.

ორბელთა (ორბელიანთა) ფეოდალური საგვარეულო XII-XIII საუკუნეების საქართველოში ფლობდა ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი [ივანე... 2002: 508]. ორბეთი გამჭირვალე სახელია, ორბების ადგილს დაერქმეოდა ხოლმე. მასში -ეთ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩამოსცილდება ტოპონიმს, თუ მას დაერთვის წარმომავლობის სუფიქსი -ელ-ი. ვთქვათ: კახეთი და კახელი, იმერეთი და იმერელი, ბანძა (სოფელი) და აქედან გვარი ბანძელაძე. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, თვით დიდი სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანი, წერს ამის შესახებ: „განუტეხელი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო ჴელითა ქართლომდისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა და ადგილად სიმაგრისად... დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ციხისა მისგან მრავლით ჟამითგან ეწოდნეს ორბელიანნი, ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილისათა სახელისდებად მთავართა, ვითარცა მთეულთა – მთეულნი, მრატველთა – მრატველნი და ჰერელთა – ჰეროსთონი, და ჯავახთა – ჯავახნი, და კახთა – კახნი და ლიხელთა – ლიხელნი და სხვანი მრავალნი [სტეფანოს... 1978: 28-29].



ტოპონიმთა დამახინჯება სამწუხარო ტენდენციაა*. ტენდენციურობა შეიძლება განაპირობოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გადაჭარბებულმა შეფასებამაც და მეზობელი ხალხების, ქვეყნების წარსულისა და დღევანდელობის შეუფასებლობამაც. ტოპონიმთა ეტიმოლოგიის არასწორი ინტერპრეტაცია ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ზოგიერთ მეცნიერს. მინდა მივუთითო ფაქტზე, როგორ ცდილობს ორი მეცნიერი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელი, თავანთი ქვეყნების ენობრივ-კულტურულ არეალში მოაქციოს ქართული სოფლის სახელი, ანჟური. აზერბაიჯანელი მეცნიერი წერს: „Также с гурами связаны названия сел Азгур (по-груз. Ацкури) в Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г.Телави. Именно в этом регионе в IV-VI вв. действовали и проживали упоминавшиеся сабиры [А. Юнусов, 1999].

ამ მეცნიერისათვის მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის ფუძეს, მანარმოებლებს, საერთოდ, ლინგვისტურ მორფემებს. სიტყვის ნებისმიერ ნაწილში, თუ დაინახავს ბგერათა მისთვის მისაღებ თავყრილობას, იმ წუთში მისთვის სასურველ ეტიმოლოგიაზე იწყებს მსჯელობას. ა. იუნუსოვი არ მიუთითებს, საიდან აიღო ფორმა *Азгури* (არ არის გამორიცხული, რომ თავადვე შექმნა), რომელშიც გამოყოფს *гур*-ს და მას უკავშირებს თურქული მოდგმის ტომებს საბირებს, რომლებიც, თურმე, მაინცდამაინც ანჟურში ცხოვრობდნენ IV-VI საუკუნეებში. მათ დაარქვეს ანჟურს სახელი. *гур*-ს კი გამოყოფს, მაგრამ, რადგან მისთვის სასურველ ფორმას ყოფს 2 ნაწილად, აღარაფერს ამბობს *Аз*-ნაწილზე. ეტყობა, მასში გულისხმობს *Азербайджан*-ს, რომლის ცნობილ შემოკლებასაც წარმოადგენს *Аз*- ელემენტი.

მისი აზრით, *Азгур*-ის ქართული ვარიანტი არის *Ацкури*. ოღონდ არაფერს ამბობს, რატომ დასჭირდათ ქართველებს *Азгури*-ის *Ацкур*-ად ქცევა. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა (განსხვავებით აზერბაიჯანულისგან, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს ანჟურის წარმოთქმას), წარმოთქვას აზგურიც და აცკურიც, მაგრამ არ სჭირდება ამის გაკეთება, რადგან ეს ფორმები მეორადია, ერთი მოგონილია, ხოლო მეორე (აცკური) რუსული ტრანსკრიფციის შედეგია და მას ქართულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა მოვუსმინოთ სომეხ მეცნიერს: „Топоним Ацкур, несомненно, армянского происхождения. Как мы полагаем, это сложное слово

* ასეთი რამ არც თუ იშვიათად გვხვდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ა. სანოსიანის სტატიების კრებული [Саносян, 2006], რომელშიც დამახინჯებულია ქართულ-სომხური ურთიერთობები.



состоящее из корней *Ац* и *Кур** [Саносян, 2006: 35]. იქვე მიუთითებს პატივცემული მეცნიერი, რომ არსებობს თურმე *Ашкур*-ის გაქართულებული ფორმა *Ашкурет(и)* თუ *Сокурет(и)*. ეს ფორმები ქართულ საისტორიო წყაროებში არის თითქოს დადასტურებული. ეს არის რეალური ფაქტების დამახინჯება, რადგან ქართულ სინამდვილეში აწყურს აქვს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი თავისი არსებობის განმავლობაში: **ანყური, აწყვერი, აწყური.**

ა. სანოსიანის აზრით, მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ აწყურში და მათვე დაარქვეს სახელი ამ ადგილს. ამ ორი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მცდარი ეტიმოლოგიები ამახინჯებს ისტორიას და ქართველებისათვის ადგილს აღარ ტოვებს. ორივესთვის მთავარი ფონეტიკური პრობლემა არის ყ ბგერა, რომელიც ამ ტოპონიმის ფუძეში უმნიშვნელო როლს არ ასრულებს. ეს ბგერა არც სომხურს, არც აზერბაიჯანულს, არც სხვა თურქულენოვან ენებს ფონემის სახით არ გააჩნიათ. ამიტომაც მათი ეტიმოლოგიის მთავარი შეცდომა არის ის, რომ *кур* – არასოდეს ყოფილა აწყურის ფუძეში. არც კლავდიოს პტოლემეოსს შეეძლო აწყურად დაენერა ეს სახელი თავის რუკაზე, რადგან არც მას ჰქონდა თავის ენაში ყ ბგერა, ამიტომ *ნერს იგი Ашкур-ს*. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას ჰქონდა საშუალება *Ашкур*-ი გადმოეთანა ასკურად.

სამწუხაროა, რომ ამ გეოგრაფიულ სახელს ბევრი თავისებურად „კითხულობს“ და აკეთებს შესაბამის „დასკვნებს“, რომ სახელი დაურქმევიათ თურქებს ან სომხებს. თურქებთან დაკავშირებით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ აწყურში თურქებს არასოდეს უცხოვრიათ. რუსულ აღწერის დავთრებში (1907წ.) მოხსენიებულ აქაურ თურქებში იგულისხმებიან გამაჰმადიანებული ქართველები. ისინი მე-19 საუკუნეში ქართველებად იწოდებოდნენ. მათი „თურქობა“ მხოლოდ ოსმალურ-რუსული პოლიტიკის შედეგია.

Ашкур, Аскур, Азгур ფორმები მეორადია, ყველა მიღებულია ქართული აწყურიდან, რომელიც, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის ცნობილი [ბერიძე, 2008; ბერიძე, 2010].

ანყური დაიშლება ასე: ა-წყურ-ი, რომელშიც ა – არის პრეფიქსი [Март, 1935: 163], ხოლო წყურ – ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია წყ – ძირი. ეს ძირი გვხვდება წყალთან დაკავშირებულ ისეთ ქართველურ სიტყვებში, როგორებიცაა: წყალი, წყარო, წყარ-, წყუ-, წყორ- [ფერნიხი, სარჯველაძე, 2000: 657; შენგელია, 2006: 147]. იგივე წყ ძირი გვაქვს სიტყვებში: ნე-რ-წყ-ვ-ი, რ-წყ-ევ-ა [მ. ჩუხუა, 2003: 370].

ანყური ნიშნავს წყლიან ადგილს, წყლის ადგილს. ორი აწყურია

საქართველოში და ორივე მდინარის პირას მდებარეობს. სამცხის ან-
ყური, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, დღეს მტკვრის ორივე ნაპირ-
ზე მდებარეობს და ასე იყო ოდითგანვე, როგორც ეს ბოლო დროის
არქეოლოგიურმა გათხრებამაც დაადასტურა და არა „...на правом
берегу р. Курь“, როგორც ეს ა. სანოსიანს ჰგონია. ასევე მდინარე
ბერხევის ორივე ნაპირზეა გაშენებული მეორე ანყური, რომელიც ახ-
მეტის რაიონში მდებარეობს.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ არც სომხეთსა და არც
აზერბაიჯანში, არც თურქეთში მსგავსი სახელის ტოპონიმი (თუნდაც
მათთვის სასურველი სახელის ვარიანტით) არ მოიძებნება. არც ის არის
შემთხვევითი, რომ, როგორც ეს ა. სანოსიანისა და ა. ოუნუსოვის წერილე-
ბიდან ჩანს, თავიანთ საისტორიო წყაროებში ვერავითარი ინფორმაცია
ანყურის შესახებ ვერ მოიძიეს, რადგან იქ ასეთი ინფორმაცია არ არის.
ერთადერთი ფაქტი, რომელიც დასტურდება, ეხება სომეხ ოვანეს ანყურ-
ელს, რომელიც წარმოშობით ანყურიდან იყო და მე-15 საუკუნეში მოლ-
ვანეობდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით სომეხი მეცნიერი აკეთებს შემდეგს
დასკვნას: „И город, и крепость Ашкур всегда были заселены армянами. В
дальнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки“ [Саносян,
2006: 36].

ამ „ფაქტთან“ დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები სა-
ქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ. ისინი, მტრების მიერ დარბე-
ულნი, სამშობლოდან გამოქცეულნი, ხშირად შემოგვეყვებოდნენ
ხოლმე. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად,
რომ ისინი განსაკუთრებით აქტიურად სახლდებოდნენ ქალაქ ადგილებ-
ში, სადაც ებრაელებთან ერთად მისდევდნენ ვაჭრობას. დღეს რომ ან-
ყურში სომხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ, ამას თავისი ისტორია
აქვს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ანყურის მოსახლეობა დაიცალა
ქართველთა დიდი ნაწილისაგან. ზოგი რუსების წინააღმდეგ ომში დაი-
ღუბა, ზოგიც საზღვარგარეთ წავიდა. „1830 წელს ანყურში დასახლდა
არზრუმელი სომხების 166 ოჯახი“... მათ დახვდათ 461 კომლი ქართვე-
ლი მაჰმადიანი და 31 კომლი ებრაელი [ლომსაძე, 1975: 487]. „ახლად
დასახლებული კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას არ შერევიან.
ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა მხარეს
ცხოვრობდა, ხოლო ახალწამოსახლებულები მტკვრის მარცხენა მხა-
რეს“ [ლომსაძე, 1975: 487].

„სომხები და ებრაელები ენეოდნენ მხოლოდ ვაჭრობას, ისინი მე-
ურნეობის არც ერთ დარგს არ მისდევდნენ. არ ჰყავდათ არც საქონე-
ლი, გარდა ცხენებისა და სახედრებისა, რასაც თავიანთ სავაჭრო საქ-
მიანობაში იყენებდნენ...“



1840-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხის საფაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა და გაუქმდა სანჯაყები, აწყვერი აბასთუმნის უბანს დაემორჩილა და მისი ბურჟუაზიულ ქალაქად გადაქცევის პერსპექტივებიც შეწყდა. აწყვერში ჩასახლებული სომეხი ვაჭარ-ხელოსნები 40-იან წლებში აიყარნენ და ახალციხეში გადასახლდნენ. აწყვერიდან ახალციხეში გადავიდნენ ებრაელი ვაჭრებიც. ამის შემდეგ აწყვერი სამცხის ტიპურ სოფლად გადაიქცა" [ლომსაძე, 1975: 488].

სამწუხაროდ, არც ერთი ზემოთ მოხმობილი აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერი არ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ აწყური არ იყო მხოლოდ ციხე და ეკლესია, იგი იყო საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სასულიერო ცენტრი. აწყურის საეპისკოპოსო საქართველოს ეპარქიათა შორის ერთ-ერთი უძველესია. აწყურის ეპისკოპოსი იწოდებოდა მანყვერელად. პირველი ეპისკოპოსი, ვისმა სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის იოსები, რომელიც მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის დასაწყისში. [Православная ... 2002: 221]. ბოლო ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ვიცით, იყო გედეონი, რომელმაც უკვე სულთნისგან მიიღო აწყურის კათედრა [Православная ... 2002: 222].

ეპისკოპოსთა შორის გამორჩეულია ეფრემ დიდი მანყვერელი (იგი კათედრას უძღვებოდა 855-895 წლებში), გრიგოლ ხანძთელის მონაწილე, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს; „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქუეყანა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათოლიკოსთა მიპრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესამიერთა ბრძანებითა მიპრონისა კურთხევამ ქართლს განანესა იერუსალიმისა პატრიარქისა განნესებითა და ნამუბითა სიხარულითა" [მერჩულე, 1949: 97]. ა. ოუნუსოვის მიხედვით, როდესაც გურებმა აზგური დააარსეს, საბირები ცხოვრობდნენ მთელ მესხეთში და, რა თქმა უნდა, აწყურშიც. საინტერესოა, საეპისკოპოსო ცენტრში რა სარწმუნოებისანი იყვნენ საბირები ან რა ენაზე საუბრობდნენ? აწყურის საეპისკოპოსოში, ბუნებრივია, მრევლიც ქართველი ქრისტიანი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი საბირებისა და გურების კვალდაკვალ ქართველების ადგილს აღარ ტოვებს ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე. ისინი ცდილობენ უგულებელყონ, რომ ოსმალების ან რუსების მიერ აღწერილია არა მარტო საქართველოს ესა თუ ის კუთხე, არამედ იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობაც. სამწუხაროა, რომ ბატონი ა. სანოსიანი ქართველ მეცნიერზე, აკადემიკოს ს. ჯიქიაზე, ასე წერს: „В 1595 г. здесь была произведена перепись населения и составлен

налоговый реестр дымов (семей). В реестре приводятся имена представителей семей, в большинстве своем армянские. "Большой давар (реестр) Гюрджистанского вилайета" перевод с турецкого на грузинский и издал в 1941 г. С. Джикия. Сей ученый муж не пожалел сил и стараний, *дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими, а если не удавалось — непонятными*" [Саносян, 2006: 36].

ამ საკითხში ზოგიერთი სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მეცნიერი მეტად ტენდენციურია. ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ოსმალებმა კარგად იცოდნენ, ვინ ცხოვრობდა საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ იქ მცხოვრები სომეხები მიგრანტები იყვნენ. მიგრანტთა შთამომავლები არიან დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის მოსახლე სომეხებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხემ შეიკვდლა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და გადაარჩინა ცნობილ გენოციდს.

ოსმალები, როდესაც აღწერდნენ გურჯისტანის ველაიეთს, დიაკრეტიულ ნიშნებს იყენებდნენ მათთვის გაუგებარი ქართული ბგერების აღსანიშნავად, რამაც საშუალება მისცა ს. ჯიქიას, სწორად წაეკითხა და გადმოეცა სახელები.

ა. სანოსიანი აცხადებს: „Как я уже сказал, большинство имен и топонимов армянские: (1. Купра? 2. Манвел, его брат. 3. Вардзел. 4. Мазман. 5. Егия. 6. Геворк и др.) [Саносян, 2006: 37]. ჩამოთვლილი სახელებიდან (კუპრა, მანველი, ვარძელი, მაზმანი, ეგია, გევორქი) გამოსაყოფია გევორქი, რომელიც, მართლაც, ჰქვია სომეხებს, მაგრამ 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს აწყურის რაიონი ახალციხის ლივაში, ამ სახელის ადამიანი აწყურში არ ცხოვრობდა [გურჯისტანის...1941: 89-90]. ""გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით აწყურში სომხური ეთნოსის წარმომადგენელი ჩანს ერთი ოჯახი, რომლის უფროსის სახელიც ამოუკითხავია, მამით კი არის ტერ-აკოფას ძე, დასახელებული არის, აგრეთვე, ტერსიმონი, რომელიც სომხური წარმომავლობისა უნდა იყოს.

რატომლაც ა. სანოსიანმა კითხვის ნიშანი დაუსვა კუპრას. ამ სახელის მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია. „კუპრა“ ქართული ანთროპონიმია, ცნობილი სახელია. მისგან გვაქვს ცნობილი ქართული გვარები: **კუპრავა, კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრეიშვილი** და სხვა. მე-9 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერქვა **კუპრა**, რის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშე დედოფლისა და მის შენდობისა თხოვა“ [მერჩულე, 1949: 108].



მე-13 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა **კუპრას ძე**. „დავით ნარინჯის“ ნის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტრის (1260-1270 წწ.) [პირთა...1999 : 540]. შემდეგ საუკუნეებში გვხვდებიან **კუპრაძე ბერა**, **კუპრაძე დათუნა**, **კუპრაძე ნასყიდა**, **კუპრაძე პაატა** და სხვანი. მე-17 საუკუნეში მოხსენიებულნი არიან: **კუპრაშვილი გიორგი** – „მონმე მთანმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულობუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა“; **კუპრაშვილი გოგია** – „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს“ [პირთა...1999 : 540] და სხვ. ასე რომ, „კუპრა“ ნამდვილად არ არის სომხური სახელი. „კუპრაში“ -ა არის სუფიქსი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. „კუპრა“ „კუპრიდან“ მომდინარეობს. **კუპრა** შეერქმეოდა ხოლმე ადამიანს შავი ფერის გამო ისევე, როგორც **შავა** (შავაძე, შავიშვილი, შავიანიძე, შავიძე...) . ა. სანოსიანი არც იმ ფაქტს აქცევს ყურადღებას, რომ **კუპრა კაკას ძეა**. ცხადია, კაკაც გაუგებარი სახელი იქნება მისთვის. შორს ნაგვიყვანს იმ ქართველთა ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა დროს და ერქვათ კაკა ან იყვნენ კაკაშვილები, კაკაურიძეები და სხვა. ამ სახელისაგან ნაწარმოები ბევრი ტოპონიმი საქართველოში, მათ შორის დავასახელებ საქართველოში კარგად ცნობილ **კაკას ხიდს**, რომელიც მესხეთიდან იმერეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასევე გამოჩენია პატივცემულ მეცნიერს კაკას ერთ-ერთი შვილის სახელი, **ყვავილა**. **კუპრა** რომ სომეხი ყოფილიყო, თავის შვილს ყვავილას კი არ დაარქმევდა არამედ **ნალიკას**, როგორც **ჰქვია** და ერქვა ბევრ სომეხს.

ა. სანოსიანი სომხურ სახელად მიიჩნევს **კუპრას** მეორე შვილის სახელს, **მანველს**. მანველი არის ფონეტიკური ვარიანტი ძველებრათული **ემანუელ/ემანულისა**. მისგან არის წარმოქმნილი ქართული გვარები: მანველაშვილი, მანველიშვილი, მანელიშვილი, მანველიძე, მანელიძე [ჭუმბურიძე, 2003: 151-152].

ასევე სომხურ სახელად აცხადებს ა. სანოსიანი ისეთ ქართულ სახელს, როგორიცაა **ვარძელი**. „ვარძიას“ ჰქონდა ფონეტიკური ვარიანტი „ვარძა“ („ვარძია“ ერთადერთი სახელი არ არის მესხეთში). „ვარძელი“ ნიშნავს ვარძიდან წამოსულს და მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი ვარძელაშვილი ისევე, როგორც კახეთიდან წამოსული არის კახე-

* შდრ. ქერისფერი>ქერა, ღვინისფერი>ღვინა (ღვინაძე, ღვინიაშვილი...), შვინდისფერი>შვინდა, სვილისფერი>სვილა და მრავალი სხვ.

ლი და მისგან გვარი – კახელიშვილი, იმერეთიდან წამოსული იმერელი და მისგან ნაწარმოები – იმერელიშვილი და სხვა მრავალი.

„მაზმანი“ აღმოსავლური სიტყვაა, შემოსულია ქართულში როგორც ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ მაზმანი არის „ბალნის მრთველი“. ბალნის თოკის მგრეხელად განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი. მაზმანი არის მესაბლე. ამგვარად „გურჯისტანის დიდ დავთარში“ დადასტურებული მაზმანი არ უნდა იყოს სახელი, ის აღნიშნავს ხელობას. ოსმალო მოხელე წერს, რომ ანყურში ცხოვრობდა **მაზმანი გიორგი**, ე.ი. მესაბლე გიორგი, ბალნის თოკის მგრეხელი გიორგი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაზმანი არ შეიძლება ქცეულიყო სახელად. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები დაერქმეოდა ადამიანებს სახელებად ან მეტსახელებად და შემდეგ ვიღებდით მისგან გვარებს. ასე გვაქვს მიღებული გვარი მაზმანიშვილი. როგორც, ვთქვათ, მენალარე და მენალარიშვილი. ზ. ჭუმბურიძე წერს: „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, მენაბდე, მეტივიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიშილი, მებალიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი (საბელი – „თოკი“, მესაბლე – „თოკის მგრეხელი“), მაზანაშვილი (მაზმანაშვილი). მაზმანი საბას განმარტებით „ბალანის მრთველი“... [ჭუმბურიძე, 2003: 87]. ხელობის აღმნიშვნელი გვარებიდან ზოგი ქართული იყო, ზოგიც ხელობასთან ერთად შემოსული ტერმინი და მისგან მიღებული გვარები. ასეთი ტერმინები შედიოდა სომხურშიც და ვიღებდით ერთნაირფუძიან გვარებს. მაგ. ხარატიშვილი და ხარატიანი, მაზმანიშვილი და მაზმანიანი, დალაქიშვილი და დალაქიანი და ა.შ.

ქართულ გვარებში არანაკლებ პროდუქტიულია -იან სუფიქსი, ამიტომ ხშირად არა მხოლოდ ფუძეთა დამთხვევა ხდება, არამედ მთლიანად გვარისაც. მაგ.: დავითიანი შეიძლება იყოს სომეხიც და ქართველიც, ამ შემთხვევაში ოჯახმა და გვარმა ძალიან კარგად იცის, ვინ ვინ არის, სომეხია თუ ქართველი.

ანყურის მცხოვრებლებში დადასტურებულ კიდევ ერთ სახელზე მიუთითებს ა. სანოსიანი. ეს არის ეგია. შეიძლება, ავტორმა ვერ ამოიკითხა სახელი ელია და საქმე გვაქვს არასწორ დანერილობასთან, რადგან ასეთი სახელის კაცს მე-16 საუკუნის ბოლოს ანყურში არ უცხოვრია.

„დავთარში“ სხვა ქართული სახელებიც გვხვდება. მაგ., იგი გვამცნობს, რომ ვენახი **დედისიმედისა და მანყვერელი ბერისა** გადავიდა მაჰმადიან დიდგვაროვანთა ხელში [გურჯისტანის...1941: 90]. **დედისიმედი** მესხეთში გავრცელებული სახელია. **მანყვერელი** ანყურის მკვიდ-

რის, სასულიერო პირის წოდებაა, რაც, რა თქმა უნდა, გვიჩვენებს, რომ სასულიერო და საერო ფენების წარმომადგენლები ქართველები არიან.

ამგვარად, ზოგიერთ სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერს აერთიანებს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის არცოდნა, რის გამოც ეადვილებათ მათ მათთვის სასურველი დასკვნების გამოტანა. ანყური, მისი ისტორია, ეტიმოლოგია, ქართული ენისაგან, საქართველოს ისტორიისაგან განუყოფელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე მ. 2008, ანყურის ეტიმოლოგიისათვის, ქართული მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი
- ბერიძე მ. 2010, ტაძრები და სახელები, თბილისი.
- გურჯისტანის... 1941, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი.
- ივანე...2002, ივანე ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი.
- ლომსაძე შ. 1975, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი.
- მერჩულე გიორგი 1949, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი.
- პირთა... 1999, პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბილისი.
- სტეფანოს... 1978, სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი.
- ფერნიხი პ. სარჯველაძე ზ. 2000, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- შენგელია ვ. 2006, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.
- ჩუხუა მ. 2003, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.
- ჭუმბურიძე ზ. 2003, რა გქვია შენ, თბილისი.
- Март Н. 1935, Избранные работы. том V, Москва-Ленинград.
- Православная... 2002, Православная энциклопедия. том IV, Москва.
- Саносян А. 2006, Еще и белый геноцид. Ереван.
- Юнусов А. Ахыскинские (месхетинские) турки: Дважды депортированный народ /Центральная Азия и Кавказ. #1(2) 1999. http://www.cac.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

ვახუშტი ბატონიშვილი ახალქალაქის წყალს უწოდებს ჯავახეთის მტკვრის მარცხენა შენაკადს ახალქალაქთან, "ხოლო კუალად ბარალეთის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ჯავახეთის მტკუარს, სამხრიდამ ახალქალაქის წყალი, რომელიც გამოსდის დაბის მცირე ტბასა და კუალად მის ტბის გამომდინარე მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადამ ჩრდილო-დასავლეთს შორის, ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა შორის (ვახუშტი, 1973:671)". დღეს დაბის ტბის სახელით ტბა არ არის ჯავახეთში. ძველ რუსულ რუკებზე ახალქალაქის წყლის სათავეებში არის პატარა ტბა ყურიდადეშთან. რომლის მიდამოებიც გამორჩეულია ხევთა სიმრავლით. აქვე არის ნასოფლარი კირხქილისა, რუსული რუკებით. ჯავახეთის მტკვარს ახალქალაქის წყალი ერთვის ახალქალაქის ციხის ძირში, დღეს ქალაქის უბნად ქცეული მუსხელიშვილების ხევის გავლისთანავე (ბერიძე, 2008:167). ახალქალაქის წყალი ძველ რუსულ რუკებზე მითითებულია, როგორც კირხბულახი, ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ რუკაზე კირხბულალად იგი მოედინებოდა ზოგ ადგილებში. ჯავახეთის მტკვრის პარალელურად, მის დასავლეთით, კირხბულალად მოიხსენიებს მას დღევანდელი სომხური მოსახლეობა. მათი მტკიცებით, სათავე მრავალი (ორმოცი) წყაროსაგან შედგება და ამიტომაც ჰქვია მდინარეს კირხბულალი, რაც თურქულად ორმოც წყაროს ნიშნავს (ბერიძე, 2008:187). შემთხვევითი არ არის, რომ მდინარის სათავეში არის ნასოფლარი კირხქილისა, რაც ნიშნავს ორმოც ეკლესიას. ს.ჯიქია ყირხქესალიშვილის შესახებ წერს: "გვარსახელი მესხური წარმომავლობისაა. . . გვარსახელი მასალობრივად თურქულ-სპარსული ელემენტებისაგან შედგება: ყირ. თურქ. (Kirx) დიალექტური (kirx). ქართულში ხ — ს ჩავარდნით ყირ- "ორმოცი", ქისა ← სპ. თურქ. kise "ქისე", -ლი თურქ. -Li აფიქსით ქონებისა = ქართ. -"იან", ე. ი. მთლიანი, ზუსტი თარგმანი ყირქესალი სიტყვისა — "ორმოცქისიანი", ორმოცი ქისის მქონე (ჯიქია, 1984:174-175)". ჯავახეთში კირხბულალის სახელით მხოლოდ ახალქალაქის წყალი არ არის ცნობილი. ასე ჰქვია ძველი რუსული და ქართული რუკების მიხედვით თავფარავნის ტბაში ჩრდილოეთიდან ჩამდინარე წყალს. ორმოცი წყარო არის წყაროს სახელი მცხეთის რაიონში (მელიქიძე 2007:109). რატომ მაინცდამაინც "ორმოცი"? მართალია კირკ, კირხ ორმოცის გარდა ზოგადად მრავალსაც ნიშნავს (ჯიქია, 1988:175), მაგრამ იქვე კირხბულახის სათავეშივეა კირხქილისა, რაც გამოორიცხავს მრავლის გაგება. აქ უნდა იყოს უეჭველად "ორმოცი" და მას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ორმოცი ცნობილი სახელია მესხეთის ტოპონიმიში. იგი იხსე-



ნიება რუსთველისადმი მიძღვნილ გადმოცემებში: "თამარს ერთხელ შოთასთვის უთქვამს, მე შენ უნდა "დაგასახლოო", ე. ი. ცოლი შეგერთოო, შოთას მოუხსენებია, რომ მე უკვე დასახლებული ვარ **ორმოცი** ბატონის ქალზეო. თამარს უთქვამს, იგი შენი შესაფერი არ არის და **ორმოცის ბატონის** ქალს უარი უთხარიო. თამარს შოთასთვის აურჩევია **კოდიანის მებატონის** ქალი. კოდიანი დიდი მემამულე ყოფილა. კოდიდან ნალკამდის სულ მას ჰკუთვნებია. თამარის რჩევით შოთას კოდიანის ქალი შეურთავს. ეს რომ **ორმოცის** ბატონის ქალს გაუგია, ვაჟურად ჩაუცვამს და ყაჩაღად გავარდნილა. **ვარძიიდან** მომავალ შოთას გზაზე გადასდგომია. მას შოთას ნაჩუქარი დანა სჭერია და შოთასთვის უთქვამს: რად მიღალატე შოთავო, ჩემი თავი მოვიკლა თუ შენაო". ეს უთქვამს და ქალს თავი იქვე მოუკლავს (მაკალათია, 1938:41)". ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად შეეფერება გადმოცემა სინამდვილეს. ჩვენთვის მთავარია ის ტოპონიმები, რომლებიც გვხვდება მოყვანილ ციტატაში. ყველა მათგანი სამცხე-ჯავახეთში მდებარე სახელებია. ერთმანეთს დაპირისპირებულია ორი საბატონო – **კოდიანისა** და **ორმოცისა**. მათ შორის კოდიანის ბატონი უფრო მდიდარია, რადგან მას მეტი მამული ჰქონია. **კოდა** რამდენიმე ადგილას არის საქართველოში. მოყვანილ ციტატაში კოდაში ("კოდიდან ნალკამდის") იგულისხმება სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარე კოდიანი, რომელიც ასპინძის რაიონშია. ე. ი. კოდა და კოდიანი ერთი და იგივეა. მეორე საბატონო კი არის **ორმოცი**, ვარძიიდან მომავალ შოთას **ორმოცის ბატონის** შეურაცხყოფილი ქალიშვილი დახვედრია. სწორედ ამ მიდამოებში არის ცნობილი ტოპონიმი **ორმოცი**, რომელიც მდებარეობს სოფელ ნიჯგორის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საროსა და ხიზაბავრის ასახვევთან, შემორჩენილია ციხის ნანძლი და ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ადგილობრივნი წმინდა მარინეს სახელობისად მიიჩნევენ. **ორმოცის** მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე არის ძველი საფლავი (XIX საუკუნის დასაწყისი), რომლის შესახებაც მიუთითებს ივ. როსტომაშვილი. მესხეთში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომელიც ამ ორ პუნქტთან არის დაკავშირებული და რომელიც მოგვითხრო პროფესორმა თინა იველაშვილმა: ორმოცელი ქალი გათხოვილა იქვე, ნყალგალმა სოფელში. სოფლებს შორის მტკვარზე ხიდი იყო გადებული. ქალისთვის ადრევე ურჩევიათ, არ გაჰყოლოდა სასიძოს, მისი სოფლის ხალხი უცნაურიყო. სარძლომ არ დაიჯერა კეთილისმსურველთა ნათქვამი და გათხოვდა, შეეძინა ბავშვი. ქალი ზედავდა, რომ ქმარ-მაზლი სანადიროდ არ დადიოდნენ, მაგრამ ხორცი სულ ჰქონდათ. დაეჭვდა და ერთხელაც, როდესაც სახლში მარტო დარჩა, შევიდა საცივო სახლში, სადაც ქვევრში ხორცს ინახავდნენ. ახადა ქვევრს და იქ ადამიანის სხეულის ნაწილები იყო. შეშინებულმა ქალმა დაავლო

ბავშვს ხელი და გამოიქცა, ბავშვი ატირდა, ტირილზე ქმარი გამოჩნდა. ბავშვი რომ გაჩერებულყო, დედამ ძუძუ მისცა. გაქცეული უკვე ხიდზე იყო, როდესაც მამამ ბავშვს დაუძახა: შვილო მამისა, მოსწი გვარისაო. ამის გაგონებაზე შვილმა საშინელი ძალით უკბინა დედას ძუძუზე. დედა მიხვდა, რომ ბავშვიც ისეთივე იყო, როგორც მისი მამა-ბიძანი, მოიცილა მკერდიდან შვილი და მტკვარში გადააგდო. ასეთი ტრაგიკული ბედისანი ყოფილან **ორმოცელი** ქალები – ჯერ კანიბალების ხელში ჩაგარდნილი დედა და შემდეგ შოთა რუსთველის სატრფო. სოფელი **ორმოცი** ადრევე გაუკაცრიელებულა, რის შესახებაც გვანვდის ცნობას "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". მასში მითითებულია, "სოფელი **ორმოცი** – სოფელ **საროს** ვენახების გამორიცხვით (ჯიქია, 1941:182)". სოფელ **ორმოცის** მდებარეობა გარკვეულია, როგორც უკვე მივუთითე, ცნობილია **საროს** მდებარეობაც. იგი იქვეა, სადაც ყოველთვის იყო ციკლოპური ნაგებობით და ეკლესიით. **საროს ვენახები** **ორმოცს**, **ნიჯგორსა** და **საროს შორის** იქნებოდა მზისგულზე. **ნიჯგორ–ორმოცზე** გადიოდა ჩრდილო დასავლეთის საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის. ნასოფლარ **ორმოცის** ისტორია და გადმოცემები მის შესახებ გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სოფლის სახელში არ უნდა იგულისხმებოდეს რეალური რიცხვი **ორმოცი**, ასევე არ ასახავს რეალურ რიცხვს **ორმოცი წყარო** (კირხბულაღი) და **ორმოცი ეკლესია** (კირხქილისა) **ახალქალაქის წყლის** სათავეებში. იგი თარგმნილია ოსმალების მიერ ისეთი ქართული სახელიდან, რომელშიც იყო სიტყვა **ორმოცი**. **ორმოცი** პროდუქტიულია საქართველოს ტოპონიმიაში. ამ რიცხვითი სახელის მონაწილეობით ბევრი ტოპონიმია ცნობილი. მაგალითად: **ორმოცაგორა** (ბუჩქნარი), **ორმოცღელე** (ღელე) (საქართველოს ტოპონიმია 2003:236). **ორმოციანი** (ვენახი), **ორმოციანას თავი** (ვენახი) (საქართველოს სსრ ტოპონიმია, 1987:157). **ორმოცისგან** არის მიღებული გვარი **ორმოცაძე** და შემდეგ – პატრონიმი: **ორმოცაძეები** (უბანი), **ორმოცაძის ნანისქვილარი** (სახნავი), **ორმოცაძის ნიგოზი** (სახნავი) (საქართველოს ტოპონიმია, 2003:236). **ორმოცაძეების წყარო**. **ორმოცი** არის სოფლის სახელი გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე ტანის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. სოფელში დაცულია შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია (ს მ ე ე ლ, 2007:7008). გვაქვს **ორმოცთა ეკლესია**, – "ორმოცი სებასტიანელი მონამის ეკლესია, მდებარეობს ქოროღლის ციხის ძირში, სოფელ ლოუბანთან ახლოს (თეთრინწყაროს რაიონი). აგებულია XVI საუკუნეში (ს მ ე ე ლ, 2007:707)". თითქმის ყველა სახელს, რომელთა სახელდებისას გამოყენებულია რიცხვითი სახელი **ორმოცი** აქვს გარკვეული კავშირი ეკლესიასთან. ახალქალაქის წყლის მეორე სახელი კირხბულაღი (**ორმოცი წყარო**) ამკარად არის კავშირში ეკლესიასთან, ამ შემთხვევაში **ორმოცი** მოდის ეკლესიის მსაზღვრელი ორ-



მოციდან, რადგან მის სათავეში არის **ორმოცი ეკლესია** (კირხ ქილისა). ასევე ნაეკლესიარი ეტყობა საროს ორმოცში, მას წმინდა მარინეს სახელს მიაკუთვნებენ. გორის რაიონის სოფელ **ორმოცში** არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. როგორც ჩანს, ორმოცი მონამის სახელობის ეკლესია ბევრი იყო საქართველოში, რის გამოც ეკლესიის სახელი იქცა სოფლის სახელად. ერთ სოფელში შეიძლება რამდენიმე ეკლესია ყოფილიყო სხვადასხვა წმინდანის სახელობისა, რომელთაგან ერთის სახელი გადადიოდა სოფელზე, ხოლო მეორე ეკლესია აგრძელებდა არსებობას. წმინდანთა სახელების ქცევა სოფელთა სახელებად გნობილი ამბავია (ბერიძე, 2010:3-15). წმიდა ელიას სახელობის ტაძრის გამო ეწოდა სოფელს სახელად **ელიანწმინდა**. დღეს ახალციხის რაიონის სოფელ **გიორგინწმინდაში** წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი აღარ არის და ამას თავისი ახსნა აქვს, მაგრამ უეჭველია, რომ ოდესღაც იდგა ამ წმინდანის სახელობის ეკლესია და იმიტომ შეერქვა სოფელს ეს სახელი. ამ რიგისაა **მარიამწმინდა**, **ნინოწმინდა**, **ანდრიაწმინდა** და სხვანი. ორმოცის შემთხვევაში ცოტა განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რადგან მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის შებენება კი არ მოხდა (წმიდა გიორგი→გიორგინწმინდა), არამედ საზღვრულდაკარგული რიცხვითი სახელი იქცა ტოპონიმად. რადგან ორმოცი რიცხვითი სახელია, ამიტომ ხალხური ეტიმოლოგია დაუკავშირდა წყაროთა რაოდენობას – ორმოცი წყარო, ორმოცი ლელე და სხვა.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია პარალელი გავავლოთ **ოთხთა ეკლესიასთან**. მის შესახებ ე. თაყაიშვილი 1917 წელს წერს: "სოფელი **ოთხთა ეკლესია** ამჟამად თურქულად რომ **"დორთქილისა"** ეწოდება ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან, ქართული ყველამ იცის. სოფლიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე, ჭოროხის მარცხენა შენაკადის **ოთხთა ეკლესიის წყლის** (თურქულად **"დორთქილისა - სუ"**) შესართავთან, მის მარჯვნივ არის დიდი მდიდრული ბაზილიკის ნანგრევები. **თურქული "დორთქილისა" პირდაპირი ნათარგმნია ქართული "ოთხთა ეკლესიისა"**, მაგრამ სოფლელებს რომ ჰკითხოთ, ტაძარს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი იშხანსა, ოშკსა და ხახულს შემდეგ მეოთხე შესანიშნავი ძეგლია (თაყაიშვილი, 1960:74-75)". ოთხთა ეკლესიის სახელი გადავიდა სოფელზე და მას **ოთხთა** ეწოდება. "საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი" გვამცნობს ამის შესახებ: "ოთხთა ეკლესია – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამწავიანი ბაზილიკა, ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ **ოთხთადან** 5 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის ხეობაში (ს მ ე ე ლ, 2007:699)". ისევე, როგორც ორმოცი მონამის სახელობის, ან უბრალოდ ორმოცი მონამის ეკლესია იქცა **ორმოცად**, ოთხთა ეკლესია იქცა **ოთხთად**. ჯავახეთის ტოპონიმიაში ცნობილია ადგილის სახელთა

თარგმნა. ახალქალაქის წყალს ჰქონდა პარალელური ფორმა – ორმოცი მონამის სახელობის ეკლესიის წყალი. რადგან ამ მდინარის სათავეში ორმოცი მონამის სახელობის ეკლესიაა, იწოდება ორმოც წყაროდ სათავე, ხოლო ბოლოში, როდესაც წყარო სხვა წერილი შენაკადებით ხდება მდინარე და შეერთვის ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან იქ, სადაც არის ახალქალაქი და ისიც ბუნებრივია, რომ მდინარეს სახელი შეერქვას ყველაზე მსხვილი დასახლებული პუნქტის მიხედვით, ორმოცი წყარო იქცა ახალქალაქის წყლად. მდინარეებს ახასიათებთ მრავალსახელიანობა სხვადასხვა მონაკვეთში. თვით მტკვარსაც კი შეუცვალეს მესხეთში სახელი და მას არტანის წყალს ან არტანულას ეძახდა ადგილობრივი მოსახლეობა. იმავე ახალქალაქის წყალს, რადგან იგი სოფელ დღივს ჩაუვლიდა, დღივის წყალსაც ეძახდნენ. ორმოცი წყარო თარგმნა მაჰმადიანურმა მოსახლეობამ კირხბულადად. თარგმნაში აქტიურ როლს თამაშობდა სომხური მოსახლეობაც, რადგან, როდესაც ისინი 1828-1830 წლებში ჯავახეთში შემოასახლეს, თურქულად ლაპარაკობდნენ. მე-20 საუკუნის ბოლოს სომეხი მეცნიერები ცდილობენ არა მხოლოდ არმენიზებული ფორმით წარმოადგინონ ჯავახეთის ტოპონიმია (კუმურდო → გუმბურდო, ახალქალაქი → ახალქალაქ და სხვა), არამედ თარგმნონ და დაამკვიდრონ ახალი სახელები, ამიტომ ახალქალაქის წყალი, იგივე კირხბულალი, აქციეს "ქარსუნ ალბიურად", რაც პირდაპირი თარგმანია ორმოცი წყლისა (კირხბულალი), რის შესახებაც მიუთითა დევი ბერძენიშვილმა: "ქარსუნ ალბიურ" (ე. ი. ორმოცი წყარო) ასეთი სახელწოდება არ არსებობს. ესაა თარგმანი თურქული კირხ-ბულალისა, რომელიც რუსულ ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული, უფრო ადრე მას დღივის წყალი, ხოლო ძელ ქართველ ისტორიკოსებთან, ახალქალაქის წყალი ეწოდებოდა. მდინარის გვიანი თურქული სახელწოდების სომხურად გადმოკეთებით, ტექსტის ავტორი (იგულისხმება უცნობი ავტორის ერევანში გამოქვეყნებული ბუკლეტი "ახალქალაქი", 1992 – მ. ბ.), ცდილობს როგორმე დაამკვიდროს პიდრონიმის სომხური ფორმა (ბერძენიშვილი, 2006:255)". დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რა ენაზეც უნდა ითარგმნოს ორმოცი წყარო, სათავე არის ქართველი კაცის მიერ დარქმეული სახელი ორმოცი მონამის ეკლესია, ამიტომ ორმოცი არ ასახავს წყაროთა სიმრავლეს. ეკლესიის სახელი გადავიდა მდინარეზე, რაც არის ტოპონიმური მეტონიმის ტიპური შემთხვევა.

“ხოლო კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართვეთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მზნენი, შემართებულნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი”.

ვახუშტი

1283.834

ქართველი მკითხველი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება ისტორიული ნაწარმოების და, განსაკუთრებით, რომანის გამოსვლას. ელოდება, რადგან სწამს, რომ გაცოცხლდება კიდევ ერთი მონაკვეთი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, გამდიდრდება ჩვენი ცოდნა, გაჩნდება ახალი სახე, ანდა გაძლიერდება და გაღრმავდება ამა თუ იმ ისტორიული პირის პორტრეტი. ბასილ ზარზმელის თხზულება “ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა” მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, პირველ რიგში, როგორც საისტორიო წყარო და როგორც ლიტერატურული ძეგლი. სერაპიონის ცხოვრება და IX საუკუნის სამხრეთ საქართველოს სამშენებლო ამბების აღწერა გაუხდია მიზნად გივი მალულარიას, რომლის რომანი “რამეთუ ეწოდა ზარზმა” დაბეჭდა “მნათობმა” (1986 წ. № 3,4,5,6,7). რომანის საფურნალო ვარიანტი, დარწმუნებული ვართ, განსხვავებული იქნება ძირითადი ვარიანტისაგან, მაგრამ იმ სახითაც, რომლითაც მკითხველმა მიიღო, გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას. როგორც ითქვა, ბასილ ზარზმელის თხზულება მნიშვნელოვანია ორი მთავარი მიზეზის გამო. გივი მალულარია ძირითადად ბასილ ზარზმელს მისდევს, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ახალი რომანიც მნიშვნელოვანი იქნებოდა სწორედ ისტორიული და მხატვრული სიღრმით. ისტორიულში ჩვენ ამჯერად ვგულისხმობთ რეალური ისტორიული გარემოს შექმნას შესაბამისი ენობრივ-ყოფითი ინვენტარით. როგორ არის ამ მხრივ საქმე. როგორ არის წარმოდგენილი მესხეთი, როგორ არიან დახატული ის ისტორიული პირები, რომელთაც ჩვენ ადრევე ვიცნობდით ჰაგიოგრაფი ავტორის წყალობით?

პირველ რიგში ჩვენი წარმოდგენა “მდიდრდება” მესხების, მესხეთის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მესხეთისა და მესხების მიმართ ავტორი ანტიპათიურად არის განწყობილი, აბუჩად არის აგებული საქართველოს ამ კუთხის ისტორია, წინაპრები. სერაპიონ ზარზმელის “თანამებრძოლი” ერთი ხუმარა ბერი იკითხავს: “მესხებმა ღვინის სმა იციან თუ ისიც ჩვენ უნდა ვასწავლოთ?” სერაპიონიც არ დაახანებს: “- შენ ის ასწავლე, რაც არ იციან, - გალობა და წერა-კითხვა, თორემ ღვინის სმასა, აყალ-მაყალსა და დანის ტრიალში მათთან შედარებით



უსუსური ბაღლი აღმოჩნდები (3:74)*. როგორც ჩანს, აყალ-მაყალი, ღვინის სმა და დანის ტრიალი არც ბერისათვის არის უცხო-ხილი, ოღონდ მესხებს ვერ შეედრება. ზარზმის ასაშენებლად წამოსული ბერი სიამაყით აცხადებს: "მესხებმა იკითხონ, თორემ ჩვენ ღვინის მაღლი გვცხია (3:75)". ნიშნის მოგებაც ამას პქვია! ავტორი ბრძანებს: "მოსახლეობა. . . მესხეთშიც ისევე სწრაფად იზრდაბოდა, როგორც ტაო-კლარჯეთში, ამ ღვთისაგან მივიწყებულ კუთხეში ადამიანები გაცილებით უფრო უფრთხილდებოდნენ სახლ-კარს, სისხლით ნათესავეებს, სიმწრით შეძენილ ავლა-დიდებას და პირუტყვისაც კი, ვიდრე საკუთარ სულს, სინდისს, ადამიანურ გრძნობას და უცხოხადმი სიძულვილი უფრო ბუნებრივ ამბად მიაჩნდათ, ვიდრე მოყვასის სიყვარული (3:78)". როდის აქეთ არ არის მოყვასი "სისხლით ნათესავი", ანდა როდის აქეთ იქცა სალანძღავ სიტყვად ოჯახის, სახლ-კარისა და პირუტყვის პატრონობა, რა უსინდისობაა ამაში? ბერები კი კითხულობენ: "რა ხალხია ეს მესხები . . . (3:79)". რა ხალხია და ავტორი პასუხობს მათ: ლაჩრები ("რამ დაალაჩრათ ასე? (3:80)". აღვირახსნილები (იქვე), უბადრუკები, უმეცრები (3:81). მესხს სურს, მაგრამ ვერ ბედავს "თავს დაესხას სიბრძნეს და სიქველეს, რწმენასა და ღვანლმოსილებას და მხოლოდ იმას ცდილობს, დააკნინოს, დაამციროს, დააშინოს უცხო მხრიდან მოსული კაცი (3:83)". მეოცე საუკუნის ავტორს მესხთა გარეგნობაც არ მოსწონს. რა მოხდებოდა, გაუნათლებელი კაციც ხომ შეიძლება ყოფილიყო მოხდენილი? არა! "ეცვათ ღარიბულად, ულაზათოდ, მიხრა-მოხრაც ისეთი პქონდათ, თითქოს ხისგან იყვნენ გამოჩორკნილი (3:83)". ველურებმა და გაუნათლებლებმა შიში მაინც ნაკლები უნდა იცოდნენ. მესხები კი "ჯერ კიდევ იმ საფეხურზე იდგნენ, თავის თავში რომ ვერაფერი უპოვიათ და უგზო-უკვლოდ დაბორილებენ ბნელეთში, სადაც შიშისა და ძრწოლის მეტს არაფერს განიცდიან, რადგან არც ბრძოლა იციან და არც თავგანწირვა (3:92)". არადა, სწორედ მესხები მენინავებოდნენ ბრძოლაში, მენაპირებოდნენ საქართველოს ცხოვრებაში და პირველნი ხვდებოდნენ მტერს. აღარ გავაგრძელებ მესხების მალულარიასეულ დახასიათებას. საიდან მოდის ასეთი შეხედულება ავტორისა? ალბათ, გაუგებრობიდან.

ბასილ ზარზმელი წერს: "რამეთუ ეუნყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ, უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაეს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მხეცებრივ, უწირავ და ბოროტ. რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან (ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის

* ფრჩხილებში პირველი რიცხვი აღნიშნავს 1986 წლის „მნათობის“ ნომერს, მეორე კი გვერდს.



ცხოვრება, ქართული პროზა, I, გვ.333)*. ხოლო იყო მუნ ნისქევილი სახლი რაიმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა და ამას შინა იყენეს კაცნი რაიმე უკეთურნი. ყოვლად მხეცებრივნი, ვითარცა ადგილსა უკაცოისა და უცხოისანი (იქვე, გვ.340)". კიდევ ერთხელ ახსენებს ბასილ ზარზმელი უკეთურთ, ამჯერად მონადირეებს, რომლებიც ბერებს ნადირის დაფრთხობის საშუალებას არ აძლევენ (იქვე, გვ. 343). არსად ჰაგიოგრაფი ავტორი მესხების უკეთურებაზე, ბოროტებაზე . . . არაფერს ამბობს, რადგან მან კარგად იცის, რომ მესხები ზოგადი ტერმინია, მესხეთია მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და ცალკეულ პირთა ლანძღვა სულაც არ ნიშნავს ნესხთა ლანძღვას. მეოცე საუკუნის ავტორს ცუდად აქვს გაგებული მესხეთი და მესხოზა. მისთვის ტაო-კლარჯეთი სხვა რამეა და მესხეთი სხვა. "ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდითგანვე ქართველი ხალხი ცხოვრობდა ქართული ენითა და კულტურით. მესხეთი მთელი ზემო ქართლის ზოგადი სახელია. იგი მოიცავს: სამცხეს ჯავახეთს, თორს, კოლა-არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერს და სხვა. "ყოველთა ამათ ადგილებთა და ქუეყანათა კრებით ეწოდება მესხნი (ბახუშტი). ამრიგად, "მესხი" კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა (მ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ.280)". კარგად იცოდა ბასილ ზარზმელმა, რომ, როდესაც ლანძღვდა დაბელებს, მონადირეებს და სხვას, ეს არ იყო ლანძღვა მესხებისა. პატივცემული ავტორი რომანის ბოლითქმამში გვაუწყებს, რომ მისი გმირი მხოლოდ ისტორიული პირი სერაპიონი კი არ არის, არამედ განზოგადოებული პერსონაჟია, ყველა იმ საეკლესიო მოღვაწის კრებითი სახეა, რომელთაც, მოყოლებული მეცხრე საუკუნიდან, არნახული სამონასტრო მშენებლობა გააჩაღეს სამხრეთ საქართველოში (7:120)". ამიტომაც სერაპიონის სახით ჩვენ უნდა შეგვექმნას წარმოდგენა გრიგოლ ხანძთელზეც. წინასწარ ვიტყვი – სერაპიონიც და გრიგოლიც ბრწყინვალედ დახატეს ბასილ ზარზმელმა და გიორგი მერჩულემ.

ვინ არის ახალი რომანის გმირი, როგორ გვიხატავს მას ავტორი? როგორად უნდა წარმოვიდგინოთ მეოცე საუკუნის გადასახედიდან ჩვენი დიდი წინაპრები, მოღვაწე ბერები, რომელთაც საკუთარი მხრებით ასწიეს "მოყოლებული მეცხრე საუკუნიდან" საქართველოს მატერიალური თუ სულიერი კულტურა. რომანის მიხედვით სერაპიონი არის უხიაგი (4:67), "ჭირვეული" ბერი (4:68). "დაიწყეთ ისევ თქვენებური?" სახიფათო კაცი ხართ, მამაო (4:63) – მიმართავენ სერაპიონს. "შუარტყელელი წინამძღვარს, ჯოუტ, ხეთის იმედით გათამამებულ, ყველაფერში ცხვირისჩამყოფ უხიაგ კაცად თვლიდა, რომელმაც ზოგჯერ თვითონ არ

* შემდეგში სიმოკლისათვის დავიმოწმებთ: „პროზა“...

იცოდა, რა უნდოდა და რა როგორ უნდა გაკეთებულიყო (4:79)". ეს შუ-
 არტყელელი უბრალო კაცი არ არის. იგი ზარზმის მშენებელი ხუროთ-
 მოძღვარია. არც ქვის რიგითი მთლელი უყურებს სერაპიონს. სერაპი-
 თვალთ: "ქვის მთლელს სერაპიონის მოახლოება არ შეუმჩნევია და
 როცა მის წინ ჩრდილი განვა, წინამძღვარს ისე ამოხედა, როგორც მო-
 ნასტერში შემთხვევით შემოხეტებულ მანანნალას (4:80)". წმინდა მამები
 ასე მიმართავენ სერაპიონს: "სხვათა შორის, ურიგო არ იქნება, მამაო
 სერაპიონ, მოთმინება და თავდაბლობა რომ საჭიროა, ზოგჯერ თქვენს
 თავსაც რომ შეახსენოთ . . . (5:74)". სერაპიონს არ სწყინს, როდესაც
 ასეთ რამეს ეტყვიან: "თქვენ სწორედ მაშინ ხდებით ავად ან მაშინ
 იკარგებით, როცა აქ ყველაზე საჭირო ხართ". ან კიდევ: სამრეკლოს
 გეგმა უკვე მზადაა, მაგრამ თქვენი ახირებულობის ამბავი რომ ვიცი,
 საძირკველი ვერ ჩამიყრია (5:87)". მონასტერში მინცდამაინც არ უყ-
 ვართ სერაპიონი: წმინდა მამას "ესიამოვნა იმათი ღიმილი, ვისაც შეიძ-
 ლება იგი გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ამჯერად თანაუგრძნობდა."
 სერაპიონი ის ბერია, რომელიც "ცხოველივით აღარ ეძებდა ისეთ უკაც-
 რიელ ადგილს, სადაც მარტოობაში აღმოხდებოდა სული (5:113)". მო-
 ნასტერს ხელმძღვანელობდა კაცი, "რომელიც ცოტათი მინც ერკვეო-
 და ადამიანებში (5:121)". ფიზიკურად სერაპიონი არის საცოდავი, მცი-
 ვანა, ავადმყოფი, უსუსური: "თვით სერაპიონი კი ადვილად ცივდებოდა,
 სულ იფრო მეტად ანუხებდა სახსრებისა და თავის ტკივილი, გაციე-
 ბულს ყოველთვის დიდ სიცხეს აძლევდა და ზოგჯერ ისე იყო გათანგუ-
 ლი, რომ ფეხზე წამოდგომას ვალარ ახერხებდა (6:92)". ასე გაუბედურე-
 ბულ სერაპიონს ხშირად "აღარც ლოცვა" ახსოვდა. იგი თანახმაა საკუ-
 თარი სულის ნაწყმედაზე, ფიქრობს საკუთარ "უგუნენობაზე და დამ-
 თხვეულობაზე", ცრუობს და თავს იმშვიდებს იმით, რომ არსებობს
 ტყუილის თქმაზე უფრო დიდი ცოდვა, ხდება და ეგუება, რომ მას,
 როგორც წინამძღვარს, ლანძღავენ და აგინებენ. ცოდვებით დამძიმე-
 ბულ სულს დანაშაულსაც უმატებს: "სერაპიონი თვითონ უსხამდა ღვი-
 ნოს სტუმრებს და ცდილობდა იმაზე დამნაშავედ არ ეგრძნო თავი,
 ვიდრე იყო (6:105)". განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სერაპიონი ქა-
 ლების მიმართ. ძაძითმოსილ, გაოფლიანებულ, აქოშინებულ ქალს, რო-
 მელიც სულს ვერ ითქვამდა, სერაპიონმა შეამჩნია, რომ "მისი ნაადრე-
 ვად დამწუხრებული სახე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეშხსა და სანდომიან-
 ნობას (4:70)". "სერაპიონი პირველად შედიოდა მარტოხელა ყმანვილ
 ქალთან სახლში და ფეხები უკან რჩებოდა (4:75)". აუღელვებლად ვერ
 უყურებს სერაპიონი განსაკუთრებით ესნა ცივნარისძეს. იგი "უფრო ა-
 ლელვა ამ უჩვეულო ქალის მოახლოებამ, ვიდრე ქალის მის პირდაპირ
 ჩამოჯდომამ (4:76)". ყველა ინტიმური დეტალი აინტერესებს ესნას შე-
 სახებ. მან იცოდა, რომ ესნა ცივნარისძეს მუცელი მოაშლევინეს და ნა-
 ყოფისაგან გაათავისუფლეს, მაგრამ, რადგან ცოტათი დაგვიანებული



იყო, კინალამ სისხლისაგან დაიცალა (4:84)". ქალისადმი განსაკუთრებული სიმპათიის გამო წინამძღვარს "არც ესნას ცოდვები ერვენებოდა ისეთ მიძიმე ცოდვებად სხვებისთვის რომ საბოლოო წამსწყმედელი იქნებოდა (4:101)", ამიტომ წმინდა მამის ოცნება, ტაძრის დამთავრების გარდა, იყო ის, რომ ავაზაკის კახპა ესნა ცივნარისძე წმინდანად ექცია და დამთავრებული ტეძრის ერთ-ერთ კედელზე გამოესახა (5:73)". უალრესად დაჩაჩანაკებულ სერაპიონს დასჩემდა გულმავინყობა: "სერაპიონს აღარც კი ახსოვდა, ეს მერამდენე გაზაფხული იწყებოდა, რაც იგი სამცხეში ამოვიდა და მონასტრის მშენებლობას შეუდგა (6:111)".

ერთადერთი მონასტერი იყო, რასაც სულით და გულით შეეწირა სერაპიონი, მაგრამ არც აქ გაუმართლა. მონასტრის აშენებას მისთვის ტანჯვისა და ნუალების მეტი არაფერი მოუტანია, მხოლოდ ცოდვებით დაამძიმა უსაშველოდ (7:109). დაბერებული, თვალისჩინგამოცილილი სერაპიონი დანყებულ საქმეს წესიერად ვერ მიიყვანს ბოლომდე. ზარზმის ხელმოცარული წინამძღვარი "იდგა. . . ამ კიბის წინ დაღონებული გალახული ძალივით, რომელიც კარში გამოაგდეს და შინ აღარ შეუშევს (7:109)". ამიტომაც რალა გასაკვირია, რომ მონასტერში ერთი სული აქვთ, როდის მოკვდება სერაპიონი. არც ის არის გასაკვირი, რომ მიწაზე გაუბედურებულ სერაპიონს საყვედური "მამაზეციერის" მიმართაც წამოსცდება.

სრულიად სანინალმდეგო ტიპს ხატავს ბასილ ზარზმელი. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის, რადგან მხოლოდ რჩეულთა ცხოვრება და მოღვაწეობა აღინერებოდა ხოლმე. როგორც "მთიები ბრწყინვიდენ", "იხილნეს ახალნი მნათობნი და მოძღვარნი და მასწავლებლნი". . . რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოვლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოვლად წმიდაი მამაი და მოძღვარი ნეტარი სერაპიონ ("პროზა", 1, გვ. 337)". "მნათობი მამაი, მამათა მოძღვარი და მასწავლებელი, რაითა გვესმოდიან სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი. . . ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ". მამა მამათა, "დიდი მოღვაწე", "ანგელოზთა თანამზრახველი", "უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშმცემელი", "მონაზონთა რჩეულეზი", "მამათა სიქადული", ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსი", "სამგზის სანატრელი" მამა წმინდა სერაპიონ. ასეთი ფიტიტეზით ამკობს ისტორია დიდ სერაპიონ ზარზმელს. სხვაგვარად გაგვიცოცხლეს იგი მე-20 საუკუნეში და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სერაპიონი მხოლოდ სერაპიონი არ არის და იგი ზოგადი სახეა, რა პასუხი გავცეთ მეორე დიდ მოღვაწეს, გრიგოლ ხანძთელს.

ბოლოთქმაში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ სახედ უნდა წარმოვიდგინოთ გიორგი ჩორჩანელი, ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გიორგი ჩორჩანელი არის გიორგი ჩორჩანელი. კვლავ იმავე ხერხს მივმართოთ, ჯერ ვნახით, როგორ ცოცხლდება ისტორი-

ული პიროვნება მე-20 საუკუნეში და შემდეგ ენახოთ, ვინ იყო იგი სინამდვილეში. გიორგი ჩორჩანელის გამოგზავნილი მონისგან რომ გაიგო მთავრის ახლო-მახლო ყოფნისა და ნადირობის ამბავი, სერაპიონი მიხვდა, ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება რომ არ შეიძლებოდა, გიორგი ჩორჩანელი "ან აქ უნდა შემოეტყუებინა, ან . . . (3:84)". ხუცესის დანახვა კი ნმინდა მამას გაუხარდება, რადგან "ეს იმას ნიშნავდა, ღმერთი სწამდა (ჩორჩანელს - მ. ბ) და სულიერი მამა სჭირდებოდა (3:85)". სამცხის მთავრის ქრისტიანობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. "ეტყობა, მთავარი მართლაც დაინტერესებული იყო მონასტერის მშენებლობით. . . . რასაც იქნებ იგიც გაენმინდა ცოდვებისა და ბიწიერებისაგან, მიენიჭებინა იმის უნარი, რომ საბოლოოდ გარკვეულიყო ავსა და კარგში. . . . იგი უკვე იმ ასაკში იყო, როცა კაცს ზეცის იმედი უფრო აქვს, ვიდრე საკუთარი თავის (3:107-108)." ჩორჩანელი და სერაპიონი საუბრობენ ტბის გარღვევის სასწაულზე. ჩორჩანელი აღტაცებულია ამ სასწაულით. "ეს მხოლოდ ხმამაღალი გამოძახილი, შეძრწუნებული მგლების პირუტყვიანი ყმული იყო და არა ბნელი გამოქვაბულიდან გამოსული კაცის სიხარული, რომელმაც შეიგნო, რომ სამუდამოდ დააღწია თავი სიბნელეს და ანი აღარც ნამების ეშინია და აღარც ტკივილის. აქამდე ჯერ არც ის კაცი (გიორგი ჩორჩანელი - მ. ბ.) იყო მისული, მის წინ რომ იჯდა, ჯერ არც მის სულს მიაჩნდა საკუთარი ხორცი საპყრობილედ (3:110)". მონასტრის მშენებლობის ერთ ეტაპზე საჭირო შეიქნება გიორგი ჩორჩანელის დარწმუნება დახმარებაზე. გაორებული რწმენაშერყეული მთავარი ასე წარმოგვიდგება: "მას კი არა მარტო გარეშე ადამიანების, საკუთარი თავისაც კი არ სწამდა, არ სჯეროდა, რომ ადამიანი იმაზე უკეთესი გახდება, ვიდრე არის და ეს ურწმუნობა, ხელჩაქნეულობა როგორღაც აღუნებდა, ამდაბლებდა, ავინრობდა, სერაპიონთან შედარებით მერყევ, უმოქმედო კაცად ხდიდა . . . ამიტომ თავს დრომოჭმულ კაცად თვლიდა (4:96)".

გიორგი ჩორჩანელი, როგორც დამფინანსებელი და ერთ-ერთი მშენებელი მონასტრისა, შესანიშნავად ჰყავს დახატული ბასილ ზარზმელს: "რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას, რომელი ყოველთა შმატებდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთა, რომელთა სივრცე საზღვართ ვრცელი და მრავალი იყო. და არა თუ ქვეყნიერთა და ქვემეთრეველთაგან მდიდროოდა, არამედ ღმრთისმსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა ("პროზა", 1, გვ.335)". ჩორჩანელმა "მისცნა სახმარნი უხვობით და, წარვიდოდა რაი, უბრძანა კვალადცა მოსლვაი". . . გიორგი ჩორჩანელის ქრისტიანობა და სარწმუნოებისადმი თავდადება არასოდეს ეჭვქვეშ არ მდგარა. პირიქით - მას ავტორი იხსენიებს ყოველთვის, როგორც "ღმრთისმსახურს": "ღმრთისმსახური იგი გიორგი". . . "ხოლო ღმრთისმსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი სახმარნი: ჯორები და კარაულები და არაოდენი რაი



უხმდა სიმრავლესა ძმათასა ("პროზა", 1, გვ.351)". გიორგი ჩორჩანელს დიდ პატივს სცემდა სერაპიონი, რომელიც ასე ახასიათებს მთავარს: "თანაშემწე მათდა იქმნა დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, და ყოველივე მათდა მოწვევული". . . ასევე, როდესაც გიორგი ჩორჩანელის ღვანლის შესახებ გაიგო მიქაელმა, "განიხარა ნმიდამან და მადლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი ("პროზა", 1, გვ.352)". ჩორჩანელისა და სერაპიონის ეპოქა ის დროა, როდესაც ერთი და ბერი ერთსულ და ერთხორც არიან, ერთად იღვწიან საერთო საქმის გასაკეთებლად. ამას უნდა დანთებოდა სანთელი, ეს უნდა წამოწვეულიყო წინა პლანზე, მათი ერთად შეყრა და საუბარი შარავანდედით მოსილი და ამაღლებული უნდა ყოფილიყო. რომანში კი ამ ორი დიდი მოღვაწის "ტალავარში" ერთად დიდხანს ყოფნაც საქვო საქმედ ჩათვალა ავტორმა.

ეპითეტად შერჩენილი ფიზიკური ნაკლით არა ერთ პირს იცნობს ისტორია. შეიძლება თემურ ლენგზე ილაპარაკოს თანამედროვე მწერალმა და მისი სიკოჭლე არ აღნიშნოს? ყოველ შემთხვევაში მორბენლად მაინც არ წარმოადგენს და ათლეტურ სილამაზეს არ გაბაზავს მისას. სერაპიონის უმცროსი ძმა იოანე "დაძთა ყოვლად უსრული და ენაბრგვნილი". რადგან ბასილი ძმისწული იყო იოანესი, წამდვილად იცოდა ბიძამისის ეს ფიზიკური ნაკლი. ენაბრგვნილი კი ენაბორძიკას, ბლუს ნიშნავს. ესნა ციგნარისძე, სიყვარულისთვის დაბადებული ქალი, სწორედ ლაპარაკით შეიყვარებს იოანეს: "არ დავახლოებივარ, მამაო, სულ ორ-სამჯერ დაველაპარაკე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, სიყვარული ისე შემოვიდა ჩენში. . . (5:90)".

ჩვენდა სამწუხაროდ, არც ისე ბევრი მშენებლის თუ ქტიტორის სახელი შემოგვინახა ისტორიამ, ამიტომაც ხშირად თანამედროვე ავტორებს ლეგენდებით უხდებათ მათი გაცოცხლება. ზარზმის მონასტერი ბედნიერი გამონაკლისია ამ მხრივ, რადგან ბასილ ზარზმელმა გარკვევით ბრძანა: "ხოლო იყენეს ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი". თანამედროვე რომანის მიხედვით კი შუარტყელელია (სწორი ფორმაა შუარტყელი) მონასტრის მშენებელი, ხოლო გარბანელი მეორეხარისხოვან საქმეს – მარნის მშენებლობას – ხელმძღვანელობს. რომანში უსაშველოდ გაჭიანურებული, ათწლეულებად გაჯანჯლებულია ზარზმის აგება. სინამდვილეში, შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაი და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეჰგვანდა ფამსა მას".

სამწუხაროა, რომ პატივცემული ავტორი ბასილ ზარზმელსაც მისწვდა, მისი ღვანლიც ეჭვქვეშ დააყენა. სერაპიონ ზარზმელი ერთგან ასე წინასწარმეტყველებს: "შეიძლება მოგვიანებით ვინმეს აღწერა კიდევ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ უცნობი კაცის მიერ შექმნილი სურათი კიდევ უფრო მცდარი და შეუსაბამო იქნება



(7:101)". რადგან გვჯერა, რომ მეოცე საუკუნის ავტორი ამ შემთხვევაში თავის თავს არ გულისხმობს, ამიტომ იგულისხმება ბასილ ზარზმელი, აღმწერი სერაპიონის ცხოვრებისა.

ისტორიულ რომანებში გარკვეული ქრონოლოგიის დაცვა რომ საჭიროა, ეს უდავოა. მისაღებია მცირე გადახვევები ისტორიული ფაქტებიდან, მაგრამ ანაქრონიზმებისაგან დაზღვეული უნდა იყოს მწერალი. ავტორი ბოლოთქმაში წერს: "რომანში არის ერთი სადავო საკითხი . . . ეს ეხება საქართველოში პირველი ყელიანი გუმბათის აშენებას (7:121)". არ მოუბოდიშებია ავტორს სამრეკლოსთან დაკავშირებით. რომანის დიდი ნაწილი ეძღვნება სამრეკლოს მშენებლობას, დაწყებული დაფინანსებიდან, ზარების ჩამოსხმით, დაკიდებით და ბოლოს დარეკვით. შეიძლება მე-9 საუკუნის საქართველოში სამრეკლო რომ ყოფილიყო? ზარზმის სამრეკლო ისევე გვიანდელია, როგორც თვით ტაძარი. საქართველოში უძველესი სამრეკლო მე-13 საუკუნისაა. სერაპიონის ეპოქაში შეუძლებელია ყოფილიყო სამრეკლო, აქედან გამომდინარე, რამდენადაც სამრეკლო ზარებისთვის არის განკუთვნილი, შეუძლებელია, ჩამოესხათ, ეზომათ, ენონათ ზარები და ბოლოს ყალბია სერაპიონის სიკვდილი ზარების გუგუნში.

ბუნებრივია, როდესაც იწერება ისტორიული რომანი და ისიც ბერ-მონაზვნებზე, მოჭარბებული იქნება ძველი ქართულისათვის, ჰაგიოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა. მოჭარბებული იქნება არქაული, სასულიერო ცნებები თუ რიტუალები. შეიძლება, ზოგ შემთხვევაში გათანამედროვეებული ფორმაც შეგვხვდეს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. სერაპიონს "იმ ღამეს ცუდად ეძინა, ხან ანგელოზების ფრთების ტყლაშუნი ესმოდა, ხანაც უკაცრიელი უდაბნო ელანდებოდა (3:57)". წმინდა მამას ასეთი რამ შემთხვევით, ერთხელ არ მოსდის: "ძილში ბორგავდა, ისევ ესმოდა ანგელოზების ფრთების ტყლაშუნი (3103)". ანგელოზი ვერასოდეს გამოეცხადება ფრთების ტყლაშუნით. ასეთი მინიერება ნამდვილად არ უხდება ანგელოზს. ასევე დაუჯერებელია, ქრისტიანი რომ მოუნათლავი იყოს და ღმერთი არ სწამდეს: "– აი,შენ, შვილო ჩემო, რა რჯულის კაცი ხარ? – მიმართა სერაპიონმა იმ მესხს, მწყემსს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწის მუშას. – ქრისტიანი გახლავართ, მამაო, – უპასუხა მესხმა უფრო მორცხვად, ვიდრე თამამად. – მონათლული თუ ხარ? – მონათლული რად ვიქნები? – ღმერთი თუ გწამს? მესხი ამ კითხვამ კიდევ უფრო დააბნია (3:93)". თუმცა მესხები იმისთანა ხალხია, რომანის მიხედვით, რომ მათში ყველაფერია მისალოდნელი. ვფიქრობთ, კომენტარი არ არის საჭირო, მაგრამ მაინც დავიმონწმებთ ციტატას ილია აბულაძის ლექსიკონიდან; "ნათელ-მეცით მე, რაითა ქრისტიანედ განვიდე ამიერ სოფლით და მივიდე წინაშე ღმრთისა ნათელღებული". ყველის ჭამა მხოლოდ ყველიერში შეიძლებოდა და არა დიდმარხვის დღეებში.



“მართალია, დიდმარხვა იდგა და არაფერი არა სამარხო მათ პირში არ უნდა ჩასულიყო, მაგრამ წინ მიძიმე გზა ედოთ, თითქმის უვალნი ხელბის ავლას და დროებითი თავშესაფრის მოწყობას გარჯა და ძალღონე სჭირდებოდა და ამიტომ არა მარტო ყველი და პური წამოიღეს თან, არამედ ერთი ტიკჭორა ღვინოც. იოანე და მაკარი ღვინოს არ ეკარებოდნენ. . . . (3:73)”. ციტირების მიხედვით ყველი და პური სამარხოა, ხოლო ღვინო – “არა სამარხო”. არა სამარხოს ნაცვლად აჯობებდა სახსნილო გვეხმარა. ერთხელ სერაპიონი “ყაურმას მიეძალა”. ვერ მიეძალებოდა სერაპიონი ყაურმას, რადგან ეს სიტყვა და, მოსალოდნელია, საჭმელიც, გვიან არის შემოსული საქართველოში, რასაც თურქობას უნდა ვუმაჯლოდეთ. იმავე მიზეზით არ შეიძლება სცმოდა ჩორჩანელს “სანადირო ჩექმები”. ჩექმებიც გვიან შემოსულია ჩვენში. “სამცხეს ჯერ კიდევ არ ჰყავდა ნამდვილი ეპისკოპოსი (4:60)”. ნამდვილში თუ ნამდვილი იგულისხმება, ეპისკოპოსი ნამდვილი უნდა იყოს, სხვაგვარი როგორია? ნამდვილი ეპისკოპოსი იყო გიორგი მანყვერელი, რომელსაც ყალბი თვისება მიანერა მე-20 საუკუნის ავტორმა. მას ზარების რეკვა უყვარდა ყოველ დღით და “ამის გამო ხელის გულები მუდამ დაკოყრილი ჰქონდა”. გიორგის დროს ეპისკოპოსები არ რეკდნენ ზარებს ასეთი გაქანებით. ჩიტი ბრდღუნად არ ღირსო – უთქვამს ზალხს. ბელურასნაირთა რიგისაა შაშვი, ხოლო შაშვისნაირთა ჩხართვი, ასე რომ, საბრდღუნელად ყველა ერთნაირია. “ზამთრობით იმდენი შაშვი და ჩხართვი იყრიდა მესხეთში თავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მათი ხორცი გამოუღვევლად ჰქონდა (5:94)”. ბასილ ზარზმელი კი ბრძანებდა: “ხოლო უმრავლესთა ჟამთა ნადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროჭა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხვათა ნადირთა ველურთაი (“პროზა”, 1, 334)”. ნადირობაც არის ერთგან აღწერილი. შაშვ-ჩხართვზე არ ინადირებდნენ მესხები, თუ უნდოდათ, რომ “ხორცი გამოუღვევლად ჰქონოდათ”. ევლოგია სულხან-საბას მიხედვით არის “კურთხეული”. გარდა კურთხევისა ძველ ქართულში ამ სიტყვას ჰქონდა მოსაკითხის მნიშვნელობაც. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართულში სიტყვამ საეკლესიო შინაარსი შეინარჩუნა და ნიშნავს ნაკურთხ სეფისკვერს (წყალს და მისთანათა), “რომლის ნაწილს აძლევენ მორწმუნეს ეკლესიაში”, თუ მაინცდამაინც ევლოგიაში მირთმეული საჭმელი შეგვიძლია ვიგულისხმოთ, მაგრამ ჩანთა ან მისი მსგავსი, რაშიც ევლოგიას “ალაგებენ”, ვფიქრობთ, არ შეესაბამება ევლოგიას: “იმ ევლოგიაში, გიორგი ჩორჩანელმა რომ მოართვათ, ძირითადად სურსათ-სანოვაგე ელაგა (3:90)”.

ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსნი და წინამძღვარნი შეიყრებიან, რათა დაშვებული შეცდომებისათვის გაასამართლონ სერაპიონი. ამ შეკრებას სინოდს უწოდებს ავტორი. ამ სიტყვას არ იცნობს სულხან-საბას ლექსიკონი, არც ილია აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსი-

კონი", როგორც ჩანს, შესაბამისი ცნების უქონლობის გამო. სინოდი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1. მართლმადიდებელი ეკლესიის უზენაესი საეკლესიო დაწესებულება, რომელმაც რუსეთში პეტრე პირველის დროს შეცვალა პატრიარქის მმართველობა; 2. პროტესტანტულ ეკლესიაში საეკლესიო და საერო პირთა საგანგებო კრება. . . ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში სინოდი გვიან გვხვდება და იგი რუსულ უზენაეს სასულიერო ორგანოებთან არის დაკავშირებული. არ გავაგრძელებთ სიტყვას იმაზე, რომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა ერქვას. ვთქვათ, მროველ ეპისკოპოსს რომ რუსული ვუნოდოთ, ანდა მანგლელს – მანგლისელი, თითქოს არაფერი შავდება, მაგრამ ეს არის თანამედროვე ენობრივი ნორმის თავს მოხვევა წარსულზე. ანყურიდან წამოსული კაცი ანყურელია, მაგრამ სერაპიონთან ვერ მივიდოდა გიორგი ანყურელი, ეპისკოპოსი ანყურისა: "ეს პირველი შემთხვევა იყო, გიორგი ანყურელი რომ ასე საზეიმოდ, ამალითურთ ეწვია მონასტერს (4:102)". სერაპიონი "სწრაფად ჩამოვიდა ხარაჩოებიდან, გიორგი ანყურელს შეეგება და კელიონისაკენ წარუძღვა (4:103)". ანყურელად შემოსული გიორგი შემდეგ მანყვერელი ხდება და ასე რჩება რომანის ბოლომდე.

პატივცემულ ავტორს მიწური მიწაში გათხრილად წარმოუდგენია: "იმ დაბაში მიწურებს გათხრიან და დროებით მიწურებში იცხოვრებენ (3:113)". "ვისაც სიბუჯითე არ აკლდა მიწურიდან ფიცრულ სახლში გადასახლდა, ზოგიერთმა შეძლებულმა ადგილობრივმა კი ქვის სახლიც კი აიშენა, მაგრამ მიწურების რიცხვი მაინც იზრდებოდა (4:38)". მიწური რთული საცხოვრისია, რომელიც შენდება და არ ითხრება. მასში თავსდება დარბაზი, ბელელი, საძილე, საკუჭნაო, ბოსელი და სხვა ბევრი აუცილებელი სათავსო. ასე რომ, მიწური არ იყო სორო ან გვირაბი, რომ გაეთხარათ, როგორც დროებითი ნაგებობა.

ავტორი ძირითადად წერს სწორ ფორმას – პარეხელს, მაგრამ გვხვდება პარახალიც. მდინარე ქვაბლიანი დასაწყისში ქვაბულიანია და სხვა. არ გავაგრძელებთ საუბარს რომანის ონომასტიკაზე, იმაზე, რომ ეგრე ადვილად ურიგებს ავტორი მე-9 საუკუნის მდაბიოებს სახელის გარდა გვარებს. არც პუნქტუაციაურ-ორთოგრაფიული მხარეა მთლიანად მოგვარებული. გვხვდება დიალექტური ფორმები. კომენტარების გარეშე ჩამოვთვლით ერთ ნაწილს არასწორი ფორმებისას: სამაგრეები, ცათაისანი, ციხე-სიმაგრეთაც (უნდა იყოს ციხე-სიმაგრე-დაც), ნაეგვატარალი, შემოიჭრიტა, გავანთავისუფლოთ, ანთავისუფლებს, მუშახელის დაგდება, დაგდებული იყვნენ, სახლში შემომივარდნენ, აღკვეთა (უნდა იყოს აღკვეცა), მუხლმოკვეცილი ლოცვა, მოკვედებით და სხვა. როდესაც მესხეთზე იწერება ნაწარმოები მესხეთის უკეთესი ცოდნაა საჭირო.

"რა მნიშვნელობა აქვს წიგნის გამოსვლას, თუ იგი სტილის ტექ-

ნიკას ახალს არას ეტყვის?" – ბრძანებდა კ. გამსახურდია. ისტორიული რომანის სტილი მრავალი რამით არის განსაზღვრული, არის ერთგვარად შეზღუდული. არ გამოგვადგება, მაგალითად, თანამედროვე უბნის ინსპექტორის მეტყველების სტილი მე-9 საუკუნის გარემოს შესაქმნელად: "ხალხო, აქ რა, მკვლევლობის ჩასადენად მოიყარეთ თავი? – მიმართა სერაპიონმა ბრბოს (4:72)". ასევე უაზრობაა მოჩვენებითი სიბრძნის ქადაგება: "მოგეხსენებათ, რომ უმოძრაო ნაბიჯის გადადგმა ისეთივე უაზრობაა, როგორც ქვის მიწიდან აღება და იმავე ადგილას დადება (4:95)". როგორია უმოძრაო ნაბიჯის გადადგმა? "კაცს იმიტომ დააქვს თავის თავში სიცარიელე, რომ სამყაროს უსასრულობა დაიტიოს (3:101)". წინადადების არასწორი სინტაქსური აგებაც არანაკლებად უხეირო სტილია, ვიდრე ეპოქისათვის შეუსაბამო გააზრება. "თავი ისე ეჭირათ, იგრძნობოდა, სამთავროს ბატონ-პატრონები რომ არიან (6:113)". სასულიერო პირებს წამოსცდებოდათ ხოლმე თანამედროვე ლოზუნგები: "საშინი ის კაცი არ არის, ვინც ღვინოს ყადრი იცის და ღვინო უყვარს, არამედ ის, ვისაც ღვინოზე მეტად აღვირახსნილობა და ღრეობა უყვარს (3:74)".

ბევრს აღარ გავაგრძელებთ. დაინერა რომანი მესხეთზე. ყველაფრის მიუხედავად, სიყვარული უნდა იგრძნობოდეს იმ მხარისა, რომელზეც წერს ავტორი. ჩვენ ეს სიყვარული ვერ დავინახეთ, რამაც, ეტყობა, განაპირობა ის, რომ ვერ აღმოვაჩინეთ პოზიტიური მხარე ნაწარმოებისა

1987 წელი.

„ასპინძას ყრუკუ ვნახე. . .“

ასპინძა სასტუმროს ნიშნავდა, აქედან მივიღეთ მასპინძელი. ასპინძა არაერთი იყო საქართველოში, მაგრამ ადგილის სახელად შემოგვრჩა ერთგან. ასპინძა ისტორიული სახელია, იგი 888 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება პირველად. მე-9 საუკუნის ბოლოსათვის სამცხე და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო დიდი ბრძოლების სარბიელია: "ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჰყვა მის თანა შენევენად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი. და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა და შეენია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჳევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიხოცა სახსენებელი მისი (სუმბატ დავითის-ძე, 1955:379)".

"ქართლის ცხოვრების" ამ ადგილს გულისხმობდა ივ. ჯავახიშვილი, როდესაც წერდა, რომ ასპინძა სამცხეში ყოფილაო (ჯავახიშვილი,

1983:56). ასპინძა, როგორც ჩანს, **სამცხის ხევზე** მდებარეობდა. რომელია ეს სამცხის ხევი? ასპინძა ოდიდგანვე იქ იგულისხმება, სადაც ციხე დგას დღესაც. "ომი დიდძალი მტკვარსა ზედა" უნდა გამართულიყო, ალბათ, იქვე, სადაც დიდი ხნის შემდეგ ერეკლე გადაიხდის ბრძოლას. მტკვრის ნაპირიდან გაქცეულ ნასრას დღევანდელი **ოთის წყლის** ნაპირებში, რომელსაც ვახუშტი "**ასპინძის კვეს**" უწოდებს, მისწვდებიან და მოკლავენ. ასე შემოდის ისტორიაში **ასპინძა 888** წელს. ასპინძა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, ამიტომ ხშირად გამხდარა იგი ბრძოლის ასპარეზი, რადგან აქ მტკვარი შედარებით მდორედ მოდის. **ახია-ვარძიიდან** მოყოლებული **არტაანის მტკვარზე** და **ახალქალაქ-დღივის წყლის** ქვემოთ მთლად ვიწროვბია, დაქანებით მოდის მტკვარი, ასპინძასთან იშლება მთებით მოცული გარემო. მტკვრის მარცხენა ნაპირზე **კაკაველია**, ხოლო მარჯვენა ნაპირზე – **კოტორაულები**, დღეს რომ **ერკოტის უბანი** ჰქვია და **დიდი ქალა** მდინარის გაყოლებით, რომელიც ბრძოლის გაშლის საშუალებას იძლევა. ამ ველს **ასპინძის ციხე** დასცქერის თავს აღმოსავლეთიდან, ხოლო დასავლეთიდან – **ქვემო ვარნეთის** ციხე. მტკვრის გაღმა-გამოღმა ველები ხიდიო იყო შეერთებული. ამ ხიდსაც თავისებური სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. რა არ უნახავს ასპინძას, ვინ არ უნახავს! ერთი ბრძოლა **გიორგი სააკაძემაც** მოიგო ასპინძასთან. ყორჩიბაშმა გააგზავნა ყიზილბაშები. "მისრულთა ყიზილბაშთა გარემოიცივეს ასპინძა. მაშინ მოურავი იყო ნადირობასა და მუნიდამ იხილა **ასპინძა**, მოცული ყიზილბაშითა, მოეტევა მცირედითა კაცითა, ეკუთათა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყუიდნა იგინი... (ვახუშტი, 1973:433)". შაჰ თამაზმა მოაოხრა ასპინძა: "ხოლო, ვითარცა ესმა შაჰ-თამაზ განიხარა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა; მოესწრა ყაენი შაჰ-თამაზ. . . **ვარძია, თმოგვ** და **ვანის ქუაბი** და **ანყუერი**, **ასპინძა**, **ვარნეთი** და სრულიად სამცხის ციხეები აღილო (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959:500)". მე-16 საუკუნის ბოლოს ოფიციალურად გაფორმდა ახალი ოსმალური დარაიონება. შეიქმნა "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი", რომლის მიხედვითაც ასპინძა ცალკე რაიონის ცენტრი იყო. იგი შედიოდა ახალციხის ლივიაში. ასპინძის ციხეს ჰქონდა თავისი **რაბათი**, სადაც ცხოვრობდა კიდევაც ძირითადი მოსახლეობა, ე. ი. მოსახლეობა მთლიანად ციხის გარშემო ემკვიდრა, დანარჩენი ფართობი, რომელსაც დღევანდელი დასახლება მოიცავს, სავარგულებს ეკავა. დღევანდელი **ტამალის წყლის** (ვახუშტის მიხედვით **კობტის წევი**) ნაპირებს **ხევის ყანები** ერქვა, სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკის შემოგარენს **შინდის მზიგულს** ეძახდნენ, ზღვრებზე შინდი ხარობდა, ვაკეზე კი ყანები ეთესა. **ასპინძის თავში აგარის ხევი** რომ ჩამოივსებოდა, ბალები იწყებოდა, წყალიც ტბორდებოდა და ამიტომ **ჭანჭახები** ერქვა. ყანები იყო აგრეთვე **ოთის წყლის** მარჯვენა ნაპირზეც, **ჭანჭა-**



ხებს გაღმა, იქ, სადაც დღეს მელიორეობის ფერმაა, მინა ირღვეოდა ხშირად, ამიტომ ფოტორიებს ეძახდნენ. პიტები ერქვა დღევანდელი ნისქვილის ზედა ტერიტორიებს, ვიდრე თანამედროვე სატყეოს გორამდე. აქ ძირითადად ახალშენი ბალები ყოფილა. ასევე მდიდარი იყო ასპინძა ვენახით. ოსმალებმა ასპინძას შეანერეს გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ოსაზე, სელზე, ფუტკარზე, ხილზე, იალაღზე, საქონელზე და ნისქვილზე (ჯიქია, 1941:131). სამსუხაროა, რომ მეურნეობის ბევრი დარგი დღეს უკვე გამქრალა ასპინძაში. ცხოვრობდნენ მოქალაქეები რაბათში, ისინი ოდიდგანვე ქართველები იყვნენ, ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ არსებობისათვის, ებრძოდნენ მომხვედურს, ამაგრებდნენ ციხეს, იხდიდნენ გადასახადს, მისტიროდნენ დაკარგულ თავისუფლებასა და ენას. მაშინ შეიქმნა ამონაკვნიცი:

**"სადა ხარ ნეტა რუსთველო შოთა,
ხელიდან მიდის ასპინძა, ოთა."**

აი, მე-16 საუკუნის მოქალაქენი, მხოლოდ ისინი, ვინც ოჯახის უფროსები იყვნენ: გურაზა, აბულა, მურადა, ზურაბ, არსლან, ლაშქარა, ვარძელ, ბადურა, სარხომ, მირიან, მამუკა, ამროსა, აბრამ, პავლია, მანყვერელი, ირემა, იორდანე, ია, დოვლათიარ, ყუზანა, აბა, მარველ, ნურალი, უმიკა, რამაზა, გრიგოლ, ყანდუ და სხვანი (ჯიქია, 1941:130-131). დიდი ხნით მოსწყდა ასპინძა დედა სამშობლოს, სულ იდგა მესხეთის დაბრუნების საკითხი. ქართველთა ბევრი მეფის ნატვრა მესხეთის გამოხსნა იყო. ერთი ასეთი ნატვრა კინალამ ახდა ერეკლეს დროს. რა იცოდა ერეკლემ, რომ მოყვრად მოსული ტოტლებენი იმდენ თავსატეხს გაუჭენდა, აწყურვიდან გაბრუნდებოდა, ჩაიბრძოლებდა ქართლს და თბილისს, ერეკლეს ტახტს დაემუქრებოდა. ტოტლებენის ლალატი რომ არა, 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებას შეიძლება დიდი შედეგები მოჰყოლოდა. აწყურვიდან მოკლე გზა, რომელიც ერეკლეს ჯარმა გაიარა ასპინძამდე, ხალხმა ერეკლეს გზად მონათლა და დღესაც ასე ჰქვია. ამ სახელის დაბადების თარიღი ვიცით. ასევე თარიღიანია ერეკლეს ნახიდარი, მასაც 1770 წელი უზის თარიღად. ხიდი აქ მტკვარზე დიდი ხნით ადრე იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, ვახუშტი წერდა: "ამის შესართავთან არს ჳიდი მტკუარსა ზედა".ხალხმა მაინც ერეკლესი დაარქვა ხიდს, თავისი საყვარელი გმირის სახელი. ერეკლეს ვაჟკაცობა აპინძის ბრძოლაში მესხებმა სალექსოდ, სასიმღეროდ გაიხადეს. ერეკლესთან, ასპინძის ბრძოლასთან დაკავშირებული ლექსები და გადმოცემები თითქმის საუკუნის წინათ ჩაინერა ალ. ხახანაშვილმა (გურგენიძე, 1986:35).

“შენ ერეკლე, ომიანო,
ცხენ-ლამაზ უნაგრიანო.
შენი ნახოცი ლეკები

ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო.*
(ჩაგა შენიშვნაში).

ერეკლე ვაჟკაცობასთან ერთად ლამაზიც ყოფილა:
"ამ ერეკლემ არ დასთმო თავისი მუცლის ჩხვერაო,
ადგა, ჩაყარა ლაშქარი, წამოვა ნელა-ნელაო,
ასრე ჩამოვა ხერთვისსა, თვარეც არ არის, ბნელაო.
ხანუმებმა გამოხედეს, ტურფად დაუნყეს ცქერაო.
დღეში სამჯერ ვილოცავდით, ღმერთმა არ დაგვიფერაო,
ვაიმე თუ დაგვიმძვირდეს სარაებიდან ცქერაო.
ფადიშაჰს შემოუთვლია, ერეკლე რა კაციაო?!
რო მოგახსენო, ბატონო პატარა ყმანვილიაო.
გული უდგია სპილოსი, გარედან სალი კლდეაო,
ასე დაანგრევს ციხესა, როგორც ფოტურო ხეაო."

მესხეთში დღესაც ცოცხლად ჰყვებიან ლეკთა ბელადისა და ერეკლეს ორთაბრძოლას: "ნიშნიდან რო გამობრუნებულა თათარი სარდალი, ერეკლე უკნიდან მოჰქცევია. იმ ალაგს რო მოსულან, შუაზე მოსწევია ცხენი ცხენს, ამოუღია ხმალი ერეკლეს, შემოუცხვია ნელზე და გადაუჭრია შუაზე, უთქვია: გაინძერიო! ფეხები დარჩენია უზანგში, წელზეით გადავარდნილა, დედამინაზე (მარტიროსოვი, 1984: 112)". როგორ დაამშვენებდა ერეკლეს ძეგლი ასპინძას! გიორგი სააკაძის ძეგლიც მოუხდებოდა ციხის შემოგარენს. დღევანდელი ასპინძა ცენტრია ასპინძის რაიონისა, რომელიც ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. ასპინძის რაიონი მესხეთის რამდენიმე ისტორიული პროვინციის ნაწილს აერთიანებს, კოდიანიდან მოყოლებული, კოხტის ხევის გავლით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შეყოლებით – ნიჯგორ-ხერთვის-წუნდით, სათავემდე ჯავახეთია. რაიონის ფარგლებშია ბარის ჯავახეთის დიდი ნაწილი და მცირე ტერიტორია მთიანი ჯავახეთისა: ხიზა, სარო, ხიზაბავრა, ვარგავი, თოკი. ერუშეთის ნაწილიც – ნიალა, ქარზამეთი, ვანი, ბუზმარეთი ასპინძის რაიონში შემოდის. დანარჩენი უმეტესი ფერთობი რაიონისა სამცხის ტერიტორიაა. მრავალფეროვანია რაიონის ბუნება ბარიტ, ტყით, ალპური და სუბალპური ზონით, ეს კი ხელს უწყობდა ისტორიულად საქართველოს ამ ნაწილში სოფლის მეურნეობის გარდა მესაქონლეობის განსაკუთრებულ განვითარებას.

თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით რაიონში სულ 20 დასახლებული პუნქტია, რასაც დაემატა განახლებული სოფლები: ოსკერია, გელსუნდა, ფია, ახჩია. ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებ-

* საარქივო მასალა ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა საქ. სსრ ლიტ. და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვ. გურგენიძემ

ბული ეს ტერიტორია ისტორიულად. დღევანდელი ასპინძის რაიონი ოსმალთა დროს იყოფოდა ცალკე ასპინძის, ხერთვისის, ბუზმარეთის, თმოგვის და ნიალისყურის რაიონებად, სულ 100-მდე სოფლით. ჩამოვთვლით ერთ ნაწილს ნასოფლარებისას: ქარზამეთი, ვარნეთი, კორისხევი, დუმეილა, გომი, ლეპისი, ფანაკეთი, ზედა თმოგვი, ვაშლობი, გორგინშინდა, ზედა ვარძია, ელიასუბანი, ავაზანა, გუნდი, ქართაშენი, მუკუზაშენი და მრავალი სხვა. ცხოვრობდნენ მესხები, არქმევდნენ ქართულ სახელს ადგილს. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ტოპონომის ასაკი ათასწლებს ითვლის. ისტორია მოვიდა დღემდე სახელად მხოლოდ, პერანგშემოცლილ ნაეკლესიარებად, ნაცხარად, სასაფლაოდ ნასახლარად. გამოუყენებული არ იყო არც ერთი გოჯი მიწა, რაც არ ითესებოდა, საძოვრად ვარგოდა. ბოლო დროს მეურნეობის გაერთმინშვნელიანებას მოჰყვა ის, რომ გაჩნდა ნაოსპარი, ნასელარი, ნაფეტვარი ნადიკვარი, ნაყანარი, ნავენახარი და სხვა.

საპინძის რაიონი უმდიდრესია ისტორიული ძეგლებით. გაქვავებული წარსულით. აქ დაბადებულია რუსთველი და შოთაობას რუსთავეში ვზეიმობთ. კოხტას თავის შეთქმულებაც კოხტის ციხეში მომხდარა, სოფელ ტამალის თავზე. ცოტნე დადიანის ძეგლიც მოუხდებოდა ამ მიდამოებს. შოთას თანამედროვეს იჩქით გურგენის ძეს ნუნდის ეკლესია უშენებია, ზღუდეც აუგია ერთი. აქაურ ეპიგრაფიკაში შეხედებით ბაგრატიონებს, გიორგებს, თამარს და სხვათა.

გადასულ დღეთა მეტყველ მოწმეებად დგანან ხერთვისი, შორეთი, ვარნეთი, ალანძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, 800 წლიანი ვარძია და ბევრი სხვაც. 1100 წელი სრულდება ისტორიაში ასპინძის პირველი ხსენებიდან. მართალია, ბევრი მასზე უფრო ასაკოვანი სახელია მესხეთში, მაგრამ მაინც სხვა არის ასპინძა, მისი როლი საქართველოს ისტორიაში. . .

1988 წელი.

აგარის დღათა მონასტრისა და სხვა აგარათა ისტორია-ეტიმოლოგიისათვის



მესხეთში, ასპინძასა და ოთას შორის შეიქმნა აგარის დედათა მონასტერი, მშვიდმა და წყნარმა სამონაზვნო ცხოვრებამ დაისადგურა ძველ ნასოფლარსა და ტაძარში. მრავალი რამის მომსწრეა ეს ხეობა, სადაც გამართოვებულა ორი მონაზონი და ორიც მორჩილი მოღვაწე მონაზვნის დედა ქეთევანის (მელაძე) წინამძღვრობით. სამშენებლო საქმიანობა ადრე დაიწყო, მაგრამ მონასტრად კურთხევა მოხდა 2006 წელს. თითოეული მონასტრის ისტორია მისი სახელიდან იწყება, სახელს კი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასულიერო და საერო ცხოვრებაში. ადგილის სახელის გაშიფვრა და ენობრივი კუთვნილების დადგენა ხშირად დიდ სიღრმეებში მიდის და გადაგვიშლის ჩვენი ისტორიის საინტერესო ფურცლებს. აგარა ადგილის სახელად ბევრგან გვხვდება დღევანდელ და ისტორიულ საქართველოში. გვექონდა აგარის მონასტერიც ურავლის ხეობაში მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც შემორჩენილია მთავარი ეკლესია, ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ბაზილიკა საქართველოში. იგი მოხატული ყოფილა X-XI საუკუნეებში. შემონახულია აგრეთვე სამრეკლო, საცხოვრებელი სენაკები, საკულტო და სამეურნეო შენობები (ს მ ე ე ლ, 2007:18). საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მხოლოდ აჭარაში, ბათუმის რაიონში ორი აგარა გვაქვს. თითო აგარაა ახალციხის, ქარელის და ხულოს რაიონებში. ადგილის სახელად გვაქვს აგარისაგან —აკსუფიქსით ნაწარმოები სახელი აგარაკი გუდაუთის, ოზურგეთის და გარდაბნის რაიონებში. ერთ სოფელს ხაშურის რაიონში აგარები ჰქვია. დღეს მესხეთში მხოლოდ ახალციხის რაიონში გვაქვს აგარა სოფლის სახელად, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე რკინიგზის ხაზის გაყოლებით. ეს აგარა გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილთან: "ამის ზეით (იგულისხმებ აწყური და აწყურის ხიდი მტკვარზე — მ. ბერიძე) მტკუარს მოერთვის ზიკილიის ხევი, ჩრდილოდამ, აგარას, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით (ვახუშტი, 1973: 662)". ისტორიული გარემო, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ხატავს XVIII საუკუნეში, დღესაც იგივეა და აგარაც იმავე ზიკილიის ხევზე მდებარეობს, რომელსაც წინუბნის ხევიც ჰქვია. ეს სოფელი გაუკაცრიელელებული ყოფილა XVI საუკუნეში. მის შესახებ ს. ჯიქია წერს: 'აგარა — დედისიმედის წინუბანთან ამ დროს უკვე გაუკაცრიელებული სოფელია. აგარის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელია დედისიმედის წინუბანი. დედისიმედის წინუბანი უნდა რქმეოდა იმ წინუბანს, რომელიც იმავე აწყურის ნაპირში 27-ე სოფლად და გურკელთან ახლომდებარედ არის აღწერილი. ამ სოფ. წინუბნის მინა-



ნერში იგულისხმება დედისიშვილის ვენახი და ბალი. . . უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დასახელებულ უკაცრიელ სოფელ აგარაში შემდგომ ხანებში მოსახლეობა გაჩნდა და ამჟამად იგი წინუბან, გურკელ, და ზიკილია სოფლებთან ერთად აგარის სასოფლო საბჭოში შედის (ჯიქია, 1958:141-142)". XIX საუკუნეში გამაჰმადიანდნენ აქაური მესხები, რომლებიც გაასახლეს და მათ ადგილზე ჩამოასახლეს მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კიდევ ერთი ნასოფლარი იყო XVI საუკუნეში ამ მიდამოებში ქვაბისხევსა და ზოვრეთს შორის, რომელსაც ს. ჯიქია დემოთიის აგარას უწოდებს (ჯიქია, 1958:145).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგარა, სადაც დედათა მონასტერია, ისტორიულ ნაფუძარზე დგას. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს, რომ "ამას ზეით (იგულისხმება სუელის ხევი – მ. ბერიძე) ერთვის მტკუარს ასპინძის ხევი აღმოსავლეთიდან, გამოსდის კოდანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკუარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდეა ზედა შენი, მაგარი. ასპინძას ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ხევედ, ოთას არს კლდეა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ ხევს ერთვის ჯაბოეთის ხევი, გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და ან ცალიერი (ვახუშტი, 1973:666-667)". განვიხილოთ თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე აგარის გარშემო. ვახუშტი არ ამბობს, თუ რაშეღა სოფელი იყო აგარა, როგორი ეკლესია იდგა სოფელში, ვინ ცხოვრობდა იქ და ა. შ. როგორც ჩანს, არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია. სხვაგვარი მდგომარეობა იყო XVI საუკუნის ბოლოს. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ბევრი აგარაა დაფიქსირებული, მათი ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით ს. ჯიქია ახლომდებარე მნიშვნელოვანი პუნქტების მიხედვით მოიხსენიებს, ამიტომ ასპინძის აგარას უწოდებს მას. რა თქმა უნდა ასპინძის აგარა არასოდეს ყოფილა მისი რეალური სახელი. მას, როგორც სხვა ბევრს, აგარა ერქვა მხოლოდ და იგი იმ დროისათვის ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო. მას გააჩნდა ცალკე სათიბი, რომელსაც ოთარაშენი ერქვა. "ასეთი დიდი სოფელი შედარებით მოკლე ხანში უნდა იყოს მიტოვებული, რომ იგი XIX საუკუნის სამხედრო თუ სხვა დანიშნულების რუკებზე არ არის აღნიშნული (ჯიქია, 1958:200)". "დავთარმა" შემოგვინახა იმ ოჯახის უფროსთა სახელები, ვინც მაშინდელ სოფელში ცხოვრობდა. სოფლის მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ტრადიციული ქართული და ქრისტიანული სახელების გვერდით უკვე შემოსულია აღმოსავლური სახელები, რომელთაც უფრო მეტი გავრცელება შემდეგი დროის საქართველოში ჰპოვეს, ზოგიც გვარებში შემოგვრჩა როგორც ძირეული სიტყვები ან სულაც დაიკარგა.

XVI საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით მესხეთში, ახლო

ნათესავებში უყვარდათ ისეთი სახელების დარქმევა, რომლებშიც მარცვლები მეორდებოდა ხოლმე. მაშინდელ აგარაში ცხოვრობდა ერთი ძმა, ერთს ერქვა **ზანდარა**, ხოლო მეორეს – **ლონდარა** (ჯიქია, 1941:145). თავისი არაქართული ფორმის და გაურკვეველი შინაარსის გამო, ვინმეს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, რომ ამ სახელთა მატარებელი ადამიანები ქართველები არ იყვნენ. ჯერ ერთი ამ სახელებისაგან შემდეგში მივიღეთ ქართული გვარები: **ზანდარაშვილი** და **ლონდარიძე**, მეორეც – მათ ჰყავდათ მესამე ძმა, რომელსაც **გოგიბერა** ერქვა. გარდა იმისა, რომ ამ სახელისაგან შემდეგ მივიღეთ გვარები **გოგიბერაშვილი** და **გოგიბერაშვილი**, **გოგიბერიძე**, **ბერ-ფუძე** მრავალ ამ ტიპის გვარში შედის, ისეთებში, როგორიცაა: **გულაბერიძე**, **შალამბერიძე**, **ლოსაბერიძე**, **ჯანბერიძე** და მრავალი სხვა. არ არის გამორიცხული, ლონდარა მოდიოდეს **ლომდარასაგან**, რაც კიდევ უფრო სხვაგვარად დაგვანახებს პრობლემას და, რაც მთავარია, **ზანდარას**, **ლონდარას** და **გოგიბერას** ჰყავდათ მამა, რომელსაც ერქვა **მაცხოვნა**. მაცხოვნას მამას, როდესაც შვილისათვის ეს სახელი დურქმევია, იმედი ჰქონია, ცხოვნების შეთვლისა და შენდობისა, თავად მაცხოვნას კი სულის ცხოვნებაზე ნაკლები უფიქრია და მოდაში შემოსული ზოგიერთი სახელი გაურვეია შვილების სახელდებისას. მაცხოვნა ნამყო ნყვეტილის ზმნისგან არის მიღებული, გავრცელებულია მთელ საქართველოში, გვაქვს მისგან ნაწარმოები გვარი **მაცხოვნაშვილი**. ზმნური ფუძეებით არის კიდევ სამი სახელი მაშინდელ აგარლებში, ესენია: ერთი **აღდგომელი** და ორი **მახარებელი**. აღდგომელი არის **იმანას** ძე. ერთი მახარებელი **კუპარას** ძეა, ხოლო მეორის მამის სახელი არ იკითხება. დღეს **იმანა** ოფიციალურ საკუთარ სახელად არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მეტსახელად. მესხეთში რამდენიმე იმანა ცხოვრობს. სახელდების მოტივაციას ასე ხსნიან მათ გარშემო, ხშირად ხმარობს **იმან** სიტყვასო. ასევე იმან ნაცვალსახელი უნდა იყოს ამოსავალი მიმართვის ფორმაში – **იმანო**, იმერულ დიალექტში. გვყავს კიდევ ერთი იმანა, რომელსაც შვილი ჰყავს **მაცაცა**. ამ სახელს დღეს კაცებს არ არქმევენ, მაგრამ არქმევენ მაცაცას - ო დაბოლოებიან ფორმას, **მაცაცოს**, ოღონდ ქალებს (ხორნაულო, 2010:31). აღდგომელის მამის სახელი **კუპარა**, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დღევანდლამდე მოღწეული **ყუფარა** უნდა იყოს, რომელიც გვხვდება გვარში – **ყუფარაძე**. **კუპარაში** - ა არის ფორმანტი, რომელიც აღნიშნავს ან კინობითობას ან მსგავსებას. კუპარ ფორმა გვხვდება ჟამთააღმწერელთან, "ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი **კოხტას თავსა**, იმერნი, ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, **კუპარი** შოთა, თორლაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი (ჟამთააღმწერელი, 1959:215)". კუპარად შოთა კიდევ ერთხელ იხსენიება იმავე ავტორთან იმავე გარემოში (ჟამთააღმწერელი,



1959:219). არის მოსაზრება, რომ შოთა კუპარი არის **შოთა რუსთველი**, კუპარად შოთას მოხსენების შესახებ პ. ინგოროყვა წერს: "შოთას აბრალებდნენ მანის მოძღვრების მიმდევრობას და სარწმუნოებიდან განდგომილად სთვლიდნენ. გასაგები ხდება ამის შემდეგ, თუ რად არის ეს კლერიკალურად განწყობილი ისტორიკოსი განსაკუთრებული მტრობით გამსჭვალული შოთასადმი (ინგოროყვა, 1963:126)". ამჯერად ჩენტვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არაბულიდან შემოსული სიტყვა ქცეულა საკუთარ სახელად და დაურქმევიათ მაშინდელ **აგარაში** ორი კაცისათვის. ერთი მათგანის შესახებ, რომლის შვილსაც მახარებელი ერქვა, ვისაუბრეთ, ხოლო მეორე კუპარას თავისი შვილისათვის **სელმანი** დაურქმევია, მოდაში შემოსული ახალი აღმოსავლური სახელი. აქვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჟამთააღმწერის ზემოთმოხმობილი ციტატა სხვა რამითაც არის მნიშვნელოვანი. ადგილი, სადაც მონღოლების წინააღმდეგ მიმართული **კოხტას თავის შეთქმულება** მოხდა 1245 წელს, რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ჩვენს აგარას სამხრეთიდან. იგი მდებარეობს სოფელ **ტამალის** თავზე, მას დღესაც **კოხტას თავი** და **კოხტის ციხე** ჰქვია. ქართული სახელი **პაპუნა** აგარაში სამ კაცს ერქვა. უკვე აქტიურად შემოსული აღმოსავლური სახელის მატარებელ კაცს, **ასმანას**, დაურქმევია თავისი შვილისათვის **პაპუნა**, ასევე **გიორგის** ჰყავს შვილი **პაპუნა** და ერთი ოჯახის უფროსი არის "სახელად **პაპუნა**". ამ სახელის შესახებ ზ. ჭუმბურუძე წერს: "**პაპუნა** (ქართ.) "პაპისა". წინათ გაერცელებული იყო და ზოგჯერ ახლაც გვხვდება ამ სახელის მრავალფეროვანი ვარიანტები: **პაპა, პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპენა პაპინა...** (ჭუმბურუძე, 2003:193)". ცნობილი ქრთული სახელის მქონე კაცს იმედას თავისი შვილისათვის დაურქმევია **ფირიჯანი**. იმედასაგან ნაწარმოებია ქართული გვარები: **იმედაშვილი, იმედაიშვილი, იმედაძე, იმედიძე** (ჭუმბურუძე, 2003:168), ხოლო, რაც შეეხება, ოსმალეთის მესხეთში მომძღვრების გამო შემოსულ —**ჯან** კომპონენტთან სახელებს — ყულიჯანს, ველიჯანს, ამირჯანს და სხვას, მომავალში მართალია, მათ სახელებად იშვიათად არქმევდნენ, სამაგიეროდ გვარებმა შემოგვინახა ისინი. ასურულიდან არის შემოსული ადამიანის საკუთარი სახელი **სარგისი** (ჭუმბურუძე, 2003:198). ამ სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირია, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან, ამიტომ ეს სახელი რომ პოპულარული ყოფილიყო სამცხეში, აგარაში, არაფერია გასაკვირი. სოფელში ცხოვრობდა 3 სარგისი, სამივე უფროსი თაობის წარმომადგენელი, მამა, იყო: **ასითა სარგისის ძე, ელიაზარ სარგისისძე** და **მასურა სარგისისძე** (ჯიქია, 1941:145). XVI საუკუნის **აგარაში** ცხოვრობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ნათლობის სახელების ნაცვლად კინობითი სახელებით იცნობდნენ და საგადასახადო დავთარშიც ასე დააფიქსირეს: **იმარინდოს** ჰყავდა სამი ძმა,

რომელთაგან ერთს სპარსული სახელი ამირზარი ერქვა, დანარჩენებს კი მიქელა და გულია. ამ სახელებიდან მივიღეთ შემდეგ გვარები: მიქელაძე, გულიაშვილი და სხვა. ერთი ოჯახის უფროსს გაბრიელის ნაცვლად გაბო ერქვა, მოფერებითი, კნინობითი ვარიანტი. სოფელში ცხოვრობდა ორი დავითა და ა. შ. ამგვარად, შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ სოფელ აგარაში XVI საუკუნის ბოლოს მთლიანად ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა.

ეს დიდი სოფელი რაღაცა დიდმა უბედურებამ, რომელიც მას დაატყდა თავს XVII საუკუნეში, აქცია ნასოფლარად, ამიტომ აღარაფერს ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი მისი მოსახლეობის შესახებ. იგი მდებარეობდა ცნობილ სოფლებს, ასპინძასა და ოთას, შორის. ასპინძასა და ოთაში იყო ძლიერი ციხეები. ასპინძის ციხეს თავისი რაბათიც ჰქონდა, ციხის გარშემო დასახლება, ციხის უბანი. შეიძლება, სწორედ ამ სოფლებს შეეფარა აგარიდან გაქცეული მოსახლეობა. ერთ დროს ძლიერი სოფელი დაცარიელდა. ვახუშტის დროს მესხეთში ჯერ კიდევ არ იყო გამაჰმადიანებული გლეხობა, მათი სარწმუნოების შეცვლა ძირითადად XIX საუკუნეში მოხდა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, საკუთარ სახელებში სპარსულ-არაბულ-თურქული ლექსიკა ადრინდანვე არ იყო უცხო ქართველებში, გამაჰმადიანების შემდეგ კი თურქულმა ენამ მეტყველებაშიც იმძლავრა, ამას ხელი შეუწყო სომხების შემოსახლება-მაც, რადგან სომხები შემოასახლეს ღრმა ოსმალური პროვინციებიდან და მათთან საურთიერთობო ენად თურქული ენა იქცა. სოფელი როდესაც ნასოფლარად იქცევა, ადვილად ხდება მისი სახელის გაქრობა, რჩება ეკლესია ან ნაეკლესიარი, ამიტომ სწორედეს ნაეკლესიარი ხდება სახელდების ობიექტი, ასე მოუვიდა, მაგალითად, ოთხთა ეკლესიას ტაო-კლარჯეთში, იგი იქცა დორთ ქილისედ და მრავალ სხვას. 1909 წელს გამოვიდა გრაფინია უვაროვას რედაქტორობით წიგნი, სადაც დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის 1902 წლის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. ე. თაყაიშვილი აგარის ეკლესიას უწოდებს კიზილ-დერესის ეკლესიას (თაყაიშვილი, 1909:13-14). სიტყვა-სიტყვით კიზილ-დერესი ნიშნავს წითელ ხევს. მესხეთში ადგილთა ბევრ სახელში დომინირებს ზედსართავი სახელი წითელი. ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული სიტყვაა ქართულში ხევი. რადგან ოთასა და ასპინძაში მაჰმადიანი მოსახლეობა იყო ქართველი, მათ თავიდან ქართულ ენაზე შეარქვეს ადგილს სახელი, ხოლო თურქობის მომძლავრების შემდეგ მოხდა მისი თარგმნა თურქულად ისევე, როგორც ბევრი სხვა სახელი მესხეთში. მაგალითად, მგელციხე იქცა კურტკალად, ოქროსციხეს უწოდეს ალთუნკალა და სხვა. ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება მიკროტოპონიმიდან, მაგრამ ცნობილი ფაქტები საკმარისია. ადგილს წითელი ხევი ერქმეოდა იმ შემთხვევაში, თუ ხევის რომელიმე მონაკვეთზე წითელი ფერის ქვა, მიწა ან კლდე სჭარბობდა. მესხეთში უძველეს ტოპო-



ნიმთა რიცხვს მიეკუთვნება ჩითახევი, ბორჯომის რაიონში. ჩითახევი მიღებულია **ჩითახევისაგან** და ნიშნავს წითელხევს (ბერიძე, 2010:189). ეს არის მესხურ-მეგრული ჰიბრიდული ტოპონიმი. ჩითახევი ქრისტიანული მოსახლეობის უწყვეტობამ განაპირობა სახელის პირვანდელი სახით, მცირე ფონეტიკური ცვლილებით, შენარჩუნება. განსაკუთრებით ბევრი იყო მესხეთში **წითელი საყდარი**, რომელიც იქცა **კიზილქილისად** და რომელიც აგრეთვე არის თარგმანი ქართული სახელისა. მაგალითად, ერთ-ერთი კიზილ ქილისა გვაქვს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, არდაჰანის (არტაანის) გუბერნიაში (ბერიძე, 2010:156). კიზილქილისაა **ტაბანყურის ტბაზე**, რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წითელი საყდარი ერქვა (ბერიძე 2010:157). სამხრეთ საქართველოს მკვლევარი ილია ალხაზიშვილი 1897 წელს ტაბანყურის **წითელი საყდრის** სახელის შესახებ წერდა: "უნინ საქართველოს აქ მეფობის დროს, თურმე სოფელს სპარსნი დაეცნენ და სწორედ აღდგომა ღამეს, ცისკარზე, ეკლესიაში მთლად ამოსწყვიტეს ქართველნი, მათი სისხლით ეკლესიის კედლები სრულიად წითლად შეიღება, არ უღირსათ უბედურებს წითელი კვერცხების გაფცქვნა. მას აქეთ დაერქვა ეკლესიას **კიზილ-ქილისა** და სოფელმაც მიიღო **წითელი საყდარი** (ალხაზიშვილი, 1978:40-41)." სახელდების მოტივაცია სახეზეა, ეკლესია წითელი ქვით არის ნაშენი, მაგრამ ხალხმა კიდევ უფრო გაამძაფრა პრობლემა და ქვის ბუნებრივი ფერი მტრის ხელით დაღვრილ სისხლს დაუკავშირა. არ არის შეუძლებელი, რომ, თუ აგარის მიდამოებში წითელი ფერის მინა, ქვა, კლდე ან მსგავსი რამ არ დადასტურდა, ეკლესიის სახელი **წითელი ხევი** სოციალური შინაარსით იყოს განპირობებული და დაკავშირებული იყოს იმ დროსთან, როდესაც **აგარის** მოსახლეობამ ხევი საკუთარი სისხლით შეღება მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ვინც გადარჩა, როგორც ზემოთ ითქვა, გაიფანტა ასპინძასა და ოთაში. 1902 წელს, როდესაც ე. თაყაიშვილმა ეკლესია მოინახულა, სახურავი კი იყო ჩაქცეული, მაგრამ კედლები მთელი იყო და იდგა. ფრესკების კვალი ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა საკურთხეველში.

როდესაც საუბარია აგარაზე ან კიზილ დერესეზე, მთავარი ორიენტირი არის მდინარე, რომლის ნაპირზეც მდებარეობს ნასოფლარი, ნაეკლესიარი, დღეს კი უკვე მონასტერი. XX საუკუნის ბოლოსთვის ამ მდინარეს **ოთის წყალი** ჰქვია. ამ ტიპის ჰიდრონიმია, მდინარეები, გამოირჩევა სახელთა სიმრავლით არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში, არამედ ისტორიის ერთსა და იმავე მონაკვეთზეც კი. საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს დედა მდინარის **მტკვრის** სახელი. მას ხალხი მტკვრის გარდა ეძახდა **არტაანის წყალს**, **არტაანის მტკვარს**, **არტანულას**, **ჯავახეთის მტკვარს** და სხვა. ახლანდელ **ოთის წყალს** ე. თაყაიშვილი 1902 წელს უწოდებს **ასპინძის წყალს** (Аспиндзис цаали). ასპინძის და ოთის მაჰმადიანმა მოსახლეობამ ეკლესიის სახელი კი თარგმნა, მაგ-

რამ არ თარგმნა მდინარის სახელი, თორემ ე. თაყაიშვილი ჩაინერდა ან ასპინძა ჩაის ან ასპინძა სუს. ასპინძის ხევი და სამცხის ხევი სინონიმები ბად ესმის ვახუშტი ბატონიშვილს. "მატიანე ქართლისაჲ" და სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობენ, რომ 888 წელს სოფელ ასპინძასთან მოკლეს გუარამ მამფალის ძე ნასრა: "და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედ და შეენია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა **ჭვესა სამცხისასა**, სოფელსა **ასპინძას** (სუმბატ დავითის-ძე, 1955:379)". ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: "შეიბნენ მტკუარსა ზედა, ბრძოლასა იძლია ნარსე და ბაყათარ ოგსი; შეიპყრეს ნარსე და მოკლეს **ჭვესა შინა ასპინძისასა** და აღიხოცა თესლი მისი (ვახუშტი, 1973:132)". ამგვარად, IX საუკუნეში ამ მდინარეს (ბუნებრივია, IX საუკუნეში ბევრად უფრო წყალუხვი იქნებოდა იგი) ერქვა **სამცხის ხევი** (ჭვეი სამცხისაჲ), შემდეგ ეწოდა **ასპინძის ხევი** (ჭვეი ასპინძისაჲ), იგივე ასპინძის წყალი და ბოლოს – **ოთის წყალი**. ეს ასპინძის ხევი რომ ნამდვილად დღევანდელი ოთის წყალია, კარგად ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი სხვა ხეეების ფონზე. "ასპინძის ჭვეის შესართავს ზეით მოერთვის მტკუარს ვარნეთის ჭვეი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარნეთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ ჭვეის შესართავს ზეით, მტკუარს მოერთვის აღმოსავლიდამ **კოხტის ჭვეი**, გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად (ვახუშტი, 1973:667)". მოხმოხმო ციტატაში ვახუშტი ბატონიშვილი ჩამოთვლის ხევთა თანმიმდევრობას: **ასპინძის ხევი, ვარნეთის ხევი და კოხტის ხევი**. მართლაც, ვახუშტის მიერ აღწერილი ვარნეთა დღევანდელი ვარნეთია, რომლის გამოც შერქმევია ხევეს სახელი. დღევანდელი ოთის წყლის, იმავე ასპინძის ხევის ზევით, მტკვრის სათავესაკენ, ოღონდ მდინარის მარცხენა ნაპირიდან, ერთვის მტკვარს ვარნეთის ხევი, რომელსაც დღეისათვის **ვარნეთის ხევეს** ეძახიან, მაგრამ უფრო მოიხსენიებენ **ერკოტის ხევის** სახელწოდებით, რადგან სათავეს იღებს ერკოტაში და შემდეგ ჩაუვლის ნასოფლარ ვარნეთს და ვარნეთის ციხეს. ვახუშტის მიერ დასახელებული **კოხტის ხევი** კი ვარნეთის ხევის ზევით, აბანოების შემდეგ, ხეილიშასთან ერთვის მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან და მას **ტამალის ლელეს** ან **ტამალის წყალს** ეძახიან, რადგან დღეისათვის ტამალა უფრო ცნობილი სახელია, ვიდრე კოხტა. ასე რომ, ასპინძის აგარა ერთ-ერთი ცნობილი და ისტორიული მდინარის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომაც გაუგებარია, დღევანდელ მესვეურებს ამ მდინარისათვის ოთა რომ უწოდებიათ. ოთა სოფლის სახელია და არა მდინარისა.

XVI საუკუნეში კიდევ ერთი დიდი სოფელია **აგარის** სახელწოდებით. მას ს. ჯიქია **ნიალისყურის** აგარას უწოდებს (ჯიქია, 1958:371). მასში 26 ოჯახი ცხოვრობდა და განსხვავებით ასპინძის აგარისაგან, ამ



სოფელმა ჩვენს დრომდე მოაღწია თავისი მოსახლეობით, თუმცა ეს აგარაც დღეისათვის ნასოფლარია, მდებარეობს ნიალის ველზე. ვარძიიდან ამავეალი გზის თავზე, როგორც კი გამოჩნდება ნიალის ველი, იწყება მინდორი, რომელსაც შაყბა ჰქვია და რომელიც მთავრდება სოფლის მისასვლელამდე. ეს სოფელი ძლიერი და ნაყოფიერი სოფელი ჩანს XV საუკუნეშიც. ვარძიის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის ხეობაში, სამიოდე კილომეტრით დაბლა, არის ვანის ქვაბები, რომლის ტიპიკონმაც ჩვენამდე მოაღწია. ტიპიკონს აქვს სხვადასხვა საუკუნის მინანქრები. ერთ-ერთი მათგანი, XV საუკუნისა, გვამცნობს, რომ მირძასა და ზაზას ვანის ქვაბთა მონასტრისათვის შეუწირავთ, "აგარას ორკალოსძისა მამული, სამი გრივი პური, ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი (ყორდანია, 1896:46)". სამი გრივი დაახლოებით 30 კოდს უდრიდა, რომლის ნახევარიც "წმინდა" ე.ი. დასაფქვევად გამზადებული უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ აგარაში მხოლოდ ზაზაძეები ცხოვრობდნენ, ალბათ იმ ზაზას შთამომავლები, ვინც ორკალოსძის მამული შესწირა ვანის ქვაბების მონასტერს. სოფელში XVI საუკუნეში მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობდნენ და უხდიდნენ მძიმე გადასახადს ოსმალოს ხელისუფლებას. თითოეული ოჯახი იხდიდა გადასახადს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე, იალალზე, საქორწინოდ და სხვა (ჯიქია, 1941:249). ნიალისყურის აგარის მოსახლეობაში იმ დროს გავრცელებული იყო ისეთი სახელები, რომელთაგანაც შემდეგ მივიღეთ სამცხური თუ ჯავახური გვარები. მაშინდელ მესხეთში პოპულარული სახელი იყო ალდგომელა, რომელსაც ალდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ (მაისურაძე, 1990:24). მისგან მივიღეთ შემდეგში გვარები ალდგომელაშვილი და ალდგომელაძე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ჯავახეთშია გავრცელებული, კერძოდ, სოფელ ჩუნჩხაში. აი, მაშინდელი ოჯახის უფროსები: გორგოლა, გოგინა, პაპა, ქრისტესა, გიორგი, ვარძელ, იორდანე, იორამ, არჩული, პეტრე, რევაზა, ელისა, ბადურა, ბატატა, ბადრია, ხახუტა, რომა, მასურა, ზარასელა, ელია, აღნია, სიმონ და სხვანი. ამ სახელთაგან შემდეგ შეიქმნა ცნობილი გვარები: გოგინაიშვილი, პაპიძე, პაპავა, ქრისტესაშვილი, გიორგიძე, ვარძელაშვილი, იორდანიშვილი, იორამაშვილი, პეტრიაშვილი, რევაზაშვილი, ელისაშვილი, ბადურაშვილი და სხვა. სოფელში ცხოვრობდა მოდამი შემოსული ოსმალურსახელისანი ორი ყარა, ორივე უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო და ორივეს შეიღს ვარძელი ერქვა. გარეგნული ნიშნების, კერძოდ, ფერის გამო ბევრ ადამიანს შეარქმევდნენ ხოლმე სახელს ან მეტსახელს. შავგვრემან კაცს შეიძლება შერქმეოდა შავი ფერის აღმნიშვნელი ქართული ან შემოსული სიტყვა მაშინაც და შემდეგაც. ზოგ სოფელში ჯერ კიდევ არქმევენ შავას ან შაოს, ზოგან – კუპრას, აგარაში კი დაურქმევიათ ყარა, რომელიც იგივე შავაა, ოღონდ – თურქულად. ყარა იმდენად პოპულარულ სახელად იქ

ცა საქართველოში რომ მისგან მივიღეთ ცნობილი გვარი ყარაშვილი. რუსების შემოსვლის შემდეგ ამავე რიგში დგება მეტსახელი ჩორნა, ოღონდ მისგან გვარი აღარ მიგვიღია. რამდენიმე პიროვნებისათვის უკვე განსხვავებული სახელი დაურქმევიათ, ასეთებია: ელიაზარი, ქემარაზი, იბაშერი, ევანგულა და ზარასელა. დიდმა გადასახადებმა წელში განყვიტა აგარის მოსახლეობა. გადასახადს კი იმ შემთხვევაში არ გადაახდევინებდნენ, თუ მიიღებდნენ მაჰმადიანობას. ხშირად ყოფილა, რომ სამ ძმათაგან ორს მოუღია მუსლიმობა და მესამე ძმა შეუნახავთ, მიხმარებიან გადასახადის გადახდაში, რომ ქრისტიანად დარჩენილიყო. აგარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შემდეგში გამუსლიმანდა. XX საუკუნის პირველ ნახევარში აგარაში 80 კომლი ქრისტიანი ცხოვრობდა და 140 კომლი მუსულმანი. სარწმუნოების შეცვლა რომ ერთბაშად არ მომხდარა, ამაზე მიგვითითებს ქრისტიანთა და მუსულმანთა განსახლება. ისინი ცალკე უბნებად არ ცხოვრობდნენ, შერეული იყვნენ ერთმანეთში. მაჰმადიანებს დაკარგული ჰქონდათ ქართული გვარები. მახსოვრობა წარმომავლობის შესახებ თანდათან გამქრალიყო. ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის კეთილგანწყობა სუფევდა. ქრისტიანები მხოლოდ ერთი გვარისანი იყვნენ ნილისყურის აგარაში – ზაზაძეები. მხოლოდ ორ ოჯახს ჰქონდა განსხვავებული გვარი, ერთი იყო საყვარელიძე და მეორე – ვაჭარიძე. ასე მოვიდა ეს სოფელი 1944 წლამდე. ამ წელს, იმის ნაცვლად, რომ სოფელი გაერთიანებულიყო, რწმენაშეცვლილიც დაბრუნებოდნენ თავიანთ ფესვებს, ეროვნებას, მაჰმადიანი მოსახლეობა გაასახლეს აგარიდან შუა აზიაში, საიდანაც აღარ დაბრუნებულან, ხოლო ქრისტიანები გადაიყვანეს მარგასტანში, რომელსაც თმოგვი ეწოდა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ. ასე იქცა ნასოფლარად XX საუკუნის შუა წლებამდე მოსული სოფელი აგარა. აგარლებს დღესაც ახსოვთ ერთი საფლავის ისტორია. ამ საფლავს მამუას საფლავს ეძახიან. აგარაში ორი სასაფლაო იყო, მაჰმადიანებისა და ქრისტიანებისა. ზაზაძეთა გვარის ერთ-ერთი ძლიერი მამუანთ შტოს სათავეის დამდები მამუა ყველამ იცის, რომ მარხია მაჰმადიანურ სასაფლაოზე. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტიანობაზე ზენოლის მძინე წლებში, არა მხოლოდ მძიმე გადასახადებით აიძულებდნენ ქართველებს სარწმუნოების შეცვლას, ფიზიკური განადგურებითაც ემუქრებოდნენ. მამუამ დაუტოვა შთამომავლებს ანდერძი, ჩემი ცოდვა თქვენ თუ მაჰმადიანების სასაფლაოზე არ დამკრძალოთო. ამით გადარჩებით, თათრები რომ შემოგესევიან, არ დაგხოცავენ, მე რომ მათ სასაფლაოზე ვიქნები დაკრძალული. მამუას აუსრულეს ანდერძი. ამ ამბავში საინტერესოა მეორე მხარე, მაჰმადიანებს უარი არ უთქვამთ მამუას ანდერძის ასრულებაზე და ქრისტიანი დაკრძალეს თავიანთ სასაფლაოზე, რადგან მათაც ჰქონდათ ეს გზა გავლილი სხვა და სხვა ფორმით. ასე დარჩა ნასოფლარში დღეს ეკლესია, ნასახლარები, მამუანთ წყარო და მამუას

საფლავი ნიშნად იმისა რომ აქ ერთ დროს სოფელი იყო.

გეოგრაფიული სახელი "აგარა", "აგარანი", "აგარაკი" ქართულში გაერცვლებული სახელია. აგარაკი ძველ სომხურში და სომხეთშიც გაერცვლებული სამეურნეო და საგეოგრაფიო ცნება-სახელი იყო (ბერძენიშვილი, 1964:312). პაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით აგარაკი და აგარამ პარალელური ფორმებია, ნიშნავს: ყანას, სახნავ-სათეს მიწას. ი.აბულაძე აგარაკსა და აგარას განმარტავს: ქუეყანა, საქმარი, დაბა, სოფელი, ყანა, ველი (აბულაძე, 1973:1). სულხან-საბა ორბელიანი ერთგვარად განასხვავებს აგარასა და აგარაკს. აგარის შესახებ ამბობს: "სადგური საზაფხულო (ორბელიანი, 1965:42)". სულხან-საბა უპირისპირებს აგარასა და მთას, როცა წერს: "მთა არს ადგილი მალალი და ცივი; მთიულეთი – დაბანი ჴევნებთა მისთა; და მთიულნი – მუნ მკვიდრნი კაცნი, ხოლო აგარა – ვაკე და მახლობელი მის ადგილი და გრილი (ორბელიანი, 1965:478)". ეტყობა აგარა იყო მანამ, ვიდრე ადგილი სტატუსს შეიცვლიდა და გაჩნდებოდა ნააგარევი, რაც აგარად ყოფილს ნიშნავდა (ორბელიანი, 1965:550). რაც შეეხება აგარაკს, იგი არის "ადგილი საყანური, გინა სავენაჴე გინა დაბა (ორბელიანი, 1965:42)". ივ. გვარამაძისათვის აგარა და აგარაკი ერთი და იგივეა, 'არის სახნავ-სათესი მინდორი, საზაფხულო (გვარამაძე, 1907:3)". ივ. ჯავახიშვილი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ტერმინთა განხილვისას სულხან-საბა ორბელიანის მიერ აგარის განმარტებების შემდეგ ასკვნის: "მხოლოდ მაინც ნათლად არა ჩანს, რით განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო, ან სახნავ-სავენახე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურისმგდები ოჯახობა შეიძლება ყოფილიყო (ჯავახიშვილი, 1965:15)". ეს "ყურისმგდები ოჯახობა" თავიდან იქნებოდნენ თითო-ოროლა, თორემ შემდეგ ყალიბდებოდა აგარა სოფლად და ზოგჯერ დიდ სოფლადაც. თავდაპირველად აგარა იყო მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავდა საზაფხულო სადგურს, სახნავ-სავენახეს, ვაკეს, ყანას, ველს, გრილ ადგილს და სხვა, ხოლო, როდესაც იმატა დასახლებამ, მომრავლდა ხალხი, იქცა ტოპონიმად, ამიტომაც არის, რომ ასე ბევრი აგარა გვაქვს საქართველოში. თანამედროვე ქართულში გამოიწვლია აგარა და აგარაკი. აგარაზე ნათქვამია, რომ იგი არის ძველი ქართულის კუთვნილება, მოხმობილია სულხან-საბას ერთ-ერთი განმარტება და ნათქვამია, აგრეთვე, რომ ამ სახელით გვხვდება "დასახლებულ ადგილთა სახელწოდება ბევრგან საქართველოში (ქეგლ, 1950:88)". აგარაკი კი არის "ზაფხულობით საცხოვრებელი ადგილი ქალაქგარეთ (ქეგლ, 1950:88)". ასევეა განმარტებული "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ახალ რედაქციაში. ამგვარად, გვხვდება სიტყვის ორი ვარიანტი: აგარა და აგა-

რაკი. ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში გვაქვს აგარანი, აგარის მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა და აგარათა, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. ამოსავალი არის აგარა, მისგან არის მიღებული აგარაკი აგარაზე — აკ სუფიქსის დართვით. აგარაკი ქართულში შემოსულ სიტყვად ითვლება, მაგრამ გათვალისწინებული არ არის მისი მეორადობა და აგარის პირველადობა. ამ მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ბოლო დროის კვლევები ამ მიმართულებით, კერძოდ, ქართულ-შუმერული ურთიერთობის კუთხით.

როგორც ვხედავთ, აგარა, როგორც გეოგრაფიული პუნქტი, ბევრგან გვხვდება საქართველოში. ისიც კარგად ჩანს, რომ, მართალია, სახელი დამონმებულია უძველეს ქართულ წყაროებში, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვაენოვან თუ სხვა ქვეყნის მონაცემებს. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით აგარა, როგორც ადგილის სახელი, მთელ მაშინდელ მესხეთში, ანუ გურჯისტანში იყო მიმოფანტული. ეს წყარო ოსმალოების მიერ არის შექმნილი, ამიტომ, თუ რაიმე ტენდენციურობას აქვს ადგილი, ჩვენს სასარგებლოდ არ იქნება. ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ დოკუმენტზე, რომელიც უკვე რუსების მიერ არის შექმნილი და ასევე არ გამოირჩევა ქართველთა სიყვარულით. ეს არის აგრეთვე მოსახლეობის აღწერის დავთარი — "Сведь статистических данных о населен и Закавказского краиа", რომელიც ამიერკავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოსცა 1893 წელს. მასში შესულია 1886 წლის აღწერის მასალები, მოიცავს მთელ მაშინდელ ამიერკავკასიის ტერიტორიას, არტაანის, ყარსის და ართვინის ჩათვლით. ბუნებრივია, სომხეთში და აზერბაიჯანში ეს სიტყვა რომ ყოფილიყო გავრცელებული, გვექნებოდა ადგილის სახელად და მას დააფიქსირებდა რუსეთის სახელმწიფო დიდი სიამოვნებით, რადგან ეს დოკუმენტი არის საქართველოს კუთხეებად დაშლის, ამ კუთხეებში მცხოვრებთა ცალკე ეროვნებებად გამოცხადების ანტიქართული პროგრამა. მასში ცალკე ეროვნებებად არის გამოცხადებული მთიულები, ხევსურები, ფშავლები, აჭარლები, იმერლები და სხვა. რადგან რუსეთს და რუს მოხელეს არ სურთ ქართველთა სიმრავლე, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ქართველებს ქართველებად კი არ აღწერენ, არამედ იმერლებად, ამიტომაც არის, რომ ქუთაისის გუბერნიაში შემავალ ორ აგარაში, თურმე ქართველები კი არ ცხოვრობენ, არამედ იმერლები. ასევე ორი აგარა იყო ბათუმში და ორივეში მცხოვრებლებს აჭარლები უწერიათ ეროვნებად. ასევე ტრადიციად არის ქცეული, რომ არ დაინეროს ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ისეთ სახელებში, როგორიცაა ახალქალაქი, ბარალეთი, გოგაშენი და სხვა. ასევე არაქართული ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი ახალციხის სახელი და მას უწოდებენ Ахалших-ს. მიუხედავად ზემოთქმულისა, გეოგრაფიული სა-



ხელები, ტოპონიმები, ძირითადად დაფიქსირებულია სწორად, რადგან მათ აქვთ სახელმწიფო დანიშნულება, აღწერილია ამ სახელის მატარებელი სოფლის მოსახლეობა სულადობის, სქესის და სარწმუნოების მიხედვით. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს აგარის, როგორც სახელის, გავრცელებულობას და საქართველოს ისტორიულ ფარგლებს.

agar შუმერულში არის "მინდორი, არე. მას უკავშირებენ ქართულ აგარა და აგარაკ- ფორმატივებს. . . . ვფიქრობ, შუმერული ფორმატივი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ გარე-ს "გარეთა, ირგვლივ." ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მიღებულია ორი ქართველური კომპონენტის შეერთებით; გა- ზმნისწინი და -რე ნაწილაკი (გორდეზიანი, 2007:101)". აგარაში ა- გამოყოფა აგრეთვე რ. გორდეზიანმა (გორდეზიანი, 2007:52). ე. ი. საქართველოს ტოპონიმიაში ადგილის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი ასევე უძველესი ქართველური ლექსიკური ერთეულიც არის და იგი ქართული სინამდვილიდან უნდა იყოს შესული შუმერულში. სწორედ გარ- ფუძე უნდა იყოს ამოსავალი თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევისათვის, რომელიც თავისი შინაარსით ნიშნავს გარეთ მყოფის შემოერთებას.

ცხეკნელა – ნასოფლარის ჯავახეთში

ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხის მიდამოებში ბევრი ნასოფლარია. მათ შორის თავისი სიდიდით გამორჩეულია ცხეკნელა. ნასოფლარ ნაისის დასავლეთით არის ფერდობი, რომელსაც ლამაზი სათიბები (მაჰმადიანთა მეტყველებაში – გვილიჩაირები) ჰქვია. გაზაფხული გამორჩეულია ჯავახეთში ყვავილების სიმრავლით, მაგრამ მათ შორისაც განსაკუთრებულია ამ ფერდობის ყვავილთა მშვენიერება. ფერდობი 3—4 მეტრის იქნება. მის შუაგულში გამოდის ნასოფლარ ალჯვიდან მომავალი სარწყავი წყალი – ციყნარობი. ლამაზი სათიბების (გველიჩაირების) მაღლა, სამხრეთით არის ქარაფი, რომელსაც ცხეკნელის ქარაფი ჰქვია. მის თავზე გაშლილია ნასოფლარი ცხეკნელა, თავისი ტერიტორიებითა და ნანგრევებით. შემორჩენილია ნასახლარები, სასაფლაო, ქვის ვერძები, პურის ორმოები. ჩუნჩხელი დავით ბერიძე (დაბადებული 1930 წელს) იხსენებს: "იყო ერთი ქვის ორმო, რომელშიც სულ იდგა წყალი, შეიძლება წვიმისაც იყო. მეხრები რომ ვიყავით, ესვამდით ამ წყალს.." დღეს ცხეკნელა ჰქვია, ნასოფლარის გარდა, მის გარშემო ტერიტორიებსაც. ნასოფლარის დასავლეთით არის დიდი ყანა, 7—8 მეტრისანი, რომელსაც დიდ ნაფუძარს ეძახიან, სამხრეთ-აღმოსავლეთით შედარებით ჰატარა ყანაა და მას ჰატარა ნაფუძარი ჰქვია. ჯავახეთში ნაფუძარი არის სოფლის ახლო ყანა, რომელიც უფრო მეტად გაფხვიერებულია ნაკელით. ზოგჯერ

ასვენებდნენ ნაფუძარს და აკეთებდნენ ანუღს. ეს იყო, მანამ, ვიდრე მინერალური სასუქი შემოვიდოდა. ნასოფლარის სახელთან დაკავშირებულია, ცხეკნელის ქარაფის გარდა, **ცხეკნელის წყარო**, რომელიც ნასოფლარის აღმოსავლეთით, ხრამში, გამოდის. მართალია წყარო პატარაა, ჯავახეთის სხვა წყაროებთან შედარებით, მაგრამ ერთ სოფელს ჰყოფნიდა. ბოლო დროს მას სარწყავად იყენებდნენ. **ცხეკნელის ხეც** უწოდებენ ხეცს, რომელიც იწყება **ქილდის მინდვრებიდან**, ჩამოივლის ნასოფლარ ცხეკნელას, საიდანაც ღებულობს სახელს, ჩავა **ჩუნჩხის ხრამში**, ჩაუვლის ნასოფლარ **ნაისას** და უერთდება ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. ნასოფლარს თავისი ისტორიული კვდომის ყველა ნიშანი აქვს. თავის დროზე, როდესაც აქ სოფელი იყო, ყველა ხეცსა და ფერდობს თავისი სახელი ერქმეოდა, როგორც ჯავახეთის სოფლებში საერთოდ, მაგრამ სოფლის ნასოფლარად ქცევის შემდეგ სახელი იფართოვებს დენოტატს და ვრცელდება გარშემო მისსავე ისტორიულ ტერიტორიებზე, ჩაყლაპავს ყოფილი სოფლის მიკროტოპონიმის და ჩნდება ახალი სახელები. ამ სახელებს არქმევს მეზობელ სოფელთა მოსახლეობა. ახალი მიკროტოპონიმის ცენტრი არის ნასოფლარი და მისი ტერიტორიები. ასე ჩნდება ცხეკნელის ხევი, ცხეკნელის წყარო და ა. შ.

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს ცხეკნელაში უცხოვრია შვიდ კომლს, რომელთაგან სამი ოჯახის უფროსის სახელი ამოუკითხავია, ხოლო სხვები არიან: **ბადუჩა პაპუნასძე**, **მახარებელ** – **ძმა მისი**, **ბასილა მღვდლის შვილი** და **სიმონა** – **ძმა მისი** (ჯიქია, 1941:180).

არსებობს გადმოცემა ცხეკნელის "განძის" შესახებ. გადმოცემაში საუბარია ლეკების თავდასხმაზე. ცხეკნელასთან ახლოს ჩუნჩხა-ქილდას შორის არის გორა, რომელსაც **საყარაულო** ჰქვია. აქ იდგა სოფლის დარაჯი. როდესაც მტერი გამოჩნდებოდა, დარაჯი შეატყობინებდა სოფელს. შეტყობინების ხერხი მარტივი იყო. გრძელ კეტზე წამოაგებდა გოდორს, ასწევდა მაღლა და ანიშნებდა ამით სოფელს საშიშროებას, ან შეჯდებოდა ცხენზე და გამოიქცეოდა სოფლისაკენ. მართალია, მესხეთში არსებობდა ამბის სხვა სიმბოლოს საშუალებით გადაცემაც, კერძოდ, ცეცხლის დანთება ისეთი თივით, რომელიც იწვოდა კვამლით, მაგრამ ეს უფრო შორეულ ციხე-კოშკებსა და მასშტაბურ შემოსევებს ეხებოდა, ხოლო საყარაულო-სატალაოები პატარ-პატარა სოფლებს თავთავიანთი ჰქონდათ. ერთ-ერთ ასეთ შემოსევაზე მოგვითხრობს 1928 წელს დაბადებული დავით გოროხოვი: "ცხეკნელაში იყო დარანი, რომელშიც ჩადიოდნენ ჩემზე უფროსები, მე არ ჩავსულვარ, მაგრამ მათგან გამიგონია, რომ დარანს ჰქონია დიდი დარბაზი, სადაც თავს აფარებდა სოფელი შემოსევების დროს. ეს ამბავი სოფელში (ჩუნჩხაში) მოვიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც 90 წლის ქალი უნახავთ ახალციხის აგარაში. მას უთქვამს: მურჯიკნელი ქალი ვიყავ, ცხეკნელაში გათხოვილი, როდესაც ლეკები შემოესივნენ

სოფელს. ყარაულებმა შეატყობინეს სოფელს ამბავი. თუ ვინმეს რამე ებადა, ჩავიტანეთ დარნის დარბაზში და იქ დავმალეთ, ჩვენ კი გავიქეციეთ. ეს ამბავი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხდება. გადმოცემა აქ წყდება და ამბობენ, რომ გაქცეულთაგან სოფელში აღარავინ აღარ დაბრუნებულა, დაცარიელდა და გავერანდა სოფელი. შეიძლება ლეკებმა გზაშივე მოუსწრეს გაქცეულებს და ამოხოცეს, ანდა ისე შორს წავიდნენ, რომ უკან ვეღარ მობრუნდნენ. ქართველიშვილმა ლომომ თხარა ცხეკენელა თავის შვილებთან ერთად მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში, მაგრამ დამალულს ვერავინ მიაგნო. ლომსაძე ლომგოი იტყოდა, შეეძვერი ცხეკენელის დარანში, მაგრამ შიგნიდან სინათლე გამოჩნდა თვალისა, ნადირაო, ვიფიქრე შემეშინდა და გამოვიქეცი." დავით გოროხოვის მიერ მონათხრობი ეს ნაღვლიანი ამბავი მნიშვნელოვანია, როგორც ჯავახური სიფლის ტიპური აღსასრული, სოფლის ნასოფლარად ქცევის ისტორია. სანდოა ლეკების თარეშიც. მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი რამ იშვიათად არ ხდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ცხეკენელა XVI საუკუნეზე ადრეც არის მოხსენიებული. "ვაჰანის ქვაბთა განგების" მინაწერთაგან ერთ-ერთში, რომელიც XIV საუკუნეს ეკუთვნის, საიდანაც ვგებულობთ, რომ მურვან ლარიბაძის ძეს ვანის ქვაბებისათვის შეუწირავს მამული : "სახელითა. . . და შუამდგომლობითა **ვანის ქვაბთა** მთავარმონაშისა გიორგისითა, თავსმდებობითა . . . მფარველისა ჩუენისა ხატისა მაცხოვრისასა ვანის ქვაბთა და მას შინა დამკვდრებულთა საღმრთოთა კრებულისა მღდელთა და დიაკონთა მიგიძლუანე და მოგაჭსენე მე **მურვან ლარიბისძემან** ჩემისა ნასყიდისაგან მესამედი **კუნელეთით**, მესამედი **დიდკლდით**, მესამედი **ციხეკნელით**, მესამედი **კუარბით**, რასაცა ოდენ ღმერთი მოგძლკანებდეს ნაცოფთაგან ამათ ქუეყანათა თუ დიდად და თუ მცირედ ჩემთვს და ჩუენთა მშობელთა და შვილთათვს. . . (ქორდანია, 1896:45)". დ. ბერძენიშვილი **ციხეკნელის** გარემოს კიდევ უფრო აფართოებს სხვა მინაწერთა მასალებითაც: "ერთი მამული **ორხოფიას**, **როტაშაული** მისითა მთითა . . . ერთი ვენახი **ტოლოშს**, ახალშენი **მალნარას**, იგიცა ნასყიდი და მიუდევარი", ორი ყანა სოფელ **დადეშში**, ნასყიდი მამული **ხარაკიას**, **ტოლოშს** ორი ვენახი **მალმარშიგან**, **კუნელეთის**, **დიდკლდის**, **ციხეკნელის**, **კუარბეთის** მესამედი (ბერძენიშვილი, 1985:122)". დ. ბერძენიშვილის აზრით "ეს მინაწერი საინტერესოა აქ მოხსენიებული ტოპონიმების გამოც. უმეტესობა სოფლებისა არის "გურჯისტანის დავთარშიც". მიკროტოპონიმები კი აღარ ჩანს. "ხარაკია" სოფელი ხარაკი უნდა იყოს სულდის მახლობლად, **არდახი** – **არტახია** ნიალის ველზე, საიდანაც ზეთი უნდა მიეღო მონასტერს. "**ციხეკნელი**" **ცხეკენელაა**. იგი შეიძლება ხალხური გააზრების გამო იყოს სახეცვლილი, რადგან ამ

ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება (შდრ.: ცხნარი – ციხნარი ქციის ხეობაში)(ბერძენიშვილი, 1985:122).ამგვარად, XIV საუკუნეში გვაქვს ციხეკნელი, XVI საუკუნის ბოლოს – ცხეკნელა და დღესაც ამ ნასოფლარს **ციხეკნელას** უწოდებს მოსახლეობა. ხალხური ეტიმოლოგიით **ციხნის კვლას** უკავშირდება სახელი, რაც დაფიქსირებული აქვს გრ. ბერიძეს: "ციხეკნელა ხალხური ეტიმოლოგიით, ცხენს კლავდნენო – და დაერქვა ცხეკნელა, მაგრამ საეჭვოა ასეთი განმარტება. უფრო სიმართლესთან ახლოს იქნება "ციხეკნელა", ნ–ს გადასმით, აქედან **ციხნისკელი – ცხენის ნაკელი**, ხოლო მეორე გაგებით – **ციხეკოჭლა** – კელობა, ძველი გაგებით, კოჭლობას ნიშნავდა. (ბერიძე, 1988:149)". გრ. ბერიძე, მართალია, გაემიჯნა ხალხურ ეტიმოლოგიას, მაგრამ სახელის წარმომავლობა დაუკავშირა მაინც ცხენს. როგორც "ვაჰანის ქვაბთა განგების" მინანურიდან ჩანს, სიტყვის დასაწყისი შეკუმშული ციხე უნდა იყოს. ცხეკნელა შემდეგი საფეხურია. უფრო ადრე მას ციხეკნელი ერქვა. ძველ ვარიანტში იკითხება გარკვევით ციხე, როგორც ეს აღნიშნა დ. ბერძენიშვილმა, "რადგან ამ ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება", სამწუხაროდ მეცნიერს არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება სიტყვის დანარჩენ ნაწილზე. სახელის ეტიმოლოგია ციხეს დაუკავშირა აგრეთვე ი. ტალახაძემ, ოღონდ არც მას გამოუთქვამს თავისი აზრი კომპოზიტის მეორე ნაწილზე: "ჩვენი აზრით ციხეკნელი – ცხეკნელა – გეოგრაფიული სახელი ციხესთან უნდა იყოს კავშირში. როგორც ნასოფლარსაც ეტყობა, აქ პატარა ციხე ყოფილა. **ჩხეკნელა** გვხვდება დავთარშიც (ტალახაძე, 2009:127)". მითითებული სამი სახელიდან ამოვარდება ჩხეკნელა, რადგან ასეთი სახელი "დავთრის" მეორე ტომში არ დასტურდება. საქართველოს ტოპონიმიაში ციხესთან ბევრი კომპოზიტია დაკავშირებული, მათ შორის გასათვალისწინებელია: როდესაც ციხე არის ნათესაობით ბრუნვაში, ამ დროს იგი გამოდის სუბსტანტიური მსაზღვრელის როლში, ასეთია სოფელთა შემდეგი სახელები საქართველოში: ორი არის **ციხის სოფელი**; სამი – **ციხისუბანი**; ოთხი – **ციხისძირი**; ერთი – **ციხისფერდი** და ერთიც **ციხისჯვარი** (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966:280-281). ბევრად უფრო მეტია ამ ტიპის წარმოება მიკროტოპონიმიაში: ციხისგვერდი, ციხისგვერდას ეკლესია, ციხითავი (ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული ს დაკარგულია), ციხისბოლო, ციხისგვერდი, ციხისგორა, ციხისეკლესია, ციხისერის ღელე, ციხისთავი, ციხისკარი, ციხისტყე, ციხისქვაბისკარი, ციხისღელე, ციხისყელი, ციხისძირები, ციხისწყალი, ციხისწყარო (საქართველოს ტოპონიმია 2003:359). ციხე შეიძლება იყოს თავად საზღვრული, პოსტოპოზიციური ნიშნის დროს. ამის მაგალითია **ციხეკოკორი** (საქართველოს ტოპონიმია, 1989:230). ციხე გვხვდება კომპოზიტში **ციხე-გალავანი** (საქართველოს ტოპონიმია, 2003:358). ბევრია ისეთი ადგილი საქართველოში, რომელსაც



მხოლოდ ციხე ჰქვია. ამ სახელის მქონე მხოლოდ ქვემო იმერეთში
 ოცდაექვსია. ციხე შეიძლება შეგვხედეს -თან და —ზე თანდებულებ-
 თან: ციხეზე (სოფ. მაისური), ციხესთან (სოფ. ცუცხვათი) (საქართვე-
 ლოს ტოპონიმია 2003:359). ციხე გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში
 საზღვრულის გარეშე, როგორც ნაგენეტივარი სახელი — ციხისა, რო-
 მელიც ხელახლა იბრუნვის და გვაქვს მრავლობით რიცხვში — ციხისე-
 ები (საქართველოს ტოპონიმია, 2003:359). ბევრია ციხე მრავლობით
 რიცხვში — ციხეები, რომელიც აღნიშნავს არა მხოლოდ ციხეს, არამედ
 სავარგულებსაც მის გარშემო (საქართველოს ტოპონიმია 2003:358).
 ციხე გვაქვს სხვა დაბოლოებითაც. მაგალითად, ქვემო იმერეთში
 გვაქვს -ელ-ა — ზე დაბოლოებული ტოპონიმი ციხელა, რომელსაც პა-
 რალელურ ფორმად აქვს ციხელი (ციხელ[ე]ბი) (შდრ.: გვარი ციხელაშ-
 ვილი) და ციხისყელი. ციხე გვხვდება —ია დაბოლოებით — ციხია (სა-
 ქართველოს ტოპონიმია, 2003:359) და ციხია ნანათესაობიარ მრავლო-
 ბითში — ციხიათა (სოფ. სიმონეთი)

ამგვარად, ციხე ტოპონიმურ სახელებში პროდუქტიულია, რო-
 გორც კომპოზიციის დროს, ასევე წარმოქმნისას. რადგან ციხეკნელი
 უფრო ადრეა დადასტურებული, ვიდრე ცხეკნელა, ფაქტია, რომ ის
 არის ადრინდელი ფორმა და ციხეკნელიდან მოდის ცხეკნელა. ციხის
 შეკუმშული ფორმა კომპოზიტებში გვაქვს სხვა შემთხვევაშიც, როგორც
 ეს ს. ჯიქიამ აღნიშნა (ჯიქია, 1958:42). კუმშვის პროცესს განსაკუთრე-
 ბით უწყობს ხელს არაქართულენოვანი გარემო, რომელიც ხშირად ახ-
 ლდა ცხეკნელის ისტორიას. ციხის შეკუმშვა შეიძლება აიხსნას ფონეტი-
 კურ ნიადაგზეც, როდესაც ორმარცვლიან სიტყვას ემატება მარცვა-
 ლი, ხდება წინა მარცვლის შეკუმშვა (თ. უთურგაიძე). ძველ ვარიანტში
 სახელი მოხსენიებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნით (ციხეკნელი),
 ამიტომ —ა ცხეკნელაში მატოპონიმებული ფუნქციისა უნდა იყოს.. სა-
 ბოლოოდ ტოპონიმი გაიყოფა ორ ნაწილად: ციხე-კნელი, რომლის მე-
 ორე ნაწილი სანდაკარგულია. თავდაპირველად გვექნებოდა ციხესკნე-
 ლი. —სკნელის შესახებ სულხან-საბა ორბელიანი წერს: "(კიდურივით)
 რამეთუ ვიტყვი: ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი,
 ესე არს, ვითარცა დასასრული რამე კიდეთაგანი (ორბელია-
 ნი, 1966:105)". თუ ეს ასეა, ცხეკნელას თავდაპირველი შინაარსი იქნება
 ციხის მხარე.

ოსმალებს 1595 წელს ალუნერიათ სოფელი **ნაისა**, რომლის შესახებ სერგი ჯიქია წერს: „დანერილობას დიაკრეტული ნიშნები სულ არა აქვს, მაინც ნაისა კარგადაა ამოკითხული... „დავთვის“ ნაისა 3 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ნაისა ნასოფლარის ადგილმდებარეობის გასარკვევად ძიება გელსუნდა-ორხოფის მიდამოებში უნდა ჩატარდეს; პეტრე მაზნიაშვილით „ხერთვისის ზევითაა (ჯიქია, 1958:258)“.

სამი კომლიდან ვიცით, რომ ერთს **მამუკა** რქმევია, მეორეს **ყანდუ** და მესამეს **კაკულა**. ყანდუ და კაკულა ძმები ყოფილან (ჯიქია, 1941:186).

ნაისა, მართლაც, „ხერთვისის ზევით“ ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის ნასოფლარი. ტერიტორიულად ეკუთვნის ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხას. გრ. ბერიძეს „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალისათვის“ დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა სია, სადაც მითითებულია, რომ **ნაისა** მდებარეობს სოფ. ჩუნჩხის ხრამში.

ნაისას სხვა სახელიც აქვს. დღეს ამ ადგილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა არის ეკლესია, მას **დის ეკლესიას** ეძახიან. და-ძმის ეკლესიები ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების ეკლესიებია. დის ეკლესია, იგივე ნასოფლარ ნაისის ეკლესია, მდინარის მარცხენა ნაპირზეა, ხოლო **ძმის ეკლესიას**, რომელიც **წმ. გიორგის** სახელობისაა, თოკელები მონასტერს უწოდებდნენ. იმავე თოკელების მტკიცებით ნაისის ეკლესია არის **წმ. ნინოს** სახელობისა და რადგან ორივე -წმ. გიორგი და წმ. ნინო, კაბადოკიელები იყვნენ, და-ძმისა იმიტომ ეწოდათ ამ ეკლესიებს. არის სხვა ვერსიაც: მოიტაცეს სოფლიდან და-ძმა. ისინი სხვადასხვა ადგილას მოხვდნენ, დაიზარდნენ და მოხდა ისე, რომ მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, ბოლოს იქორწინეს, და-ძმა შეუღლდა. გავიდა დრო, გამოჩნდა ისეთი ვინმე, ვინც იცნო ისინი, გამოკითხა, უთხრა მათ, რომ და-ძმანი იყვნენ და ღმერთს შესცოდეს. მათ, იმისათვის, რომ მოენანიებინათ მძიმე ცოდვა, ააშენეს ეკლესიები, ერთი დამ და მეორე ძმამ. ეს ეკლესიები ერთმანეთს უყურებს. ამ ეკლესიებში ნირვა-ლოცვა აღევლინებოდა. ძმის ეკლესიაში ბერებს უცხოვრიათ (შემთხვევითი არ არის, მას რომ მონასტერს ეძახიან თოკელები), ვენახი ჰქონდათ. ღვინოს რომ დაწურავდნენ ხოლმე, მდინარეზე გაბმული ოწინარით აწვდიდნენ დის ეკლესიის მსახურთ.

ნასოფლარ **ნაისას** დასავლეთიდან ჩამოუდის **ცხეკნელის ხევი**, რომელიც იწყება **ქილდის მინდვრიდან**, ჩამოივლის ნასოფლარ **ცხეკნელას** და სახელიც იქიდან ეძლევა, ჩამოვა **ჩუნჩხის ხრამში**, გაუვლის ნაისას და უერთდება ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.



ნასოფლარ ალჯვიდან მომავალი წყალი, გამოდის **ნაისის თავზე**. ამ წყლით ირწყვებოდა ნაისის შემოგარენი და თვით სოფელიც თავის დროზე. შორიდან ისე ჩანს, თითქოს ნასოფლარი მშრალი, უწყლო ადგილია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. გარშემო ხევები წყლიანია, ხოლო ნაისის ძირში დღესაც არის ლელიანი ადგილი. ეკლესია დგას **კოტაკზე**, რომლის ძირში იყო ვაკე ადგილი, ითესებოდა ბოსტნები. ჩუნჩხელი, 1930 წელს დაბადებული, დავით ბერიძის მტკიცებით, 1946 წლის მაისში დიდი სეტყვა მოვიდა, ადიდდა ცხეკნელის ხევი, წამოიღო ქვა-ლოდი და დაფარა **ნაისის ძირზე** ვაკე. დაფარა წყაროებიც, რომელიც იქ გამოდიოდა.

ჩუნჩხაში დღევანდლამდე ჰყვებიან ასეთ ამბავს: სოფელში გაჩენილა შავი ჭირი, ერთ ჩუნჩხელ კაცს გადაუწყვეტია, ჭირს დამალვოდა, გაქცეოდა. ასეთ ადგილად მან აირჩია **ნაისის ლელიანი**. სამწუხაროდ, ვერ გაქცევია სიკვდილს, მომკვდარა, სოფელში აღარ აუტანიათ და იქვე დამარხათ.

ტოპონიმ ნაისაში უნდა გამოიყოს ფუძედ **ნა-**, რის საფუძველზეც სიტყვა დაიძლება შემდეგნაირად: **ნა-ის-ა**. -ის არის ნათესაობით ბრუნვის ნიშანი.

ვეფხისტყაოსნის დასაწყისში არის ასეთი სტროფი:
 „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
 ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
 მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე **ნა** რხეული,
 ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

სტროფის კომენტარი ასეთია: „გიშრის ტბა შავი თვალების აღმნიშვნელი მეტაფორაა, **ნა** - ლერწამი, წერწეტა ტანის აღმნიშვნელი მეტაფორა. ტაეპში ლაპარაკია თამარის შავ თვალებზე და წერწეტ ტანზე (რუსთაველი, 2002:16)“.

ერთი შეხედვით, წინააღმდეგობას ქმნის **ნას**, როგორც ხმოვან-ფუძიანი სახელის ნათესაობით ბრუნვაში შეუკვეცავად წარმოდგენა (შდრ. ქვა-ქვის, ჭა-ჭის და ა.შ.), მაგრამ ასეთი შემთხვევები ძველ ქართულში გვხვდებოდა ხოლმე. ეს საკითხი შეისწავლა ივ. იმნაიშვილმა, რომელიც წერს: „კითხვითი ნაცვალსახელი ძველ ქართულში არ იკვეცება“. დღეს ეს ნაცვალსახელი კვეცადია, ხოლო ძველში გვქონდა **რადთა, რადსა, რადსათუს, რადსაგან, რადთაგან** (იმნაიშვილი, 1957:103). ამას გარდა გვაქვს შემთხვევები, როდესაც უკვეცელია -ა-ზე დაბოლოებული სახელები: მანა, გუნდა (**გუნდამსა**), გუგა, კუტალა, ნინწილა, სატანა (**სატანამსა**), დანა (**დანაისა, დანამსა**), ეკლესია (**ეკლესიამსა**) და სხვა (იმნაიშვილი, 1957:104-105).

-ის დაბოლოებიანი ტოპონიმები, რომლებიც ფუძეუკვეცელად არის წარმოდგენილი ბევრი არ არის, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითად: **კლდისი, კლდისა** (აფრიდონიძე, მაკალათია, 1980:245). **სერბაი-**



სი (იმერეთი), კვაისი, ამსაისი (იმერეთი) და სხვა.

მითითებული სახელებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კვაისა, რომელიც, გარდა იმისა, რომ "ნაისას ზუსტი მოდელის მქონეა (ი. მაისურაძე)", თანამედროვე რუკების ცოდვასაც წარმოადგენს. ქართული ქვაისა რუსულ რუკებზე გადავიდა, როგორც Квайса, საიდანაც დაბრუნდა ქართულში კვაისად და უკვე 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ჩასავალის საბჭოში შედიოდა როგორც სოფელი. როდესაც საუბარია ქვაისას შესახებ, ყველაფერი ნათელია და გამჭვირვალე, ხოლო თუ არ გავითვალისწინებთ ტოპონიმის ისტორიას, სახელი გაუმჭვიველვა და ბუნდოვანი. ქართლის ტოპონიმის ცნობილი მკვლევარი პროფესორი ნიკო ოთინაშვილი განმარტავს: "ცხინვალ-ონის მიმართულებით, უკიდურესად დასავლეთით არის დასახლებული პუნქტი კვაისა, უფრო სწორად, ქვაისა II ქვაისი. იგი მდებარეობს მდინარე ჯეჯვრას მარცხენა ნაპირზე, სამხრეთით ტყიანი მთები აკრავს. ამ ტყეში არის პატარა ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევი. დიდ, მუქი ფერის ბრტყელ ქვაზე არის ნუსხური წარწერა: "არსენს და მშობელთა მისთა შეუნდოს ღმერთმან". ამ დასახლებულ პუნქტს ძველად ეწოდებოდა კუდარო. კუდაროს ქედი ჰქვია ერნოს ტბიდან ქვაისამდე მისულ ქედს, რომელიც ჯეჯვროს ყელის და ყვირილის წყალგამყოფია. ამ მთაში არის ქვის დიდი საბადო, რომელიც 1956 წელს აღმოაჩინა ინჟინერმა ნიკოლოზ რეხვიაშვილმა და მიმდინარეობდა ქვის ამოღება-დამუშავება. ამჟამად ყველაფერი გაჩერებულია. როგორც ჩანს, ქვის საბადოს იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ოდითგანვე და სახელიც იმიტომ უწოდეს ქვაისა".

ნაისა ნა-ს და შესაბამისად ლერნამს დაუკავშირა ილია მაისურაძემ ჯერ კიდევ 1964 წელს, როდესაც "ლიტერატურულ საქართველოში" და "ნათელ დროშაში" გამოაქვეყნა წერილები ამ ტოპონიმის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელი სიმცირე ლელიანისა მაშინ არ შეიძინევა. ლერნამი ნაისისათვის განსაკუთრებით იყო დამახასიათებელი. ი. მაისურაძე წერს: "ახლა კი საკმარისი აღმოჩნდა უშუალოდ შენახა ნაისა – მტკვრის მარცხენა ფერდობზე მცირე ნაეკლესიარის ამირა დარჩენილი, ჟამთა სიავით დანგრეული მამა-პაპათა ეს საბუდარი, თვალი მომეწლო მდინარის პირ-პირ გაღმა-გამოღმა აშოლტილი წვრილი ლერნმოვნისათვის, რომ ამ სიტყვას რალაც ახალი ძალა შემატეზოდა (მაისურაძე, 1964:3)". ლერნამი მხოლოდ თვალისთვის არ იყო მიმზიდველი და გამორჩეული ამ ადგილზე. მისგან სალამურის გამოთლაც კი შეიძლებოდა: "სანამ მოქანავე ხიდზე გადავიდოდით, შარავზაზე ჯგუფ-ჯგუფად გაიშალა სტუმრების მარაქა. არსენი კი ლერნმოვნის ტევრს შეერია, იქიდან რამდენიმე მოჭრილი ლერნამი გამოიტანა, სალამური გამოჭრა და თვლებით გახვრეტილ ნედლ ლეროებს სასიამოვნო ჰანგები გამოალებინა. ეს ფაქტი კარგად მენიშნა. იგი თითქოს

თვალნათლივი დადასტურება იყო დიდი რუსთაველის პოეტური გააზრებისა და ლექსიკოგრაფთა მიგნებისა: ნა - ლერნამი. ნა - სალამური, ხოლო ნაისა - ლერნმოვანი (მაისურაძე, 1964:3)".

"ვეფხისტყაოსნის" შესავალში "მე ნა" რხეული აღდგენილია, როგორც ამას ი. მაისურაძე მიუთითებს, მანამდე იყო "მინა რხეული", მაგრამ ნა ლერნმის თუ სალამურის მნიშვნელობით რუსთაველთან სხვაგანაც, ძირითად ტექსტშიც, გვხვდება. ნა ლერნმის მნიშვნელობით მხოლოდ რუსთაველთან და ჩახრუხაძესთან გვხვდება, ძველ ტექსტებში და შესაბამისად ლექსიკონებში არა გვაქვს, რასაც ი. მაისურაძე ნ. მარზე დაყრდნობით დიალექტური ნაკადით ხსნის "ვეფხისტყაოსანში" და თვლის, რომ ნა სპარსულიდან უშუალოდ მესხურშია შემოსული, ამიტომ "უფრო ხალხური, სასაუბრო მეტყველების კუთვნილება ჩანს, რომელიც მარტოოდენ გეოგრაფიულ სახელს შემოუნახავს (მაისურაძე, 1964:4)".

მართლაც ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე მესხეთის ტოპონიმიში. ამ ტიპის სახელები სხვაც გვაქვს. ეს არ არის სუბსტრატი, რადგან, როდესაც სიტყვა შემოვიდა დიალექტში, მისი მომხმარებელი იყო ქართველი კაცი. მოსალოდნელია, რომ იგი ერთგვარ ინსტრუმენტს, სალამურის სახეობას, შემოჰყვა, როგორც სახელი და შემდეგ აღნიშნა ლერნამიც, როგორც სალამურის გასაკეთებელი მასალის, მით უმეტეს, რომ თვით სპარსულში ორივეს აღსანიშნავად იხმარება ეს სიტყვა. ასევე მოხდა სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, ქართულში შემოვიდა არაბული სიტყვა რაბათი, რომელიც ციხის გარშემო დასახლებას ნიშნავდა. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით XVI საუკუნის ბოლოს ათობით ციხის რაბათია: ახალციხის ციხის რაბათი, უდის ციხის რაბათი, აწყურის ციხის რაბათი, ასპინძის ციხის რაბათი და მრავალი სხვა. მაშინ სიტყვა ცოცხალი იყო. დღეისათვის კი რაბათი მხოლოდ ახალციხეში შემოგვრჩა ციხის გარშემო დასახლების აღსანიშნავად. იგი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბნის სახელია. "რაბათი არ მოიხსენიება არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც რუსების მიერ ქალაქის აღებისას, რადგან ახალციხე არის დასახლებული პუნქტის სახელი, ხოლო რაბათი მისი შინაარსია, სოციალური დახასიათება". ისევე, როგორც ნაისა და რაბათი, ერთ დროს შემოსული იყო მესხურ დიალექტში სიტყვა დარანი, ასევე არაბულიდან. ისიც გაქრა ბოლოს დიალექტიდან, რადგან შესაბამისი ობიექტი აღარ არსებობს, აღარ ცოცხლობს, სამაგიეროდ შემოგვინახა ტოპონიმიამ და ბევრ სოფელში არის დარანი ადგილის სახელად. თურქულიდან შემოვიდა მდინარის ნაპირის, მდინარის ტოტისა თუ კუნძულის აღსანიშნავად სიტყვა ადა, რომელიც დღევანდელ დიალექტში აღარ იხმარება, მაგრამ ადგილის სახელად შემოგვრჩა რამდენიმე ადგილას. ასევე შეერქვა ჭაობიან ადგილს, სადაც ლერნამი ხარობს, ნაისა. მასში დადას-

ქოთთან დაკავშირებული ნასოფლარის სახელი სამცხეში

ქორეთი არის ნასოფლარი ასპინძის რაიონის სოფ. ზველის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ნასახლარები. ქორეთში დღეს **ზველის ბაღები**. იგი მდებარეობს ნასოფლარ ლობიეთის აღმოსავლეთით. **გლავიენთ ბაღის** გვერდით, დასავლეთით, არის პატარა გორა, რომელზეც საძირკვლის სახით ეტყობა ნაეკლესიარი. ეს არის ნმინდა ადგილი. სოფელი გადის სადღესასწაულოდ, ვინც საკლავს შეუთქვამს და მარი-აამობას ვარძიაში ან საფარაში ვერ წავა. გორასაც **მარიამობის გორა** ჰქვია. ნაეკლესიარ ადგილზე ადგილობრივთა თქმით არის ნიში, დოლაბი, „ქვებით გაკეთებული შესასვლელი“, რომელსაც გაგრძელება არ აქვს. ნაეკლესიარ ადგილს **მარიამობის ეკლესიას** ეტყვიან. არსებობს გადმოცემა, რომ მარიამობის ეკლესიისათვის ხელის ხლება არ შეიძლება, ვინც პირველ ბარს დაარტყამს „ეკლესიას“, შვილი უნდა შესწიროს მას, ამიტომ არქეოლოგებიც კი, რომლებიც მოსულან აქ გასათხრელად ან დასაზვერად, ამ გადმოცემის მოსმენის შემდეგ, უარს ამბობენ სამუშაოზე.

ქორეთში ცხოვრობდნენ ქრისტიანები, მეზობელი სოფლის **ლობიეთის** გამაჰმადიანების შემდეგ ისინი აყრილან და გადასულან დასავლეთ დაქართველოში, საჩხერის რაიონში. ყოფილა ვინმე **კახო**, მას ვრცელი ტერიტორია სჭერია, რომელიც ქორეთიდან პატრონის ნასვლის შემდეგ **ლობიელებს** დაუსაკუთრებიათ და ისინი დაპატრონებულან, ბოლოს კი **ლობიელებიც** გაასახლეს და ადგილი ზველის მოსახლეობას დარჩა.

ქორეთის ტერიტორიაზე საინტერესოა ზოგიერთი ტოპონიმი. ზველიდან ქორეთის გზა იწყება **ავაზინებიდან**, გაივლის **ქალის სახტომელას**, **ფუტურო ქვას**, **ერბუან ქვას**, **კვიციფხას**, **ბურმა ლელეს** და უერთდება ბაღებს.

ლობიეთიდან ორგორისაკენ მიმავალ გზაზე არის **კაკლისწყარო**. წყაროს პირას მდგარა კაკალი, რომელიც დაბერდა, დაფუტუროვდა და მოჭრეს, მაგრამ წყაროს სახელი კი შერჩა. ეს წყარო ბაღებიდან დაშორებულია, ფერდობშია, მას **პეტრიენთ წყაროსაც** უწოდებენ, რადგან ადგილი დიასამიძეებისა იყო.

საინტერესოა ზველისა და ლობიეთის საზღვარზე, ქორეთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე **კვიციფხი**. ბილიკზეა ბრტყელი ქვა „კვიციის წინაფების გამოსახულებით“. დღესაც იტყვიან, ქვა ისეთი რბილი იყო, რომ მას კვიციის დანაჭლიკი დაეტყო, ხოლო შემდეგ ქვა გამაგრდაო.

ორგორა-საყუდაბლისაკენ მიმავალი გზის პირიდან იწყება **ბრმა ლელე**, რომელიც ჩაივლის **ჯანჯლების ტყეს**. ქორეთის მალლობამდე და ლელეც მთავრდება, იშლება, მინდვრად იქცევა. ამ ლელეს ბრმას უწოდებენ, რადგან დაბურულია. „იქ თუ საქონელი დაიკარგა, ძნელი მოსაძებნია, ნადირი სჭამს“.

ნასოფლარის სახელდება მოტივივირებულია ფრინველის სახელით. ამოსავალია **ქორი**. ძველ ტექსტში გვხვდება ამ ფრინველის სახელი: „დადგეს ქორი, განიპყრის ფრთენი თქსნი და შეუძვრელად დგან (აბულაძე, 1973: 455)“. გვხვდება აგრეთვე **ძერქორი**. „არა შქამოთ, რამეთუ საძაგელ არს... **ძერქორი** და მსგავსი მისი (აბილაძე, 1973: 524)“ ძერქორი კი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის „თეთრი ძერა“, ხოლო ბაზიერს ჰქვია „მექორე, მეშავარდნე“.

ფრინველთა სახელებთან საერთოდ და კერძოდ ქორთან ბევრი ტოპონიმი დაკავშირებული. ვარძიაში მტკვრის მარჯვენა ნაპირს **ქორსატველა** ჰქვია. ეტყობა, ბაზიერთა მიერ განვრთნილი ქორებით ნადირობა იმართებოდა აქ. ჩვენი ნასოფლარის გარდა კიდევ ორი სოფელია საქართველოში ამ სახელით. ერთი — საჩხერის რაიონში. იგი გადმოცემის მიხედვით, მესხეთიდან გადასულების მიერ გადატანილი სახელია და მეორე — ახმეტის რაიონში.

საჩხერის რაიონის ქორეთის დაკავშირება მესხეთის ქორეთთან გარკვეული ტრადიციის შედეგია. ამ ორ ქორეთს შორის ადრევე არსებობდა ურთიერთობა, კავშირი. საჩხერის ქორეთში დგას მე-10 საუკუნის ღმრთაების ეკლესია, რომელსაც თარიღიანი საამშენებლო წარწერა ახლავს. ამავე ეკლესიაზე სხვა წარწერაც არის მომდევნო საუკუნეებისა (ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლიპიდარულ წარწერებში, მაცნე, 1972, №4, გვ. 162-163)

ქორთა გვაქვს სოფლის სახელად ონის რაიონში, ხოლო ახმეტაში არის **ქორუბანი**. ახალგორის რაიონში არის სოფელი **საქორეთი**. ვახუშტი ბატონიშვილთან დამოწმებულია **საქორიას Pვეი** დასავლეთ საქართველოში: „ამას ზეთ ერთვის **საქორიას Pვეი** რაიონს ჩრდილოეთიდან“.

ბევრად მეტია ქორთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები: **ქორთაბუდე** (სერი), **ქორიბუდე** (მთა), **ქორიბუდის ლელე** (ლელე) (საქართველოს სსრ ტოპონიმი, I, 1987 წ.), **ქორბუდილელე** (ტყე), **ქორიკვანჭი** (მინდორი), **ქორისაფეთქი** (კლდე), **საქორე** (სახნავი), **საქორეთი** (ტყე), **საქორია** (ბუჩქნარი), **საქორიისთავი** (ტყე) (საქართველოს სსრ ტოპონიმი 2003) და მრავალი სხვა.

ამგვარად, ასპინძის რაიონი ნასოფლარის სახელი მტკვრის ნაპირზე შერქმეულია ქორთა სიმრავლის გამო.

ალაგური მდებარეობს მცკერის ხეობაში, თმოგვის ციხესა და ჭაჭკარს შორის. დღეს აქ არის ბალები და ნასოფლარი. ალაგურის ხილი მესხეთში რის საუკეთესო, ასე სწამდათ XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში. მთქმელის — ელიოზ ლაზარს ძე მაისურაძის (დაბადებული — 1903 წელს) თქმით, "საქართველო გადაზომეს და შუაში მოვიდა ალაგური". ალაგური ვარძიას აკრავს ჭაჭკართან ერთად. ამ გადმოცემას ახლავს ხსოვნა ვარძიის პოპულარობისა და სიდიდისა. ამავე მთქმელისაგან ჩანერილი მაქვს შემდეგი ხალხური ლექსი:

"ჭაჭკარში ვიყავ, დარბაზი ვნახე კლდისა,
აყვავებული ნალკოტი ვნახე ალაგურისა,
დუდუნი მშვენიერი მცკერისა,
შენ გენაცვალე, ჩემო ჭაჭკარო".

ალაგური თავისი ბალებითა და ნასოფლარით ხალხურ პოეზიაში პოპულარული იყო. იგი სხვა ლექსებშიც იხსენიება:

"ანყვრის ხეობას შემოვჰყევე,
ჭაჭკარს ვნახე სახლი კჯდისა,
ანალკული, დანალკული ალაგური,
ქილდას ერთი გოგო ვნახე,
იმან დამიკოდა გული,
გამოიტანა ქისა და მაჩუქა,
დალლიანდაგებული,
სარამ მქონდა, მიხაროდა,
რო დავკარგე, მოკვდა გული."

ალაგურში იყო ზედათმოგვის ბალები, რომელიც ვენახთან ერთად სულ ბოლო დროს გაიჩეხა და როგორც ადგილობრივი ამბობენ, მასალად გაიყიდა ახალქალაქში. იგი მდებარეობს მცკერის მარცხენა ნაპირზე. ვარძიის მხრიდან ესაზღვრება ჭაჭკრის ბალები, თმოგვის მხრიდან — კლდეები. ალაგურიდან ადის საურმე და საჭაპანო გზა ზედათმოგვისაკენ. ნასოფლარის ტერიტორიაზე ჩანერილი მაქვს მიკროტოპონიმები: ბერიხევი (ხევი), ბრანტიანი (ხევი. სახელი ბრანის (გრაჟლის) სიმრავლის გამო შეერქვა; დარნები (დარნები. ინფორმატორის თქმით, ზედათმოგვიდან გადის დარანი ნითლობამდე); ვაკე (ვაკე ადგილი "ანალკული, დანალკულია", ამიტომ პატარა, სწორ ადგილს ვაკე ჰქვია). თეთრობი (ნიადაგის ფერის გამო შეერქვა სახელი); კიტრიკალო (ზედათმოგვის მიმართულებით მიდის ბილიკი კლდეებზე, ავღივართ მაღლა კლდეების თავზე, სადაც არის სწორი ადგილი, აქ უერთდება საჭაპანო გზა დღევანდელ გზას. ეს არის კიტრიკალო); კურდღლიტანი (ტანი, რელიეფის ამონეულ ნაწილს ჰქვია); მოკაკული (გზა. დარნებთან იყრება ალაგურისა და ზედათმოგვის გზა); ნალიკლდე (ალაგურის

თავზე ორი კლდეა, შუაში გადის გზა. შავი ნალისმაგვარი ოთხი ნიში აქვს თეთრ კლდეებს); **სასვენებელი** (ვაკე, ლამაზი ადგილია ტერასებით გამოყოფილი, ადრე ითესებოდა); **საყარაულო** (გორა); **ფურიმკერდაი** (მინდორი); **შავიკლდეები** (კლდეები); **ნითლობი** (ნიადაგი); **ჭნავიკალო** (ჭნავი მცენარეა).

მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც იხსენიება **ალაგური** (ალაგი), იგი ნასოფლარების სიაშია მოხვედრილი და მის გარშემო კიდევ ცხრა მსგავსი მდგომარეობის სოფელია, რომელიც დაფიქსირებულია ოსმალ მოხელეების მიერ. მათ შორის ზოგი ამოუკითხავია, ზოგის სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, კერძოდ ასეთები იყო: სოფელი **ავაზანა** სოფელ ვანისქვაბთან (ჯიქია, 1941:244), სოფელი **ალაგი**, სოფელ თმოგვის რაბათთან; სოფელი **ვარძია**, სოფელ აფნიასთან; სოფელი **ელიასუბანი** სოფელ ზედა ვარძიასთან; სოფელი **გიორგინმინდა** სოფელ ზედათმოგვთან; სოფელი **დანეთი** სოფელ გიორგინმინდასთან (ჯიქია, 1941:245). ს. ჯიქია წერს ალაგურის შესახებ: "**ალაგი** თმოგვის რაბათთან უკაცრიელი სოფელია. ნ. ნათენაძის ცნობით, **ზედათმოგვსა და ვარძიას** შუა არის ბალები და ამ ადგილს ეძახიან **ალაგურსო** . . . ამრიგად, ეჭვი არ უნდა იყოს, რომ "დავთრის" ალაგი და ამჟამად დადასტურებული ალაგური ერთი და იგივე ადგილია. თურქ მოხელეს - ურ მარცვალი ჩაუგდია, შესაძლებელია, ეს დამახინჯება ინფორმატორის მიზეზით იყო გამოწვეული (ჯიქია, 1958:366)". უკეთესი იქნებოდა თუ ლოკალიზაცია უფრო დავიწროვებოდა და ვიტყვოდი, რომ **ჭაჭკარსა და თმოგვს** შორის მდებარეობს ალაგური, რადგან თმოგვის ციხეს (თმოგვის ციხის რაბათს) უშუალოდ ემეზობლება ალაგური დასავლეთიდან, ხოლო მის დასავლეთით სულ რაღაც ერთ კილომეტერში არის ვარძია. ზედათმოგვი შედარებით მალლა არის ერუშეთის ზეგანზე. რაც შეეხება - ურ სუფიქსს, შეიძლება ითქვას შემდეგი: -ურ სუფიქსი მესხეთში ისტორიულად გამოხატავდა კუთვნილებასა და ნარმომავლობას, ამიტომ საფიქრებელია, რომ ადგილს, სოფელს ერქვა ალაგი, ხოლო მის ერთ მონაკვეთს - ალაგური, როგორც, მაგალითად: **დანკლული** (ნასოფლარი დანკალი), **როკეთულები** (ნასოფლარი როკეთი), **ერკოტულა** (ნასოფლარი ერკოტა) და სხვა. (ბერიძე, 2008:109). ორი სახელიდან ერთი შემორჩა ისტორიულ დოკუმენტს, მეორე მოვიდა დღევანდლამდე. ამოსავალია **ალაგი**. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში დასტურდება სოფელ წეთილეთში **ალაგითავი** სათიბის სახელად (ცეცხლაძე, 2000:161). ალაგი "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით "იგივეა, რაც **ადგილი** (ლიტერატურულად უპირატესია ადგილი) (ქ ე გ ლ, 1950:261). მას აქვს ფონეტიკური ვარიანტი **ალაგე**, რაც იმერულ და გურულ დიალექტებში (ვ. ბერიძე, ს. ყლენტი) ლობეზე გადასასვლელ ადგილს ნიშნავს (ლლონტი, 1984:28). ჯავახურ დიალექტში **ალაგი** განმარტებულია, როგორც "სამუშაო ადგილი (მარტი-

როსოვი, 1984:222)", მისგან არის ნაწარმოები **ალაგობრივი** - ადგი-
ლობრივი (მარტიროსოვი, 1984:222). იმავე დიალექტში ფუძის რედუქ-
ლიკაციით მიღებულია სიტყვა - **ალაგ-ალაგ** - "საქონლის მოსახმობი
ადგილი ბოსელში (ბერიძე, 1981:8)". ჰაგიოგრაფიული ძეგლების მი-
ხედვით ალაგი **ადგილის** მნიშვნელობითაც გვხვდება და გზის ბილიკის
მნიშვნელობითაც (სიმფონია-ლექსიკონი 1,2005:20), ხოლო ი. აბულაძის
"ძველი ქართული ენის ლექსიკონის" მიხედვით ალაგი არის "ბილიკი,
გზა, კვალი (აბულაძე, 1973:4)".

ალაგის ეტიმოლოგია მოგვცა და მასში ა- პრეფიქსი გამოყო ვ.
თოფურია: "ა-ლაგი ძველ ქართულშიც არის ნახმარი: "წრფელი ყვე-
ნით ალაგნი მისნი" და **ნიშნავს გზას**, ახლა კი გამოხატავს ადგილს;
იმერულშია **ალაგე** "ლობეზე გადასასვლელი ადგილი, ლაბახო, გადასა-
ბიჯი" (ვ. ბერიძე). ამავე ძირისაა და მნიშვნელობისა მეგრული **ო-ლაგე**
(ვ. თოფურია, გვ.454)". **ალაგურის** ალაგი თავდაპირველად გზის მნიშ-
ვნელობით უნდა ყოფილიყო სახელდებული. ალაგურის მიკროტოპონი-
მებში გამოსაყოფია **მოკაკული**, გზის სახელი. ნიშანდობლივია, რომ
მოკაკულს არა აქვს საზღვრული., ერთი შეხედვით უნდა ყოფილიყო
მოკაკული გზა, მაგრამ ალაგის სიახლოვემ (ალაგს ჰქონდა გზის მნიშ-
ვნელობა) განსაზღვრა სწორედ საზღვრულის გარეშე წარმოდგენა
მსაზღვრელისა. ამავე არეალში, ზედა ვარძიდან აგარაში ასასვლელ
გზას **მრუდეგზიები** ჰქვია, რომელიც შემდეგ მაჰმადიანმა მესხებმა
თარგმნეს თურქულად აგრიოლებად. ალაგურისთვის რომ ნიშანდობ-
ლივია გზა, ამას ადასტურებს კიდევ ერთი სახელი - **ნალიკლდე**, რო-
მელიც კლდეებს შორისი ადგილია. ეს "ნალები" მეტი არაფერია თუ
არა გზის გადასაკეტი ადგილი. აქვეა **საყარაულო**, გორის სახელი. ასე-
თი საყარაულოები, გზების სათვალთვალო ადგილები, ბევრ სოფელს,
გზას ჰქონდა ხოლმე. ზოგან მას, ძველ სახელს, სატალაოსაც უწოდე-
ბენ. ასევე გზას შეიძლება დაუკავშირდეს კიდევ ერთი სახელი, **სასვენ-
ებელი**. ასეთი დასასვენებელი ადგილები გვხვდება მთებზე მიმავალ
გზებზე.

აზმანის ისტორია ჯერჯერობით მე-16 საუკუნიდან შეგვიძლია დავინყუთ. ოსმალებმა აღწერეს იგი და დაუნესეს გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ლორზე, ბოსტანზე, ცხვარზე. აზმანელები საქორწინო გადასახადსაც კი იხდიდნენ. ეს გადასახადები მოეხსნებოდათ თუ ისინი რწმენას შეიცვლიდნენ და ქრისტიანობას დათმობდნენ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა, სოფელი მტკიცედ იდგა თავისი წინაპრების გზაზე. 1595 წელს აზმანაში 12 ოჯახი ცხოვრობდა (ჯიქია, 1941:228). ეს საშუალო სიდიდის სოფელია მაშინდელ საქართველოში და შემდეგაც. თითოეულ ოჯახში სამოციდან ას სულამდე ცხოვრობდა. ხშირად სამი ძმის შთამომავლები ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, რომ გადასახადი ერთი ჰქონოდათ, ოჯახი ძლიერი ყოფილიყო და გვარი და სარწმუნოება შეენარჩუნებინათ. ჩვენამდე მოაღწია ოჯახის თორმეტივე უფროსის სახელმა. ოსმალური აღწერის სისტემა განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამ პრობლემასთან იყო დაკავშირებული გვარის საკითხიც. ქართული გვარის სისტემა განსხვავდებოდა და განსხვავდება ოსმალურისაგან. ქართული გვარი გადადიოდა შთამომავლობით პაპიდან შვილზე, შვილიშვილზე და ასე შემდეგ, მაშინ, როდესაც ოსმალური გვარი მხოლოდ ერთ თაობას ჰქონდა. თუ მამას ერქვა **მუჰამედი**, მისი შვილი **ალი** იყო **მუჰამედოლი**, ხოლო **ალის** შვილი იქნებოდა **ალიოლი**. გვარის მიხედვით ვერ გაიგიბდი ერთი და იმავე შთამომავლობისა, ჯიშისა, თუნდაც ოჯახის შვილები იყვნენ თუ არა მამა და შვილი, პაპა და შვილიშვილი. გვარის ამ სისტემასთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესული იყო და არის ქართული გვარი, რომელიც გადადის შთამომავლობით. ფაქტიურად თურქებს (ოსმალებს) გვარი არ ჰქონდათ ბოლო დრომდე და მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობს დღესაც. მუსტაფა ქემალის სპეციალური დეკრეტი დასჭირდა 1934 წელს გვარის შემოღებას თურქეთში. დღესაც ნებისმიერ თურქს შეუძლია აიღოს ნებისმიერი სიტყვა გვარად, ოღონდ ეს სიტყვა გინება არ უნდა იყოს. აი, ასეთი ინტელექტისა და ტრადიციის დამპყრობი მოდის მე-16 საუკუნის საქართველოში და აღწერს მესხეთს, აქცევს მას გურჯისტანის ვილაიეთად, აწერს გადასახადებს. კიდევ ერთ საკითხს შეიძლება შევხვით გვართან და სარწმუნოებასთან დაკავშირებით. ხდებოდა ხოლმე, რომ სამი ძმიდან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც შეენახათ ქრისტიანად და მას გადასახადების გადახდაში მიხმარებოდნენ. ამ ფონზე გასაგები უნდა იყოს, რატომ არიან მაშინდელი აზმანელი ოჯახის უფროსები სახელით და მამის სახელით მოხსენიებული.

რა სახელები ერქვათ მაშინდელ ქართველებს? საქართველოში ყოველთვის დიდი თავისუფლება იყო სახელის დარქმევისა. ტრადიცი-

ული ქართული და კანონიკური ქრისტიანული სახელების გვერდით შემოსულა აღმოსავლური სახელებიც. ჩვენ ზომ ყოველთვის ისტორიის გზაჯვარედინზე ვცხოვრობდით. საკუთარი სახელები ზოგი სრული სახით არის წარმოდგენილი, ზოგიც კინიობითის ფორმით. გიორგის კინიობითი ფორმაა **გოგი**, ხოლო გოგისთვის მოფერებით **გოგიჩა** დაურქმევიათ. თორმეტკომლიან სოფელში ორი **გოგიჩა** იყო ოჯახის უფროსი, ერთის მამას ერქვა **მახარებელი**, ხოლო მეორისას – **ონანა**. **მახარებელი** ქართული სახელია, ხარებიდან მოდის, ამავე ფუძისაა **ხარება**, **მახარა**, **მახარე**. შესაბამისად გვაქვს ქართული გვარები: **მახარებელიძე**, **მახარობელიძე**, **გამახარია**, **ხარებავა**, **ხარებაშვილი**, **მახარაშვილი** და სხვა. რაც შეეხება მეორე მამის სახელს **ონანას**, იგი ძველი ებრაულიდან არის შემოსული ძველ ქართულში, რაც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს აქვს დადასტურებული (ჭუმბურიძე, 2003:191). როგორც მივუთითეთ, ორი მახარებელი უფროსი თაობის წარმომადგენელია – მამები არიან. ერთი მახარებელი შვილებშიც არის, იგი **გულაბისძე**. კომპოზიტური ქართული სახელიდან **გულაბერიდან** (ჭუმბურიძე, 2003:144) არის მიღებული მახარებლის მამის სახელი **გულაბი**. ჯავახეთში გავრცელებული იყო ქართული სახელი ნათენა. ამ სახელს ბევრ სოფელში არქმევდნენ. მისგან ნაწარმოები გვარი **ნათენაძე** ყველაზე მეტად გვხვდება ჭაჭკარსა და გოგაშენში. **ნათენა** ნათელთან არის დაკავშირებული, მისი მონათესავე საკუთარი სახელია ნათელა. ნათენაში მოხდა ასიმილაცია ნარმა დაიმსგავსა ლ. ნათელა დღეს ჰქვიათ ქალებს, მაგრამ წინათ კაცის სახელადაც გვხვდებოდა (ჭუმბურიძე, 2003:246). საფიქრებელია, რომ ასევე ერქვათ კაცებს **ნათენა**, რასაც გვიდასტურებს აზმანაში მცხოვრები ნათენაც მე-16 საუკუნეში. ნათენას მამას ძველებრაული ბიბლიური სახელი **ელიაზარი** ერქვა. მისი მნიშვნელობა არის: "ღვთის წყალობა", "ღვთის შემწეობა" (სიტყვა-სიტყვით: "ღმერთია შემწე") (ჭუმბურიძე, 2003:150). **ელიაზარი** კიდევ ერთი ოჯახის უფროსის სახელია, ოღონდ მისი მამის სახელი ამოუკითხავია. დღეისათვის ამ ფორმით ეს სიტყვა ნაკლებად გვხვდება ქართულ სახელებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიულად ბევრს ერქვა მესხეთში. აზმანის გარდა სხვა სოფლებშიც გვხვდებიან ამ სახელის ქართველები. ამ სახელთან არის **ზაზაძეთა** ერთ-ერთი შტოგვარის სათავეს დამდებიც. მათ **ელლაზანთ** ეძახიან. ელიაზარისაგან არის მიღებული ისეთი პოპულარული სახელი საქართველოში, როგორიცაა **ლაზარე** (ჭუმბურიძე, 2003:151) და მისგან მიღებული ქართული გვარები: **ლაზარიშვილი**, **ლაზარაშვილი**, **ლაზარია**. ბერძნული სახელები ოდიდგანვე შემოდის ქართულ ანთროპონიმიკაში. ზოგი მათგანი იმდენად შეისისხლხორცა ენამ, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია მისი არაქართულობა. ერთი მათგანია **ალექსი**, რომელიც ნიშნავდა "მცველს", მისგან არის მიღებული ქართული გვარები: **ალექსიძილი**, **ალექსაშვილი**,

ალექსიძე (ჭუმბურიძე, 2003:123). ძველ აზმანაში ამ სახელით **ორი** ოჯახის უფროსია, ოღონდ "დაუკნინებიათ" მათი სახელები და **ალექსა** უწოდებიათ. ერთი მათგანის მამას **აბა** ჰქვია, ხოლო მეორისას – **ანდრია**. აზმანის სახელებში ჩვენი ისტორიის უძველესი შრეების გამოძახილი ისმის. როდესაც ესა თუ ის სახელი შემოდის ამა თუ იმ რეგიონში, ეს აუცილებლად ნიშნავს სეროზულ კონტაქტებს იმ ენებთან თუ კულტურებთან, საიდანაც ეს სიტყვები ან სახელები შემოდის. ამ მხრივ სამაგალითოა მესხეთი, რომლის ისტორიული კუთხეები: ტაო, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი კოლა, აჭარა და სხვა ხალხთა მიგრაციების, კულტურათა შეხვედრების, რელიგიათა კონტაქტების ეპიცენტრში იყო ყოველთვის. ალექსას მამის სახელი **აბა** უძველესი სემიტური სიტყვაა. მის შესახებ ზ, ჭუმბურიძე წერს: "**აბა** (სემიტ.) – "მამა", "სულიერი მოძღვარი", "ხალხის მამამთავარი", მოგვიანებით პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა. ქართულში შემოსულია ბერძნულის გზით (აბბა → ამბა → ანბა II აბა), წმინდა მამის, მონასტრის წინამძღვრის მნიშვნელობით. დასტურდება უკვე VI საუკუნეში პალესტინის წარწერაში: "შეინყაღენ ანტონი **აბა** და იოსია მომსახმელი ამის სეფისაჲ". აბა (IIაბაი)-საგან ნაწარმოებია გვარები: **აბაძე, აბაიძე, აბაშვილი. აბაიძე, აბაიშვილი**, (ჭუმბურიძე, 2003:120)". რაც შეეხება მეორე **ალექსას** მამას **ანდრიას**, მისი სახელი კიდევ უფრო ახლობელია ქართველთათვის. **ანდრია პირველწოდებულმა** ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაამსხვრია ზადენის, აპოლონისა და აფროდიტას კერპები სამცხეში, მოაქცია აჭარა და მესხეთი. მის სახელთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი უძველესი სოფლის **ანდრიანმინდის** სახელი და წმიდა ანდრიას სახელობის ეკლესია ამ სოფელში.

ერთ ძალიან საინტერესო სახელი დასტურდება მე-16 საუკუნის აზმანელებში. ეს არის **ლონა**. ამჟამად, რომ – **ენა** მანარმოებელია ამ სიტყვაში. ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა და თევზულთა სახელები ხშირად დომინირებს ადამიანთა ჯერ მეტსახელების ან სახელების შერქმევაში და ამის საფუძველზე შემდეგ გვარების ჩამოყალიბებაში, ამ დროს გარკვეულ როლს თამაშობს ტოტემი, ადამიანისა და ბუნების ნათესაობის ეს საინტერესო ფორმა. **ლონაში** გამოიყოფა **ლონა** ფუძე. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით "**ლონა** (თევზ.) – ლორჯო ჰქვია" ე. ი. ლორჯოს სხვაგვარად ლონა ჰქვია, ხოლო **ლონა** არის **ღვანას** ფონეტიკური ვარიანტი. **ღვანა II ლონა II ლორჯო** პატარა, თავმსხვილი შავი თევზია. მთის წყალში არ იცის. ბინადრობს ძირითადად მტკვრის ნაპირებში ლამიან ადგილზე. ერთადერთი ფორმა **ღვანა** იცის მესხურმა (სამცხურმა და ჯავახურმა). "ლორჯო" შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერლებმა. საბოლოოდ ლორჯომ განდევნა კიდევ **ღვანა** და ამ თევზის სახელად მხოლოდ ამ სიტყვას ხმარობენ დღეს.

უფროსი თაობის ადამიანებში ერქვათ მეტსახელად ღვანა, ხოლო შედარებით ახალგაზრდებში შეარქმევენ ხოლმე ღორჯოს ისეთ ადამიანს, ვისაც შავი ფერი და დიდი თავი აქვს. ეტყობა ღონენაც ამ ნიშნებით გამოირჩეოდა. შეიძლება — ელ სუფიქსი გამოვყოთ ღონენას მამის სახელში — მისელა, ოღონდ ფუძის მნიშვნელობა უცნობია. ორი ბერიკაცი — მაცაცა და მამუკა იმდენად ცნობილი ადამიანები ყოფილან, რომ მათი შვილიშვილები ოსმალთა მოხელეს პაპების სახელების მიხედვით დაუფიქსირებია — მაცაცას შვილიშვილი, მამუკას შვილიშვილი. მაცაცა II მაცაცო დღეისათვის მეტსახელად გვხვდება, ოღონდ ქალებში. მამუკა დღესაც პოპულარულია ქართულ სახელებში. მისგან არის მიღებული ქართული გვარი მამუკაშვილი. რომელიც გვხვდება მესხეთში. აზმანის მცხოვრებლებში არის ერთი გაურკვეველი წარმომავლობის მქონე სახელი — ბაისონლუნი, რომელსაც ჰყავს შვილი ბადურა. გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს აქვს ენინობითობის მანარმოებელი ნიშანი — ა, რომელიც მხოლოდ ქართული სახელებისათვის არის დამახასიათებელი, საკმაოდ პოპულარული იყო მაშინდელ ქართველებში. ბადური მიღებულია ბაადურისაგან და მონღოლური წარმოშობის სიტყვაა. (ჭუმბურიძე, 2003:129). მისგან არის მიღებული ქართული გვარები: ბადურაშვილი, ბალათურია, ბალათრიშვილი (ჭუმბურიძე, 2003:130). საბოლოოდ ჩამოვთვლი იმ 12 კომლის უფროსებს იმ სახით, როგორც აღწერეს ოსმალთა მოხელეებმა:

მახარებელ გულაბისძე
 ნათენა ელიაზარისძე
 გოგიჩა ონანასძე
 იოსებ ალექსასძე
 ალექსა აბასძე
 ელიაზარ
 ალექსა ანდრისძე
 ღონენა მისელისძე
 მაცაცას შვილიშვილი
 მამუკას შვილიშვილი
 ბადურა ბაისონლუნისძე
 გოგიჩა მახარებლისძე

ამგვარად, შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ოსმალთა მიერ აღწერილ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ასე მოვიდნენ ისინი მე-19 საუკუნემდე. 1829-1930 წლებში, როდესაც ჯავახეთიდან ქართველები, როგორც მაჰმადიანები, გაასახლეს და მათ ადგილზე ოსმალეთიდან, თავიანთი ისტორიული სამშობლოდან, შემოასახლეს სომხები, აზმანელები არ წავიდნენ არსად. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სარწმუნოება შეცვლილი. შემდეგისათვის მოვლენები განვითარდა რუსული სცენარით. რუსეთის იმპერიას არ



სურდა ერთი რწმენისა და ეროვნების ქართველები ყოფილიყვნენ ჯავახეთში, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს ერთიანობის საფუძველიც. ამ საქმეში რუსეთისა და ოსმალეთის მიზნები ემთხვეოდა ერთმანეთს. ამან განაპირობა რუსეთის მმართველობის დროს ჯავახეთის დარჩენილი ქართული მოსახლეობის დაჩქარებული გამუსლიმება და მათთვის **თათრის** იარლიყის მიკერება. 1986 წელს რუსეთმა ჩაატარა აღწერა და სხვადასხვა კუთხის ქართველები ცალკე ეროვნებებად გამოაცხადა. კერძოდ: იმერეთში მცხოვრებ ქართველს ეროვნებად ჩაუწერეს იმერელი, გურიაში მცხოვრებს – გურული, აჭარელი, ხევსური, მთიული და სხვა. ასე გაჩნდა მუსლიმი ქართველების ეროვნებად სარწმუნოებრივი აღმსარებლობა და მათ ჩაუწერეს **თათარი**. აი, ასეთი "თათრები" ცხოვრობდნენ აზმანაში 1886 წელს. მე-16 საუკუნის 12 კომლის ნაცვლად ახლა 29 კომლი გამზადრან მათი შთამომავლები – 126 კაცი და 113 ქალი. სამწუხაროდ კიდევ უფრო უარესად განვითარდა აზმანელთა ბუდი მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში, ისინი საერთოდ გაასახლეს საქართველოდან. ნასოფლარში მეზობელი ქართული სოფლებიდან მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი გასახლებულ აზმანელთა ნაფუძარზე, მაგრამ ვერ ეგუებიან ყოფილი მეზობლების სახლებში ცხოვრებას, სოფელიც ისევ ნასოფლარად რჩება, ვდრე აჭარიდან 1989 წელს არ გადმოვიდა მოსახლეობა. დღევანდელ აზმანაში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს. სოფელი აღადგინეს აჭარიდან გადმოსულებმა: მელაძეებმა შინიძეებმა, ანანიძეებმა, კახაძეებმა და ადგლობრივი სოფლებიდან მოსულმა ნათენაძეებმა და მიქელაძეებმა (მიქელაძეები აჭარიდანაც არიან გადმოსული). 10 ოჯახიც სომხური სოფლიდან შემოუერთდა ახალმოსახლეებს.

სოფლის სახელი ზოონიმური წარმომავლობისა ჩანს. სულხან-საბა ცხერის განმარტებისას წერს: "ცხვარსა მამალსა ეწოდების **ვერძი** და დედალსა **წერძი**, ხოლო შვილთა მათთა **კრავი**, დიდსა კრავსა და უბინოსა **ტარიგი**, ჩჩვილსა კრავსა **ბატკანი**, წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა **ბუნი**, წელიწადს უკან – **შიშაგი**, ორის წლისას **აზმანი**. . . (ორბელიანი, 1966:346)". აზმანს ცალკე განმარტავს და წერს: "ორის წლის ცხვარი (ორბელიანი, 1965:45)". ცხვართან და მის მსგავსთან ბევრი სახელია დაკავშირებული ტოპონიმიში. ჯავახეთში ნინოწმინდის რაიონში არის სოფელი **სათხე**. **საკრავები** საძოვრების სახელია ასპინძის რაიონის ნასოფლარ ბნელაში. **ჭედილაჭალა II** **ჭედილაი** ჭალას ჰქვია ასპინძის რაიონის ნასოფლარ **დადეშში**, ასევე ასპინძის რაიონში არის **ნაცხვარიები**, ცხერის სადგომი ნასოფლარ **ზედათმოგში**. ძველსა და ჭობარეთს აქვთ ამალლების დღესასწაულის ადგილი, რომელსაც **სატიკნე** ჰქვია, ხოლო ტიკანს თიკანს უწოდებენ ჯავახეთში. ჩამოთვლილთაგან ყველგან, გარდა **ჭედილაჭალისა** (II **ჭედილაი**), მანარმოებლად გამოყენებულია აფიქსები: **სა-ე** (სათხე, სატიკნე), **სა-ე-ი** (საკ-

რაგები ← საკრავები), ნა-ეზი (ნა-ცხვარი-ეზი) (შდრ. ნასოფლი (ნა-სოფლიები), ნასაყდრი (ნასაყდრიები). მართალია —ა სუფიქსით ნაწარ-მოები ცხვარი და მისთანანი არ გვაქვს ჩამოთვლილთა შორის, მაგრამ -ა სუფიქსი გვხვდება ცხოველთა სხვა სახელებთან, კერძოდ, ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევი გვაქვს სერის სახელად აქლემი და ლელის სახელად ფუტკარი, რომელთაც დაემატება ზემოთ მითითებული ქედლიცი. ამგვარად, ჯავახეთის სოფლის სახელი აზმანთავისი ეტიმოლოგიით დაკავშირებულია ცხვრის ასაკობრივ სახელთან. მას აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც განუყოფელია საქართველოს ისტორიიდან, ხოლო მისი დღევანდელი მოსახლეობა ქმნის ახალი აზმანის ახალ ისტორიას.

რქვტა და ტრადიცია

1966 წელს "ლელოში" გამოქვეყნდა ა. ციბაძის წერილი "ქართული ოლიმპიური თამაშები?", რომელშიც ლაპარეკი იყო "ვინმე მესხის" (ივანე გვარამაძის) 1882 წლის კორესპოდენციაზე. კორესპოდენციის ავტორი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ საქართველოში ტარდება ბერძნულის მსგავსი ოლიმპიური თამაშები, რომ მზადება სამ წელიწადს გრძელდებოდა და მეოთხე წელს ერთად იყრიდნენ თავს "თავიანთი ვაჟკაცობის გამოსაჩენად".

ა. ციბაძე აღნიშნავს, რომ "სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს არც ერთ წყაროს, საიდანაც ეს ცნობები აიღო, არც იმას ამბობს, სარგებლობდა თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა ზეპირი გადმოცემებით".

მსგავსი წერილი დაბეჭდა ასპინძის რაიონის გაზეთმა "ასპინძამ". მას შემდეგ ყურადღებით ვათვალიერებდი პრესას და ამ წერილს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მინდა რამდენიმე მსგავს თამაშზე მივუთითო და მკითხველს მივანოდო ცნობა იმ ადგილის შესახებაც, სადაც ეს შეჯიბრებები ტარდებოდა.

"ვინმე მესხს" ზოგი თამაში დანვრილებით აქვს აღწერილი, ზოგი კი მხოლოდ დაუსახელებია.

1. "ქოფს" იგი ასე აღწერს: "..... აქაც წრეში შესულთ მხარესა, ერთი წრეს შუა ამოთხრილ ფოსოში ჩასდგამდა ფეხს. გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითონ ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა".

ქუფი ბევრჯერ მინახავს და მითამაშნია: ორად გაიყოფიან, ერთი ჯგუფი წრის შიგნით არის, მეორე — გარეთ. წრის შუაგულში ქვა დევს

და მას დარაჯობენ შიგნით მყოფნი. გარეთ მყოფებმა ისე, რომ არ დაიჭრან, ფეხი უნდა დაადგან ქვაზე და ასევე დაუჭრელად გავიდნენ გარეთ. თამაშია დაჭრამდე და ის იმარჯვებს, რომელიც მეტჯერ მოახერხებს ქვაზე ფეხის დადგმას.

აშკარაა, რომ აქ ერთი და იგივე თამაშია, ოღონდ მეორე შემთხვევაში იგი გამარტივებულია და იოლად შესასრულებელია მეტი ხალხისათვის.

2. ქალის გაქცევანი. "ჩუმად აქეთა მხარი რალაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდნენ ერთი-ერთში და რომელიც გაქცევამი ერთი დონიდან მეორე დონეზე გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა".

ეს შეჯიბრებაც დღეს საბავშვო თამაშად არის ქცეული, რომელსაც "ალმის მოტაცებას" ეძახიან. "ალმის მოტაცებას" ზუსტად ისე თამაშობენ, როგორც "ვინმე მესხს" აქვს აღწერილი. საინტერესოა სახელწოდება – "ქალის გაქცევანი". ეს ალბათ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ შეჯიბრში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

3. თოლუნრე. ეს თამაში ავტორს აღწერილი არა აქვს. მნახველთაგან ვიცი, რომ ესეც ქალთა თამაში იყო. მოთამაშენი ორად იყოფოდნენ. ერთი ნაწილი წრეს ჩააბამდა და ისე ხელიხელჩაკიდებული ტრიალებდა. გარეთ მდგარნი ცდილობდნენ, მოეტაცათ ერთი წევრი ისე, რომ "დედას" არ დაეჭრა. თან ნაჭრებს ურტყამდნენ წრეში მდგართ. ასე გრძელდებოდა დაჭრამდე.

4. ჯორებუნა. არც ეს თამაშია აღწერილი, მაგრამ სახელწოდებიდან შეიძლება დავასვინათ, რომ იგი დღევანდელი "მრგვალი ვირია", რომელსაც იგივე სახელი შერჩა ზოგ სოფელში. თამაშობდნენ ასე: მონაწილენი ორად იყოფიან. ერთი ნაწილი წრეს ჩააბამს, სხვები ცდილობენ ზურგზე შეახტნენ მათ ისე, რომ "დედამ" არ დაჭრას. დაჭრის შემთხვევაში მეორე ჯგუფი ჩადგება წრეში. არავეთარი მოგება-ნაგება აქ არ არის, მთავარია "გაჯორვა".

5. მძიმე საგნების აწევა. ამ შეჯიბრის მომსწრენი დღესაც არიან. როცა ჭაბუკი 16-17 წლისა გახდებოდა, ვაჟკაცობის გამოსაცდელად სოფელში (მაგალითად დადემში) საგანგებოდ შერჩეული სიპი ქვა უნდა აენია და თუ ასწევდა "საყდრი წინ მეიდანზე", ვაჟკაცად ითვლებოდა.

6. კუნძის თრევა. სასიძოს კუნძს მისცემდნენ დასაპობად. თუ დააპობდა, მხოლოდ მაშინ გაატანდნენ ქალს.

ჭიდაობა, ხტომა, ცხენებით შეჯიბრება და სხვა ასპარეზობანი ისე მასობრივადაა გავრცელებული, რომ მათზე დაწვრილებით ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია.

ძველი თამაშების უმრავლესობა გაქრა, დაიკარგა, დანარჩენი კი მხოლოდ ბავშვთა გასართობი გახდა. რა იყო ამის მიზეზი?

"სახელმწიფო გადასახადი, უსინდისო მოხელე, მეზობლის ჩაგ-

ვრა, მოსამართლის ქრთამი, ბატონის სამსახური, მღვდლის სამლოცველო და მისთანები ათას სულ გლეხობის ზურგის ტვირთად არის გამხდარი. ამათ ზიდვას ველარ ასელია და სათამაშოდ სადღა-სცალია? ..."—ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნავდა "ვინმე მესხი".

რა მდგომარეობაა დღეს? დღევანდელ მესხ ახალგაზრდობას უყვარს ფეხბურთი, ფრემბურთი და სხვა თანამედროვე სპორტული თამაშები. ძველი ეროვნული თამაშები დავინწყებული აქვთ, მაგრამ სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ წარსულის ამ ლამაზი ტრადიციის აღდგენისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ: თუ მართლა იმართებოდა ასეთი დიდი ასპარეზობა — ოლიმპიური თამაშები, იგი უეჭველად დატოვებდა კვალს. მე ერკოტის მკვიდრის დევიანოზ ბერიძისაგან ჩანერილი მატყს გადმოცემა:

"დაარსებიდან ერკოტა ყოფილა ცენტრი საქართველოსი. მტრის შემოსევით სოფელი განადგურებულა. ერკოტას უწოდებენ იმითომ, რომ ერობა იცოდნენ აქ. ხალხი იკრიბებოდა დადგებოდა ერთა კოტაობა (ჭიდაობა)", ... "ვინმე მესხი" წერს: "მთელი სათალ-ხეობისა და მუსხის სარბიელი (ასპარეზი) ეს ზველის მინდორ-ვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯიშოდ, ვაჟკაცობის გამოსაცდელად და სხვა. აარჩევდნენ თავ გმირებს და მეოთხე წელიწადს გავიდოდნენ ვანის მთისკენ ცხრა წყაროს ველობაზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯიში.

ზევლიდამ მეორე გზა გადმოვა სოფელ ერკოტას. სახელი ნიშნავს ერის კოტაობას (ვარჯისს თუ კეჭნაობას). ხერთვისის ხეობასაც აქ სცოდნია თავმოყრა და დახელოვნება ყოველ წლივ საგმირო ზნეობაში და მეოთხე წელს თურმე ესენიც გარდადიოდნენ ცხრანყაროს საქვეყნო ყრილობაში".

ესე იგი, მოსამზადებელი ვარჯიში ორგან — "ზევლის მინდორ-ვაკეზე" და ერკოტას ტარდებოდა.

დავუბრუნდეთ დ. ბერიძის გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ერკოტა "დაარსებიდან საქართველოს ცენტრი" ყოფილა. თუ ტარდებოდა, რომელ ეპოქაში უნდა ჩატარებულიყო ჩვენში ოლიმპიური თამაშები? ამ კითხვას მხოლოდ ისტორიული წყაროების შესწავლის შემდეგ გავცემთ პასუხს. დაახლოებით კი XI-XII საუკუნეები შეგვიძლია ვივარაუდოთ. შესაძლებელია შეჯიბრებები ტარდებოდა საქართველოს მთელი მამუტაბით. მზადება სამ წელიწადს გრძელდებოდა და მეოთხე წელიწადს "ცხრანყაროს მინდორზე" დასრულდებოდა. შეიძლება ამან გამოიწვია ერკოტის საქართველოს ცენტრად მონათვლაც. ეს სუფელი ხომ საფინალო ტერიტორიასთან ყველაზე ახლო დასახლებული პუნქტია.

უფრო გვიან შეჯიბრებები რელიგიურ დღესასწაულებს დაუკავშირეს და არაორგანიზებული ხასიათი მიიღო. "ვინმე მესხის" ცნობით, ეს "ყველიერებში" ხდებოდა. მე ხელთ მაქვს ცნობები ამალლების დღესასწაულის შესახებ:

"ამალლება ტარდებოდა საროს ყაფანზე. საროს ყაფანი ადგილმდებარეობის სახელია (ბუნებრივი მალლობის თავზე მრგვალი ადგილი 30 მიასედლი). დაბლა ვაკეა. აქ იმართებოდა ამალლება, აქ იმართებოდა ჭიდაობაც, ეცვათ მხოლოდ შარვალი და ზემოდან ტანშიშველი საჯირითოდ მიდიოდნენ ცხრაკენჭაზე, გამოცდიდნენ ხელის ჩაყოფას, იჯირითებდნენ, ფარიკაობდნენ, შემდეგ ბრუნდებოდნენ ერკოტას (საროს ყაფანზე) და აგრძელებდნენ ღრეობას". ტრადიცია დაცული ყოფილა. ჯირითი, ხელის ჩაყოფა, ფარიკაობა ძველი "ერობის" ადგილას ტარდებოდა.

დასადასტურებელია ერთი ცნობაც: "ვინმე მესხი" ამბობს, რომ ფინალური ასპარეზობანი ტარდებოდა "ცხრანყაროზე". ვფიქრობთ, აქ შეცდომა უნდა იყოს. ავტორის მიერ მინიშნებულ ადგილზე არის ნყარო, რომელსაც ცხრაკენჭას ეძახიან (იგი იმდენად ცივია, რომ ხელის ჩაყოფით ცხრაკენჭის ამოთვლა და ჩათვლა შეუძლებელია, ამიტომ ეძახიან ცხრაკენჭას).

თვითონ ის ფაქტიც, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე ასეთი დიდი შეჯიბრებები ტარდებოდა და ისიც სადმე ეკლესიის ეზოში კი არა, არამედ ერთხელვე დადგენილ ადგილზე – ცხრაკენჭაზე, მიუთითებს თუ რაოდენ ძლიერი იყო ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში უძველესი თამაშების ხსოვნა და ცოდნა.

ამრიგად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მესხეთში ოლიმპიური თამაშები თუ არა, მისი ნაშთები დღესაც შემონახულია. წარსულის კარგი ტრადიცია დღესაც ყურადღებასა და პატიონობას მოითხოვს.

1969 წელი

ნასთლარ ღრჯოცის ისტორია-ჯეიმლოგიისათვის



"ვაჰანის ქვაბთა განგების" XV საუკუნის მინანური მოგვითხრობს: "სახელითა. . . საყოფელსა წმიდასა მონასტერსა; ვანის ქვაბთა: წმიდისა მთავარმონაზონისა, გიორგისათა: და სასოსა და მფარველისა ჩუშნისაჲ მაცხოვრისა. ხატისათა :. შვესწირეთ და მოვაკსენეთ: წმიდასა მონასტერსა **ვანის ქვაბთა**: ჩუენსა ეკუდარსა: სამნათეთთ: და სულისა ჩუშნისა მოსახსენებლად: შვესწირეთ და მოვაკსენეთ: ჩუენ მირძამან და ზაზამან. მკუდრი. ჩუენი მამული: მის სულკურთხეულისა მამის ჩუენის საგისაგან. ნასყიდი: **ერკუატას** ორნივე **კურიკას** ძენი ორმოცდა ექუს თავ ჩაფს ღუნოს მოახსენებდენ მნათესა: სატრაპეზოთა თავჩაფითა: და ორს გრივს პურს წმიდასა სატრაპეზოთა კაბინითა: მუნვე-**ერკუატას** ევატას ძე ჟამერაი თოთხმეტსა თავჩაფსა ღუნოსა მოახსენებდეს. მნათესა სატრაპეზოთა თავჩაფითა: და შუდს კაბინს პურს წმიდასა: სატრაპეზოთა კაბინითა: **აგარას** ორკალოსძისა მამული. სამი გრივი პური ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი: და შვესწირეთ თხუთმეტი. ლიტრა ზეთი **არდაჭით** მოხდებოდეს მნათესა: (ჟორდანი, 1896:46).შ

ციტატაში მოხსენიებული **ერკუატა** დღევანდელი **ერკოტა**, ეს ცნობილი ფაქტია და ამის შისახებ არა ერთგზის თქმულა. მინანურში საუბარია შეწირულობებზე ვანის ქვაბებისათვის. მირძამ და ზაზამ მონასტერებს შესწირეს მამის მიერ ნასყიდი "მკუდრი მამული"მოსავლით. საინტერესოა მაშინდელი წონის საზომი ერთეულები და სანყაოები: **ჩაფი**, **გრივი** და **კაპინი**. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ჩაფი არის "კოკის ნაოთხალი," "სანყავი კოკისა არს ათი ახალი ლიტრა (სულხან-საბა ორბელიანი, 1965, 383)". ზომა-წონის საზომი ერთეულები ხშირად განსხვავდებოდა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც კი. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ფეოდალური ხანის საქართველოში არსებობდა როგორც "ჩვეულებრივი", ასევე "ქალაქური", "შამახური", "გორული" ლიტრი და "ლიტრის მესამედიც". ლიტრი ქართულ საისტორიო წყაროებში და ლიტერატურაში XI საუკუნიდან იხსენიება, XVIII საუკუნეში არამცთუ ყველაფრის ასანონ-საზომად ითვლება, არამედ სხვა საზომ სანყაოებისთვისაც საფუძვლად იყო მიღებული (ჯავახიშვილი, 2000:418). ამგვარად, რადგან ჩაფი კოკის "ნაოთხალია", ე.ი. კოკის მეოთხედია, ხოლო კოკა იტევს ათ ლიტრას, ჩაფი დაახლოებით 2,5 ლიტრა უნდა იყოს. ეტყობა განსხვავება იყო ჩაფებშიც, ჩვეულებრივი ჩაფისაგან განსხვავდებოდა თავჩაფი. ერკოტიდან სწორედნენ სატრაპეზოდ 46 და 14 თავჩაფ ღვინოს, რაც დაახლოებით, მაშინდელი საზომით 150 ლიტრა უნდა ყოფილიყო.

ღვინო, "ნოტიო" თუ ჩაფით აინყვის, მარცვალნი იზომება გრივით. გრივის შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი განმარტება აქვს მოყვანილი სულხან-საბას: "ეზიკიას თარგმანში ეწერა: ოცდაორი ქსესტი ერთი გრივიაო, ხრონოლოგოფში ეწერა: ოცდაათი მოდი ერთი გრივიაო. სანყყო თემითი-თემად უდიდესიც არის და უმცირეცა, მაგრამ ოცდაორი ქსესტი უფრო სწორეს ჰგავს (ორბელიანი, 1965:173)". სხვა რედაქციების მიხედვით ვრცელი სტატია ეძღვნება გრივს. ბოლოს აღმოსხდება დიდ ლექსიკოგრაფს: "გამაშტერა." ვფიქრობ, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო უნდა იყოს სულხან-საბას განმარტება, რომ "მესხნი ათს სანყავს ერთს გრივს უხმობენ." სანყავი ანუ სანყაული იმ ჭურჭლის სახელია, რითაც აინყვის ხორბალი, ეს არის კოდი ან მოდი. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით გრივი მასის საზომ ერთეულად გამოყენებულია უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, მათ შორის "ვაჰანის ქვაბთა განგების" ძირითად ტექსტში. XV საუკუნიდან მოყოლებული გრივი უკვე აღარ გვხვდება. საბუთებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამქრალი უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 2002, 242). ამიტომაც არის, რომ ტიპიკონის ტექსტში მხოლოდ გრივი გვაქვს, ხოლო მინანერში, რომელიც XV საუკუნეს ეკუთვნის და, რომელშიც, ჩვენთვის საინტერესო, ერკოტა არის მოხსენებული, გრივთან ერთად მისი კონკურენტი სიტყვა იხმარება კაბინის სახით. "კაბინი სამი კოდი გინა სამი გრივი, სადამე ათს კოდს იტყვიან (ორბელიანი, 1965:349)". ერთ შემთხვევაში კაბინი ჭურჭელია: "ორნივე კურიკას ძენი ორმოცდა ექუს თავ ჩაფს ღვინოს მოახსენებდენ მნათესა: სატრაპეზოთა თავჩაფითა: და ორს გრივს პურს ნმიდასა სატრაპეზოთა კაბინითა." ორი გრივი პური კაბინით მოუტანიათ. ასევე მოართმევდნენ ვანის ქვაბებს ერკოტიდან შვიდ კაბინ პურს. სულ ერკოტიდან ვანის ქვაბებში მიჰქონდათ და სწორედნენ 9 გრივსა თუ კაბინ პურს, რაც დაახლოებით 90 კოდი იყო. პური უნდა ყოფილიყო ნმინდა. მოსავლის აღების შემდეგ კალოზე იღენებოდა თავთავი, ნიავდებოდა და იმმინდებოდა, მზადდებოდა დასაფქვადა.

სამივე სანყაოს სახელი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, საქართველოში შემოსული იყო. მაგალითად, გრივი, მთელ აღმოსავლეთში იხმარებოდა, საქართველოში კი V-XIV საუკუნეებში გვხვდება. ქართულში იგი საშუალო სპარსულიდან არის შემოსულად მიჩნეული, სადაც საზომ ერთეულს აღნიშნავს (ანდრონიკაშვილი, 1966:185). ასევე იყო კაბინი. ეს ტერმინი დაბადების ქართული თარგმანის გარდა, ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელშიც გვხვდება და გავრცელებული სანყაოს სახელი იყო სპარსულში, ებრაულში, ასურულში, არაბულში და სომხურში (ჯავახიშვილი, 2002:378-379). რაც შეეხება ჩაფს, იგი შედარებით გვიან ჩნდება საზომ ერთეულად, კერძოდ, XVI საუკუნეში.

მინანერიდან ვგებულობთ, რომ მე-15 საუკუნეში ერკოტაში უცხოვრიათ კვირიკას ძეთა და ევიტას ძეს ფამიერას, რომელთაც უნდა

გადაეხადათ მონასტრისათვის გადასახადი, რადგან ისინი ცხოვრობდნენ იმ მიწაზე, რომელიც ჰქონდა ნაყიდი **მირძასა** და **ზაზას მამას კვირიკას**. საფიქრებელია, რომ ისინი ისევე იყვნენ მონასტრის კუთვნილება, როგორც მინა. სწორედ ეს გლეხები არიან ამიტომც საეკლესიო გლეხები (ტალახაძე, 2009:107). ალბათ, აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ სოფელში იყო ყველაზე დიდი გვარი **ბერიძე** და ერკოტაში ცხოვრობდა ისეთი ლოკალური გვარი, როგორიცაა **ხატიძე**. მე-16 საუკუნეში ერკოტაში **პაპუნა ბერისძე** არის ოჯახის იუფროსი (ჯიქია, 1941:138) და ამ სოფელში ბერიძეთა გვარის სათავეს დამდები. მინების ყიდვა-გაყიდვაში ჩაბმული სოფელი XV საუკუნეში ლონიერი იქნებოდა. რთული იყო XVI საუკუნე მესხეთისათვის. ოსმალეთის მომძლავრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1595 წელს, როდესაც, საკუთარი საგადასახადო საქმის მოგვარების მიზნით, ოსმალეთის ხელისუფლებამ აღწერა სოფელი, იქ მხოლოდ შვიდი კომლი ცხოვრობდა. სამწუხაროდ ერკოტის შესახებ არაფერია ნათქვამი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ საცხე-საათაბაგოს საჩინო ადგილთა აღწერისას. ასევე გვერდს უვლის მას "მესხური დავითნის მატიანე." ვახუშტისთანაც და "მატიანეშიც" დაფიქსირებულია ერკოტის გარშემო მდებარე მრავალი გეოგრაფიული პუნქტი. ამას შეიძლება მოვუძებნოთ ერთგვარი ახსნა. ერკოტა არ გამოირჩეოდა თავდაცვითი ნაგებობით, არც გამორჩეული ტაძარი იდგა ამ სოფელში, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა ინტერესი მის მიმართ. სოფელთან ახლოს იყო ვარნეთისა და ასპინძის ციხეები, რომელთა შესახებ არა ერთ ცნობას ვხვდებით აღნიშნულ მატიანეებში

XIX საუკუნეში, 1882 წელს, 15 კომლი იყო ერკოტაში. ამის შესახებ მოგვითხრობს ივანე გვარამაძე. იგი ამ დროს ცხოვრობდა და მოლგანეობდა **ხიზაბავრაში**, საიდანაც წამოვიდა, სოფელ **ბნელასთან** გადალახა მტკვარი (ბნელა დღეს ნასოფლარია), გაიარა **საყუდაბელი**, რომელსაც **სახუდაველს** უწოდებს რატომღაც მოგზაური, შემდეგ - **ორგორა**, მას **ონდორად** გვაცნობს და **ზევლის** გავლით მიდის **ჭობარეთში**. ივ. გვარამაძე ერკოტის შესახებ მიუთითებს, რომ იქ 14 კომლი მართლმადიდებელი ქართველი და ერთი ოჯახი მაჰმადიანი ცხოვრობს (გვარამაძე, 1882). სამწუხაროდ არაფერს გვეუბნება ივ. გვარამაძე მცხოვრებთა გვარების შესახებ. სოფელი შედარებით გაიზარდა XX საუკუნის პირველ ნახევარში. სამოციან წლებში ერკოტა დაცარიელდა, მოსახლეობა ჩაასახლეს რაიონულ ცენტრში, ასპინძაში, რომლის ერთ უბნადაც აქციეს.

ერკოტის ეტიმოლოგიისათვის საჭიროა სახელის ისტორიის გათვალისწინება. როგორც უკვე ვნახეთ, მისი ძველი ფორმა არის **ერკუტა**, ხოლო შემდეგი - **ერკოტა**. ისინი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. მათ შორის სავარაუდებელია ვა კომპლექსიანი ფორმაც -

ერკვატა. ერკუატაში უ არის უმარცვლო. ორივე ფორმა – ერკუატა და ერკოტა ისტორიულად დროში ახლო-ახლოს არის ჩვენამდე მოღწეული. მინანერი XV საუკუნისაა, "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", სადაც დაფიქსირებულია ერკოტა XVI საუკუნეშია შექმნილი, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ფორმები ჯერ კიდევ პარალელურად არსებობდა. ამის კარგი მაგალითია ცნობილი საეპისკოპოსო ცენტრის და ისტორიული ქალაქის სახელი **ანყური**, რომელიც ლიტერატურული წყაროების მიხედვით VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული ფონეტიკურ ვარიანტებად არის დადასტურებული, კერძოდ, **ანყურის** გარდა გვხვდება შემდეგი ფორმები: **ანყური**, **ანყვერი** და **ანყში** (ბერიძე, 2010:34). "ვაჰანის ქვაბთა განგების" მინანერებში ცნობილი ისტორიული პუნქტი **ვარძია** მოხსენებულია **ვარძას** სახით. როგორც ჩანს, საკუთარ სახელთა ფონეტიკური ვარიანტულობა დამახასიათებელი იყო ძველი საქართველოსათვის. მოყვანილი მაგალითები იძენენ განსაკუთრებულ დამაჯერებლობას იმიტომაც, რომ ტექსტის ავტორები ძირითადად ადგილობრივი მესხები არიან. XIX საუკუნეში იე.გვარამაძეს ეკუთვნის პირველი ცდა ერკოტის ეტიმოლოგიისა. მისი აზრით, "ერკოტა სახელი ნიშნავს ერის კოტაობას (ვარჯიშს თუ კეჭნაობას) (გვარამაძე, 1882)". ეს აზრი გარკვეულ ტრადიციას ემყარება. **კოტვა II კოტაობა** არის "ვარჯისი საომრად ან საჭიდრად (გვარამაძე, 1907:124), "ხოლო კეჭნაობა არის ფარიკაობა (ქეგლ, 1955:1155). ყველიერი შეჯიბრებებითა და გართობებით გამორჩეული დრო იყო მესხეთში, რომლის სხვადასხვა ხეობა, სხვადასხვა თემი ამორჩეულ ადგილას ეჯიბრებოდა ერთმანეთს ისე, როგორც ზველის მინდორ-ვაკეზე იმართებოდა შეჯიბრებანი ახლო-მახლო სოფლებისა (გვარამაძე, 1882). აქ იკრიბებოდნენ: **ჭობარეთის, მუსხის, ორგორის, საყუდაბლის, ვარნეთის, ერკოტის, ქორეთის, ლობიეთის, თვით ზველის** და სხვა სოფელთა მოსახლეობა ყოველწლიურად, სამი წლის განმავლობაში, "სავარჯიშოდ, ვაჟაკობის გამოსაცდელად და სხვა დახელოვნებულ სამამულო ზნეობაში (გვარამაძე, 1882)". მეოთხე წელს კი ერთმანეთს ხვდებოდნენ **ვანის მთის** მიდამოებში, "**ცხრა წყაროს ველობაზე**", როგორც ივანე გვარამაძე ბრძანებს და იმართებოდა "საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი თამაში". დასაზუსტებელია ზოგიერთი სახელის ადგილმდებარეობა. სოფელი **ვანი**, რომელიც დღეს ნასოფლარია, მდებარეობს ერუშეთის მთებში. ამ სოფლის სიახლოვეს მართალია არის ვაკე ადგილები შეჯიბრებათა გასამართავად, მაგრამ აქ ახლო-მახლო არ არის "ცხრანწყაროს ველობა." **ცხრანწყარო** მესხეთში რამდენიმე ადგილზეა, ერთი, მათ შორის, არის **დადეშის გზიებზე** ზველსა და ერკოტას შორის. შეიძლება ყოფილიყო **ცხრაკენჭა**, ცნობილი წყარო ამ მხარეში, რომელიც განთქმულია დებეტით და ცივი წყლით. თვითონ ამ წყაროზე არაერთხელ შეჯიბრებიან აქაურები ერთმანეთს სიცივის გაძლებაში.

პირობა ასეთია: წყალში ჩაყოფ ხელს, ისე, რომ არ ამოიღებ წყლიდან, ამოთვლი ცხრა კენჭს მუჭში და შემდეგ სათითაოდ ჩათვლი უკან გაქმარჯვებულია ის, ვინც ბოლომდე გაუძლებს ცივ წყალს. ერთხელ შეთვითონ ვცადე, მართალია, გაუძელი ბოლომდე, მაგრამ ხელის მტევანი და მჯჯა გამისივდა და შეგრძნება დამეკარგა კარგა ხანს. ივ. გვარამაძე ჩამოთვლის სპორტის ისეთ სახეებს, როგორიცაა: **ჭიდაობა, მჯილით ბრძოლა (კრიგი), მხარდადედრა, ქოფი, ქალის გაქცევანი, ბურთობანი, "რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით," თულო წრე, "ქვის სროლა ფიქალისა ორის ხელით თუ ლოდების ანევი-დანევა. ამით რიცხვში ისრის სროლა და ჯირითი".** ჩამოთვლილთაგან ზოგი რამ დღესაც ცოცხლობს და სავაჟაკო საქმედ ითვლება. მაგალითად გამოდგება შოთაობაზე და სხვა სახალხო დღესასწაულებზე საჯილდაო ქვის ანევა.

ივ. გვარამაძის მიერ დასმულ პრობლემას სამწუხაროდ არაფერ გამოეხმაურა დიდხანს. 1966 წლის 5 ივნისის გაზეთ "ლელოში" დაიბეჭდა ა. ციბაძის სტატია სათაურით "ქართული ოლიმპიური თამაშები?" რომელშიც ავტორი განიხილავს ივ. გვარამაძის ზემოხსენებულ წერილს და წერს: "საქმე გვაქვს მეტად საგულისხმო ცნობასთან. მართალია, ავტორს ზოგიერთი უზუსტობა დაუშვია და ძნელია ამ ცნობის უზუსტობაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი კი ცხადია: ჩვენმა ისტორიკოსებმა მასში შეიძლება დრო-ჟამისაგან შეკრული კვანძები მონახონ, რომელთა გახსნა კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს ჩვენი ერის კულტურულ წარსულს." ა. ციბაძის წერილზე გამოვაქვეყნე გამოხმაურება იმავე გაზეთის 1969 წლის 30 ნოემბრის ნომერში, რომელშიც შევეცადე მეოცე საუკუნის სამოციანი წლებისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი სპორტის ზოგიერთი სახეობის დაფიქსირება. 1979 წელს გამოვიდა ბროშურა "ოლიმპიური საქართველო", რომლის ავტორებიც ა. ციბაძე და გ. ხაჩიძე აგრძელებენ ოლიმპიური თამაშების თემას და ასკვნიან, რომ ივ. გვარამაძის კორესპოდენციისა და ძველი ბერძნული თამაშების სახეობათა და პრინციპების შედარების საფუძველზე შეიძლება "გაბედულად ვილაპარაკოთ ბერძენ-ქართველთა ფიზიკური აღზრდის სისტემათა ნათესაობაზე (ციბაძე, ხაჩიძე, 1979:9)"

ივ. გვარამაძე, როდესაც ერკოტის ეტიმოლოგიას კოტაობას, კექნაობას, შერკინებას უკავშირებს, სწორედ ზემოთ აღნიშნული სპორტული ტრადიციები აქვს მხედველობაში. ტოპონიმიამი ხშირად ხდება, როდესაც ესა თუ ის სახელი ედება საფუძველად ტოპონიმის ხალხურ ცრუ, ეტიმოლოგიას. მაგალითად, სოფლის სახელი დამალა დაუკავშირდა თამარის ცხენის დამალვას; ვარძია თამარის მიერ წამოძახებულ "აქ ვარ ძიას" და სხვა. ხალხში გავრცელებული სპორტული ტრადიცია უკავშირდება სოფლის სახელს. ხალხური, გეოგრაფიული და ისტორიული ტრადიცია ამ ეტიმოლოგიის მხარესაა. მეოცე საუკუნის



სამოციან წლებში ერკოტის უხუცესი მკვიდრისაგან, დევანოზ ბერიძე-საგან, რომელმაც არც ივ. გვარამაძის არსებობა იცოდა და არც ა.ცი-ბაძის წერილი წაეკითხა, ერკოტის შესახებ შემდეგი ჩამანერინა: "და-არსებიდან **ერკოტა** ყოფილა ცენტრი საქართველოსი. მტრის შემოსე-ვით სოფელი განადგურებულა. **ერკოტას უწოდებენ იმიტომ, რომ ერობა იცოდნენ აქ. ხალხი იკრიბებოდა და დგებოდა ერთა კოტაობა (ჭიდაობა) (ბერიძე, 1969).**" თუ ჩვენ მივიღებთ ივ. გვარამაძისეულ ეტიმოლოგიას, საჭიროა, ერკოტა განვიხილოთ როგორც კომპოზიტი და ცალკე გა-მოვყოთ **ერ** კომპონენტი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამო-სულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილია ერის ი. სტალინისეული განმარტება, რომ "ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმომობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა (ქეგლ, 1953:1391)". მა-გალითები ძირითადად მოხმობილია კომუნისტური იდეოლოგიით გან-მსჭვალული ლიტერატურიდან, მოყვანილია ციტატა ივ. ჯავახიშვილი-დან და მითითებულია ერის მნიშვნელობა ძველ ქართულში. სულხა-საბას მიხედვით ერი არის "მსოფლიო კაცი, ჯარი (ორბელიანი, 1965: 245)". ერისთავი ნიშნავდა ჯარის თავს (ორბელიანი, 1965:245). ი. აბუ-ლაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონის" მიხედვით, ძველ ქართულ-ში ერს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, ნიშნავდა **გუნდს შესაკრებელს, ნათესავს, ბანაკს, მხედრობას, ჯარს, ხალხს**. ერისაგან მრავალი კომპო-ზიტია ნაწარმოები და მნიშვნელობით ყველგან საერო კრებულს აღ-ნიშნავს. პირველ რიგში აღსანიშნავია ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელის სახით წარმოდგენილი ფორმა შემდეგ სიტყვებში: **ერის-თავი, ერის-კრება, ერის-მთავარი, ერისმთავრობა, ერმრავლობა** და სხვა. **-გან** თანდებულით არის წარმოქმნილი სახელი: **ერისაგანი II ერისგანი**, რომელიც ერისკაცს, ჯარისკაცს აღნიშნავს, ხოლო **ერობა** არის ტომი, გუნდი, ჯარი (აბულაძე, 1973:150). ივ. ჯავახიშვილის მიხედვით "ერი "ხალხსაც ჰნიშნავდა და ჯარსაც." ერი თანდათან ჯარის მნიშვნელო-ბას ჰკარგავს და განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდე-ბა. ჯარისთვის კი სამწერლო ენაში ჯერ ერთი სპარსული სიტყვა - "სპა" შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა - "ლამქარი"-ც ემატება (ჯვსვა-ხიშვილი, 2002:299))."

არის თუ არა **ერი** ტოპონიმიში იმ მნიშვნელობით, რომელი მნიშ-ვნელობითაც ძველ ქართულში გვაქვს? ამ კითხვაზე პასუხი დადები-თია. კასპის რაიონში გვაქვს სოფელი **ერთანწინდა**, რომლის პირველი ნაწილი **ერს** უნდა უკავშირდებოდეს. მართალია, ერი კრებითი სიტ-ყვაა, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს მრავლობით რიცხვში. მაგალითებს მოვიყვან **ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი-დან**: "სხუაჲ სიმრავლე ერთად გამოვიდა. აღივსნეს მთანი იგი სიმრავ-

ლითა ერთადერთად. წარემართნეს სიმრავლენი ერთანი. დაცალიერებულნი ადგილნი იხილნა ერთაგან შიშისაგან აგარიანთა(ქაძსლ, 2005:321). სხვა მაგალითები: „თაყუანის სცემდა ყოველთა ერთა ცისათა“; „თქუნ გეტს ერთა ტომთა და ენათა“; და სხვა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპოზიციური სიტყვის ერთანმინდის პირველი კომპონენტი არის ერი მრავლობით რიცხვში. ქართლში გვაქვს აგრეთვე ერთანმინდის ხვეი (საქართველოს ტოპონიმია, 1999:38). რაჭაში სოფელ ახალსოფელში არის წყარო და საძოვარი, რომელსაც ერუბანი ჰქვია. სოფლები განმარტავენ, რომ "იყო ერის უბანი, ე.ი. ხალხის უბანი (ცხადაია, ჯოჯუა,2010:127)". სამეგრელოში ალ. ლლონტს დადასტურებული აქვს ერიში ნოხორი, რომელიც განმარტებულია, როგორც ერის ნასახლარი (ლლონტი, 1971:61). ქვემო იმერეთში წყაროს სახელად გვაქვს ერწყარო (საქართველოს ტოპონიმია,2003:102). შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აქაც ამოსავალი, კომპოზიციის პირველი ნაწილი, არის ერი. ერი არის ამოსავალი თავისი ძველი მნიშვნელობით რაჭის გეოგრაფიულ სახელში საერო იგი საძოვარია პოლენასა და საგურაბანიძეს შორის. იქვე გამოდის წყარო და მას საეროს წყარო ჰქვია (ცხადაია, ჯოჯუა,2010:248).

ერკოტის მეორე ნაწილი, ივ. გვარამაძის მიხედვით, უკავშირდება კოტაობას, რომელსაც აქვს პარალელური ფორმა კოტვა (იხ. ზემოთ). ეს ორივე სიტყვა ერთი და იმავე ფუძიდან მოდის, ორივე არის სანყისი, გაფორმებული სხვადასხვა სუფიქსით. კოტაობა მიღებულია კოტაობს ზმნისაგან, ხოლო კოტვა – კოტავს ზმნისაგან. აქედან დადასტურებულია დღევანდელ მესხურ დიალექტში პირველი ვარიანტი. ილია მაისურაძის მიხედვით, კოტაობა არის "ტყუილი ჭიდაობა, ძიძგულაობა (ლლონტი, 1984:305)." მართალია, ეს განმარტება განსხვავდება ივ. გვარამაძის განმარტებისაგან, მაგრამ შემანტიკურად მაინც ახლოს დგას მასთან და განპირობებულია სპორტული თამაშების რეალურ მდგომარეობით მესხეთში. XIX საუკუნეში ნიშნავდა ვარჯიშს საომრად და საჭიდრად (საჭიდაოდ), როგორც თავის ხელნაწერ ლექსიკონში მიუთითებს ივ. გვარამაძე. ამგვარად, ერკოტის ეტიმოლოგია შეიძლება დაფუკავშიროთ მის სპორტულ შინაარსს.

ზანურ-მესხური შესჯედრუმი

ისტორიული მესხეთი მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებს: სამცხეს, ჯავახეთს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, ერუშეთს და სხვა. საქართველოს ფარგლებში ამ კუთხეთაგან მხოლოდ სამცხე და ჯავახეთი დარჩა. არსებობს ქართული ენის ჯავახური და მესხური დიალექტები: ჯავახური – ლავახეთის მცხოვრებთა მეტყველება. მესხური – სამცხის მცხოვრებთა მეტყველება. ჩვენ ამოვდევართ ტერიტორიული პრინციპებიდან და "მესხურს" ვხმარობთ სამცხურისა და ჯავახურის მნიშვნელობით. იგი სამცხისა და ჯავახეთის მცხოვრებთა მეტყველებას აერთიანებს.

ისტორიულ მესხეთში ზანური ფენა უცილობელ ფაქტად არის მიჩნეული ტოპონიმური მასალის საფუძველზე (თოფურია, 1985: 16). არის ცდა ქრონოლოგიური პლასტების დადგენისა ენობრივ დონეზე (თოფურია, 1985: 117-118). მესხურში დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ საერთო ქართველურ დონეზე. ასეთად გვესახება ჩვენ ზალარი – 1. "მეძებარი ძალლი, ჯავახეთში მშიერ, მოხეტიალე ძალღზე ამბობენ: "ზალარია, რათ გინდა, არაფერში გამოგადგება. გადატ. 2. ხმარობენ ისეთ ადამიანზე, რომელიც მუცლის ამყოლია და კარდაკარ დადის საქმელად: "ზალარი ძალლივით დადის საბრაზათ კარდაკარ (ბერიძე, 2000:56)". დავუმატებთ – სამცხეში ("მესხურში") ზალარს ავ, კაპას ქალს ეტყვიან: "ე, ქალი ზალარია, მაგას ნა ერიდო". გარკვეული თავისებურებების გამო "ძალლი" კაცსაც შეიძლება შერქმეოდა. ამის მაგალითია ძალუერი "მრუში მამაკაცის" მნიშვნელობით (შანიძე, 1927:120). ძალ-უ-ერ-ი "ეტიმოლოგიურად" ძალღურს, ძალღის თვისებების მქონეს" ნიშნავს, ხოლო უფრო ადრე, საფიქრებელია, "ძალღიანის" მნიშვნელობითაც ყოფილიყო ხმარებული (გამყრელიძე, 1965:298)". ცხოველთა სახელები დღესაც არც თუ იშვიათად ერქმევათ ხოლმე ადამიანებს მეტსახელად. ასე რომ, ზალარის მეორე მნიშვნელობა გადატანით იხმარება და ამოსავალია მისი პირველი მნიშვნელობა. ზალარი მესხურში ძალღს ჰქვია. არნ. ჩიქობავა წერს: "ქართულში ძირეულია ძალ-; ლ დეტერმინანტი სუფიქსია; ძალ-ს კანონზომიერად შეესატყვისება ჯოლ- ჭანურსა და მეგრულში; სვანური ფელ-ის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, ოღონდ თავკიდური ფ-, თუ ის მეორეული არაა (ფ<-ჯ-), გვაფიქრებინებს, რომ ქართულში უნდა ყოფილიყო ზალ-, მას შეეფერებოდა ჯოლ- ჭანურ-მეგრულში და ფელ- სვანურში (ჩიქობავა, 1938:83)". "თავკიდური ძა-||ჯო- საფიქრებელია ძველისძველად და-საგან მოდიოდეს და იმავე ნივთის კატეგორიის ნიშანი იყოს. ძირეულ მასალად აქ ლ უნდა გვქონდეს. მომდევნო -ლ- || -ორ – დეტერმინანტი სუფიქსია (ჩიქობავა, 1942:172)". რაც შეეხება დეტერმინანტ სუფიქსს, აქაც შესატყვისობაა -რ-ლ'ს შორის:

"ლ არასისტემატურად გადმოიცემა ჭანურსა და მეგრულში რ-თი, ხოლო, როცა რ-დ რჩება, ეს რ უფრო რბილია (ჩიქობავა, 1938:9)". განსხვავებას ქმნის ო ხმოვანი (ჩიქობავა, 1942:129)" დღევანდელ ეტაპზე, თორემ ისტორიულად ო'საც ჰქონდა თავისი შესატყვისი ქართულში. არნოლდ ჩიქობავას აზრით: ძალ-ლ < ძალ-ალ ფორმისაგან (ჩიქობავა, 1942:46). ქართული ძალლ-, მეგრული ჯოლორ-, სვანური ეელ- ფუძეებიდან, არნ. ჩიქობავას აზრით, თავში ქართული ძ' ს ნაცვლად უფრო ზ უნდა ყოფილიყო, ამიტომ შეგვიძლია აღვადგინოთ *ზალალ ფორმა. მესხურში დადასტურებული ზალარ შეგვიძლია ორ ნაწილად გავეყოთ: ზალ- ძირეული და —არ (შესაბამისად -ორ ზანური (ჩიქობავა), ან მარცვლოვანი სონანტი *რ (გამყრელიძე, მაჭავარიანი). ზალ'ს ამოსავლად მიიჩნევენ ორივე თვალსაზრისის ავტორები. ამდენად არნ. ჩიქობავას მიერ პოსტულირებული ზალ- ფუძე რეკონსტრუირებულ *ძალ'ს (გამყრელიძე, მაჭავარიანი) უდრის. მესხურში დადასტურებული ზალ- საერთო ქართველური ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. განსხვავებულია შეხედულება მეგრულ-ჭანურში -ორ' ის მიღების გზის შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრს, რომ -ორ მიღებულია *-არ დეტერმინანტი სუფიქსისაგან, არ იზიარებენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი. თუ ჩვენ არ დავუშვებთ -არ>ორ ვარიანტს, მაშინ იძულებული ვართ დავადგეთ ვარაუდის გზას. *რ სონანტის მარცვლოვან ვარიანტში -ა ხმოვანი არ იგულისხმება, რადგან *რ'ს შეუძლია მხოლოდ -ორ, -ურ, -ირ რეფლექსების მოცემა (ჩიქობავა, 1942:85).

"ღურღური მესხურში გვხვდება გაუგებარი ლაპარაკის მნიშვნელობით: "ეს კაცი ღურღურემს, ვერაფერი გამიგია." ღურღურს უმატა." მესხურში დავინროებულობა ხმოვნები, რაც დამახასიათებელია სამცხისა და ჯავახეთის მცხოვრებთა მეტყველებისათვის. ღურღურის სრულხმოვნიანი ვარიანტები გვხვდება დასავლურ დიალექტებში. ღარღილი გვაქვს გურულში და "ლაპარაკის ხმას" ნიშნავს (ქეგლ, 1962:403). აგრეთვე ამავე გურულში აქვს შემდეგი მნიშვნელობა: "ხმამალალი ძახილი, ყიჟინა საქონელთან ნადირის მოახლოების გამო ძახილი, ყვირილი, შეძახება მხეცისათვის." ლაპარაკის, ძახილის მნიშვნელობით გვხვდება იმერულში ღარღალი (ლლონტი, 1975:198). ღარღალ'ისაგან ნაწარმოები ზმნები გვხვდება ზანურში, კერძოდ ჭანურში: "ოღარღალუს ქოგუჭკუ (ჩიქობავა 1929:66)" ("ლაპარაკი დაიწყო"). "ეს ზმნა თითქმის მხოლოდ ზოფურ კილოკავში იხმარება; სხვა კილოკავში შემთხვევით თუ გამოჩნდება (ჩიქობავა, 1938:346)", ნათქვამია ღარღალ'ისაგან ნაწარმოებ ზმნებზე ე. ი. ღარღალი ძირითადად ჭანური ფორმაა. მესხურში დადასტურებული ღურღური საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი ენათესავება დასავლურ დიალექტებში შემონახულ საერთო ზანურ-ქართულ ფორმას, თანაც არქაულობის ელფერი დაპკრავს, რადგან მეორე რ დისიმილაციის გარეშეა წარმოდგენილი.

აქაც, ვფიქრობ, მესხური ახლობლობას ამელავნებს ჭანურთან, რადგან "ჭანურის არქაბულსა, ვინურსა და ათინურს კილოკავებში ერთ ფუძეში ორი რ ჩვეულებრივ წარმოითქმის უდისიმილაციოდ (ყლენტი, 1965:55)".

"ჭუტა". მესხურში ცნობილია **ჭუტა სიმინდი**. სიმინდის კულტურა საქართველოში XVII საუკუნის დამდეგს უნდა იყოს შემოსული (ჯავახიშვილი). ს. ჯიქია XVI საუკუნეშიც ვარაუდობს. "ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში სიმინდი საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს. აქედან იგი ჭანეთ-გურია-სამეგრელოს გზით ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში (ბერიაშვილი, 1973:72)". "ძველ მესხეთში სიმინდი გავრცელებული იყო სამი სახელწოდებით: **ყვითელი სიმინდი**, **ჭუტა** და **ჯორიალი** (თითოეულ მათგანს ცალკე ბოტანიკური სახესხვაობა შეესატყვისება) (ბერიაშვილი, 1973:73)". **"ჭუტა"** სიმინდი თავისი სიპატარავით გამოირჩევა დანარჩენი ორისაგან: "ჭუტას წვრილი ტარო ჰქონდა და მარცვალისც წვრილი, გემრიელი იყო და მოსავალისც კარგი იცოდა – კუნუნიც წვერიც კი გადაბეჭდილი იყო მარცვლით". **ჯორიალა** სიმინდი უფრო დიდ ტაროს იკეთებდა, მეტ მოსავალსაც იძლეოდა, მაგრამ ნაკლებ გემრიელი იყო ცხობაში, ამიტომ უფრო საქონლის საკვებად იყო გამოყენებული (ბერიაშვილი, 1973:73)". **ჭუტა** მესხეთში მხოლოდ სიმინდს არ ერქვა. გვერდებმოკუთხულ წვრილ ლობიოსაც **ჭუტა ლობიო** ჰქვია. **ჭუტა** ჭიჭეს ფორმაა და პატარას ნიშნავს (ჩიქობავა, 1938:233). **ჭუტას** ჭანურში აქვს ჭიტა ვარიანტიც, მაგრამ ჭიტა < **ჭუტა** 'საგან. ამკარაა, რომ სიმინდის ეს სახეობა, თუ თვითონ სიმინდის კულტურაც არა, შემოსულია მესხეთში ჭანურიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა ჭიტე და არა **ჭუტა**, ამასთანავე, რადგან ლობიოსთანაც იხმარება იგივე სიტყვა, სავარაუდებელია, რომ ადგილზე გავრცელებული ტრადიციაც დახვდა და დიალექტში უცხო მანამდეც არ უნდა ყოფილიყო **ჭუტა**.

მესხური სიმღერის ("მუმლი მუხასა") ერთი ადგილი, რომელიც **"მოსეს ბადით"** გამოირჩევა, ჩვენ მიერ გასწორდა " **მოსა ბადითა** (ბერიძე, 2000:262-263)". ბადის ეს სახეობა – **მოსაბადე** ლაზურიდან არის შემოსული. მართალია დღეს არც ტერმინს და არც ბადეს აღარ ხმარობენ მესხეთში, მაგრამ სიმღერამ შემოგვინახა მისი გადააზრებული ვარიანტი. ასევე ლაზურიდან არის შემოსული **ნუსხა**, **თილისმა**, რომელსაც ბადის ნაგლეჯისაგან აკეთებდნენ. მეთევზეობის ტერმინოლოგია კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს გვიჩვენებს ზანურთან (ბერიძე, 2000).

"ხინა" || "ხეჩა". მეგრულში **ხინუა** ნიშნავს კბეჩს. "ეს ზმნა გურულში გავრცელებულია ხმინა ფორმით და ამავე მნიშვნელობით, თუმცა ზოგჯერ უშნოდ კბეჩას ნიშნავს (ყლენტი). მესხურში ოდნავ

განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება ეს ზმნა და იგი მესაქონლეობის ტერმინოლოგიასთან არის დაკავშირებული. ადამიანზე არავითარ შემთხვევაში არ იტყვიან **ხიჩას** ან **ხეჩას**. მაინცადამაინც საქონელზე და ისიც მხოლოდ ხბოზე ითქმის. ვიდრე ძროხა "ჩამოუყრის" ე. ი. რძეს მისცემს მწველავს, საჭიროა ხბოს "მომაცვა". წინასწარ ხბომ უნდა გამოწოვოს და როდესაც მონველიან საქონელს, შემდეგაც "მიუგდებენ" ხბოს. გამოწოვის, ხბოს მიერ ძროხისათვის ძუძუების "გამოგლეჯის" მნიშვნელობით, როდესაც ხბო დიდია, იხმარება **ხიჩა** || **ხეჩა**: "ე, ხბო გამოგადე, გამოხიჩა ძუძვიები". "ხბო დიდია, კბილებით ხეჩავს, ცოდოა ძროხა". მესხური მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ზანურთან ამ შემთხვევაში ზმნის ფორმის მიხედვითაც, ვიდრე გურული.

ჭაკული || **ჭაკულა**. ჭაკულა "ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" განმარტებულია: "კუთხ. (მესხ.) მოხრილი ჯოხი, რომელსაც ბოლოებში კავები აქვს; ზედ ორ ვედროს ჰკიდებენ, მხარზე იდებენ და წყალს ეზიდებიან, - სამხრე (შდრ, ჭაკუნი)". "მესხ. ჯავახ. **ჭაკულა**, წყლით სავსე ვედროების საზიდი სამხრე კეტი (დლონტი, 1975:333). **ჭაკული** || **ჭაკულა**, || **მხრიკეტი**, || **ხრიკეტი** გრძელი (1,75 მ) ოდნავ მოხრილია, კიდებზე რკინის კაუჭი აქვს, მხრებზე გაიდებენ, ზედ წყლის ვედროებს (ძველად კოკებსაც) დაიკიდებენ და წყალს ეზიდებიან (ბერიძე, 1981:168). ჭაკულისა და ჭაკუნის იგივეობაზე უკვე განმარტებითმა ლექსიკონმა მიუთითა, იქვე **ჭაკუნის** შესახებ ნათქვამია: "კუთხ. (გურ., იმერ.) ხის ბურთის გასაკრავი კაუჭი ჯოხი, - ჩოგანი", საიდანაც გვაქვს თამაშის სახეობის სახელიც **ჭაკუნობია**: "კუთხ. (გურ., იმერ.) ბურთის თამაშია ერთგვარი. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან და ცდილობენ ჭაკუნებით ხის ბურთი ლელოზე გაიტანონ (ქეგლ)". თავმოკაუჭებული ჯოხის სახელი იქცა შემდგომ თამაშის სახელადაც: "როგორც ცნობილია, ისტორიულად სხვადასხვა დღესასწაულზე გურულებსა და მეგრელებს შორის სხვადასხვა სახის თამაში იმართებოდა. ერთი ასეთი თამაში იყო ჭაკუნი. იგი მეტად გავრცელებული თამაში ყოფილა როგორც გურიაში, ისე სამეგრელოში. თამაში შემდეგში გამოიხატებოდა: ბურთის მაგივრად გათლიდნენ ხეს, შემდეგ გათლიდნენ გრძელ ჯოხებს, რომლებსაც თავები დამსხვილებული ჰქონდა. ამ დამსხვილებულ თავს ხის ბურთს დაარტყამდნენ, ამნაირად თამაშობდნენ ჭაკუნს (ჟღენტი, 1965:44)". მეგრულში **ჭაკუნი** ჰქვია რიკტაფელის სათამაშო ჯოხსაც (პ. ცხადაია). სემანტიკურად ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს წყლის საზიდი რკინის კაუჭიანი ჯოხი ჭაკული || ჭაკულა და ჭაკუნი. ჭაკულისათვის ვედროს ჩამოსაკიდი ლითონის კაუჭი გვიანდელია. თავდაპირველად უბრალო თავმსხვილი ჯოხი იყო გამოყენებული წყლის საზიდად. ასეთი ჭაკულები აქა-იქ მესხეთში დღევანდლამდე შემოგვრჩა. მხრიკეტი || ხრიკეტი ჭაკულის სინონიმია. ჭაკული თუ აღნიშნავს თავმსხვილ ჯოხს,



ხრიკეტის შემთხვევაში კომპოზიტში გამოხატულია, რომ კეტი მხარზეა გასადები. იქ, სადაც ორივე სახის წყლის საზიდი იხმარებოდა, მოხდა ერთგვარი სემანტიკური დიფერენციაცია, თავმსხვილი ჯოხი დარჩა ჭაკულად, ხოლო კაუჭიანი ჯოხი იქცა ხრიკეტად. ამ სახის ჭაკულების გადავარდნას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ვედროების წყლის საზიდ ჭურჭლად გაბატონებამ და კოკების გადავარდნამ. ჭაკული, როგორც ლექსიკური ერთეული დავადასტურეთ იმავე მნიშვნელობით დღევანდელ თურქეთში, არტაანის გუბერნიის სოფელ ჩიკორაში, სადაც მაჰმადიანი მოსახლეობაა. საქართველოს ამ ისტორიულ ნაწილში მუდამ მესხები ცხოვრობდნენ, ამიტომ მათს მეტყველებაში ქართული ლექსიკა სუბსტრატის სახით არის შემორჩენილი. ამგვარად ჭაკული ისტორიული მესხური დიალექტის კუთვნილებაა. მოსაძებნია და შესადარებელი ჟღენცის გურულთან ჭაკული.

"ნკიპი" მესხურში მწკრივს ჰქვია. დანკიპვა ნიშნავს რიგში დოგმას, დამწკრივებას, ჩარიგებას: "ბავშვები ბატებივით დანკიპულან და ისე მიდიან". გვაქვს ტოპონიმი **დანკიპულყანები**. ეს ისეთი ყანებია, რომლებიც გვერდიგვერდ არის ჩამწკრივებული. "მეგრ. ნკაპუა ნიშნავს გამწკრივებას." გურულში განკაპვა იმავე მნიშვნელობით იხმარება (ჟღენტი, 1965:43). მესხურის ნკიპ შეიძლება ზანურის რომელიმე დიალექტიდან მოდიოდეს. მართალია, ხმოვნითი ნაწილის შესატყვისობა არა ჩანს, მაგრამ სემანტიკური იგივეობა, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას ამ ორი ზმნის ერთმანეთთან დაკავშირებისა.

ქუქური II ქუქურა განმარტებულია ჯავახურში როგორც მხარი და მოყვანილია წინადადება: "ჩემო ძმაო დამაჯექ ქუქურაზეო (მარტიროსოვი, 1984:248)". ვფიქრობთ, მთლად სწორი განმარტება არ არის მოყვანილი ამ შემთხვევაში. ქუქური II ქუქურა მხარი არ არის, რადგან, ვთქვათ, ქუქურაზე (ქუქურზე) ხელის გადახვევა არ შეიძლება, ასევე ქუქურის შედგმა რამისთვის არ შეიძლება, ასევე გაუგებრობაა, რომ ვთქვათ; ქუქური ქუქურს მივცეთ, ნაცვლად გამოთქმისა – მხარი მხარს მივცეთ და სხვა. მოკლედ, ქუქური მხრის სინონიმი არ არის. **ქუქური** ანუ **აჩუქუქურა** გარკვეულ მოქმედებას გამოხატავს, კერძოდ მხარზე ბავშვის შესმას ისე, რომ უნდა ჩაჯდე და იხტუნაო ბავშვთან ერთად. ა. მარტიროსოვის მიერ მოყვანილ მაგალითში, ვფიქრობ, გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი ქუქური. ქუქურის დროს მხარზე უეჭველად პატარა უნდა იჯდეს. **ქუქური** მიღებული უნდა იყოს **ქურქურისაგან**. ზანური **ქურ-ქუსლი** (ყიფშიძე, 1914:347). **ქური** მიღებულია **ქურსიდან** (ჩიქობავა, 1938:223). რ'ს დაკარგვა ძნელი არ არის ამ სიტყვაში. თვით ქური ზანურში გვხვდება რ'ს გარეშეც – **ქუი** (ჩიქობავა, 1938:233). ასე რომ, ქუქური ქურის გაორკეცვით არის მიღებული. სემანტიკურად ძნელი არ ჩანს ქუქურის და ქურის დაკავშირება. შდრ. სკუპი – "ჩაჯდომით გადახტომა, ნახტომი (ქეგლ) და აქე-

დან - სკუპ-სკუპი II სკუპელა (ლლონტი, 1975), აგრეთვე - ყელყელა - იგივეა, რაც ყელყარყარა და ყელყელი, აქედან - ყელყელობა; "ფეხ-და-ფეხ ვაჭრობა"; ფეხ-ფეხ, ფეხ-ფეხა-ფეხით, ქვეითად (ქველ) და სხვა. ქუქურის დროს, ვინც მხარზე შეისვამს ბავშვს, იძულებულია, ქუსლებზე "იაროს" ან იხტუნოს.

ჭვირთი მესხურში ჩვეულებრივ ტვირთის ნაცვლად იხმარება და მისგან ნაწარმოებია **ჭვირთავს**, **დაჭვირთული** ფორმები; ითქმის: "მან-ქანა ძრიენ დაუჭვირთაით"; "ნისქელიდან დაჭვირთული ამოვიდა" და სხვა. "მეგრულ **ჭვირთ-ში** (ურემი დოჭვირთუ - "ურემი დატვირთა"). ტ→ჭ გააფრიკატების პროცესი მომდევნო ი-ს მიენერება და ეს ნინ უძღვის სუფიქს -ვ-ს გადასმას ფუძის შიგნით. . . ტირთ- → ჭირთ-უ- → ჭვირთ-. ჭვირთ- გურულშიაც იხმარება (ყლენტი, გურული კილო, 259), აქ ჭვირთი ზანიზმი ჩანს (ჩიქობავა, 1942:86). ჭვირთი გარდა გურულისა, გვხვდება იმავე მნიშვნელობით აჭარულსა და იმერულში (ლლონტი, 1975).

გადაბაძლა II **გადაბარძლა**. "მეგრული **ბაძლა** ნიშნავს: მეჩხერად და უშნოდ ლობვა". მეგრ. "ბაძლირი ლობერი" ნიშნავს მეჩხერად და ცუდად ნალობი ლობე. გურულში იმავე შინაარსის გამოსახატავად გავრცელებულია: ბანძლა. ნ ფონეტიკურადაა განვითარებული (ყლენტი, 1965:39)". ვფიქრობთ, **ბაძლ-** ფუძე უნდა იყოს მესხურ გადაბაძლა II გადაბარძლაში გამოყენებული. პარალელურ ფორმაში რ'ს შესახებ იმავეს თქმა შეიძლება, რაც ითქვა ნ'ს შესახებ გურულში. გადაბაძლა ნიშნავს უშნოდ წაქცევას: "ვენჯალათ ბიჭს ი გოგო გადაუბაძლია"; "გადაბაძლულა და გდია".

თავალა მესხურში გავრცელებული სიტყვაა. აღ. ლლონტი იმონ-მებს გაზეთ "კომუნისტს" და განმარტავს: "(მესხ. აღმართი გზაში)"; არ. მარტიროსოვის აზრით - ზემოთ, მაღლა, აღმა (მარტიროსოვი, 1984:233)". ასევე აღმართია გზაზე გ. ბერიძესთან (ბერიძე, 1981:58). დავძენთ: თავალა აღმართს გულისხმობს ყოველთვის, ოღონდ - ასაღ-ლელს. ე. ი. ისეთი აღმართია თავალა, რომელზეც **გზა** ადის. თავალა შეიძლება დავმალოთ ასე: თავ-ალა, სადაც მეორე კომპონენტი მეგრული ყალ > აღ უნდა იყოს. ყალ II უალ გეოგრაფიულ ტერმინად ქცევის ფაქტი მეგრულში დაადასტურა პ. ცხადაიამ (ცხადაია, 1993:118-133). **ყალ** ძველი გეოგრაფიული ტერმინი ჩანს. "ტაოს მოსაზღვრედ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ბასიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით "თორთომი" იყო. მისი სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი იყო "გზა ქართლისა" (ჯუჯანშერი), ანუ "საქართველოს ყელისა" (ვახუშტი), რომელსაც თურქებმა გურჯი **ბოღაზი** უწოდეს (ჯავახიშვილი, 1965:67)". ე. ი. თავალა ისეთი თავია, რომელსაც **ყელი** აქვს გადასავლელი, ეს იყო ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა და დღესაც ნიშანდობლივია, მაგალითად, **ლრელის თავა-**



ლებს (ახალციხის რ., სოფ. ღრელი). გადასასვლელი "ყელი" აქვს, შემდეგ მნიშვნელობამ ოდნავ გადაინია "ალმართის", ასასვლელი გზის გაგება მიიღო. თუ მთაზე გზა არ ადის ან არ გადადის, ასეთ ადგილს, რაც არ უნდა ალმართი იყოს, თავალა არ ეწოდება.

ხარისხუჯი. ხარს სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ: სახნავად, საურმედ, ტყის საზიდად, საკიდრად. ეს უკანასკნელი საბასთან განმარტებულია როგორც აზავერი ("ჯარი საკიდარი"). ასეთი საკიდარი ხარისთვის, მარტო ხარისთვის, იყო სპეციალური ხურჯინებიც, რომელსაც ხარი(ს) ხურჯინი ერქვა: "დიდი ხურჯინი, თითო თვალში სამ-ოთხ ფუთამდე ჩადის. წინათ ასეთ ხურჯინებს ხარებს (აზავერებს) აპკიდებდნენ ხოლმე (ბერიძე, 1981:174)". არის ცდუნება ხარისხუჯის შემთხვევაში ხუჯი ხურჯინს დაეუკავშიროთ, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო სწორი ვიქნებით, რომ ხურჯ'ში ზანური ხურჯი დავინახოთ. ხარის მხარი, მხარი ამ შემთხვევაში სპეციფიკური საზომი ტერმინი უნდა იყოს; შდრ. "ერთი მხარი შეშა"; "ერთი ზურგი თივა" – საპალნის მნიშვნელობით.

"ყოყორი" || "ყოყორა", ვფიქრობთ, სემანტიკური გადახრის საინტერესო მაგალითია. ბავშვის ჯიშთან კვერცხებზე იტყვიან ყოყორიანიაო – ჯიშიანი, შეძლებული: "ბიჭს ყოყორებში ეტყობა, რაც გაიზრდება". ყოყორე ზანურში გოგრის ჯიშია.

ტიკანი. საერთო ქართველური ფუძეა თიკანი, რომლის პარალელურად გვხვდება ჭანურსა და მესხურში ტიკანი. "ჭანურში ტიკანი მიღებულია თიკან-ისაგან -თ-ს მკვეთრი ტ-თი შეცვლით. ძირეულია თიკ-; -ან – დეტერმინანტი სუფიქსია (ჩიქობავა, 1942:84)". მართალია, მხოლოდ თიკანი გვაძლევს ტიკანს და "არა პირუკუ (ჩიქობავა, 1942:51)", მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ ჯავახურის იცნობს მხოლოდ ტიკან ფორმას.

1986 წელი.



საქართველო-თურქეთის ისტორიული კონტაქტები ყველაზე უფრო მეტად აისახა ენაში. სამხრეთ საქართველო, ისტორიული მესხეთი, მისი ორი კუთხე – სამცხე და ჯავახეთი თურქეთთან ახლო, მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩეოდა. ენობრივი გავლენები ორმხრივი იყო. მაგალითად: დღევანდელ შავშეთ-ართვინ-არტაან-არტანუჯის რეგიონის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში 400-ზე მეტი ქართული სიტყვაა დადასტურებული (ჯანგიძე, 1983:81). ცალკე საკვლევი საქართველოში და საქართველოს გარეთ მცხოვრებ მაჰმადიან მესხთა თურქული მეტყველება, რომელშიც მეტი ქართული სიტყვა აღმოჩნდება, რადგან მათი ენობრივი ასიმილაცია ბევრად უფრო გვიან მოხდა. თურქული ლექსიკის შემოსვლა მესხურში საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, ამიტომ ენობრივი გავლენა ხშირად სინონიმიის დონეზე განიხილება (ფონჩუა, 1974:237; მაკალათია, 1987; კემულარია, 1994). შემოსული სიტყვა ქართული შესაბამისი სიტყვის გვერდიგვერდ, პარალელურად იხმარებოდა, ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თითოეული სიტყვის ისტორიის კვლევა. სიტყვათა უმრავლესობამ ვერ მოახერხა ენობრივი ადაპტაცია და დაიკარგა კონიუქტურის შესაბამისად. მთლიანად უკვალოდ ასეთი დაკარგვა არ ჩაივლის ხოლმე და დარჩება ონომასტიკაში ტოპონიმებისა თუ მეტსახელების სახით.

1. ადა

ეს სიტყვა დასტურდება სამცხურსა და ჯავახულში. ა. მარტიროსოვის მიერ ადა განმარტებულია როგორც კუნძული (მარტიროსოვი, 1984:222), ხოლო გ. ბერიძის მიხედვით – "კუნძული მდინარესა და ტბაში". ასევე ეძახიან მდინარის ნაპირს (ნახევარ კუნძულს), სათიბი რომელიცაა (მდრ. ადის მონყვეტა). "ადის მონყვეტა (თურქ.) – მდინარის ტოტის გადაგდება სხვა მიმართულებით თევზის დასაჭერად. სათავესა და ბოლოში დაანყობენ ქვებს. ბალახით, ბელტებით ან ლელით ამოავსებენ ხვრელებს და მერე ქვებქვეშ იჭერენ თევზს (ბერიძე, 1981:7)". აქვე უნდა შეინიშნოს, ადის მონყვეტას ტოტის მონყვეტაც ჰქვია. ასე რომ, ადის მონყვეტა კი არ არის თურქული, როგორც ცოტატაშია მითითებული, არამედ –ადა. თურქულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით ada განმარტებულია როგორც კუნძული (Турецко-русский словарь, 1977:24). კუნძული არის ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც ჯავახური დიალექტის მიხედვით ჩანს, მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონია, კერძოდ, მდინარის ნაპირი, ნახავარკუნძული, მდინარის ტოტი. ეს სიტყვა მესხურში იხმარება მხოლოდ ტბასთან და

მდინარესთან დაკავშირებით, ბუნებრივიცაა ზღვის განცდა ამ მხარისათვის არ არსებობს და არც ასოცირდება ფსიქოლოგიურად.

ადა, ადები ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში ბევრგან გვხვდება მდინარის მონაკვეთის სახელადაც, ხშირად იქ, სადაც ადრე შეიძლება კუნძული იყო, მაგრამ აღარ არის, კალაპოტის ცვლილების გამო, სახელი კი მაინც შერჩა. დიალექტში შემოსული სიტყვა, რომელიც თანამედროვე მეტყველებაში თითქმის იკარგება, რჩება ტოპონიმი-ში. ქართული ენის მესხური დიალექტისათვის **ადა** სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება არ უნდა იყოს ქართულ ნიადაგზე მიღებული. იგი თურქულ ენებში გვხვდება მრავალი მნიშვნელობით. უპირველესად მისი მნიშვნელობა ყველა ენაში არის კუნძული, ბურქებით დაფარული კუნძული, ქაობიანი საძოვარი (Севертян, 1974:87). **ადა** სიტყვის ეტიმოლოგიას В. Гребек-ი უკავშირებს აბდა-ს, ხოლო М. Весенен-ი არ გამოორიცხებს მის სხვაენოვან წარმომავლობას (Севертян, 1974:88). მართლაც, ძელი თურქული ენის ლექსიკონში **ადა** სულ სხვა მნიშვნელობით გვხვდება (Древнетюркский словарь, 1969:7). როგორც არ უნდა იყოს, თურქული ენის კუთვნილებაა **ada** თუ არა, ერთი ნათელია, იგი ქართული ენის მესხურ დიალექტში შემოვიდა თურქული ენიდან უშუალო კონტაქტის გზით.

ამა თუ იმ სიტყვის შემოსვლა ენაში ან დიალექტში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ერთ აუცილებელ პირობად შეიძლება მივიღოთ ახალი ობიექტის შემოსვლა და შესაბამისად აღმნიშვნელი ტერმინის შემოყოლა. შემოდის ნივთი და შესაბამისად ახალი სიტყვა ჩნდება ენაში. ამ მოსაზრების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ **ადა** შემოდის დიალექტში და აღნიშნავს ობიექტს, რომელიც მანამდე არ იყო აღნიშნული. ე.ი. შესაბამისი ტერმინი არ გვექონდა. მესხეთი მდიდარია მდინარეებით, მდინარეთა შესართავებით, კუნძულებით მდინარეზე, ამდენად **ada**-ს შესატყვისი ტერმინი უეჭველად გვექონდა მესხურში და საერთოდ ქართულში. ეს იყო **ხერთვისი**, ზუსტად იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დავახასიათეთ ზემოთ **ადა**.

ხერთვისის ამ მნიშვნელობას სპეციალურად მიაქცია ყურადღება ა. შანიძემ სულხან-საბა ორბელიანზე დაყრდნობით. მოიხველია ძველი ქართული ძეგლების მონაცემები და დაასაბუთა, რომ **ხერთვისი** ნიშნავს როგორც **კუნძულს** ისე **ნახევარკუნძულს** (შანიძე, 1981:266-275). კუნძულისა და ნახევარკუნძულის ერთი სიტყვით აღნიშვნა, როგორც ა. შანიძე მიუთითებს, მხოლოდ ქართულს არ ახასიათებს. ასეა არაბულში, ბერძნულში (შანიძე, 1981:267) და, როგორც ზემოთ ვნახეთ – თურქულშიც.

ხერთვისი ერთ-ერთი უძველესი სიტყვაა, ძნელი დასადგენია თუ როდემდის იხმარებოდა კუნძულის ან ნახევარკუნძულის აღსანიშნა-

ვად, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ სახელით ბევრი სახელია ცნობილი საქართველოში, კერძოდ ხუთვერსიან რუკაზე დაყრდნობით შანიძე მიუძღითებს 5 ხერთვისს – ჯავახეთში, ფოცხოვეში, კლარჯეთში, ორსაც – აჭარაში. ამასთანავე ა. შანიძე აღნიშნავს, რომ "ხერთვისი, როგორც გეოგრაფიული სახელი, გაცილებით უფრო მეტია საქართველოში, ვიდრე რუსულ ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული (შანიძე, 1981:272) და ასახელებს "უინვანს გალმა" მდებარე ადგილს.

აღა-მ დიალექტიდან განდევნა ხერთვისი. რამ განაპირობა უცხო სიტყვის გაბატონება? ერთადერთი მიზეზი, შეიძლება ითქვას, სუბსტრატი შეიძლება იყოს, სუბსტრატი, რომელიც საინტერესო ფორმით განვითარდა მესხეთში. თურქული ენის გამარჯვება ამ მხარეში არ იყო დაყრდნობილი თურქულ მოსახლეობაზე. სარწმუნოებრივი და ენობრივი დანოლა ხდებოდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაზე, რის გამოც გამაჰმადიანებული ქართველი, მართალია დიდხანს ინარჩუნებდა ქართულ ენას, მაგრამ მოგვიანებით, მე-19 საუკუნის ბოლოს, მოხდა თურქული ენის გაბატონება, რის გამოც თურქული ენის გავლენა განსაკუთრებით ძლიერდება ადგილობრივ დიალექტზე. მიუხედავად ამისა, ხერთვისის განდევნა ამ დიალექტიდან მხოლოდ ამის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ქართული ენის იმ დიალექტებში, სადაც თურქული ენის დანოლა გამორიცხულია ისტორიულად – "უინვანს გალმა", ასევე გაქრა ხერთვისი ხმარებიდან. ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია აპულატივის ქცევამ საკუთარ სეხელად, მდინარის შესართავის კონკრეტულმა აღნიშვნამ. ხერთვისი იქცა საკუთარ სახელად და დაიცალა კუნძულის თუ ნახევარკუნძულის გაგებისაგან. ბევრი ჰიდრონიმიული ტერმინი შემოდის თურქულიდან მესხურ დიალექტში, მათ შორის, ჩაი, გეზა, გელ, და სხვა, მაგრამ პარალელურად ცოცხლობს წყალი (მდინარე), წყარო, ტბა (შესაბამისად) და საბოლოოდ ქართული ტერმინები იკავებს კვლავ ადგილს.

ხერთვისი კუნძულის თუ ნახევარკუნძულას მნიშვნელობით გვხვდება უძველეს ტექსტებში (ა. შანიძე). ა. შანიძის უტყუარი ეტიმოლოგიით, ხერთვისი "თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წყლების შესართავთან მდებარე ადგილი, აქედან მერმე ნახევარ-კუნძული და უკანასკნელ, კუნძული (შანიძე, 1981:274-275), ამასთანავე "ხერთვის" ზმნური ფორმა, "ერთვის", ასევე უეჭველად გულისხმობს ორი მდინარის შერთვას, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ტექსტებში ხერთვისი უკავშირდება ზღვას და ზღვაში მდებარე კუნძულს აღნიშნავს, სემანტიკურად მხოლოდ მდინარეთა შესართავის საფუძველზეა მიღებული. ამის გამო დიალექტში მისი მნიშვნელობა თავდაპირველი სემანტიკითაა წარმოდგენილი და მხოლოდ მდინარეს უკავშირდება – მდინარეში მდებარე კუნძულს, ნახევარკუნძულს, ტოტს, ქალას, ნაპირს

და ა. შ. სნორედ ამ მნიშვნელობით შემოდის ადა მესხურ დიალექტში. მის შემოსვლას ხელი შეუწყო, როგორც ზემოთ ითქვა, საკუთარ სახელად ქცევის გარდა, ხერთვისის მნიშვნელობათა დიფერენციაციამ. კუნძული კუნძულია, ნაპირი შეიძლება იყოს ჭალა, ჭალები ან ჭალაკი. ასევე გვხვდება შერე და სხვა. მნიშვნელობა პქონდა კუნძულ სიტყვის მნიშვნელობის გაძლიერებას და კონკრეტულობას, იმას აგრეთვე, რომ კუნძული უეჭველად ზღვასთან კავშირში ასოცირდება დიალექტში. საბოლოოდ ასეთივე ბედი ენია ადა-ს, რომელიც დიალექტში თანდათან იკარგება და რჩება მხოლოდ ადგილის საელად.

2. დალი აბდალა

დალი აბდალა მეტსახელია. მეტსახელი, როგორც ნესი, სხვა მიზეზთა გარდა, შეერქმევა ხოლმე ამა თუ იმ პიროვნებას სხვადასხვა ნიშანთვისების გამო. დალი აბდალა გარეგნობით არ გამოირჩევა, მაგრამ ხასიათით აქტიური, მხიარული, ხშირად ემოციური, სიმთვრალეში ღრეობის დაკვრა-თამამის მოყვარული კაცია.

მეტსახელის შერქმევასთან ერთად, ზოგჯერ მის ქართულ ვარიანტსაც გაუსვამენ ხაზს—"გიჟი, გადარეული". გიჟი, როგორც ასეთი, შესლილის, სულით ავადმყოფის მნიშვნელობით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ენოდოს მას.

დალი აბდალა ორი სიტყვისაგან შედგება. მესხურში მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონებსა და ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტებში არ იძებნება შესაბამისი ლექსიკური ერთეულები, დალი ცნობილი სიტყვაა, გახაზავენ მის თურქულობას და მნიშვნელობა — "გიჟი", "დაუოკებელი", ემოციური. იშვიათია "აბდალა" სიტყვის ხმარება მესხურში (სამცხურსა და ჯავახურში) და თუ არის, იხმარება დასავლური ზოგიერთი კუთხურ-ტომობრივი წარმომავლობის აღსანიშნავად.

დალია ფორმა გვხვდება ფერეიდნულ დიალექტშიც და სულელს ნიშნავს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:628), მნიშვნელობით იგივეა, რაც მესხურში. სხვა დიალექტებში დალი არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მისი ფონეტიკური ვარიანტი **დელი** იმავე მნიშვნელობით: (აჭარ. გურ.) გიჟი, ხელი, გადარეული (ლლონტი, 1974:205). იქვე განმარტებულია, რომ იგი არის თურქული deli. თურქულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით deli არის сумасшедший, помешанный, ненормальный, безумный (Турецко-русский словарь, 1977:215).

ქართული ენის დასავლური დიალექტების დელი და თურქული ენის დელი მესხურ დიალექტში წარმოდგენილია დალი ფორმით, ასევე ფერეიდნულ დიალექტში. ა-სა და ე-ს ურთიერთობის შესახებ ჯა-

ვახურში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: "სალიტერატურო თურქულში **დარა** (ხევი) სიტყვა გვაქვს **dere**-ს სახით, მაგრამ ჯავახურმა დიალექტმა იგი მხოლოდ **დარად** მიიღი. როგორც ჩანს, თურქული **e** ხმოვანი საერთოდ ჯავახურს **a**-დ აქვს შეთვისებული. **derindere** გვაქვს სალიტერატურო თურქულში, მაგრამ ჯავახურმა იცის მხოლოდ **დარინდარა**. ქართულმა ენამ თურქულიდან შეითვისა **ჩექმა**, რომელიც ჯავახურში **ჩაქმად** არის ნარმოდგენილი. ვფიქრობით, ჯავახურში ზეპირი გზით შემოდიოდა თურქული ლექსიკა და **a**-სა და **e**-ს ურთიერთობა თვით თურქულის ნიადაგზევე უნდა აიხსნას (ბერიძე, 1992:101-102)".

მესხურმა, მართალია, ცალკე **დალი** ფორმა არ იცის, მაგრამ, ვფიქრობთ, სემანტიკურად ახლოს უნდა იყოს, თუ იმავე მნიშვნელობით არ არის ნახმარი, კომპოზიტი **დელიბაში** – "მარბევი რაზმის ნეერი" და იქვე – **დელიბაშობა** – "თურქეთის მარბევი რაზმის შემოსევა (ბერიძე, 1992:46)". შესაძლებელია დელიბაში ადამიანის საკუთარი სახელიც ყოფილიყო (ბერიძე, 1992:101). **დელი** უნდა გამოიყოს შემდეგ კომპოზიციებში: **დელიყანი** (გურ. აჭარ.) **თავმომწონე**, **დარდიმანდი**, **მოსული**, **ახოვანი ახალგაზრდა** და იმერულში **ნ. მარის მიერ დაფიქსირებული დელიყანი** – მონიფული ახალგაზრდაა. იქვე დამოწმებული "**დელიხორუმი**" (ზ. აჭარ.) "ერთგვარი ხორუმი, როცა საცეკვაო იღვთები მეტად სწრაფად სრულდება (ლლონტი, 1974:206)".

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კომპოზიტის პირველი ნაწილი **deli** ჩვენთვის საინტერესო სემანტიკისაა, ოღონდ შეიძლება შეგვხედეს მნიშვნელობაგადახეული; მაგალითად: **დელიყანი**, რომელსაც ზემო აჭარაში აქვს პარალელური ფორმა **დეყანი** (ლლონტი, 1974:206) და რომელშიც **e** თურქული **k**-ს ფონეტიკური ვარიანტია ქართულ დიალექტში, იმავე მნიშვნელობით იხმარება თურქულში. **delikanli** пареня, юноша, маладой человек (Турецко-русский словарь, 1977:216) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **გიჟსისხლიანს**. ასევე დელიბაში სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **გიჟ მეთაურს** თუ **გიჟ თავს**. ასევე დელიხორუმი – **გიჟ, გიჟურ ხორუმს**.

ამრიგად **deli**, ჩვენს შემთხვევაში **დალი**, როდესაც მეტსახელად შეერქმევა (თუნდაც კომპოზიტის ერთ ნევრად) არ უნდა ნიშნავდეს **გიჟს** – ავადმყოფს, ფსიქიკურად შეშლილს. იგი სიცოცხლის, გიჟმაჟობის, აქტიური ცხოვრების მოყვარულ კაცს გულისხმობს (შემთხვევითი არ უნდა იყოს მიხ. ჯავახიშვილის რომანის "არსენა მარაბდელის" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელად **დალი შასანი**).

აბდალ-ი გურულ დიალექტში გვხვდება და აღნიშნავს **სულელს** (ლლონტი, 1974:20). გვაქვს გვარი **აბდალაძე**. თუ გვარის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს სახელი თუ მეტსახელი დასავლურ დიალექტებში

გავრცელებული ყოფილა. როგორც აბდალ-ა-ს ასევე დალი აბდალ-ა-ს შემთხვევაში -ა-ს კნინობითობის ფუნქცია აქვს.

Abdal არაბულ სიტყვად არის მიჩნეული ძველ თურქულ ენათა ოჯახში და ნიშნავს **წმინდანს, ღვთისმოსავს** (Древнетюрский словарь, 1969:2). სხვა შემთხვევაში ამ სიტყვას აქვს მოხეტიალე დერვიშის მნიშვნელობა. ასევე თურქული ეროვნების მცხოვრებთ შქვიათ ავღანეთში და მესაქონლე ტომებს ანატოლიაში (Древнетюрский словарь, 1969:19). როგორც ჩანს, შემთხვევითი არ უნდა იყოს მესხურში იშვიათად, მაგრამ მაინც დასავლურის მნიშვნელობით ამ სიტყვის ხმარება.

abdal სიტყვას აქვს ფონეტიკური ვარიანტი aptal, რომელიც ნიშნავს **სულელს, ხეპრეს, იდიოტს, უჭკუოს** (Древнетюрский словарь, 1969:58). ძნელი სათქმელია abdal სიტყვის ზემოჩამოთვლილ მნიშვნელობებს შორის არის თუ არა კავშირი. შესაძლებელია იყოს. შესაძარებლად გამოდგება **დელიბაში-ს** ჯავახური მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, ადამიანის მეტსახელი **დალიაბდალა** კომპოზიტური სახელია. შედგება ორი თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობის, იქნებ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვისაგან. ორივე ეს სიტყვა ქართულში შემოსულია თურქულიდან, ილონდ, ცალ-ცალკე და დაკავშირება მოხდა დიალექტში. სახელად თუ მეტსახელად მსგავსი ზედსართავი რომ შეიძლება შეგვხვდეს, ამის მაგალითად გამოდგება გვარი **აბდალაძე** და მეტსახელი **გიჟუა**. ორი ზედსართავი სახელის დაკავშირება თურქულისთვისაც არ არის შეუძლებელი; მაგალითად: **deliboruk** ორი სიტყვისაგან შედგება: **deli-ს** მნიშვნელობა ჩვენთვის უკვე ცნობილია, ხოლო **boruk** ნიშნავს **გაფუჭებულს, დანგრეულს** (Древнетюрский словарь, 1969 : 130).

დალი აბდალა, როგორც ცალ-ცალკე მნიშვნელობის მქონე სიტყვები, დღევანდელმა დიალექტმა არ იცის, მაგრამ შემოგვინახა მეტსახელმა.

ზოგიერთი სამუქრნოჲ ცვტმინის წატიმოქმისათვის მესხურ დიალოდცმი



სამზარეულოს ტერმინოლოგია ისევე, როგორც სამზარეულო, გამოირჩევა სხვადასხვა შრით. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, იმის მიხედვით, თუ რომელ მეზობელ ქვეყანასთან გვექონდა ურთიერთობა, კავშირი, განსაკუთრებით აისახებოდა ეს სამზარეულოს ტერმინოლოგიაზე, რაც იმდენად თვალში საცემია, რომ ადვილად ირჩევა, რომელი ქვეყნიდან რა სახის საჭმელები და, შესაბამისად, მათი სახელები არის შემოსული ქართულ საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. ერთ-ერთი ასეთი შემოსული საჭმელი და მისი სახელი არის **ჰასუთა**. თ. იველაშვილი თავის ნიგნში – "ხალხური სამზარეულო სამხრეთ საქართველოში," წერს: "ერბოსა და ბაქმასს, შერეულს, ტაფით წამოადულებენ ცეცხლზე და მდულარეში ცოტაოდენ ფქვილს ნელ-ნელა ამოუკიდებენ, თან ურევენ მდულარე ერბოსა და ბაქმასს, რომ არ დამურკლდეს. ცოტა რომ შესქელდება, ფქვილის ამოკიდებას შეწყვეტენ, ადულებენ რამდენიმე წუთს და საჭნელი მზადაა. ჰასუთა სასწრაფოდ გასაკეთებელი და ძალიან მანჩერია. ჭამენ პურთან ერთად (იველაშვილი, 1991:62)". ჰ ბგურით დაწყებული ქართული სახელები არა გვაქვს, ამიტომ საჭმელიც და სიტყვაც შემოსული ჩანს. ს. ჯიქია სიმინდის ეტიმოლოგიაზე, მის წარმომავლობაზე მსჯელობის დროს იყენებს XIII საუკუნეში არაბულიდან ნათარგმნ ძეგლში – "ნიგნი სააქიმოი," დადასტურებულ ცნობას სიმინდის შესახებ: "და საჭამადსა ჰასოსა სიმინდისაგან შექმნილსა ჭამდეს ნუშისა ზეთითა და ჰასოი არაბულად მას ჰქვია, რომელ თხლად პირი მოჰკიდოს წყალსა (ჯიქია, 1947:439)". ძეგლის გამომცემელს ლ. კოტეტიშვილს ჰასო განმარტებული აქვს როგორც "შეჭამანი ნენიანი ქატოსაგან და შაქრისაგან შემდგარი (ჯიქია, 1947:439)". სიმინდისაგან შექმნილი ჰასო, როგორც მოყვანილ ციტატაშია მითითებული, გულისხმობს არა სიმინდის ფქვილისაგან, არამედ "ხორბლის წერილად გაცრილი ფქვილისაგან გაკეთებულ ფაფას (ჯიქია, 1947:440)". ბუნებრივია, XIII საუკუნეში სიმინდი არ იქნებოდა საქართველოში, ასევე ფქვილზე როდესაც საუბრობს თ. იველაშვილი, იგულისხმება ხორბლის ფქვილი, რადგან "ჰასოი" ჰქვია არაბულად იმ საჭმელს, რომელიც იყო მესხეთშიც გავრცელებული და მას ჰასუთა ჰქვია. ჰასუთაში თ უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ამიტომ ჰასუთა ნაგენეტივარი სახელი ჩანს. არაბობას საქართველოში მოჰყვა არა მხოლოდ ლექსიკის შემოსვლა ენაში, არამედ გაჩნდა არაბული წარმოშობის ტოპონიმები მესხეთში. ასეთებად მიჩნეულია არეში ჯავახეთში (ბერიძე, 2008:269-273) და რაბათი (ბერიძე, 2008:274). იყო ისეთი საჭმელები და მათი სახელები, რომლებიც გარკვეული მიზეზის გა-

მო შეიძლება სადაოც იყოს, შემოსულია თუ ადგილობრივი. მაგალითისათვის გამოდგება რძიანი. ასე ეძახიან ბავშვებისათვის რძისაგან და კორკოტისაგან დამზადებულ თხელ საჭმელს, რომელსაც სვითლისა ცეტყვიან, რაც თურქულად ასევე რძიანს, რძისგან გაკეთებულს ნიშნავს. მესხეთში გამუსლიმებული ქართველი მოსახლეობა მშობლიური ენის დაკარგვის შემდეგ ხშირად ინარჩუნებდა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ლექსიკას, ან თარგმნიდა მას თურქულად. ასე რომ, სვითლი შეიძლება შემოსულიც იყოს და რძიანის თარგმანიც.

მესხურ სამზარეულოში უმთავრესი და ძირითადი მაინც ქართული საჭმელები და ქართული ტერმინოლოგიაა, რომელიც გამოირჩევა ფორმისა და სემანტიკის არქაულობით. რძის პროდუქტების ტრადიციით მდიდარია მესხეთი. ყველის მრავალგვარი სახეობა არსებობს, რომელთაგან ყველაზე გამოჩენილი, საქართველოს სხვა კუთხეებში რომ ნაკლებად გვხვდება, არის ჩეჩილი. იგი "მოხდილი" რძისაგან კეთდება. მოხდა ნიშნავს რძისაგან ცხიმის გამოცლას, რაც დღეს სპეციალური სეპარატორით ხდება, მაგრამ ადრე, ვიდრე ტექნიკა ამის საშუალებას მისცემდა აქაურ გლეხებს, ცხიმის გამოცლა მოხდით ანუ მოფილვით შეიძლებოდა. "ახლად მოწველილ რძეს დანურავენ და საფილავე გობებში ჩაასხავენ, "დაფილავენ", ერთ დღეში ის ნალებს მოიგდებს, მეორე დღეს ამ ნალებს მოხდიან, რძეს ქვაბში ჩაასხამენ და ცეცხლზე შემოდგამენ შესათბობად (იველაშვილი, 1991:12)". ჩეჩილი ყველი სხვა ყველისაგან იმით განსხვავდება, რომ ის, რადგან მოხდილია, იზილება. სხვა ყველი თუ ყალიბში უნდა ჩააგდო და ისე დანურო, ჩეჩილი წერილ ნაწილებად იწელება, "როგორც რეზინი". რამდენიმე ასე გაჩეჩილ ყველს, "როცა კარგად დაზელენ, კვლავ შეაორკეცებენ, დაგრეხავენ (ერთი შეხედვით, თმასავითაა დანწული), "დასანავენ" და ცოტა ხნით უხლავე გადაჰკიდებენ შრატისაგან "დასანურად" (იველაშვილი 1991:12)". ზოგ შემთხვევაში უხლავის ნაცვლად ახლად ამოყვანილ ყველს რუკაზე დადებენ დასანურადად. რუკა ბოლოწერილი, ღარიანი ხის ფიცარია, რომელზეც კარგად იწურება ყველი. ჩეჩილი, რომელიც დღეს ყველის სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა, არის მსაზღვრელი, მას მოსდევს ყველი - "ჩეჩილი" ყველი, რომელიც შემდეგ იწნება. ჩეჩილი ყველი აქვს თ. იველაშვილს თავის "ხალხურ სამზარეულოში", ასევე ჩეჩილი ყველი აქვს განმარტებული გრ. ბერიძეს და დამონებული ჰყავს ი. მაისურაძე: "მოუხდელ რძეს შეადედებენ აადულებენ, მოურევენ და ყველი დაეხვევა ღვედის მსგავსად. იწლიჩება ძაფებად, შემდეგ ჭამენ (მდარე ხარისხისაა (ი. მაისურაძე) (ბერიძე, 1981:156)". მიუხედავად იმისა, რომ ყველის ამოყვანის წესი ზუსტად არ არის აღწერილი, ამ ყველის მთავარი თვისება - ჩეჩილობა ამ შემთხვევაშიც ხაზგასმულია. ი. მაისურაძეს იყენებს ალ. ლლონტიც. მისი თქმით, ჩეჩილი არის "(მესხ) ძროხის ადგილობრივი ყველი, სიგრძივ ძაფებივით არის ჩაკეცილი, თმასავით იჩეჩე-

ბა, მდარე ხარისხისაა (ლლონტი, 1984:683)".

ჩეჩილში გამოიყოფა -ილ სუფიქსი, რომელიც მიმღეობის მანარმობებელია ზმნებში. აკ. შანიძის მიხედვით -ილ სუფიქსი ანარმობებს ერთთემიან, ხმოვანმონაცვლე, -ი თემისნიშნის და სხვა ზმნებს, რომელთაც ჩვეულებრივ წინსართის სახით ზმნისნინი აქვთ: მოტანილი, დანერილი, გათლილი, გაყოფილი, დამხოზილი, გაპოზილი და ა. შ. (შანიძე, 1973:574). ჩეჩავს ზმნიდან წარსული დროის მიმღეობა იქნება **დაჩეჩილი, გაჩეჩილი**, ზმნისნინით და **ჩეჩილი** ზმნისნინის გარეშე. ასევე -ილ სუფიქსით არის ნანარმობები ყველის მეორე სახეობა, რომელსაც **ტენილს** უწოდებენ. ჩეჩილი ყველისაგან მზადდება ტენილი, რომლის შესახებაც ალ. ლლონტს მოყვანილი აქვს ი. მაისურაძის განმარტება: "გადახარშული ყველი (ლლონტი, 1984:509)". სინამდვილეში გადახარშვასთან ტენილ ყველს არავითარი კავშირი არა აქვს. მისი დამზადების ტექნოლოგია ასეთია: "ახალ-ახალ **ჩეჩილ ყველს** გრძლად დაფივით დაჩლეჩენ, შეაყრიან ზომაზე მარილს, მოასხამენ ნალებს და კარგად აურევენ. გააჩერებენ რამდენიმე ხანს, მარილი და ნალები კარგად რომ გაუჯდეს. შემდეგ მას მჭიდროდ ჩატენიან მომცრო ქოთანში. როცა ქოთანი გაივსება, ზემოდან კვლავ მარილს მოაყრიან, რამდენიმე ფენა სუფთა ნაჭრით პირს მოუკრავენ მჭიდროდ და საციო სახლის ერთ კუთხეში ნაცარზე დაამხოზებენ პირით ნაცრისაკენ (იველაშვილი, 1991:14)". თანამედროვე ქართულში როგორც **ჩეჩილი**, ისე **ტენილი** ზმნისნინით იქნება წარმოდგენილი: **დაჩეჩილი, დატენილი** და სხვა. ტენილშიც -ილ მიმღეობის მანარმობებელია. მესხეთის სამეურნეო ტერმინოლოგიაში წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის კიდევ ერთი ფორმაა გამოყენებული, ოლონდ ამ შემთხვევაში მანარმობელი არის -ულ სუფიქსი. ოქტომბერში, როდესაც ქანჭური შემოდის, ზამთრის ხილეულობის ყველაზე მეტ მარაგს სწორედ მისგან ამზადებენ. ზამთრის ხილის ერთ-ერთი საინტერესო ჩირის სახეობაა **ხაზული**, რომლისთვისაც მთავარი და დამახასიათებელი არის **ხაზვა**, და **ხაზვა**: "მნიფე ქანჭურს დანით სიგრძეზე სამ-ოთხ ადგილას დასერავენ კურკამდე და სალათებზე, თივაზე ან გაფენილ ჯეჯიშზე დაყრიან გასახმობად (იველაშვილი, 1991:35)". ხაზულს თუ კურკას ამოაცლი, იქნება ჩვეულებრივი **ქანჭურის ჩირი**, ხაზულისაგან ზამთარში ნენიანს აკეთებენ.

ჩეჩილი, ტენილი, ხაზული უზმნისნინო ფორმებია და ისინი ქართული სამეურნეო ტერმინოლოგიის უძველეს ფენას მიეკუთვნება. ამავე სუფიქსებით შეიძლება, შედარებით ახალი ტერმინიც შევვხვდეს, ოლონდ მას უკვე ზმნისნინი ექნება. ასეთია **ჩანეკილი პური**. "ჩანეკილი პური მრგვალი და ოდნავ გათხელებულია. ფურნეში პურის შეყრისას აქა-იქ ასანთის ლერით ჩაჩხვლეტენ, აქედან მოდის მისი სახელიც - "ჩანეკილი პური" (იველაშვილი, 1991:5)". ასევეა **გახრესილი შინდი**.

“კარგ დამნიფებულ შინდს გახრესენ სვიზაგში (კურკისაგან და კანისაგან გამოაცალკეებენ). **გახრესილ** მასაში ჩაყრიან შაქრის ფხენილს, კარგად აურევენ და ერთი-ორი დღით ასე გააჩერებენ (იველაშვილი, 1991:37)”.

-**ილ**, -**ულ** სუფიქსების ჩამოცილების შემდეგ გერჩება ფუძეები, რომლებიც ქართული ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა. **ჩეჩ**- ფუძისაგან ნანარმოებია **საჩეჩელი**, “ლითონის კბილებიანი იარაღი, რომლითაც **ჩეჩავენ** (ქეგლ, 1960:896)” და **საჩეჩი**, “რაც უნდა ჩეჩონ”. თანამედროვე ქართულში ჩეჩ- ფუძიდან შეიძლება ინარმოოს, როგორც მარტივი, ისე – ავ თემისნიშნისანი რთული თემა, ამიტომ მისგან შეიძლება მივიღოთ სანყისი ორი სახით: **ჩეჩა** და **ჩეჩვა**, რომელიც არის “სახელი ჩეჩს, ჩეჩავს და იჩეჩავს ზმნათა მოქმედებისა (ქეგლ, 1964:492)”. სულხან-საბა ორბელინი იცნობს მხოლოდ **ჩეჩა** ფორმას – “მატყლის გასწორება.” ტენა არის “სახელი ტენის ზმნის მოქმედებისა, ხელის დაჭერით მჭიდროდ ჩადება (ქეგლ, 1960:1273)”. ტენილის ჩადება “ხელის დაჭერით მჭიდროდ” ხდება. ტენ- არის საერთო ქართველური სიტყვა, გვხვდება უძველეს ძეგლებში, ქართული ტენ- ძირის შესატყვისია მეგრული ტინ- ფორმისა (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000:430). **გახრესილი** არის ვნებითი გვარის მიმლეობა **ხრესს** ზმნისა და ისევე, როგორც ტენილი და ჩეჩილი შეიძლება გვექონდეს ზმნისნიშნის გარეშე **ხრესილის** სახით გახრესილის პარალელურად. შდრ. სულხან-საბა ორბელიანის **ხრესა** – “მოსმით მონაყვა” და მოხრესა “დაჭირებით მოგლა (ორბელიანი, 1966:520)”. მოგლა იგივე დანაყვაა. მოხრესვა, ხრესა არის მოსმით და დაჭერით მონაყვა. შდრ. **ხრესილი** – სოფლის სახელი დასავლეთ საქართველოში. **ხაზული** არის სახელი **ხაზავს** ზმნის მოქმედებისა.

გ) კუპრა*

აშოტ კურაპალატის ძემ ადარნერსემ „შესმენითა მეძვისა ქალი-საითა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუითა სიძვისაითა სარწმუნოთ ცოლი თუსი და წარგზავნა ქუეყანასა თუსად აფხაზეთად, ვინაჲცა მოეყვანა იგი (მერჩულე, 1949:107)“.

გრიგოლ ხანძთელმა არაერთხელ ამხილა ადარნერსე ამ საქციელისათვის, მაგრამ „ხელმწიფემ“ არ შეისმინა და „სხუამ ცოლი შეირთო“. მძიმე ავადმყოფობა და მომავალი უწინასწარმეტყველა გრიგოლმა ადარნერსეს. მართლაც ჯანმრთელობით გამოორჩეულ ადამიანს შეეყარა „სენი ტუხისამ წრდიალი, რომელსა პრქუან ნიკრისი და ტკივილთა მათგან იგუმებოდა მწარედ“. შეშინებულმა ადარნერსემ „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშე დედოფლისა მის შენდობისა თხოვად (მერჩულე, 1949:1080)“.

თავად მძიმედ მყოფმა ახლობელი, კეთილი კუპრან გაუშვა აფხაზეთს მოციქულად, რომ დედოფალ ზევრეულისათვის, რომელიც შემონაზვნებული იყო ანასტასიას სახელით, შენდობა ეთხოვა. ყოფილმა დედოფალმა დაიფიცა, რომ არასოდეს დაენყველა ადარნერსე. „და მსწრაფლ ხოლო განიკურნა ადარნერსემ, რამეთუ კაცმან მან მოციქულმან დაისწავლა ჟამი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა მისსა“.

საერო პირთა შედარებით ნაკლებ პერსონაჟთა შორის გამოირჩევიან ისეთები, რომელთაც სახელი ჰქვიათ არაკანონიკური. როგორც ანთროპონიმთა შესწავლა გვიჩვენებს, ოდითგანვე ადამიანის სახელებს არქმევდნენ არა მხოლოდ კანონიკურ-ქრისტიანულს, არამედ ტრადიციულს, მისი ან მისი წინაპრების რაიმე ნიშანთვისების მიხედვით. შეიძლება სახელი დაერქმიათ ერთი და შემდეგ მას მისი გარეგნობის ან ფერის გამო სხვა სახელი ეწოდებინათ. ამკარაა, რომ კუპრა წარმოქმნილი სახელია.

-ა სუფიქსი მსგავსების აღმნიშვნელია. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. ქერ-ა (ქერის ფერი), სვილ-ა (სვილის ფერი. სვილი-ჭვავი), შინდ-ა (შინდის ფერი), ლვინ-ა (ლვინის ფერი) (შანიძე, 1973:126). კუპრა კუპრის ფერის გამო შეერქმეოდა კაცს, ისევე, როგორც შავა (აქედან მივიღეთ გვარები შავაძე, შავიშვილი).

ზურაბ ჭუმბურიძის მიხედვით „სავარაუდოა, რომ დახასიათების

* ა) ნერტაჲ და ბ) მატოჲ იხ. ბერიძე, 2010: 243-248.

შემცველი ზოგიერთი სიტყვა, როგორცაა თეთრუა, კიკნა, კუპრა, ჭრელა, ჯმუხა და სხვანი წინათ პიროვნული სახელი იყო და ამ გზით იქცა გვარის შემადგენელ ნაწილად. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ **კუპრა**, რომელიც პქვია, მეფის მოციქულს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“... ცხადია, აქ კუპრა სახელია. უთუოდ მისგან არის წარმოქმნილი კნინობითი სახელი **კუპრაჭა** და გვარი **კუპრაშვილი** (ჭუმბურიძე, 2003:85)".

კუპრი – შავი ფისი (იღებენ ხის, ტორფის ან ქვანახშირის მშრალი გამოხდით) (ქ ე გ ლ, IV, 1955:1933).

კუპრადან მიღებული გვარები ქართულ ანთროპონიმიაში ოდითგანვე ჩამოყალიბდა: მე-13 საუკუნეში გვყავს **კუპრასძე** – „მესხეთს მცხოვრები, დავით ნარინის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტერს (1260–1270წწ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999:540). შემდეგ საუკუნეებში გვხვდება: **კუპრადე ბერა**, **კუპრადე დათუნა**, **კუპრადე ნასყიდა**, **კუპრადე პაატა** (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999:541). მე-17 საუკუნეში იყვნენ: **კუპრაშვილა გიორგი** – „მონმე მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულბუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის ნიგნისა“; **კუპრაშვილი გოგია** – „ცუცხვათს მცხოვრები, გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლშვილითა და მამულით უწყალობა მეფე გიორგიმ ვახტანგ აგიაშვილს“; **კუპრაშვილი დათუნა** – ცუცხვათს მცხოვრები, გლეხი, ჰყავს ძმა ხახუტა, ქაიხოსრო აგიაშვილი, ყოფილი ყმა. იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999:540).

ვიდრე –ა სუფიქსით გაფორმდებოდა, ყოველგვარი მანარმოებლის გარეშე დაერქმეოდა ადამიანს სახელი. -ა-თი გაფორმებულია **შავაძე**, ხოლო -ა-ს გარეშეა **შავიშვილი**.

ყამთაალმწერელი კობტასთავის შეკრების თაობაზე წერს: „ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კობტას თავსა, იმერნი, ამერნი: ეგარსლან, ცოტენ დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, **კუპარი შოთა**, თორლაი, პერ-კახნი, ქართველნი, თორელ გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი (ყამთაალმწერელი, 1959:215)“. კიდევ ერთხელ იხსენიება **შოთა კუპრი** ყამთაალმწერელთან დაახლოებით იმავე ისტორიული პირების გვერდით (ყამთაალმწერელი, 1959:219). ვარიანტებში შოთა არის: **კუპრო**, **კუპრი**, **კუპრაი**, **კუპრა**. მართალია ძირითად ტექსტებში გამოტანილია კუპარ – ფორმა, მაგრამ ვარიანტები გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვაც კუპრთან არის დაკავშირებული და შოთას მეტსახელით წარმოაჩენს. დანარჩენები არიან წარმომავლობა-წოდებით წარმოდგენილნი: ამირსპასალარი, ჯაყელი, სურამელი, ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, დადიანი, გაგელი.

მხოლოდ სახელით იხსენიებიან: **ეგარსლან, თორლაი.**

გამომცემელი, ს. ყაუხჩიშვილი ამკარად უპირატესობას ანიჭებდა კუპრ - ფორმას და არა კუპარს, რადგან ძირითად ფორმად საკუთარ სხელთა საძიებელში გამოტანილია კუპრი შოთა (ჟამთააღმწერელი, 1959:668), ხოლო რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოსულ „ქართლის ცხოვრებაში“ ძირითადია კუპარი და ფრჩხილებშია კუპრი (ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, 2008:807).

მოხმობილი მაგალითი კარგი ნიმუშია ნომინულის პროცესისა, როდესაც გაშინაარსიანებულია დენოტატი, მის ფერსა და სიშავეზეა გასმული ხაზი. ჟამთააღმწერელი კიდევაც წერს შოთა კუპრის შესახებ: „ჰერეთის ერისთავი შოთაჲ, რომელსა მანისი ფერობისათჳს კუპრობით უკზმობდეს (ჟამთააღმწერელი, 1959:1920)“. ვარიანტში, სქოლიოში მითითებულია „სიშავისათვის“, რაც კიდევ ერთხელ გაბაზავს „შოთას გარეგნულ ნიშანს“, რომ ხელნაწერები შოთას მეტსახელს აფორმებენ ამ შემთხვევისათვის საჭირო -ო და -ა სუფიქსებით. დღესაც კი შავი ფერის ადამიანს მეტსახელად შავო ჰქვია. გვაქვს აგრეთვე შავა და თურქულიდან და რუსულიდან შემოსული სიტყვები: ყარა და ჩორნა.

არის სხვა მოსაზრება, შოთა კუპარი (კუპრი) არის იგივე შოთა რუსთველი. კუპარი ნიშნავს არაბულად „არამართლმორწმუნე“, „სარწმუნოებიდან განდგომილი (ინგოროყვა, 1963:125)“.

ჟამთააღმწერლის მოხმობილ ციტატას პ. ინგოროყვა ასე ხსნის: „შოთას აბრალეზდნენ მანის მოძღვრების მიმდევრობას და სარწმუნოებიდან განდგომილად სთვლიდნენ. გასაგები ხდება ამის შემდეგ, თუ რად არის ეს კლერიკაურად განწყობილი ისტორიკოსი განსაკუთრებულ მტრობით გამსჭვალული შოთასადმი, თუმცა ჟამთააღმწერელი ვერ უარყოფს, რომ შოთა დიდად დამსახურებული და ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწე იყო, მაინც შოთას, თავისუფალი მოაზრეობის გამო, იგი კითხვით მოიხსენიებს (ინგოროყვა, 1963:126)“.

თუ კუპარი და კუპრი საერთო ძირიდან არ მოდის და კუპარი არაბული სიტყვაა, როგორც ამის შესახებ პ. ინგოროყვა ბრძანებს, მაშინ მოხდა მნიშვნელობათა დამთხვევა შემდეგ პერიოდში. სიტყვა იქცა შავის სინონიმად, რასაც ადასტურებს ვარიანტთა ამკარად მეტსახელის შესაბამისი სუფიქსებით გაფორმება.

„ფერობისათჳს კუპრობით უკზმობდეს“, ალბათ უფრო უპრიანი გავიგოთ, როგორც შავი (კუპრის) ფერის გამო. სულხან-საბა ორბელიანი ფერს განმარტავს: „თეთრი, ნითელი, შავი (ორბელიანი, 1966:188)“. ი. აბულაძე ძვ. ქართული ენის ლექსიკონით ფერი - არის „საღებავი, სახე, ხატი, გვარი, ნაირი (აბულაძე, 1973:444)“. ასევე ფერს უკავშირდება ფერება და ფერობა (აბულაძე, 1973:144).

ამკარაა, რომ კუპრა გავრცელებული მეტსახელი თუ სახელი ყო-

ფილა ქართული წყაროებისა და დოკუმენტების მიხედვით. გიორგი მერჩულეს პერსონაჟი „კაცი კეთილი“, „მოციქული“ ადარწერსებს მესაიდუმლე და ახლობელი კუპრად იწოდა თავისი ფერის გამო.

მეტსახლად შიმშირნილი ისტორიული სახლი

მეტსახელების შესწავლა საშური საქმეა. ხშირად მეტსახელები ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდიან. ხდება ხოლმე, როდესაც რომელიმე ისტორიული სახელი, გადასული მოდიდან, არსებობს ხალხის მეხსიერებაში, მას არ არქმევენ ახალდაბადებულს, მაგრამ სემანტიკური ან ბგერობრივი მსგავსებით ნამოტივტივდება მეტსახელის სახით.

ჩემს კლასში სწავლობდა ერთი ჩემი მეგობარი, რომელსაც ფარლას ეძახდით. ბავშვობაში, ბავშვური განსჯით, ვარჩევდით ხოლმე ჩვენს მეტსახელებს. ჩვენთვის საკმარისი ინფორმაცია ყველა მეტსახელში იდო და ამით ვკმაყოფილდებოდით. ადრეც მიფიქრია და მერეც, როდესაც ჩემი საქმიანობის ნაწილად იქცა ანთროპონიმია, რატომ ერქვა ჩემს კლასელს ფარლა? ამ სახელით მას ჩვენს წრეში აღარ მოვიხსენიებთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი ტრაგიკულად დაიღუპა, სახელი კი სახელად დარჩა. გამოხდა ხანი . . . სოფელ ბოგაში, ახალციხის რაიონში, დღეს ცხოვრობენ ძირითადად იმერეთიდან ჩამოსახლებულნი (იხ. ბერიძე, 2010:168:171). ბოგის ტერიტორიაზე არის ამალლების ეკლესია, სადაც კლდეელები (კლდეელები) და ბოგელები ერთად ლოცულობენ. სოფელ ბოგის ამალლების ეკლესიაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და გამოვლინდა დარბაზული ეკლესია 2003 წელს. აღმოჩნდა ქვაზე და კერამიკაზე ამოკვეთილი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც გამოსცა პროფესორმა ვ. სილოგავამ. ერთ-ერთი წარწერა მოსახსენებელია, რომელსაც გამომცემელმა ფარლას მოსახსენებელი უწოდა. წარწერა მე-10 საუკუნისაა (სილოგავა, 2006:280). წარწერას ასე კითხულობს ვ. სილოგავა: "ქ(რისტე), განუს(უ)ენე ს(უ)ლ(სა) ფ(ა)რლ(ა)ს(ა)" იგი წერს: "ანთროპონიმი, რომლის ფუძეა ფრლ, უცნობია, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში დაქორაგმებულად მიიჩნევა ანები, ამიტომ, როგორც ჩანს, იგი უნდა გაიხსნას როგორც ფ(ა)რლ(ა), რაც მიცემით ბრუნვაში, რასაც კონტექსტი მოითხოვს, მოგვცემს ფარლასა ან ფ|ა|რლ(ასა)(მსა) (სილოგავა, 2006:281)". არ ვიცი, რატომ ერქვათ მე-10 საუკუნელ ქართველსა და ჩემს მეგობარს ერთი და იგივე სახელი, მაგრამ ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის მეტსახელი საკმაოდ ძველი ჩანს. სახელის ფუძეა ფარლ-, რომელიც შეიძლება დავადასტუროთ ფარლილის სახით თუმურში: "ასხმულა, აკიდო სხვადასხვა

ჩირისა (ლლონტი, 1984:536)". სულხან-საბა ორბელიანთან ფარული მარ-
გალიტის ყელსაბამია (ორბელიანი, 1966:185). ამ ორ სიტყვას შორის არის
როგორც სემანტიკური, ისე ფორმობრივი კავშირი.



ფსქ თუ აბასაანთ უმანი?

ადგილის სახელში მთელი ჩვენი ისტორიაა ასახული. ტოპონიმია დედამიწის ენააო – უთქვამთ. მესხეთი მდიდარია უძველესი სახელე-
ბით. მათი ასაკი ათასწლეულობით იზომება. ხშირად შემოდის ენაში
სხვა ენიდან სიტყვა, შემდეგ კი ისე გაითავისებს ქართული ამ სიტ-
ყვას, რომ საკუთარიდან აღარც კი გაარჩევს, ამიტომაც არ ებრძვიან
ქართველები უცხოენოვან სახელებს, არ მიდის მათი მასიური გადარ-
ქმევა. ესეც ტოლერანტობის ერთი ნიშანია. ტოპონიმისტები შეთან-
ხმებულები არიან – მისაღებია ნებისმიერი სახელი, რომელიც ადამი-
ანს უწოდებია ამა თუ იმ ადგილისათვის, ოღონდ მასში, თუნდაც რო-
მელიმე ენისათვის, უხერხული შინაარსი არ უნდა იკითხებოდეს.

ოცხის ხეობას რომ შეუყვება ადამიანი, შუძლებელია გულგრილი
დარჩეს იმ სილამაზის მიმართ, ტყეს, მთებს და ხევ-ლეღებს რომ შე-
უქმნია. აქედან გადადის ზეკარით გზა იმერეთში, აქედან აღიზარ ყა-
ნობილის მთაზე ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, მანამდე კი გაიე-
ლი **კურორტ აბასთუმანს**. საიდან გაჩნდა ეს სახელი? როდინდელია,
ვინ დაარქვა? – ხშირად მსმენია ხოლმე ეს კითხვები როგორც აბას-
თუმნელებისაგან, ისე უცხოთაგან.

2002 წელს ობსერვატორიის დარბაზში ყარსის კავკასიის უნი-
ვერსიტეტისა და თსუ მესხეთს ფილიალის ერთობლივი სამეცნიერო
სიმპოზიუმი ტარდებოდა. ორმოცდაათამდე თურქი მეცნიერი იყო ჩა-
მოსული. ისინი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ჩვენი ბუნების მი-
მართ, ოღონდ ერთგვარ ირონიას იწვევდა სახელი. ასეთ ლამაზ ადგილს
რატომ ჰქვია ეს სახელიო.

დღეს, როდესაც გზა გაკეთდა და საგზაო ტრაფარეტები დაიდგა
გვერდიგვერდ მოხვდა "აბასთუმანი" და "კურ.აბასთუმანი". "კურ" აქ
კურორტის ნიშნავს, თუმცა მათ შორის არის კიდევ ერთი ძველთაძვე-
ლი სოფელი, რომელსაც **სალრძე** ჰქვია. სალრძეს და აბასთუმანს ერთი
ხევი ჰყოფს. კურორტი აბასთუმანი შეიქმნა მე-19 საუკუნეში, მას შემ-
დეგ, რაც აქ ცხელი წყლის გამოყენება დაიწყო და ამ ადგილით დაინ-
ტერესდა რუსეთის საიმპერატორო კარი. შორს ნაგვიყვანს იმაზე საუ-
ბარი თუ რა მნიშვნელობა შეიძინა ამ ადგილმა მას შემდეგ და როგო-
რი პოპულარული გახდა, სახელი კი იქვე სოფლიდან გადმოიტანეს.



ასეთი რამეც ხდება. ერთ დროს დღევანდელი კურორტის ადგილზე იყო უძველესი ციხე-ქალაქი **ოცხე**, რომელიც ჩვენს მატრიანეში დგას ქართველ ეთნარქთა რიგში, კერძოდ ლეონტი მროველი ქართველთა წინაპრების მოხსენიებისას **თარგამოსის, ქართლოსის, მცხეთოსის, ეგროსის და ჯავახოსის** გვერდით აყენებს **ოძრაბოსს**. აი, ამ **ოძრაბოსის** გამო ეწოდა მას **ოძრხე**, რომელმაც შემდეგ მოგვცა ფონეტიკური ვარიანტი **ოცხე**. **ოცხის** ციხე დღესაც დასაცქერის კურორტს თავზე. მე-16 საუკუნეში ამ ციხის გარშემო იყო **ოცხის ციხის რაბათი** ანუ დასახლება, შემდეგ უკულმა დატრიალდა ჩარხი და გაუკაცრიელდა ციხეც და მისი დასახლებაც, გაქრა ათასწლეულების ისტორიის მქონე სახელი **ოცხე**, მაგრამ ხალხმა მდინარის სახელში მაინც შემოგვინახა იგი. **ოცხურა** ანუ **ოცხის წყალი** მიუთითებს იმაზე, რომ ამ სახელის დასახლებული პუნქტის გამო მომხდარა მდინარის სახელდება. ქალაქი **ოცხე (ოძრხე)** დიდი ყოფილა და მას რამდენიმე უბანი ჰქონია, მათ შორის მე-16 საუკუნეში ფიქსირდება **კურდღელაანთ უბანი** და **აბასაანთ უბანი**. ამგვარად, **ოცხეს** შეერქვა თავისი უბნის სახელი. **აბასაანთ უბანი** იქცა **აბასთუმნად**. ეს ეტიმოლოგია ცნობილია დიდი ხანია და ის ს. ჯიქიას ეკუთვნის. ასევე **ოძრხე**, **ოცხის** ლოკალიზაცია ს. ჯიქიას შემდეგ მოგვცა ი. მაისურაძემ.

მე-19 საუკუნეში, როდესაც არქმევდნენ კურორტს სახელს, ნაკლებად აინტერესებდათ ქართული ისტორიული ტრადიცია. დღეს ყველაფერი სხვაგვარად დგას. საქართველომ თავისი განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად აირჩია ტურიზმი. დაწყებულია კურორტის რეკონსტრუქცია, განვითარება. **კარგი იქნება თუ დავაბრუნებთ მის ნამდვილ ისტორიულ სახელს – ოცხეს**. ამით გავაცოცხლებთ ისტორიას და თან თავიდან ავიცილებთ სახელის დუბლირებას. აღარ დაგვჭირდება გამიჯვნა – სოფელი **აბასთუმანი** და **კურორტი აბასთუმანი**. ტურისტულ ბუკლეტებსა და რუკებზე გაჩნდება ახალი სახელი, რომელიც ზოგი აზრით, სამცხის ფონეტიკური ვარიანტია. სათანადო რეკლამით ძალიან ადვილად და მალე შემოვა **ოცხე** საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ახლა კი ორიოდე სიტყვით, თუ რაზე ქირქილებდნენ სიმპოზიუმის თურქი სტუმრები: აქამდე ჩვენთან სტუმრები ძირითადად ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ ხოლმე, ამიტომ **აბასთუმნის** ხალხური ეტიმოლოგია არ სცილდებოდა **აბაზსა** და **თუმნიანს**, დღეს გააქტიურებულია ჩვენი დასავლელი მეზობელი თურქეთი. მისთვის **აბასთუმანი ნიშნავს** არც მეტი არც ნაკლები **აბაზის ნიფხავს**. ეს კი უეჭველად ხდება ლიმილისა და ირონიის საფუძველი. ტურიზმის მომავალ მესვეურებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ კურორტის რეკლამირებისას თურქულ არეალში.

ჯავახეთის მცვეატი თუ ფარავანი?



არის სახელები მესხეთში, რომელთაც განსაკუთრებული შოფერება და მოფრთხილება სჭირდება. მათთან არის დაკავშირებული ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის, ყოფის, ენის, კულტურის, ფოლკლორის ბევრი დეტალი. ასეთი სახელი ბევრია ჩვენს გარემოში. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი და აურა აქვს. სამცხე-ჯავახეთი გამორჩეულია ტბებითა და მდინარეებით, ხევ-ღელეულებით, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებული როლისა და ისტორიისა არის. ესენია: **მტკვარი** და **ფარავანი**. ერთი – დედამდინარეა საქართველოსი და მეორე – უდიდესი ტბა ჩვენი ქვეყნისა. დღეს ვარძიისკენ მიმავალ გზაზე არ შეიძლება იმედი არ ჩაგვსახოს – ეღირსება გზა ბოლოს და ბოლოს ასპინძასა და ვარძიას! გზის კეთება კარგი ტემპით მიდის, ამიტომ თუ მშვიდობაც იქნა, დარწმუნებული ვარ, შინაური და გარეული სტუმარი არ მოგვაკლდება. ცოტა ხნის წინ ხერთვისთან თანამედროვე ტრაფარეტი ენაზე და გამეხარდა. რამდენიმე წლის წინ "ხერთვისის ციხე" ხომ ქართულად და ინგლისურად ჩემი ხელით დავანერე და დავდგი. მაშინ ენატრობდი, დამდგარიყო დრო, როცა ყველა ძეგლს, ყველა მდინარეს, ლირსშესანიშნაობას შესაბამისი წარწერა ექნებოდა. ასე ხომ დღევანდლობაში იცოცხლებდა წარსული. . . და აი, ნატვრის ღსრულებად მივიჩინე ტრაფარეტი ხერთვისში მდინარის პირას. წარწერა გვამცნობს, რომ ეს მდინარე არის **ფარავანი**.

ჯერ ხერთვისის შესახებ ვიტყვი ორიოდ სიტყვას: ხერთვისი დღეს მხოლოდ ადგილის სახელადაა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის არის ერთ-ერთი ისტორიული და ძველი ლექსიკური ერთეული. იყო დრო, როდესაც ხერთვისი ნიშნავდა კუნძულსა და ნახევარკუნძულს, როგორც ამის შესახებ ძველი ქართული ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითა ა. შანიძემ. კუნძულსა და ნახევარკუნძულის ერთი სიტყვით აღნიშვნა მხოლოდ ძველ ქართულს არ ახასიათებდა. ასეა სხვა ბევრ ენაშიც, კერძოდ: არაბულში, ბერძნულში, თურქულში. ხერთვისი ნახევარკუნძულის მნიშვნელობით, ე. ი. ისეთი ადგილის აღმნიშვნელად, რომელსაც ხმელეთთანაც აქვს კავშირი და გარშემო წყალი უფლის, თვალსაჩინოდ არის გამოხატული ჩვენს შემთხვევაში. ხერთვისთან ორი მდინარე ერთვის და ამ შესართავის კონცხზე არის დასახლება თავისი ციტადელით. რა მდინარეები ერთვის ხერთვისში ერთმანეთს? ერთი სადაო არ არის, ვარძიიდან მომდინარე წყალი არის მტკვარი. ვახუშტი ბატონიშვილი მტკვრის შესახებ წერს: " ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი, უდიდესნი მტკუარი და ჭოროხი, რამეთუ მტკუარს მოერთვიან ყოველი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტაანისანი . . . და მდინარე ესე მტკუარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას . . . და მუნიდამ

მიდის სამხრეთიდან ჩრდილოეთად, ვიდრე ახალციხის წყლის შესართავამდე, მერმე მუნიციპალიტეტის დაბრუნების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდან აღმოსავლეთად ჭობისხევადამდე". მტკვარი, როგორც უმთავრესი მდინარე საქართველოსი, ბევრ ისტორიულ ფაქტს განაპირობებდა. ბევრი საისტორიო წყარო უმთავრეს ორიენტირად სწორედ მტკვარს მიიჩნევდა; ამიტომ საქართველოში ისტორიულ კუთხეთა საზღვარი ან გადიოდა მტკვარზე ან მიემართებოდა მას სხვადასხვა მხრიდან. საამისოდ ბევრი მასალის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჟერად თავს შევიკავებ. ერთი კი ხაზგასასმელია, რომ მტკვარი ჩვენი ისტორიაა, ცხოვრებაა. შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა საქართველო დედამდინარის გარეშე. ამასთანავე მტკვარი კავკასიის უდიდესი მდინარეა და ბუნებრივია, რომ მეზობელ ხალხთა ისტორიამიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მტკვარს სხვა და სხვა ხალხი სხვა და სხვა სახელს უწოდებს. "მტკვარი" – ამ სახელით აღინიშნება საქართველოში ორი მდინარე – ჯავახეთის მტკვარი და მტკვარი ანუ არტაანის მტკვარი. ჯავახეთის მტკვარი ეწოდება მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ფარავნის ტბიდან, ოფრო სწორად, სალამოს ტბიდან და უერთდება მტკვარს ხერთვისთან. კვლავ ვახუშტი ბატონიშვილს მოვუსმინოთ: "ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფარავნის ტბას და მოერთვის სალამოს ტბას, კულად გამოსდის სალამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადაჩრდილოთ დასავლეთს შორის, სიგრძით არის სალამოს ტბიდან ხერთვისამდე და დის ფრიად ღრმასა და კლდიანს ხრამსა შინა". ჯავახეთის მტკვარი ამ მდინარეს იმიტომ ეწოდება, რომ გასდევს ჯავახეთს აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე. ამასთანავე ამ მდინარეს ჰქვია ახალქალაქის წყალი, რადგან მთელ სიგრძეზე იმ 81 კილომეტრის მანძილზე, სადაც მდინარე გადის, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი არის ახალქალაქი. ჯავახეთის მტკვარს ბევრი სხვა სახელიც აქვს. ძველი რუსული რუკების მიხედვით მას ფარავანს ან ფარავნის წყალს იმიტომ უწოდებენ, რომ სათავეს ფარავნის ტბიდან იღებს. შეიძლება შეგვხვდეს ახალქალაქიჩაი, რაც ქართული ახალქალაქის წყლის თურქული თარგმანია და დამახინჯებული "мапараван" ფორმა. ნებისმიერ ზემოთჩამოთვლილი სახელები შეიძლება იქცეს მდინარის ზოგად სახელად სხვადასხვა დროს. საილუსტრაციოდ საინტერესოა ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული რუკის მონაცემება, სადაც ამ მდინარეს სათავედან შესართავამდე აწერია ორჯერ ჯავახეთის მტკვარი და თითოჯერ: ფარავანი, ფარავნის წყალი და ახალქალაქის წყალი.

ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მისაღები და დასამკვიდრებელი ფორმა? ჰიდრონიმის (მდინარის, წყაროს, ლელის, ხევის, ტბის) სახელთა დამკვიდრების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ მას ახასიათებს მრავალსახელიანობა, სხვადასხვა დროს "ზეობს" სხვადასხვა

სახელი. დღეს, როდესაც სოციალურ, ეკონომიკურ, საორიენტაციო პრობლემებს გარდა ხდება ამა თუ იმ სახელის დამკვიდრება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ფაქტორებს. ხერთვისი არის სასაზღვრო პუნქტი სამცხესა და ჯავახეთის შორის. თუ ახალქალაქის ან ფარავნის (თავფარავნის) წყალს დავარქმევთ, ხაზს გაეუსვამთ მდინარის მიმართებას ახალქალაქთან და ფარავანთან, რაც ბევრად ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე ჯავახეთი. თუ ვუნოდებთ მას ჯავახეთის მტკვარს, ალვადგენთ ისტორიულ სახელსაც, მივანიშნებთ საზღვარს და მიმართულებას ჯავახეთისას, შინაარსს შეიძენს თავად სახელი "მტკვარი", რომელიც უძველესი პიდრონიმული ტერმინია და წყალს ნიშნავს. ყველაზე ცუდი ვარიანტია, როდესაც მდინარეს ვუნოდეთ ფარავანი. მტკვარი, მდინარეები საერთოდ, ქმნიან ხეობებს, რომელშიც უძველესი დროიდან ცხოვრობს მოსახლეობა. მტკვარი რწყავდა მის გარშემო ტერასებს, მას იყენებდნენ სასმელად. მტკვრის თევზის ნაირსახეობა მებადურობის განვითარების საფუძველი იყო. ეს ხეობები ქმნიდნენ სამეურნეო სისტემებს და მიკროქეცენებს, რომლებიც ხშირად ეთნიკური წარმონაქმნის საფუძველი ხდებოდნენ. სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნა ჯავახეთის ზეგანზე, სადაც მიკროქეცენების წარმოქმნა ხდებოდა არა ხეობების მიხედვით, არამედ ტბათა გარშემო დასახლებით. ფარავნის ტბა (თავფარავანი) თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობდა ოდითგან. მიუხედავად ამისა, ტბა თავისი ფართობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქმნიდა საკუთრივ ფარავნის რაიონს. "გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. . . ამიტომ აქ მცირე ქვეყნები "ხევობით" არ გამოიყოფა, სამაგიეროდ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთაგორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკროქეცენებს. ძირითადი ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება (დ. ბერძენიშვილი)". ფარავნის ტბის გარშემო სოფელთა შორის გამორჩეულად დანიშნურებული იყო სოფელი თავფარავანი. თავი, ამ შემთხვევაში, ნიშნავს მეთაურ, ცენტრალურ, მთავარ სოფელს. ფარავნის ტბიდან მიიღო სოფელმა სახელი, რომელიც შემდეგ ისევ ტბას დაუბრუნდა. ასე მივიღეთ ტბის სახელი თავფარავანი და ლამაზი ბალადა თავფარავნელ ქაბუკზე. ამ ყველაფერს ვკარგავთ თუ ჩვენ ჯავახეთის მტკვარს ვუნოდებთ ფარავანს, როგორც ეს ტრაფარეტის მიხედვით უკვე "ნაწოდებია". ფარავანი არის ტბა თავისი გარემოებით, ისტორიით და დღევანდელიობით. ლეონტი მროველი ამბობს ჯავახეთის შესახებ; "ხოლო ჯავახოს მისცა ფანავრითგან, ვიდრე თავადმდე მტკურისა", ხოლო ვუანშერი მესხეთის საზღვარს შემოფარგლავს: "ფარავნითგან და ტასისკა"

რისგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა." ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, რომ ხერთვისთან შეერთებული ორი მტკვრიდან ერთი არის **ჯავახეთის მტკვარი** და არა ფარავანი. თანამედროვე პირობებში, როდესაც იდგმება ტრაფარეტები, გამოიცემა ტურისტული ბუკლეტები, რაიონული და რესპუბლიკური ადმინისტრაციული და ტერიტორიული ცნობარები, ძნელი არ არის იმ სახელთა დამკვიდრება, რომლებიც ზუსტად ასახავენ წარსულსა და თანამედროვეობას, გამოხატავენ ეროვნულ-ინტერესებს.

2009 წელი.

აშენდება მინაძის წყალსაცავი?

ახლებური აზროვნება, გარდაქმნის მოთხოვნები ყველას და ყველაფერს მისწვდა. **მერაბ ბერიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი, მინაძის წყალსაცავის ანუ ახალციხისკომპლექსური ჰიდროკვანძის აშენების წინააღმდეგია. იგი ამ მხარეში დაბადებულა, გაზრდილა და, ცხადია, მშობლიური კუთხის ბუნება, მრავალი საგულისხმო ფაქტი თუ მოვლენა კარგად უწყის, ბევრიც საგულდაგულოდ შეუსწავლია. რედაქციაში შემოსულ ამ პრობლემურ წერილს ყურადღებით გაეცნენ თბილჰიდროპროექტის, **მინაძის წყალსაცავის** დამპროექტებელი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები, ხოლო დირექტორმა **ანზორ ჭითანავამ** საპასუხო წერილიც შემოგვთავაზა. მოდით გულისყურით წაევიკითხოთ ერთიც, მეორეც და ჭეშმარიტებაც ამის კვალობაზე განვჭვრიტოთ.

ათასგვარი სტიქიური უბედურება დატყდომია თავს საქართველოს. ბევრისთვის გაუძლია და გადაუტანია ჩვენს ხალხს. რაც უფრო შეუჭირვებივართ ბუნებას, მით უფრო მეტი ცოდნა-გამოცდილება დაგვრჩენია შუდეგად. თურმე, მარტოოდენ მტრისგან თავდაცვის მიზნით როდი ყოფილა აგებული სვანური კოშკები! აჭარაში (ზვავასაშიმ ადგილებში) გაშენებულ საფარს წმიდათანმიდა ტყედ მიიჩნევენ და იქ ხის მოჭრა დიდ ცოდვად ითვლება. ასეც რომ არ იყოს, თავად გაჩეხილი ტყე არ გვაპატიებს ერთ დროს. . . ქართველი კაცი შეჰგუებია, შენამებია თავის ბუნებას. საქართველოს ყველა კუთხეს ცხოვრების და არსებობის თავისებური წესი დაუმკვიდრებია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი პირობებით არის განპირობებული. ხშირად გვიყვარს თქმა, **უხუცესთაც კი არ ახსოვთ ასეთი რამ**, ეს რა ღვთის წყრომია, რა უბედურება დაგვატყდა თავსო! უხუცესი, ალბათ, საუკუნეს მიტანებული ან გადაცილებული თუ იქნება, და ჩვენც მათ ხსოვნასლა ვიმონებთ. გვჭირდება კი მათი დამონება, როცა ეს პერიოდი ჟურნალ-გაზეთებშიც კია ასახული? რა არის სა-

უკინე ისტორიისათვის?!. . . თუნდაც თაობის ხსოვნაში ზეავი არ ნამოსულიყოს, გონიერი კაცი სახლს არ დაიდგამდა საზვევეზე. არც საეკლესიო გულსა და დაბლობ ადგილს მოაცდენდა სასახლეკარედ. საძირკველის გაგორისას, ვიდრე პიტალოს არ ჩაალწედა, არა და არ მოეშვებოდა! ჩვენ კი . . . რატომღაც ყველაფერი გავიადვილეთ და აკი ხშირადაც ვისჯებით. უბედურებას ნიშნი როგორ უნდა მოუგო, მაგრამ სიმართლეს სად წაუხვალ? რამდენი ცოდვა გამოგვიმელავნა წლევანდელმა მკაცრმა ზამთარმა! მოგვიშალა მთელი სასიცოცხლო ორგანიზმი. სტიქია მთელ ზამთარს გაჰყვა, გაჰყვა და გაიზარდა საშიშროება. "წყალნი ნაულენ და ნამოულენ". . . თურმე ეგრე ადვილად არ მიდის წყალი – დიდთოვლობით დატრიალებული უბედურება ღვარცოფმა გაგვიორმაგა!

სტიქიამ ბევრი რამ დააყენა ეჭვქვეშ. დაიწყო დიდი წყალსაცავების დაცლა. ითქვა, რომ ძალიან დიდი ნალექია მოსალოდნელი და მოვარდნილი ღვარცოფი ახალი გამოცდის წინაშე დააყენებს ჰიდროელექტროსადგურებს, მაგრამ ჩვენ მაინც მზად ვართო! სამწუხაროდ ასე არ აღმოჩნდა. ეს – წლეულს. . . ვიცით კი, როგორი ამინდი იქნება გაისათ?

ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს ასპინძის რაიონული ცენტრის აზომვა არა პერსპექტიული გეგმისათვის, არამედ იმის განსასაზღვრად, თუ სად "დაარტყამს" წყალსაცავის სანაპირო ტალღა. ლაპარაკია სოფელ მინაძის წყალსაცავზე, რომელიც თავისი სავარაუდო მასშტაბით ერთობ სოლიდური ჩანს. მისი კაშხალი სოფლის სიახლოვეს აღიმართება მტკვრისა და ურავლის წყლის შესართავთან. დაზვერვითი სამუშაოები დამთავრდა და, ალბათ, მშენებლობასაც შეუდგებიან. წინასწარი მონაცემებით, წყალსაცავის სიგრძე 25 კილომეტრია. ეს მხოლოდ მტკვრის ხეობაში, ურავლის მიდამოებში კი ალბათ – 10-12 კილომეტრი. წყალი დაფარავს ყოველს და მათ შორის რუსთაველის სამშობლოს – რუსთავს (მოდით, ამჯერად ნუ ვიდავებთ, რომელი რუსთავიდან იყო მოთა!), გამორიცხულია რაიმე დამატებითი ნაგებობა, რადგან სხვაობა რუსთავსა და ასპინძას შორის ზღვის დონიდან დაახლოებით 50 მეტრია. 50 მეტრიანი ახალი კაშხალი – ერთი ციდა სოფლის გადასარჩენად?!

დაიფარება რაიონული ცენტრის დიდი ნაწილიც. მტკვრის ხეობა სწორედ ამ ადგილებშია მიმზიდველი – მდინარის მარჯვენა ნაპირს კლდეთა პირველქმნილი ველური სილამაზე დაჰყურებს, მარცხენა ნაპირის ციცაბო ფერდობები კი ჭობარეთ-ურავლის ფოთლოვან ტყეს დაუფარავს. განა შეიძლება ამ ლანდშაფტის მოსპობა? მით უმეტეს, რომ ტყით მაინც და მაინც ვერ დაიკეხხნის ეს ხეობა?! როგორც სარწმუნო საინფორმაციო წყაროებიდან ვგებულობთ, საერთაშორისო მასშტაბით უარყოფილია დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა გარემოზე მათი უარყოფითი ზემოქმედების გამო. ჩვენ შევეჩვიეთ აზრს, რომ ძეგლი მხოლოდ კულტურის ძეგლია და ყურადღებაც ძირითადად იმა-

ზე გვაქვს გამახვილებული, რომ წყალქვეშ არ მოექცეს ადამიანის ხელით შექმნილი ისტორიული ღირებულებანი. ბუნება კი უპირველესი ძეგლია. მტკვრის 25 კილომეტრიანი ხეობა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, სამცხის ის ორგანული ნაწილია, რომლის დატბორვა ერთობ გააუფერულებს ამ კუთხეს და მეტი რომ არა ვთქვათ, კატასტროფული იქნება ეს სახეცვლილება. წარმოვიდგინოთ შავი ზღვის სანაპირო ზოლი უწყლოდ, ასევე შეუსაბამო იქნება მესხეთის დატბორილი ხეობაც. აქვე დავიმონშებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, "ადამიანის და ბიოსფეროს" ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ გივი თუმანიშვილის კომპეტენტურ აზრს: "საქართველო ვინრო ხევების სისტემაა და ცალკეული ნაწილის განადგურება ძალზე საზიანოა. კლიმატოლოგები ვარაუდობენ, რომ ტყის გაჩეხვამ ჟინვალის წყალსაცავისათვის ტენიანობა გაზარდა. ეგებ ამიტომაც გახშირდა დიდთოვლობა ("ლიტერატურული საქართველო", 1987 წ., 12 ივნისი). ესეც რომ არ იყოს, მდინარის მთელი ეკოლოგიური სისტემა ხომ დაირღვევა თავისი შენაკადებით, ბორცვებითა და ხევ-ღელეებით, დაიტბორება მტკვრისა და ურავლის ხეობები. ისიც უდავოა, რომ ამხელა წყალსაცავი უეჭველად შეცვლის ადგილობრივ კლიმატს. საშიშროება შეექმნება ვარძიას. მომავალ თაობებს გაუჩნდებათ თავსატეხი - როგორ გაამაგრონ ტენიანობისაგან დაშლის პირას მისული ქანები. რატომ არ გვახსოვს მესხეთის ბუნების გრიგოლ ხანძთელისეული დახასიათება? "ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაი . . . და კეთილად შეზავებული მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხეა შესწუავს მათ და არც გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა, არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოი, უხორშაკოი, უმინოი მზვარეი . . . ხოლო წყალი კეთილი და შეშია ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა. ურიცხვი მალნარი და სიმრავლე წყალთა მათ ჰამოთაი, ბუნებით მზიარულება მიცემულ არს ღმრთისაგან".

ბარემ ერთ გამქრალ სიმდიდრეზეც აქვე მივუთითებთ: დღევანდლამდე მოაღწია ჯავახურმა დარბაზებმა, რომელთაც ადგილობრივ ტყეში მოჭრილი დედაბოძები აქვთ. ოსმალებმა მე-16 საუკუნის ბოლოს აღწერეს გურჯისტანის ვილაიეთად წოდებული მესხეთი და მის ერთ ნაწილს ტყიანი ჯავახეთი უწოდეს. აი, რას ლაღადებს XI-XII საუკუნის წარწერა სამსარში: "სახელითა ღვთისაითა, წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, ესე წმიდაი ეკლესიაი ოდეს აშენდა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდა". დღევანდელი ჯავახეთი უტყეო, ლამის ალპური ზონაა. ძნელად თუ გაახარებ ხეს. გაიჩეხა ტყე, შეიცვალა კლიმატიც. ბუნება სამაგიეროს გვიხდის. ერთხელ ნახდენილის აღდგენა შეუძლებელი ხდება.

ლობითის ბალებში, მტკვრის მარცხენა ნაპირთან ხლოს, გადახურულ კედლებს დაინახავთ. ეს "სახლი" ზველელი გლრხაკაცის აშენებუ-

ლია, აგერ, ჩვენს დროში. ამშენებელს შიგ შესვლაც ვერ მოუსწრია, ისე დაცურებულა მინა მთელი ეს მიდამო ლობიეთ-ქორეთიდან და ნასოფლარ პატრაშენიდან სოფელ იდუმლამდე ფლატეა. გაზაფხულობით მტკვარი მოდიდებდა თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ ნთქავს ნაპირს, მინა ირღვევა. თუ აქაურობა დაიბზორა, მთელი ნიადაგი მოცურდება, და ვინ იცის, რა პრობლემად ექცევა წყალსაცავს. სეისმურადაც რთულია სამხრეთ საქართველო. მართალია, ზვავები იშვიათია, მაგრამ, სამაგიეროდ ძლიერი მიწისძვრები იცის. გასული წლის მაისის მიწისძვრებმა შეგვახსენა, რომ თვითდამშვიდება არ შეიძლება. იყო ნგრევა და მსხვერპლიც. შარშანაც ხომ ითქვა, უზუცესთ არ ახსოვთ ასეთი რამო! ისტორიას კი 1089 წლის მიწისძვრაც ახსოვს, როცა დაინგრა ვანის ქვაბები, 1283 წელს კი ვარძიის დიდი ნაწილიც დაიქცა. ახლა ჟამთააღმწერელსაც მოვუსმინოთ: "დიდსა ოთხშაბათს შეიძრა მძაფრად ქუეყანა. . . კულადა ზუთშაბათს მცირედ შეიძრა. . . და ვითარ მოიწია შაბათი . . . ესოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა სიმრავლისათვის უსამართლოებათა ჩუენთასა, რამეთუ საფუძვლითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დააქციეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოხრდეს, მთანი და ბორცუნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალნეს და მინა განიპო, და შავი წყალი მსგავსად კუპრისა აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდენ ძრვასა ქუეყანისასა. . . სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქნა გლოვა და ტირილი უზომო". ბევრ მიწისძვრაზე დუმან მემატიაწენი, მაგრამ ხალხის ხსოვნამ შემოინახა ლექსისა თუ სიმღერის სახით. ერთ მესხურ სიმღერაში ნათქვამია:

"უნწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ

ჟამნი არასდროს იწირვის,

არცარა ვერცხლის კლანჭითა

არწივი არ დაიჭირვის. ". . . რამ გამოიწვია ამგვარი ჟამი უწირველი? - მიწისძვრამ!

. . ." დიდება და მადლი ღმერთსა,

შდგჯერ იძრა დედამინა. ". . . (ვ. მალრაძე, ქართული (მესხური)

სიმღერები, გვ. 177). როდის განმეორდება ასეთი რამ, არავინ იცის. არადა. . . ჟამთააღმწერელი ისეთ ნგრევას ხატავს, უარესი წარმოუდგენელია. მინა უღრმესად დახეთქილა და კუპრივით წყალი ამოვარდნილა, მთანი და კლდენი დაქცეულა, კაცის ხელით აგებულს ხომ ვეღარაფერს გაუძლია. აღდგომა დღეს მომხდარა ეს უბედურება, ესე იგი, გაზაფხულზე. ადვილი შესაძლებელია, მიწისძვრას წყალდიდობაც დართვოდა თან. აი, ასეთ გარემოში იგეგმება დიდი კაშხალი, წყალსაცავი. . . საქართველოს დედამდინარეზე. დედამდინარე კი იმიტომ პქვია მტკვარს, რომ მირაშხნიდან მინგეჩაურამდე გასდევს საქართველოს. მისი მოდიდებაც გვახსოვს არაერთგზის. თუ ასპინძის ბრძოლის

დროს ადიდებელმა მტკვარმა ფრიად სასიკეთო როლი შეასრულა ქართველთა სასარგებლოდ, ორი საუკუნის შემდეგ, 1968 წელს სხვაგვარად დაგვახსომა თავი. . . ახლა დიდი წყალსაცავი მტკვრის სათავეში?!

როგორც ჩანს, იქმნება პროექტი და მერე ხდება მისი გეოლოგიური, ისტორიული, არქეოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა "დასაბუთება". წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხებოდა წყალსაცავი ასპინძასა და ახალციხეს შორის. იმედია, ზემოხსენებულ დარგთა სპეციალისტები თავიანთ კომპეტენტურ აზრს გამოთქვამენ ამასთან დაკავშირებით.

1987 წელი.

მინაძის წყალსაცავი — ალტერნატივა?! .

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ის კუთხეა, რომელსაც იმ თავიდანვე ერგო განსაკუთრებული მისია ქართველი ერის ისტორიაში და ეს რეგიონი დღესაც გამორჩეულია თავისი წარსულით — ჩვენი ისტორიის უტყვი თუ მეტყველი ძეგლებით, ყოველ ნაბიჯზე ასე უხვად რომ მომობნეულა ამ მრავლისმომსწრე მინაზე. ამ კუთხის ჭირი თუ ლხინი ნიჟადაც საზიარო იყო სრულიად საქართველოსთვის და დღესაც ასეა. მინაძე . . . სამცხის ეს ისტორიული სოფელი ერთობ პოპულარული გახდა ამ ბოლო დროს და ეს დაინტერესება, არც მეტი არც ნაკლები, წყალსაცავის მშენებლობის იდეამ გამოიწვია. არც "კომუნისტი" განდგომია საზოგადოებრივ აზრს.

შკითხველთ დღემდე აბსოვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მერაბ ბერიძისა და ინსტიტუტ "ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილების დირექტორის ანზორ ჭითანავას წერილები, რომლებიც გვერდიგვერდ დაიბეჭდა "კომუნისტის" შარშანდელი 12 აგვისტოს ნომერში. პირველმა ავტორმა წერილის სათაურშივე იკითხა: "აშენდება მინაძის წყალსაცავი?" და მეორე მაც სათაურითვე უპასუხა: "დიახ, უნდა აშენდეს!" თითქმის მთელი წელი გამოხდა ამ პუბლიკაციიდან, მაგრამ საზოგადოებას კიდევაც ალელეებს კითხვა შენდება თუ არა წყალსაცავი? რედაქციამ არაერთი გამომხაურება მიიღო ამ საჭირობოროტო საკითხთან დაკავშირებით. ნაწილს აქვე გთავაზობთ მცირეოდენი შემცირებებით, ხოლო მრგვალ მაგიდასთან საუბარს, რომელშიც დასახელებულ ავტორთა გარდა, "საქწყალპროექტის" დირექტორი გეიძარ ფალავანდიშვილიც მონაწილეობს. ჩვენი კორესპოდენტი წარმართავს.

გაზეთი "კომუნისტი", 1988 წლის 27 ივლისი

კორესპოდენტი: — დავინყოთ "ტრადიციული კითხვით, შენდება, კია წყალსაცავი, თუ . . . სულხან-საბას "სოფლის მაშენებელთა" არ იყოს? ..

ა. ჭითანავა: – მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ. . . და მაინც ეს კითხვა უდროოდ მიმაჩნია, მაგრამ არამც და არამც – უსაფუძვლოდ! უდროოდ იმიტომ, რომ დღეს დღეისობით (და ალბათ უახლოეს მომავალშიც) მშენებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!

კორესპოდენტი: – როგორ? მოგვიტყვეთ და ხომ არ გავინყდებით თქვენზე წერილის კატეგორიული სათაური?

ა. ჭითანავა: – ადრინდელ შეხედულებას არ ვიცვლი, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს ამ ობიექტის მშენებლობის აუცილებლობის დამასაბუთებელი, დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაცია, უფრო მეტიც, მისი შედგენაც კი არ მიმდინარეობს. ამ ათი წლის წინათ დაწყებული პროექტირების პირველი ეტაპი (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება) 1982 წლის მიწურულს შეწყდა სათანადო სახსრების უქონლობის გამო.

კორესპოდენტი: – თანხა რომ გამონახულიყო? . .

ა. ჭითანავა: – გაგრძელდებოდა, მაგრამ უნდა დაგვესაბუთებინა, ვისთვის ან რისთვის ვაგებდით წყალსაცავს. ვისთვის – იმიტომ, რომ ობიექტი მრავალმხრივი დანიშნულებისაა და თითქმის ყველა უწყებამ უნდა განსაზღვროს თავისი შესაძლებლობანი მშენებლობის დაფინანსებისა.

კორესპოდენტი: – ნილობრივ მონაწილეობას თუ გულისხმობთ. . . მკითხველთა ერთ ნაწილსაც აღელვებს დაფინანსების ეს ფორმა. აი, რას გეკითხებიან (პირადად) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი ვაჟა ზუციშვილი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ დარისპანაშვილი: “. . . გაკვირვებას იწვევს წყალსაცავის მშენებლობის ამგვარი მეთოდი. . . განა შესაძლებელია სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე ამგვარი მოცულობის ობიექტის მშენებლობა?”. . .

ა. ჭითანავა: – მაპატიონ, ნილობრივი მონაწილეობა ხომ ძირითადად ცენტრალიზებული კაპდაბანდებაა. განა ამას არ მივიჩნევთ სრულყოფად სამეურნეო მექანიზმისა! სიკეთე თუ გსურს – წილიც უნდა გაიღო, მით უმეტეს, როცა ერთი დამკვეთი არ ჩანს! . .

კორესპოდენტი – ოპონენტები იმასაც გვახსენებენ, რომ ობიექტის მშენებლობისა და შემდეგ წყლით სარგებლობისათვის საკავშირო და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაწესებულ წყლის გადასახადს ზევით სანარმოთა თანხების ნილობრივი წესით დაფინანსებისათვის გამოყენება შეუძლებელი იქნება.

ა. ჭითანავა – მაპატიონ ოპონენტებმა, მაგრამ მათ ალბათ არ უწყინან, რომ სწორედ ნილობრივი დაფინანსებით აშენდა ჟინვალის ჰიდროკვანძი. აქ ხომ აგრომრეწველთა დადო ფული, ენერგეტიკამაც და კომუნალურმა მეურნეობამაც. რუსთავეციც ხომ ასე აიგო კაშხალი: – ფული გაიღეს სოფლის მეურნეობამ, ქიმიამ, მეტალურგიამ და კომუნალურმა



მეურნეობამ. განა ეს ნილობრივი მონანილეობა არ არის?!

კორესპოდენტი – იყო და ეს უკვე წარსულია. მაინც რა მიიღეს საზღაურად მონილადეებმა?

ა. ჭითანავა – წყალი ბატონო! მათ ძმურად გაიყვეს წამში 26 კუბური მეტრი წყალი რუსთავეში და 15 კუბური მეტრიც – ჟინვალში.

კორესპოდენტი – ვთქვად და მინაძეც ამ წესით დაფინანსდა, რა მოგეპას მოგვცემს იგი?

ა. ჭითანავა – მოგებას მიიღებს ყველა დამფინანსებელი ორგანიზაცია და მისი ნატურალური გამოხატულებაც მოხმარებული წყლის ოდენობა იქნება, ხოლო რაც შეეხება მის ენერგეტიკულ დანიშნულებას, იგი ნახევარ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც დაახლოებით 180 ათას ტონა სანავავს უდრის წელიწადში. ე.ი. მოგვცემს სანავავის ეკონომიას და, ამასთან სხვა ელსადგურთა მუშაობასაც დაარეგულირებს.

მ. ბერიძე – მაპატიეთ, ბატონო ანზორ, და ამასთან დაკავშირებით მეცა მაქვს ერთი შეკითხვა: – რესპუბლიკის ელექტროენერჯის მეტი წილი ხომ თბოელექტროსადგურებზე მოდის, მამ რაში გვჭირდება ამხელა წყალსაცავი?

ა. ჭითანავა – გვჭირდება და აი, რატომ: ამ წყალსაცავთანაა დაკავშირებული წყალმოთხოვნის დაკმაყოფილება და თვით თბილისის თბოელექტროსადგურის მუშაობის სტაბილურობაც, სახელდობრ აღნიშნული ობიექტი არ არის გარანტირებული წყალმომარაგებით და ამდენად არც ავარიისა გამორიცხული წყალნაკლულობისას.

მ. ბერიძე – კი, მაგრამ წყალსაცავის მშენებლობას დღესვე რომ შეუდგეთ, იგი ხომ, დაახლოებით, ოცი წლის შემდეგ მიაწვდის წყალს თბილისის თბოსადგურს, მანამდე?

ა. ჭითანავა – ეს ობიექტი რომ აშენდა, ჭარბად გვექონდა მტკვრის წყალი. მას შემდეგ ჩვენში ერთი ორად გაიზარდა ეკონომიკური პოტენციალი და შესაბამისად – წყალმოთხოვნაც. დღეს ეს სადგური ერთიორი მილიონი სიმძლავრით მუშაობს და თანაც მოძველებული აგრეგატებით. უკვე დაწყებულია სადგურის მოდერნიზაცია-გაფართოება, მონტაჟდება ახალი ბლოკები. სანამ ეს სამუშაოები დამთავრდება, წყალმოთხოვნის შემცირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

კორესპოდენტი – რამდენადაც ვიცით, დამპროექტებლებს წყალსაცავის მოცულობაც გაფიქრებთ...

ა. ჭითანავა – ასეა, მინაძის მიდამოებში 600 მილიონიანი დეფიციტის ტოლფასი სასარგებლო მოცულობის წყალსაცავი ნაწილობრივ სოფელ რუსთავესაც დატბორავს და ასპინძის შემოგარენსაც უწევს, წყლით დაიფარება დიდძალი სახნავ-სათესი და მოსახლეობის ნაწილიც ასაყრელი გვეყოლება ე. ი. ეს ვარიანტი მიუღებელია: რა გამოდის? უნდა მინიმუმამდე დავიყვანოთ კაშხლის ნიშნული, რათა, რაც შეიძლება,



მეტი ტერიტორია გადავარჩინოთ დატბორვას.

მ. ბერიძე – ეს არჩევანი, როგორც თქვენ ბრძანეთ, სოფლების შენარჩუნების სურვილმა განაპირობა, მაგრამ ახალი პრობლემების წინაშეც სრულად გვაყენა?! კერძოდ შეიზღუდება კაშხლის სიმაღლე (მინაძესა და სოფელ რუსთავს შორის სხვაობა ასიოდდე მეტრია ზღვის დონიდან); ძირითადად იგივე რჩება მეწყერთა საშიშროება და თუ ამას მდინარისგან ჩატანილ შლამ-ლორლსაც დავუმატებთ, იოლი მისახვედრია, რაოდენ შემცირდება წყალსაცავის მოცულობა. ამ შემთხვევაში კი დასკვნა ერთია: წყალსაცავი ვერ გაამართლებს თავის მიზანს და თქვენ მიერ დასახელებული ელსადგურებიც დაურეგულირებელი დაგვრჩება, და კიდევ, წყალსაცავის ამოვსების საშიშროებაც ხომ გაიზრდება?!

ა. ჭითანავა – გეტანხმებით, ოღონდ. . . ნაწილობრივ, მცირე მოცულობის წყალსაცავი, რა თქმა უნდა, ვერ აუფა ამ მოთხოვნებს. წყლის დეფიციტი რომ ავანახლაუროთ, მტკვარსა და მის შენაკადებზე თანდათან უნდა ავაგოთ მცირე წყალსაცავები.

მ. ბერიძე – გვაძლევთ კი იმის გარანტიას, რომ მინაძეც ისეთსავე დღეში არ აღმოჩნდება ერთ დროს, როგორშიც ზაჰესი, რიონჰესი, გუმათჰესი და სხვებია?

ა. ჭითანავა – დასახელებული ობიექტები დღეღამური რეგულირების მცირე წყალსაცავებია, მათ სხვა დანიშნულება არც პქონდათ. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი ამოივსებოდნენ.

კორუპციოდენტი – საზოგადოებისთვის ძირითადად გასაგებია მინაძის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, კერძოდ, წყალდიდობასთან გამკლავება, მტკვრის სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, მორწყვა, ენერგეტიკა და სხვა, მაგრამ იმავე საზოგადოებას წყალსაცავის გარშემო არსებულ ისტორიულ ძეგლთა ბედიც ალელვებს. ერთნი ამტკიცებენ, თუ მიკროკლიმატი შეიცვალა, ამ ძეგლებს ზავსი და ლიქენი მოედებაო და მაგალითად შაორის წყალსაცავს ასახელებენ, რომელმაც მართლაც და დიდი ზიანი მიაყენა ნიკორწმინდას. მართალია ეს ძეგლი ლესდღეისობით გაწმენდილია, მაგრამ, როგორც კი მზრუნველი ხელი მოაკლდება, კვლავ ზავსი მოედება.

ა. ჭითანავა – ნიკორწმინდის მაგალითი სინამდვილეა, სამწუხაროდ. შაორი დიდი ქვაბივითაა და მისი ანაორლთქლი ანესტიანებს ამ უნიკალურ ხუროთმოძღვრულ ძეგლს. მტკვრის ხეობაში კი თუ სპეციალისტებს ვერწმუნებით, ამის საშიშროება არ უნდა იყოს. აქ გამჭოლი ქარები იცის და ჰაერიც ნაკლებად ტენიანი იქნებაო. იმასაც გვიდასტურებენ, რომ ტენი აღმა არ გავრცელდება და ვარძიასა თუ ხერთვისს, ვანისქვაბებსა თუ წუნდას, სხვებსაც საშიშროება არ ემუქრებათო.

მ. ბერიძე – მაგრამ. . . თქვენ რატომღაც გამოგრჩათ საფარის უნიკალური კომპლექსი, რომელიც ზედ წყალსაცავთან აღმოჩნდება! და თუ ტენიანი ქარი დაღმა იქროლებს, რა დღე დაადგება მას?



ა. ქითანავა – ეს საკითხი შესასწავლია. თუ წყალსაცავი საფრთხეს შეუქმნის საფარას, იგი სათანადო მასალით უნდა დავფაროთ. თუ ასეთი მასალა არ გამოიძებნა, მაშინ უარი უნდა ვთქვათ მშენებლობაზე!

კორესპოდენტი – თქვენ სულ ორჭოფობთ – მოსაფიქრებელია, გასათვალისწინებელია, შესასწავლიაო... სწორედ ეს გაუგებრობა აბნევს საზოგადოებას.

ა. ქითანავა – ამ კითხვებს პასუხს გასცემს მხოლოდ პროექტი, რომელიც ჩვენი ვარაუდით, სამი-ოთხი მილიონი მანეთი მაინც დაჯდება. ეს თანხა კი, როგორც მოგახსენეთ, ჯერ-ჯერობით არ ჩანს. . .

მ. ბერიძე – დაპროექტებას რომ ამდენ ჯაფასა და ფულს შევალევთ, ხომ არ დაგვენანება მის განხორციელებაზე ხელის აღება?

ა. ქითანავა – დაგვენანება თუ არ დაგვენანება, ეს თანხა უნდა დაიხარჯოს, სხვაგვარად ვერ დავასაბუთებთ, ამენდეს თუ არა წყალსაცავი. უარყოფასაც დასაბუთებული პასუხი უნდა გავცეს.

გ. ფალავანდიშვილი – ამაში ამერიკელებს აქვთ ჩინებული გამოცდილება. წლობით უნდებიან დაპროექტებას, თვით მშენებლობას კი უმოკლეს დროში ამთავრებენ. უნდებიან-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ კი არ უნდებიან, ანდომებენ, რამდენადაც წინასწარ ითვალისწინებენ, ერთი შეხედვით, თვით უმნიშვნელო დეტალსაც. დროში შეფარდება დაახლოებით ასეთია: პროექტდება 10-15 წელიწადს, ამენებით კი 5 წელიწადში შენდება.

კორესპოდენტი – ბატონო გეიძარ, რით არის განპირობებული ჩვენში ამდენი წყალსაცავის მშენებლობა? საქართველო ხომ ისედაც წყალუხვია.

გ. ფალავანდიშვილი – სახლხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარება დამოკიდებულია მდინარეების რეგულირებასა და შესაბამისად წყალსაცავთა მშენებლობაზე. მტკვრის ხეობაში განსაკუთრებით კი რუსთავის კვეთში ერთობ გამწვავებულია მდგომარეობა. ამ მიდამოებში ხომ კონცენტრირებულია თბილის-რუსთავის ძირითადი სამრეწველო კომპლექსი – თბოელექტროსადგური, სარწყავი მინათმოქმედება და ასე შემდეგ. აქ წყლის არსებული საანგარიშო წლიური დეფიციტი 400-600 მილიონ კუბურ მეტრამდე მერყეობს. რა გინდ პარადოქსულად ჟღერდეს, რეალური დეფიციტი გაცილებით ნაკლებია და მდგომარეობას აუმჯობესებს წყლის არა რაციონალური გამოყენება ანუ დანაკარგები, რომელიც დაახლოებით 30-35 პროცენტს აღწევს და კვლავ მდინარეს უერთდება ხელახლა გამოსაყენებლად, აკი გამოიყენება კიდევ. ამასთან ჩვენ მთელი წლის განმავლობაში გვაქვს წყალი და საკმაო რაოდენობითაც, მაგრამ, ამასთანავე, უნდა დავიჭიროთ თადარიგი – დავაგროვოთ რეზერვი, რომელიც უსათუოდ დაგვჭირდება!

ა. ქითანავა – წყლის არარაციონალური გამოყენება, რომ მდგომარეობას აუმჯობესებდეს, ამაში არ გეთანხმებით. ე. ი. წყალაღება სჭარბობს

მოთხოვნას და დეფიციტის ადგილს ქვემოთ დაგროვებული წყალი მიმ-
ხმარებლისთვის მაინც დაკარგულია, ამიტომაცაა სსრ კავშირის ცენტრ-
ალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დაწესე-
ბული ყველა დარგისათვის მომჭირნეობის შესაბამისი დონეები.

გ. ფალავანდიშვილი - შევეცდები უფრო დავაკონკრეტო სათქმელი:
დღესდღეისობით მტკვრის აუზის თითქმის ყველა მდინარეზე (ე. ი. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში) ეკოლოგიური სიტუაციის გაუმ-
წავაებლად ერთობ გაძნელებულია ჭყალსაცავთა მშენებლობა. ათე-
ლოთ მტკვარი რუსთავის კვეთში, ხრამი - არახლოსთან, იორი - და-
ლის მთასთან, ალაზანი - საბათლოსთან. დასახელებულ მიდამოებში
შექმნილი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, იოლად დავასკვნით, რომ
ყველგან (ძირითადად ივლის-აგვისტოში) გვაკლია წყალი და მით უმე-
ტეს, პერსპექტიული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რაც შეე-
ხება შეხსენებას, რომ საქართველო ისედაც წყალუხვია, სრული ჭეშმა-
რიტებაა, მაგრამ . . . შესაძლოა ამგვარი კითხვებიც გაგიჩნდეთ პარა-
ლელურად: კი, მაგრამ რაში გვჭირდება ამდენი წყალსაცავი, იგულის-
ხმება თუ არა პერსპექტიულ გაანგარიშებაში წყლის მეორადი გამოყე-
ნების სისტემა? ვითვალისწინებთ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგი-
ის დანერგვას და ასე შემდეგ, დაბეჯითებით შემიძლია, ვთქვა, რომ
აღნიშნული მოთხოვნილებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებუ-
ლი. დღეს სარწყავი დანიშნულებით ყოველ შექტარზე იხარჯება აზერ-
ბაიჯანში - 8000, სომხეთში - 6500, ხოლო საქართველოში - 4200 კუ-
ბური მეტრი წყალი. აქედან ჩანს, რომ ჩვენში ყველაზე ნაკლებია წყა-
ლალება, არადა ნორმატიული მოთხოვნილება საერთო წყალმომარაგე-
ბასა და მრეწველობაზე შედარებით თანაბარია სამივე რესპუბლიკაში.
კორესპოდენტი - რა კავშირშია ეს მაჩვენებლები მინაძის წყალსაცავ-
თან?

გ. ფალავანდიშვილი - არის და არსებითშიც. ამჟამად მტკვრის აუზში
(საქართველოს ტერიტორიაზე) მთლიანად დარეგულირებულია 1,3 მი-
ლიარდი კუბური მეტრი წყალი, აზერბაიჯანში - 12, ხოლო სომხეთში
- 1,5. "თბილჰიდროპროექტმა" თბილისის თბოელექტროსადგურის
სიმძლავრეების შემდგომ გაზრდასთან დაკავშირებით და სხვა მომხმა-
რებლების - კომუნალური მეურნეობის, სარწყავი მინათმომქმედებისა
და მრეწველობის პერსპექტიული წყალმოთხოვნილებების გათვალის-
წინებით ჯერ კიდევ 1987 წელს წამოაყენა წინადადება მტკვრის რეგუ-
ლირების თაობაზე და ადგილიც დაასახელა - სოფელ მინაძესთან უნ-
და აიგოს დიდი ტევადობის წყალსაცავიო.

მ. ბერიძე - რალა მაინცადამაინც მინაძესთან?

გ. ფალავანდიშვილი - შევთანხმდეთ ერთ რამეში: წმინდა რეგულირე-
ბის თვალსაზრისით ეს ადგილი ყველაზე ხელსაყრელია მტკვრის ხეო-
ბაში წყალსაცავის ასაგებად, მაგრამ ეს წყალსაცავი ვერ შეძლებს



მტკვრის შენაკადებზე არსებული სარწყავი მიწების ნყლით უზრუნველყოფას. ეს მიწები კი მთელი არსებული სარწყავი ფართობის მესამედი და დაახლოებით 100 ათას ჰექტარს აღწევს.

კორესპოდენტი – თუ ამ სიკეთესაც მოკლებულია, რა გვრჯის და რისთვის უნდა ვხარჯოთ მილიონები?

გ. ფალავანდიშვილი – კი ბატონო, მაგრამ რა ვუყოთ თბილის-რუსთავის უბანს? მხოლოდ მას ძალუძს აქ წარმოქმნილი დეფიციტის დაფარვა და სარწყავი მიწათმოქმედების პერსპექტივის დაკმაყოფილება – ბორჯომიდან, ვიდრე გარდაბნამდე, ასევე ბორჯომიდან ზრამის შესართავამდე გააუმჯობესებს იგი მტკვრის სანიტარულ მდგომარეობას და ნაწილობრივ წყალდიდობის საშიშროებასაც მოხსნის. განა ცოტაა?! . . .

მ. ბერიძე – ყველაფერი გასაგებია, მაგრამ . . . ხშირად უსაფუძვლოდ ვაბრალებთ ხოლმე წყალდიდობასა თუ სხვა სტიქიას ჩვენსავე შეცდომებს. მტკვარს კალაპოტი ნაუართვით და სახლები ჩავდგით, თითქოსდა განგებ ვიმეტებთ მილიონებს მომავალი წყალდიდობისთვის. დავარდნილ წყლის კალაპოტში ვანყობთ თევზსაშენებს ფერმებსა და სხვა სამეურნეო თუ სანარმოო დანიშნულების ნაგებობებს. ადიდდება გაზაფხულზე მტკვარი და . . . წყალდიდობას დავაბრალებთ ყველაფერს . . .

გ. ფალავანდიშვილი – სამწუხაროდ ასეც ხდება. რაც შეეხება საზოგადო აზრს, ბევრმა როდი იცის, რომ მინაძესთან მტკვრის რეგულირების სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ისეთი საკითხები, როგორიცაა, მიკროკლიმატის მოსალოდნელი შეცვლა და მისი გავლენა ისტორიულ ძეგლებზე, მეწყრული უბნების პრობლემა, სავარგულების დატბორვა, არქეოლოგიური სამუშაოები და ბევრიც სხვა, ის მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია, ღრმა შესწავლას, სათანადო მეცნიერულ-ტექნიკურ დასაბუთებასა და შემდგომში საზოგადოებრივ აზრთან შეჯერებას რომ მოითხოვს. ჩვენი ანუ "საქწყალპროექტის" აზრით, საჭიროა ჯერ მტკვრის შენაკადების: ქვაბლიანის, ქსნის, დიდი ლიახვის, დარეგულირება მცირე წყალსატევებით და რაც შეიძლება მოახლოება თბილის-რუსთავის კვანძთან. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია წყალსატევის აგება ჯიქურების ტაფობში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისვას მთავარი მდინარის – მტკვრის დარეგულირების საკითხი.

ა. ჭითანავა – ნება მიბოძეთ, მაგრამ ვერც ამაში დაგეთანხმებით, ბატონო გეიდარ. როცა თავიდანვე ვაღიარებთ, დღეისათვის მტკვრის რეგულირების სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება არ გავაჩნიათ, ეს მარტო მინაძის გასწორს კი არ ეხება, არამედ მთელი მდინარის აუზს გულისხმობს, მაშინ შეუსაბამობას ხომ არ გამოიწვევს შენაკადების პირველადი დარეგულირების საკითხი რომ წარმოვანიშნოთ? ეს ხომ ტექნიკურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ შეფასებას გულისხმობს.

გ. ფალავანდიშვილი – რეგულირების აუცილებლობის დასაბუთებისას

საერთო წყალმოთხოვნილებათა მოცულობის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე ნორმები: სარწყავ მიწათმოქმედებაში წყალმომარაგება უნდა შემცირდეს 16-18 პროცენტით. კუთრი წყალმოთხოვნა მრენველობაში – 30-35, თბოენერგეტიკაში 80 პროცენტით. კონკრეტულად თბილისის თბოელექტროსადგურში უნდა მოხდეს მიმდინარე ბრუნვითი წყალმომარაგების მშენებლობის ფორმირება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კონცენტრირებულ წყალაღებებს ქალაქ რუსთავის კვეთში. ამასთან აუცილებელია გამწმენდ ნაგებობათა სისტემის მოწყობა, ვინაიდან დარეგულირებული წყლის ბინძურ ჩანადერთა განსაზავებლად გამოყენება დიდი ფუფუნება იქნება.

კორესპოდენტი – რას გულისხმობთ? იქნებ უფრო კონკრეტულად განვიმარტოთ სათქმელი.

გ. ფალავანდიშვილი – მტკვარი წყლის ერთერთი არტერიია ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. მის აუზში გაღწეულია მთელი სომხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანის ტერიტორიის 70 პროცენტი. საერთოდ წყალმომარაგებაში სახალხო მეურნეობის ისეთი პრიორიტეტული დარგები, როგორცაა: კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება, მრენველობა, ენერგეტიკა, შეუზღუდავები არიან და მათი მოთხოვნილებანი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი. ისინი აღებული წყლის თითქმის 80 პროცენტს უკან აბრუნებენ. ამ დარგების ფონზე სარწყავი მიწათმოქმედების როგორც მეორეხარისხოვანი წყალმომხმარებლის განვითარება შეზღუდულია. არსებული სარწყავი მიწის ფონდი მტკვრის აუზში (საქართველოს ფარგლებში) შეადგენს 460 ათას ჰექტარს, რომლიდანაც ამჟამად ირწყევა 160 ათასი ჰექტარი. 2000 წლისათვის სულ 200 ათასი ჰექტარი მოიწიწყება. ბუნებრივია დამატებითი წყალსაცავების აშენებით. საბჭოთა კავშირის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემის მიხედვით მტკვრის აუზში 2000 წლის შემდეგ მოსალოდნელია წყლის რესურსების მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც ამთავითვეა გასათვალისწინებელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

მ. ბერიძე – ერთი შეკითხვა, ბატონო ანზორ: ყოველგვარი ტექნიკური პროგრესი თუ ეკონომიკური ეფექტი ეროვნული, პოლიტიკური, მორალური და სოციალური შედეგით იზომება, თქვენი აზრით, რამდენი მუშახელი დაგვჭირდება მინაძის მშენებლობაზე? ვინ იქნებიან ისინი, საიდან მოსულები, სად დაბინავდება მშენებლობის ადმინისტრაცია და საერთოდ, რა სიკეთეს მოუტონს ეს ნაგებობა ასპინძის რაიონს?

ა. ჭითანავა – ბოლოდან დავიწყოთ: აშენდება საცხოვრებელი ბინები, სოციალური დანიშნულებისა და ჯანმრთელობის კერები, მოკლედ რაიონში მშენებლობა ისეთი ტემპით გაჩაღდება, სხვა დროს ათეულობით წელი რომ დასჭირდებოდა, კეთილმოეწყობა გზები (გათვალისწინებული გვაქვს საბაგრო გზების მშენებლობაც), დავაფინანსებთ ადგი-

ლობრივი მინერალური წყლის ჩამისხმას, დავეხმარებით ბალნეოლო-
გიურ კურორტს კეთილმოწყობასა და გაფართოებაში. ასპინძის რაი-
ონში შევქმნით დამხმარე მეურნეობებს. ახალციხეში ვითვალისწინებთ
სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის
განვითარებას. მშენებლობის სამმართველო სოფელ რუსთავში დაი-
დება ბინას. მშენებლობა ერთი რეგიონით არ შემოიფარგლება და ნი-
ნასწარვე უნდა ვიცოდეთ, რამდენი მუშახელი ჩამოვა ამა თუ იმ რაი-
ონიდან. ყველაფერს პროექტი გადანყვეტს. საერთოდ კი დაახლოებით
6000 მუშახელი დაგეგმავდება.

მ. ბერიძე – ასპინძის რაიონის კეთილმოწყობის თეორიული გეგმა ფრი-
ად საინტერესო და მომზიდველია, ერთი წინააღმდეგობა რომ არ ახლდეს:
წყალსაცავი კაშხალიანად მთლიანად ახალციხის რაიონში მოექცევა, ად-
მინისტრაცია კი ასპინძის რაიონში იქნება, ამას გარდა, როგორც თქვენ
ბრძანეთ, მშენებლობას 6000 მუშახელი დასჭირდება. თუ გავითვალისწი-
ნებთ მათ ოჯახებსაც, სულ ცოტა 10-16 ათასი კაცი მაინც უნდა ვივარაუ-
დოთ. ასპინძის რაიონში კი სულ 13 ათასამდე მოსახლეა. გამოდის, რომ
ჯავახეთიდან, სხვა მეზობელი რაიონებიდან და უფრო შორეული რეგიო-
ნებიდანაც კი უნდა ჩამოვიყვანოთ მუშახელი. როგორ ფიქრობთ, შევი-
ნარჩუნებთ კი დემოგრაფიულ სიტუაციას? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ
თავდაყირა დადგა ყველაფერი?! ასეთ დანოლას ვერ გაუძლებს რაიონი
და მშენებლობის რალაც დანამატად იქცევა.

ა. ქითანავა – ამაზე ნამდვილად არ გვიფიქრია, მაგრამ, ჩემი აზრით,
შესაძლოა ამის თავიდან აცილება. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითა-
დი ბირთვი უნდა გახდეს მშენებლობისა, ხოლო სპეციალიზებული ორ-
განიზაციები, რომლებიც მშენებლობით დასაქმდებიან, თავიანთ მუშა-
ხელს უკანვე წაიყვანენ, ამის საფუძველს გვაძლევს ენგურისა და ჟინვა-
ლის მშენებლობის მაგალითები, მაგრამ კიტხვაზე საბოლოო პასუხის
გაცემა ისევ და ისევ პროექტირებას შეუძლია. მუშახელის ბალანსისა
და რესურსების შეუხამებლად ხომ არც ერთი პროექტი არ მტკიცდება.

რედაქციისაგან: მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ვერც “კო-
მუნისტის” მრგვალ მაგიდასთან სჯა-ბაასმა გასცა კონკრეტული პასუ-
ხი ბევრ კითხვას, თუმცა ერთი რამ ცხადია – ჯერ-ჯერობით წყალსა-
ცავის მშენებლობაზე, როგორც გაირკვა, ლაპარაკიც ნაადრევია. უახ-
ლოეს მომავალში თვით პროექტირების დაწყების ბედიც კი გაურკვე-
ველია. მრგვალი მაგიდის მიზანიც სწორედ საზოგადოების სრული და
ობიექტური ინფორმირება გახლდათ “მშენებარე” წყალსაცავის ავკარ-
გიანობაზე. როგორც ჩანს, სპეციალისტები მართლები არიან მომავ-
ლის წინაშე – მტკვარი და მისი შენაკადები უნდა დარეგულირდესო,
რომ ამტკიცებენ, მაგრამ. . . ასევე მართლები არიან მათი ოპონენტე-
ბიც თავიანთი ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ სხვა სერიოზული

არგუმენტებით. მრგვალ მაგიდასთან ისიც ითქვა, იქნებ რუსთაველის საზოგადოებამ იდოსო თავს მთელი ამ საქმის კონტროლი, მაგრამ ამ მოსაზრებასაც იქვე გამოუჩინდნენ ოპონენტები: – რატომ მხოლოდ რუსთაველის საზოგადოებამ, თუ საჯაროობაა, ყველა დაინტერესებულმა უნყებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა და საქმეს არც ადგილობრივ მოსახლეობასთან თათბირი აწყენდო! რედაქცია მზადაა, კვლავ გულისყურით მოეკიდოს საზოგადოებრივ აზრს, ყოველ კონკრეტულ გამოსხაურებასა თუ წინადადებას მინაძის წყალსაცავთან დაკავშირებით. მოდით, ვიყოთ ბრძნული შეგონების გულისხმიერი გამგონები – ასჯერ გავზომოთ და მერეღა გავჭრათ! . . . მითუმეტეს, როცა მრგვალი მაგიდის მონაწილენიც ამ აზრს ადგანან.

საუბარს წარმართავდა ლ. გახარია

რქვლცა — რწუშუთის მთუზის უბუჯლუსი ნასოფლარტი და მისი ცლობნიმია



აბრამასთავი, — ნასოფლარი, ბორცვი. **ჭურას ტბის** დასავლეთით, 700-800 მეტრში არის ნასოფლარი **აბრამას თავი**. ეტყობა ნაყანები ადგილი. აბრამასთავი მდებარეობს ნასოფლარ **ჭურას** გასწვრივ, ჩრდილოეთით. აბრამა ადამიანის სახელია, ხოლო თავი ჰქვია იმიტომ, რომ ამაღლებული ადგილია **ჭურასთან** და **ჭურას ტბასთან** შედარებით. აბრამა, ეტყობა პატრონი იყო ამ ადგილისა. აქვეა **ჭურას თავი** (იხ.), რომელიც ტბის ასასვლელთან, მის დასავლეთით, აბრამასთავივით გამორჩეულია. თავისი ამაღლებულობით. მესამე „თავი“ არის ნასოფლარ **ბერიას** მხარეზე და მას **კურდღლისთავი** ჰქვია, ამკარაა, რომ აქ კურდღელი იცოდა ბევრი. ამ „თავებს“ შორის 150-200 მეტრია დაშორება.

აბრამას ჩოქაქი, — ტაფობი. ნასოფლარ **ჭურაში** არის **აბრამასთავი**, ხოლო აბრამასთავის ძირზე, ერკოტის მხარეს არის პატარა მოვაკებული ადგილი, ტაფობი, რომელსაც **ჩოქაქს** ეძახიან. იმის ქვემოთ **ერკოტის ტყეა**. ჩოქაქი სამცხესა და ჯავახეთში არის „პატარა ჩალრმავებული ადგილი (ბერიძე, 1981: 156)“. აბრამას ჩოქაქი ზუსტად ასახავს ამ განმარტებას. რადგან **აბრამასთავი** ამაღლებული ადგილია, „თავია“, გორისა, მთისა და არა აბრამასი, მას აქვს „ძირი“, მაგრამ ძირი ამ შემთხვევაში არის პატარა და თანაც ჩოქაქი, სადაც ზაფხულის მუშა ხარისა და მეხრეების ღამის გასათევი ადგილი იყო. ჩავარდნილობის გამო დაცული იყო, ხარი არსად ნავიდოდა.

აგარა — იხ. აგარული ნაჩეხი.

აგარული ნაჩეხი, — მინდორი. ტყეს უფრთხილდებოდა გლეხი კაცი, სოფლელები ტყეს, როდესაც გაჩეხდნენ და ყანას გააკეთებდნენ, ახო ჰქვია, მაგრამ ტყე იჩეხებოდა სხვა დანიშნულებითაც: სანვავეად, სამშენებლოდ.

გაჩეხვის გარდა რგავდნენ კიდევ ტყეს. ფიჭვნარის დარგვა სატყეოების დროს მოხდა. ფიჭვნარი ტყე დაირგო ჯავახეთში და ბევრ სხვა კუთხეში. კომუნისტებამდე სოფელი ძირითადად რგავდა მუხას და პანტას. ორივეს იყენებდნენ შემდეგ. პანტას სამკურნალოდ და ჩირად, ხოლო რკოს ღორისა და საქონლის საჭმელად, ამიტომ ეს ხეები განსაკუთრებით ფასობდა, თანაც უფრო ძნელად ხარობდა და ყურადღება სჭირდებოდა.

აგარლები ერკოტის ტყით ყოველთვის სარგებლობდნენ. მათ აკავშირებდათ, მართალია, შორი, მაგრამ კარგი საურმე გზა, რომელიც გადმოდიოდა **ლებისის** და **ბუზმარეთის** მხრიდან

გრძელი ქალით. აგარა ნიალის ველზე, ვარძიის თავზე მდებარე სოფელი იყო, რომელიც დღეს ნასოფლარია.

ტოპონიმიში არ ასახულა ეს ინტენსიური ურთიერთობა აგარლებისა **ერკოტის ტყესთან**. ერკოტელთა ხსოვნაში არის გადმოცემა, რომ აგარლები გადმოვიდნენ დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოსა და ერთი ადგილი გაჩხეს პირნიმნდად. ეს არის ადგილი, რომელიც მდებარეობს ერკოტიდან მიმავალი გზის ხელმარცხნივ, ვიდრე ქურაში ავალთ. ფართობი პატარაა, დაახლოებით ერთი ჰექტარი, მაგრამ ტყე რადგან გაიჩეხა პირნიმნდად და არა შერჩევით, სახელიც იმიტომ დაერქვა.

ავჭალები, - ქალები. დადუშისა და ერკოტის საზღვარზე ბერიებში არის ავჭალები, სათიბი და სახნავი. ზოგი ინფორმატორის აზრით - „ავს იმიტომ ეძახიან, რომ ძნელი სათიბია, უხეში საკვები იცის“. სხვა აზრით - „საქონელს, ავჭალების თივას რომ ჭამს, მოწყვება ჭიების კვერცხები, ჰერმითური (ჭიის დაავადება, ჭიური დაავადება) დაავადება იცის. გაზაფხულზე თეთრი პატარა ჭია მოწყვება ნაკელს. ადგილი ჭაობიანია, პეპელაც არის (ფასციოლიზი), რომელიც საქონლის ლვიძლში იბუდებს, თივას გაყოლილი. ამ ჭიის და პეპლის ავადმყოფობის გამო ეძახიან ავჭალებს“. ინფორმატორი, რომელიც ამ აზრს გვანვდის პროფესიონალი ვეტექიმი. ავჭალები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თივა ძნელად მოსაპოვებელი იყო, იმდენიც არ ჰქონდათ, რომ ჰყოფნოდათ და ასეთი საკვები არ ეჭმიათ საქონლისათვის. ავჭალები ძირითადად დადუშელების სათიბი იყო.

აზია, - ფერდობი, საძოვარი. ერკოტიდან ჩრდილოეთით და ვარნეთის დასავლეთით **ლეკინების** გაყოლებაზე არის კლდეებით შემოზღუდული ფართობი, მენყერული წარმოშობის ტაფობი ადგილია. აქა-იქ შეიმჩნევა მინისქვეშა სიცარიელები, ღრმული ადგილები. ინფორმატორის თქმით: „ბავშვობაში ქვას ჩავაგვდებდით და შორს ისმოდა დაცემის ხმა (ა. ბერიძე)“. ზაფხულში დიდი სიციხე იცის, ზამთარში მზისგულია და თბილა, ამიტომ ზამთრობით საქონლის საძოვრად იყენებდნენ.

ზამთარ-ზაფხულ ერკოტელები და ვარნეთელები იყენებდნენ საძოვრებად. როდესაც ვარნეთელი მაჰმადიანები გაასახლეს, **აზიის** ტერიტორია ერკოტას მისცეს, მაგრამ შემდეგ გადასცეს **საყუდაბელს**. აზია უფრო ვარნეთს ემიჯნება, ვიდრე ერკოტას. ამ ორ სოფელს თანაცხოვრების ტრადიცია ჰქონდათ. მათ მხოლოდ აზია არ ჰქონდათ საერთო საძოვრად. ასევე საერთო ჰქონდათ **ზედა მთა** (იხ.) ერთმანეთის მომიჯნავედ ჰქონდათ სათიბი ჭალა **ქურაში**.

სახელის ეტიმოლოგიას კონტინენტის სახელს უკავშირებენ

სიცხის გამო, რაც ეჭვს იწვევს, რადგან აზიის, როგორც კონტინენტის განცდა, საკმაოდ გვიანდელია და მით უმეტეს, მისი ასოცირება სიცხესთან.

ალაჯიენთ ნისქელი – იხ. ერკოტულა.

ალიკვიენთ ყანები/ალიკოონთ ყანები, – ყანები. ალიკოონი ბერიძეების ერთი შტო იყო. მათი შთამომავლები ჯერ ურაველში სახლობდნენ, შემდეგ გადავიდნენ ახალციხეში. ისინი ფლობდნენ ყანებს. ამ ყანას **ჭაროსულსაც** ეძახიან. ეტყობა, ვიდრე ალიკოონი დაეუფლებოდნენ ყანას, მას ვინმე **ჭარო** ფლობდა. ყანა მდებარეობს **ბრმანყაროს** მიდამოებში **დიდი ლოდის** გვერდით.

ალიკოონთ უბანი – იხ. ერკოტა.

ამალღება – იხ. ზიარეთი.

ამალღების მთა – იხ. ზიარეთი.

ასკარიენთ ფოტორა – იხ. ასკარიენთ ფოტორო.

ასკარიენთ ფოტორო, – ყანა. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, **დადეშის მხარეს**, **ქეთქეთას გორის** სამხრეთით არის სახნავ-სათესი. ასკარას ზედმეტ სახელად ეძახდნენ ივანე ცალქალამანიძეს, მისი და მისი შთამომავლების ყანა იყო, ფოტორო კი იმიტომ ჰქვია, რომ ღარიბი თეთრი მიწაა. დასტურდება მეორე ვარიანტი **ასკარიენთ ფოტორა**.

ანყვიტა – იხ. ბერიები.

ახვრები, – საქონლის სადგომი. **აბრამას ჩოქაქში** არის გამოქვაბულები, რომელსაც საქონლის სადგომად იყენებდნენ. ამოსავალია **ახორი**, რომელიც მესხურ დიალექტში ბოსელს ნიშნავს.

ახორტყე, – ტყე. **საბადურის** გაყოლებაზე, **დადეშის მხარეს**, ტყის ერთ ნაწილს ეძახიან **ახორტყეს**. **ახორტყის ძირში**, **ნაფუზარში** იყო **კალოები**. აქ რომ კალო იღენებოდა დღესაც ახსოვთ. ინფორმატორთა ცნობით ახორტყე დაკავშირებული იყო კალოებთან. „ეს ტყე ისეთი იყო, რომ კალოს მოლენვის დროს საღამოს მეხრე ხარს არეკავდა ახორტყეში, ახლო იყო და დილით ისევ მორეკავდა კალოზე. ახორტყეში ღამეს ათევდა ნამუშევარი საქონელი. იქ ეყარა სხვა საქონელიც, თითქოს ბოსელში იყო, როგორც ერკოტელები ბოსელს უწოდებდნენ, ახორში. ახორტყეში ადრე იყო პანტის, მუხის, არყის, რცხილის, თხილის, ნეკერჩხლის, ვერხვის ხეები, ხარობდა ასკილიც. თავდაპირველად მხოლოდ ფოთლოვანი ტყე იყო, რომელიც გამეჩხერდა, გაიჩეხა, რადგან მას ერკოტელებთან ერთად დადეშელებიც ხმარობდნენ. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სატყეო მეურნეობამ გააშენა ნიწვოვანი ტყე. შეიძლება თავიდან იყო **ახლო ტყე** (ალექსი ბერიძე)“. სოფლის დანარჩენი ნახირი აქ არ შედიოდა, მხოლოდ კალოს ლენვის დროს იყენებდნენ ამ ტყეს. ახორტყეში ბევრი კურდღელი იცოდა.

„ისეთი სქელი ტყე ყოფილა, რომ ვერ გაივლიდი შიგ. ახორ-
ტყვიდან მოიპარეს 150 სული ხარი და თურქეთში გადარქმევს.
წინვიანი ტყე ძირითადად ვარნეთულებმა გააშენეს. პირველად
ტყე მტრებმა გადაწვა. ხარი აქ ეყრებოდა, ვიდრე ტყე გაშენდუ-
ბოდა(ელგუჯა ბერიძე)“.

სახელის სემანტიკა დაკავშირებული შეიძლება იყოს, რო-
გორც ახორთან, ისე ახოსთან.

აშკარაა, რომ ეს ადგილი გამოიყენებოდა ახორად (ახვრად)
(ბოსელი) და ასევე შესაძლებელია, გაჩეხილი ტყეც იყო თავის
დროზე, რომელიც გამოიყენეს საყანედ. ტყე აქ გვიან გაშენებუ-
ლი ჩანს. ძველი კი „გადაწვეს“, იქნებ სწორედაც საყანედ გაჩე-
ხა. ამ ორი მსგავსი ფორმისა და სხვადასხვა შინაარსის სიტყვა
გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

ახორტყის თავი – იხ. განიგზა, გზაგაიარა.

ახორტყის ძირი – იხ. ახორტყე.

ბადალაშვილის წისქვილი – იხ. ერკოტულა.

ბასტიაკლდე – იხ. ბასტიას კლდე.

ბასტიას კლდე/ბასტიაკლდე, – **კლდე**. მდებარეობს **ლეკმინის** გაყოლე-
ბაზე ჩრდილოეთით. ეს არის ფაქტიურად დანალექი მასალა,
კლდოვანი არ არის. ერთი ნაწილი მენყერით მთლიანად ჩამოქ-
ცეულია და ლელედ არის ქცეული, 10-12 მეტრი სიმაღლე ექნება
და ამიტომ კლდეს ეძახიან. ჩამავალ ლელეს **ბასტიალელე** ჰქვია.
ლელეს მეორე მხარეს **ბასტიაკლდეს** ემიჯნება **აზია**. **ბასტიას ლე-
ლის თავზე**, ზემოთა ნაწილი მოვაკებული ადგილია, სადაც იყო
გიგოლას ყანა. პატრონის სახელის მიხედვით ხდება ნომინაცია.
გიგოლა ბერიძე ფლობდა ამ ყანას.

ბასტია მეტსახელია კაცისა, ალბათ ბერიძე იქნებოდა, რად-
გან ბერიძეების ყანებია გარშემო.

„ერკოტიდან დასავლეთით მაღალი კლდეა. თუ მოძულეუ-
ლი ძალი რამე გვყავდა გადაეგდებდით. ბასტიას კლდეს აქვს
თავი, რომელსაც **ბასტიას კლდის თავი** ჰქვია. ბასტიას კლდის
თავზე არის **ნაგუთნები** (ოთარ ინასარიძე, დაბ. 1934წ. გრიშა
ბერიძე დაბ. 1927წ.)“.

ბასტიას კლდის თავი – იხ. ბასტიას კლდე, ნაგუთნები.

ბასტიალელე – იხ. ბასტიას კლდე.

ბასტიას ლელის თავი – იხ. ბასტიას კლდე.

ბაღდვიენთ ყანა, – **ყანა**. ბაღდვიენი ხატიძეები არიან. ისინი ფლობდნენ
ყანას სოფელში. იხ. მანახეული.

ბაღდოონთ უბანი – იხ. ერკოტა.

ბებრის კლდე, კლდე. **ზედა მთაზე** არის კლდის შვერილი ცხრაკენჭას
წყაროს დასავლეთით 200 მეტრზე. გარშემო ეტყობა, რომ სხვა

კლდეებიც ყოფილა, მაგრამ დაშლილა, ეს კი დგას.

ბებრის კლდის გარშემო საძოვრებია, კლდე გამოყენებულია ფარეხად.

ბერბუკები/ბერბუკი, – *ყანა*. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აღწერე პირველად ერკოტის ტოპონიმი, ბერბუკების შესახებ მიწერია, რომ არის ყანები. დღეს ნაყანარი ადგილია, რომელსაც კარგად ემჩნევა, რომ ახალი გაკორდებულია, ფერდობზე ზღვარი და ყანა ენაცვლება ერთმანეთს. ერკოტის ჩრდილოეთით არის ჯერ *ინასათიბი*, *ლეკმინა* და ბოლოს *ბერბუკი*. ბერბუკში ერთ ადგილს *კაპანს* ეძახიან, კლდინია, გზა გადადის *ვარნეთის ტყეში*. გზა გაჭრილია ხელოვნურად, როგორც დადუშიდან მიმავალი გზა *უნაგირაში*, რომელსაც აგრეთვე *კაპანს* ეტყვიან. ბერბუკში იზრდება ერთგვარი მცენარე, რომელსაც დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლის მკვრივი ღერო აქვს. იკეთებს ყვითელი ფერის ყვავილს, რომელიც ჯერ ბრონეულივით გაიბერება, კარგა ხნის შემდეგ კი გაიხსნება. ეს ყვავილი ახლო-ახლო არ იზრდება, დაახლოებით 8-10 მეტრში ერთი დგას. მსგავსი ტერიტორიაა სოფ. საროში და მასაც *ბერბუკს* ეძახიან. იქაც ასეთი ყვავილი ხარობს. ამ მცენარეს საქონელი არ ეკარება, არ ჭამს.

ასპინძელი ინფორმატორის ცნობით *ბერბუკს* ეძახიან ჭაობის მცენარეს, რომელიც მაღალი იზრდება. შავი, ხავერდოვანი თავი აქვს, რომელსაც ზოგჯერ დეკორატიულ ელემენტად იყენებენ. როგორც ჩანს, ბერბუკი ზოგადი სახელია სხვადასხვა მაღალღეროიანი მცენარისა.

ბერიები/ბერია. – *ნასოფლარი*. ცნობილი ნასოფლარია ერკოტაში. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, *უნაგირას მთის* გადაღმა. *უნაგირას* და ბერიებს შორის ჩადის *გრძელიჭალის* (უზუნჩაირის) წყალი. აქვე გადის ბუზმარეთისკენ მიმავალი გზა, რომელსაც *ბუზმარეთის გზა* ჰქვია. ბერიების გარშემო ტყეს ჰქვია *ერკოტის ტყე*. ნასოფლარს ჰქონდა თავისი ტერიტორიები, რომელიც ეკუთვნოდა მას, როდესაც სოფელი ცოცხლობდა. მისი ჩრდილოეთის საზღვარი იყო *სხალნარი*, *გრძელიჭალის* წყლის გაყოლება. ბერიებსა და სხალნარს შორის არის პატარა ნასოფლარი *ხატმანაშენი*, სადაც ორი საცხოვრისის კვალი ემჩნევა. შემორჩენილია დიდი ლოდების კედლები. ეტყობა ადვილად ნასალები ქვა ნაიღეს. ერკოტიდან მომავალი გზა ადის *ინასათიბში*, გადაკვეთს მას და გადადის *სხალნარში*, სადაც იყოფა სამ ნაწილად: ერთი მიდის *ბერიაში*, მეორე – *ჭურაში*, მესამე – *ზეველ-ჭობარეთისკენ ყანისის* გავლით. შესაბამისად ჰქვიათ: *ბერიების გზა*, *ჭურას გზა* და *ზეველის ან ჭობარეთის გზა*.

ბერიებს სახნავ-სათესი მიწები ჰქონია ერკოტის მხარეს თა-

ვისივე ტერიტორიაზე, რომელსაც **ლოდის ყანებს** ეძახიან, რადგან დიდი ლოდები ჰყრია. ნასოფლარის ზემოთ, ჭურასა მხარეს არის ქალა, სათიბები. ნასოფლარში გამოდის წყარო, რომელსაც **სათუთას წყარო** ჰქვია.

ტრადიციის მიხედვით ბერიძეები ნამოსულები არიან ბერიებიდან და ჩასახლებულან დადემსა და ერკოტაში. დადემში ჩასახლებული ბერიძეები ბერიებში ფლობდნენ მიწებს ისევე, როგორც ერკოტელები. ერკოტამ და დადემმა გაინანილეს ბერიების მიწები, თუმცა დღეს ეს ორი სოფელიც ნასოფლარია მხოლოდ. ალექსი ბერიძის თქმით, სოფლის სახელი იყო **ბერია**, ხოლო **ბერიები** არის მთელი ტერიტორია, რომელიც სოფლისა იყო. „ჩემს ბავშვობაში პატარა ნაეკლესიარიც იყო ნასოფლარში. ასპინძაში რომ მშენებლობები დაიწყო, ვილაცამ გამოზიდა ქვები, ნასოფლარის ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ლელე, რომლის პირზეა პატარა გორა, იქ იყო ისეთი სასაფლაო, როგორიც არის ერკოტაში, **პატარა გორა** რომ ჰქვია, ის არის სოფლის ყველაზე ძველი სასაფლაო“.

სოფლის დაცლა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა (ომიანობა, მკაცრი ჰავა...), ამკარად ეტყობა, რომ ლელე, რომელსაც ჰქვია **კვარანთა ხევი/კორანთახევი**, ერთ დროს არ მიდიოდა იმ მიმართულებით, საითაც დღეს მიდის. იწყება გრძელი ქალიდან, ჩამოდის **როკეთსა** და **ანევიტას** შუა, ჩადის **ქუნიცის** ტერიტორიაზე, სადაც **ქარნიოტას ლელე** ჰქვია და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. როცა არსებობდა სოფელი, იყენებდა ამ წყალს. ჩაიჭრა **კვარანთახევი** ბუნებრივად, ჩაღრმავდა, დაბლა ჩავარდა ლელე, სოფელს ასცდა წყალი და მას ველარ იყენებდნენ. გრძელი ქალიდან გაპყავდათ და ძველ დადემს რწყავდნენ ამ წყლით.

ბერიებს ჩაუდის მეორე ხევი, რომელიც სათავეს იღებს სხალნარიდან, გაივლის **ბერიებს, თორნეულს**, თორნეულის ქვემოთ 500-600 მეტრში უერთდება მას **ყანისის ხევი**, ჩადის **ორგორა-სახუდაბელს** შორის და ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალ გზაზე **ქორეთის** შემდეგ უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

ბერიებში შედიოდა ტერიტორიულად და ამას სახელიც ადასტურებს, **ბერიშვიგული**. მას **ბერიების მზიხგულსაც** უწოდებენ. იგი არის ბერიების საპირისპირო მხარეს **უნაგორას** დასავლეთით ფერდი, რომელიც გადაჰყურებს **ბერიას**. ეს ფერდი საძოვარია, თუმცა ეტყობა, რომ ერთი პატარა ყანაც ყოფილა ოდესღაც, არის მეჩხერი ტყეც. მზიხგული ჰქვია, რადგან მზიანი ადგილია. შუადღის მერე მზე რომ გადაინევს, სადილობის შემ-

დღე, მთელი დღე უყურებს ამ ფერდობს. **ბერიშვიგულზე (ბერი-
ბიშვიგულზე)** ნოყიერი ბალახი იცის. ყველას უნდოდა, რომ სა-
ქონელი აქ ეძოვებინა.

ბერიშვიგულში იყო კარგი სოკოს ადგილები. ნახევარმთვა-
რისებურად იზრდებოდა მკვეთრი, ხასხასა მწვანე ფერის ბალა-
ხი, რაც იმის მაუნყებელია, რომ ნანვიმარზე, როგორც კი მზე
გამოვიდოდა, აქ ქამა სოკო გაჩნდებოდა. იყო გუდაფმუტაც,
მაგრამ ძირითადად საუკეთესო ქამა იზრდებოდა. რამდენიმე წე-
ლინადში ეს ბალახი დაიკარგებოდა, ე. ი. სოკოც აღარ მოდიო-
და, მაგრამ მერე სხვაგან გაჩნდებოდა და ა. შ. ბერიებს ჰქონდა
ბერიებიბოლო, ადგილი, საძოვარი, რომელიც მდებარეობს ნა-
სოფლარის ჩრდილო-დასავლეთით **ბერიების** ყოფილ ტერიტორი-
ასა და სხალნარს შორის. **ბერიების ტყე** ერქვა ტყეს, რომელიც
ესაზღვრებოდა **ერკოტის ტყეს**.

სახელის ფუძე, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება ბერია
ფორმა, უნდა იყოს **ბერა**. აქედან გამომდინარე ლოგიკურია მეს-
ხურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის: ბერა-
ები → ბერიები.

ბერა სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის „შუა გასა-
ვალი. ბერა ეწოდების, ორთა მკარესა შეჰკვრენ და საშუალს
კართა გასავალთა უზმენ მენველთა ცხოვართათვის, გინა
მსგავსად მისსა რასამესთვის გასატარებლად (ორბელიანი,
1985:105).“

მესხეთში სულხან-საბასეული განმარტებით ბერა დღესაც
არსებობს. **ბერაში** დაჯდება ერთი კაცი, რომელიც იჭერს ორ
ცხვარს, ხოლო ორიც დაჭერილ ცხვრებს წველის. ბერაში
ცხვარს ატარებენ მოსანველად. ბერის ეს მნიშვნელობა გაფარ-
თოვდა და ეწოდება არა მხოლოდ „შუა გასავალს“, არამედ იმ
შემოლობილ ბაკსაც, სადაც შერეკილია ცხვარი. ცხვრის გარდა,
ადგილი, სადაც საქონელი ებმებოდა კოლექტივის დროს და ინ-
ველებოდა, **ბერა** იყო.

ბერას ეს მნიშვნელობა ცნობილია სალიტერატურო ქარ-
თულსა და დიალექტებში, რასაც „ქართული ენის განმარტებითი
ლექსიკონი“ ადასტურებს: 1) მოზღუდულში დატოვებული ვიწრო
გასავალი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად და სანველად). ბე-
რაში წველა – ბაკში დამწყვედული ცხვრის თითო-თითოდ გატა-
რება ბერაში და რიგრიგობით მოწველა. 2) ძვ. მრავალთაგანზე
აღმართული და გადაჯვარედინებული იარაღი (ხმალი, შუბი...),
რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ
ჩაგდებულ მტერს. ბერაში გატარება – გადატ. ვისიმე დამარ-

ცხება, ან დაშინება და შერცხვენა (ქ ე გ ლ, I, 1950:1033).

ბერიები არ დასტურდება არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავეთარში“ და არც ვახუშტისთან. სავარაუდოა, რომ ის იყო დადეშისა და ერკოტის მთა, სადაც საზაფხულოდ ადიოდნენ და შემდეგ იქცა დასახლებულ პუნქტად ისევე, როგორც **გოგაშენი**, რომელიც თავდაპირველად **ჭაჭკრის** „სათესველი“ იყო, ხოლო შემდეგ იქცა სოფლად და ჭაჭკარი კი „ბაღებად“ (იხ. ბერიძე, 2008:261).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დასტურდება ადგილის სახელად **ბერას ჯუარი**, რომელიც სამცხეში მომავალ გზაზეა: „ხოლო წარმოემართნეს რად მათ თანა ეტყრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისად თანა-შემნედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მთასა, ვითარცა სამეუფოთა პალატა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოინინეს მთასა მას, რომელსა **ბერას ჯუარ** ეწოდების (ვაჩნაძე, 1975:156)“.

ერკოტა და ბერიები ერუშეთის მთებში მდებარე ნასოფლარებია. ჯვარ-კომპონენტური კომპოზოტური ტოპონიმები ან წარმოქმნილი სახელები ამ რეგიონში ბევრი გვხვდება. ბერას, ბერიასა და ბერიებს შორის ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. მესხეთის ტოპონიმიაში სოფლის სახელი რომ მრავლობითში გვექონდეს, ასეთი რამ არ ხდება. არა გვაქვს და არც შეიძლება იყოს ერკოტა და ერკოტები, დადეში და დადეშები, მაგრამ თუ იქნება ესა თუ ის სოფელი მსაზღვრელთან ერთად, კერძოდ: დიდი, პატარა, გაღმა, ზემო, ქვემო და ა. შ. შესაძლებელია მათი მრავლობით რიცხვში მოხსენიება. ვთქვათ, ცნობილი ფაქტი, განძა და განძანი, ფოკა და ფოკანი.

ერკოტაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელი შეიძლება შეგვხვდეს მხოლობითიც და მრავლობითიც, ოღონდ ეს არ ეხება ორონიმიას. მაგალითად: **გვირგვინი** და **გვირგვინები**, **ბერბუკი** და **ბერბუკები** და ა. შ. ამ შემთხვევაში რეალურ სიმრავლესთან გვაქვს საქმე. იგულისხმება ადგილი, მისი სახელი მხოლობით რიცხვში და მის გარშემო ტერიტორიები – ყანები, ჭალები და სხვა. ბერია არის სოფლის სახელი, ხოლო ბერიები – მის გარშემო ტერიტორიები, ჭალები, ველ-მინდვრები და სხვა. **ბერია/ბერა** ინარჩუნებდა შინაარსის გაგებას („შუაგასავალი“), რამაც განაპირობა ორონიმის და რეალური მრავლობითის გამოხატვა ერთი ფუძით.

ბერიებიბოლო – იხ. ბერიები.

ბერიებიმზიგული – იხ. ბერიები.

ბერიების გზა – იხ. ბერიები, ერკოტა.

ბერიების ეკლესია. – ნაეკლესიარი.ბერიებში ავჭალის დაბლა დარჩენი-

ლია საძირკველი ეკლესიისა, რომელიც იყო წმინდა გიორგის სახელობისა. სალოცავად აღიოდნენ დადებული და ერკოტელუბი.

ბერიების მზისგული – იხ. ბერიები.

ბერიების ტყე – იხ. ბერიები.

ბერიების წყალი – იხ. ორთახევი.

ბერიმზიგული – იხ. ბერიები.

ბერიმზიგულის გოლგოთი – იხ. გოლგოთი.

ბოსტანა, – **ნაბოსტანარი**. სოფელთან ახლოსვე ვაკე ადგილია ჩრდილოეთით, ფონას გაღმა, მის გაყოლებაზე. საბოსტნე ადგილი იყო და იყენებდნენ კიდეც. სახელიც იქიდან უნდა მოდიოდეს.

ბრმანყარო, – **წყარო**. **ჰასანაჭალის** აღმოსავლეთით, დიდი ლოდის სამხრეთით არის წყარო, რომელიც ზაფხულობით შრება.

ბრუდეყანა, – **ყანა**. ნაფუზრის ჩრდილო-დასავლეთით, ახლოსვე არის ერთი ყანა, რომელსაც დახრილი ზღვარი დასდევდა, "ბრუდე" იყო, ამიტომ ეძახდნენ ასე (ა. ბერიძე).

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში **ბრუდეყანა** და **მოდრეკილა** ერთი და იმავე ობიექტის სახელად მაქვს ჩანერილი. ზოგიერთი ინფორმატორის აზრით ბრუდეყანას **ოსმანასეულსაც** უწოდებენ. იხ. ოსმანასეული, მოდრეკილა.

ბუზმარეთის გზა – იხ. ბერიები.

ბუზმარეთის მხარე – იხ. ირმისრქა.

გადაკვეთილა, – **ქედი**, **გზა**. გადაკვეთილა იყო დადებული მომავალ გზაზე, ეტყობა, რომ ხელოვნურად გაჭრილია გზა. დიდი ხნის ნამუშევარი ჩანს, ადგილიც ისეთია, თითქოს სპეციალურად გადაგიკვეთია.

დადებულიდან ორი გზა შედიოდა ერკოტაში, ერთი გადმოდიოდა **გადაკვეთილაზე**, ხოლო მეორე გამოდიოდა **ქველი დადებულიდან**, გამოივლიდა **მელაჯვარას**, შემდეგ **ქვაბიძირს** და შემოვიდოდა სოფელში. ქვაბიძირთან იყო **ქვაბიძირიყანები**, მალლა იყო რამდენიმე გამოქვაბული, რომელიც კარგად ჩანდა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში. დღეს მხოლოდ ერთილა მოჩანს.

გადაკვეთილას გლერდნარა – იხ. გლერდნარა.

გადაკვეთილას გლერძნარა – იხ. გლერდნარა.

გადაკვეთილას დასაქანი – იხ. დასაქანი.

გავეთის დიდი ზიარეთი – იხ. ზიარეთი.

გამოღმა ბალები, – **ბალები**. **ფონას წყაროდან** გამოდის წყალი, მიედინება **ერკოტის ლელისაკენ**, ვარნეთის მიმართულებით. ამ წყლის მიხედვით იწოდება **გაღმა ბალები** და **გამოღმა ბალები**. ერკოტის მხარეს არის **გამოღმა ბალები**, ხოლო წყლის გაღმა არის **გაღმა ბალები**.

გამოღმა ბალებში იყო ბერიძეთა ბალები: *ჰუშუტანთ ბალი, სოსანანთ ბალი, ყაყონთ ბალი*. ამ განაყოფებს სხვაგანაც ჰქონდათ ბალი, ამიტომ ასე იტყოდნენ, როდესაც გამოღმა ბალებში იყვნენ, ხოლო ზოგადად სიზუსტისთვის ითქმობდა: *ჰუშუტანთ გამოღმა ბალი, სოსანანთ გამოღმა ბალი, ყაყონთ გამოღმა ბალი*.

განიგ ზა, – **გზა**. დადებულიდან მომავალი გზა, რომელიც მიდიოდა ერკოტის გავლით *ზევლ-ჭობარეთისა* და ახალციხისაკენ, გადმოდის *ძველ დადუშს*, გამოივლის *ყორნარას/ყორნარიებს*, გაივლის *ნაქურთალს* (ყანები), *გზაგაიარას*, *ინასათიბს*, *სხალნარს*... ამ გზაზე *ახორტყის თავზე* გავლისას ადგილს ჰქვია **განიგ ზა**, ხოლო ყანებს **განიყყანები**. იხ. გზაგაიარა.

განიყყანები – იხ. განიგ ზა.

გაღმა ბალები, – **ბალები**. ფონას წყლის გაღმა მდებარე ბალებს ეტყოდნენ ასე. **გაღმა ბალები**ს დიდი ნაწილი *ჰალაჯიენთია*, ასევე ჰქონდათ აქ ბალები ბერიძეების სხვა განაყოფებს: *ყაყონთ*, *სოსანანთ*, *კორკოტაანთ*, *ყვრათლიენტ*, ამათ ქვემოთ იყო ტივაძეებისა, რომელსაც *ჩაურმა* ერქვა, ჩაურმა ისეთივე ბალები იყო, როგორც დანარჩენი გაღმა ბალები. გაღმა ბალებში გვართა მიხედვით ბალები მოიხსენიებოდა ასე: *ჰალაჯიენტ ბალები, ყაყონთ ბალები, სოსანანთ ბალები, კორკოტაანთ ბალები, ყვრათლიენტ ბალები*. რადგან ამ განაყოფებს ჰქონდათ გამოღმა ბალებიც. ბალები, მოიხსენიებოდნენ შემდეგნაირადაც: *ჰალაჯიენტ გაღმა ბალები, ყაყონთ გაღმა ბალები, სოსანანთ გაღმა ბალები, კორკოტაანთ გაღმა ბალები ყვრათლიენტ გაღმა ბალები*.

გაღმა ყანები – იხ. კონახურა.

გვალა/გვალაა, – **ყანები**. ლექმიწებს დასავლეთიდან აქვს *ინასათიბი* და *ნაგუთნები*, ხოლო ქვევით, ჩრდილოეთით არის **გვალა**, სადაც იყო ყანები. ეს ყანები 5-ნ მოსახლისა იყო, ძირითადად, უფრო ტივაძეებს ეკავათ. ერთი არჩილა ბერიძე იყო, მასაც ჰქონდა გვალაში ადგილი. ლექმიწებში გადოდის წყალი, მაგრამ ცალკე მიდის, გვალას აუქცევს გვერდს, ამიტომ წყაროებს თავს უყრიდნენ და იმით რწყავდნენ გვალაში ყანებს. ინფორმატორის, ალექსი ბერიძის თქმით, რომელიც პროფესიით გეოლოგია, – „როგორც *ჩუნჩხა-პტენის* ქვეშ ნიადაგის ერთ სისტემაში ჩამოდის წყალი, ასე *ერკოტაში, როკეთში, დადუშში, ზველშიც*, ეტყობა ვულკანური განფენია. ზოგან ამაღლებული მთა აწევს ზემოდან, ესენი ნაგვიანები ვულკანებია“. ინფორმატორთა მტკიცებით **გვალა** მრგვალთან არ არის დაკავშირებული. სახელი შეერქვა იმიტომ, რომ გვალვიანი ადგილია. ადგილი ისეთია, რომ როცა სიცხე შეაწუხებს, გამოიგვალება ნიადაგი, დასკდება, ნათესს

უჭირს, რადგან მოყვითალო ფერის თიხიანი ადგილია.

გვალამ, - იხ. გვალა.

გვალიტყე/გვალტყე, - ტყე. „სანამ **ჭურაში** ახვალ **ერკოტიდან**, არის **სხალნარი** და **პანტები**, აქვეა **გვალტყე**, ზედაი და ქვედაი, **ზედა გვალტყე** და **ქვედა გვალტყე**“. გვალტყეში მუხა და პანტა ხარობს. „**რგვალი ტყე** არის ერკოტაში, შემოკლებით **გვალტყეს** ამბობენ“.

ტყეს ხშირად მოსახლეობა აშენდა, ძირითადად რგავდნენ მუხას და პანტას. **ზედა რგვალი ტყე** და **ქვედა გვალი ტყე** თითქოს ხელოვნურად გაშენებული ტყეა, მაგრამ ბუნებრივად იყო მოშენებული. შუაში გზა გადის, რომელიც ზველ-ჭობარეთის მიმართულებით მიდის. **რგვალტყე** სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. გვალტყის ჩრდილოეთით ტყესთანავე ახლოს არის **თორნეული**.

მესხურ დიალექტში ლიტერატურული ფორმა მრგვალ არ იხმარება, გვხვდება მხოლოდ რგვალი, რომელსაც რ-ც სცილდება და ვლებულობთ **გვალს**. გვალტყის გარდა ამავე ფონეტიკური პროცესების შემდეგ გვაქვს **გვალჭალა**.

გვალტყე, - იხ. გვალიტყე.

გვალჭალები, - სათიბი. ბერიების ტერიტორიაზე, მის თავზე, ზევიდან სამხრეთით ტაფობი ადგილია, ფორმა მრგვალი აქვს და გვალჭალები იმიტომ ჰქვია.

გვეზალე, - წყარო. ერკოტელები ასე ეძახიან **ზედა მთაში** წყაროს, რომელიც **ბებრიკლდესა** და **პაკოსებს** შუა გამოდის. იხ. ლამაზი წყარო.

გვირგვინები, - იხ. გვირგვინი.

გვალჭალა - იხ. გვალიტყე.

გვირგვინი/გვირგვინები, - მთა. **გვირგვინი** არის მთა **ცხრაკენჭას წყაროს** აღმოსავლეთით. გვირგვინზე მალლა არის **ირმის რქა**. გვირგვინი უტყეო თავმოშიშვლებული მთაა. გვირგვინის აღმოსავლეთის მხარეს არის **სანამქრეები**. გვირგვინის ფერდობები არის საძოვრები. მთას აქვს **გვირგვინის თავი**, რომელსაც **გვირგვინის წვერსაც** ეტყვიან, ხოლო, როდესაც მთის ფერდობებისა და ტერიტორიის შესახებ უნდათ მოხსენიება **გვირგვინებს** უწოდებენ. გვირგვინის აღმოსავლეთით არის შუბლი, რომელსაც აქვს ორი დიდი სანამქრე, „თითქოს ადამიანის თავია გვირგვინდადებული“. გვირგვინის აღმოსავლეთით არის **გრძელი ჭალა**, დასავლეთით **ცხრაკენჭა**, რომელიც გვირგვინის თავზეა. გვირგვინის ნანილია **ბებრის კლდე**. ტერიტორიულად ეკუთვნის **დადეშს**, **ქუნცას** და **ერკოტას**. გვირგვინების შესასვლელში არის **ზედა მთა**, **ნაოხრები**, ხელმარჯვნივ **ვარნეთისაა**, მარცხნივ - **ერ-**

კოტისა.

გვირგვინის თავი, – იხ. გვირგვინი.

გვირგვინის სანამქრები, – იხ. სანამქრე.

გვირგვინის წვერი, – იხ. გვირგვინი.

გზაგაიარა, – გზა. ერკოტის ზიარეთზე არის ძველი გზა, რომელიც იწყება უნაგირადან, უფრო ზუსტად – უნაგირას ქალიდან, ჩადის დაბლა, დადემში ჩრდილოეთიდან.

ზიარეთს სამი ფერდი აქვს: ტალაგვერდი დასცქერის დადემს, ბერიებისაკენ იხედება უნაგირა, ხოლო გზაგაიარა არის იმ ფერდზე, რომელიც დაჰყურებს ერკოტას. გზა გაჭრილია და ხელოვნური, ეტყობა, მიუხედავად იმისა, რომ გზაგაიარა ძველი გზაა (ახალი საერთოდ არ არსებობს), უფრო ძველი შორს შემოსავლელი იყო სხვა მხრიდან, ხოლო ეს გზა მოკლე გზაა ბერიებამდე. ასევე ამ გზით ამოდიოდნენ დადემულები და ერკოტელები უნაგირაზე პირველ მთად, მეორე მთად დადემულები ამოდიოდნენ სანამქრეში, რომელიც ყველაზე მაღალი ნერტილი იყო მემთეულებისა. ერკოტელები ადიოდნენ ზედამთაზე ან ცხრაკენჭაზე, ისინი გვერდიგვერდაა, ერთი ტერიტორიაა. გზაგაიარათი დადემულებთან ერთად სანამქრეში ამოდიოდნენ ქუნცელებიც. სანამქრე ორია: „შუბლის ქვემოთ ერთი თვალი ტერიტორიაა ქუნცისა, მეორე და დემისა“.

გზაგაიარას ქვეშ, ერკოტის მხარეს, არის ქვაბისძირი/ქვაბიძირი. გზაგაიარას ზოგი განიგ ზასაც ეძახის. როდესაც გზაგაიარა ახორტყის თავზე გადის კაპანსაც ეტყვიან.

ბერბუკებშიც არის კაპანი, რომელსაც ზოგი გზაგაიარას ეტყვის. გზაგაიარას შინაარსი, მოტივაცია ასეთი უნდა იყოს: ეს არის გაჭრილი გზა, ხელოვნური, რომელიც ძნელად გასაყვანი იყო, უნდა ნიშნავდეს – „გზა გავიდა“, „გზამ გაიარა“.

გზაგაიარას გზა, – იხ. გზაგაიარა, ერკოტა.

გიგოლანთ კალო, – იხ. ნაფუზრები.

გიგოლანთ უბანი, – იხ. ერკოტა.

გიგოლას ყანა, – იხ. ბასტიას კლდე, ნაგუთნები.

გიგოლიენტ ყანა, – იხ. თხილიყანები.

გლერდნარა/გლერძნარა, – ქეთქეთას აღმოსავლეთით ფერდობს გლერძნარა ჰქვია, ასევე გლერძნარა (გლერდნარა) გადაკვეთილას ჩრდილოეთის ფარდობი და ინასათიბის ფერდობი. გასარჩევად მიუთითებენ ხოლმე მთავარ ორიენტირს და იტყვიან: ქეთქეთას გლერდნარა (გლერძნარა), გადაკვეთილას გლერდნარა (გლერძნარა) და ინასათიბის გლერდნარა (გლერძნარა).

გლერძნარა, – იხ. გლერდნარა.

გოგოლიენტ ყანები, – იხ. ფონა.

გოლგოთი, - გორა. ერკოტაში გოლგოთი იქცა გეოგრაფიულ ტერმინად. იგი იხმარება გორის, ბორცვის სინონიმად.

გოლგოთის ტიპური ნიმუშია, მაგალითად, ახალციხიდან ასპინძისკენ მიმავალი გზის მონაკვეთზე **რუსთავის** გაღმა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სანდროშვილების მიერ აშენებული ჰესის თავზე, ნასოფლარ **პატრასენის** აღმოსავლეთით მთებში გამორჩეული მცირე მთა, ბორცვი, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ გოლგოთი. ერკოტაშიც იყო მსგავსი გოლგოთები. **მელაჯვარასთან** იყო ამალღებული ბორცვი, ეძახდნენ **გოლგოთს**, ასევე **გოლგოთია ქედქედასთან**, ასევე **ბერიშვიგულის** აღმოსავლეთით არის ბორცვი, რომელსაც **გოლგოთი** ჰქვია. „ერთმანეთისგან გასარჩევად იტყოდნენ, მაგალითად: მელაჯვარასთან **გოლგოთზე** შვინახე უღელი, ან – საქონელი დაეცა **ბერიშვიგულის გოლგოთზე**, მებზ ჩამოვარდნილა **ქეთქეთას გოლგოთზე**. მიუხედავად იმისა, რომ ქეთქეთა თავად ქედი და ქედი იყო, ერთ შემალღებულ ადგილსაც **გოლგოთი** ერქვა (ალექსი ბერიძე)“.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სახარებისეულ ტერმინთან. გოლგოთა ძვ. ებრაული სახელია და „თავის ქალას“ ნიშნავს. იგი იყო „ბორცვი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც უძველესი დროიდან სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს. ამ ბორცვზე ჯვარს აცვეს იესო ქრისტე (ს მ ე ე ლ 2007:213)“.

საქართველოში იერუსალიმური ტოპონიმი ბევრი მოგვეპოვება. მცხეთა, ქართული იერუსალიმი, მოქცეულია იერუსალიმური ტოპონიმის ცენტრში, თაბორი, ბეთლემი, გეთსამანია და სხვანი გარს აკრავს საქართველოს ძველ დედაქალაქს (კეკელიძე, 1957:363; მახარაძე, 1995, №4) მსგავსი შემთხვევები გვაქვს მესხეთის ტოპონიმიშიც (ბერიძე, 2008:3-13).

გოლგოთა გვხვდება ადგილის სახელად, კერძოდ არის „მთა მცხეთის პირდაპირ, და არაგვის შესაყართან და ეკლესია, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ამ მთაზე, ჯვარის ტაძრის ჩრდილოეთით. მთამ და მასზე აგებულმა ეკლესიამ სახელწოდება მიიღო იერუსალიმის „გოლგოთის“ მიბადვით...“

გოლგოთის მონასტერი ყოფილა აგრეთვე ქართლშიც სამთავნელის სამწყსოში (ს მ ე ე ლ 2007:213)“.

ს. მელიქიძეს გამოყოფილი აქვს გოლგოთაში –თა დაბოლოება (მელიქიძე, 2007:6). ეს გამოყოფა საეჭვო ჩანს, რადგან გოლგოთი ქედი (I), როგორც შეტანილია ლექსიკონში (მელიქიძე, 2007:42) ამ გამოყოფის საფუძველს არ იძლევა. ეტყობა ესეც ჩვეულებრივი იერუსალიმური ტოპონიმი მცხეთის სიახლოვეს.

ერკოტის გოლგოთები საინტერესოა იმით, რომ არ არის ეკლესიონიმები. იგი შემოვიდა როგორც გეოგრაფიული ტერმინი

და ასე დაერქვა ადგილს.

ქართულ ენაში გოლგოთა შემოსულია თავისი პირვანდელი მნიშვნელობითაც და გადატანითი მნიშვნელობითაც „მძიმე, ძნელი გზაა, ტანჯვის გზა (ქ ე გ ლ, II, 1951:1469)“. კიდევ უფრო გაალიტერატურულეს გოლგოთა ერკოტელებმა. სიტყვის ბოლო-კიდური – ა გაგებული იქნა კნინობითობის მანარმოებლად და ჩამოსცილდა, ამიტომაც გვაქვს გოლგოთი და არა გოლგოთა.

გორა – იხ. გორაი.

გორაი/გორა, – **გორა**. გორა ბევრია ერკოტაში, მაგრამ ადგილის სახელად **ჭურას ქალის** ზედა თავში, **მოკრილქალის** ახლოს მდებარე გორას, რომელიც შედარებით დიდია გორაზე, მაგრამ მთაზე პატარაა, მოიხსენიებენ ხოლმე. გვაქვს აგრეთვე **პატარა გორა** (იხ.) ერკოტის ქვემოთ სასაფლაოს სახელად და ასევე სასაფლაოს სახელად ნასოფლარ ბერიასთან.

გორას ყანები, – **ყანები**. „ვიდრე ზედა მთაში ახვალ, **ჭურასთან** მოკიდულია **გორასყანები**. კარგი ჭვავი მოდიოდა“. მოკიდებული (მოკიდული) მიბმულს, გადაბმულს ნიშნავს მესხურ დიალექტში.

გორის ძირი, – **ბალი**. ერკოტის ქვემოთ **პატარა გორის** (იხ.) ქვეშ იყო, ბერიძეების ბალი, რომელსაც გორის ძირი ერქვა.

გრძელი ყანები, – იხ. ნაფუზარები.

გრძელი ქალა, – **ქალა**. ერკოტიდან ბუზმარეთისაკენ მიმავალი გზის გარშემო მდებარე **ქალა**, რომელიც ვინროა და გრძელი. იხ. აგარული ნაჩები.

გრძელი ქალის წყალი, – იხ. ბერიები.

გუმბათი, – იხ. სანამქრე.

გუმბათის სანამქრე, – იხ. სანამქრე.

დადეშელების სანამქრე, – იხ. სანამქრე.

დადეშის მხარე, – იხ. ასკარიენტ ფოტორო.

დადეშის სანამქრე, – იხ. ზედა მთა.

დადეშიქალები, – **ქალები**. ბერიებში დადეშელების კუთვნილ ქალებს ეძახდნენ ასე და ამ ქალებში მომდინარე წყალს, რომელიც ორხევში უერთდება **ჭურას ტბის წყალს**, **დადეშიქალების წყალი** ჰქვია.

დადეშიქალების წყალი, – იხ. დადეშიქალები.

დადეშური ქოხები, – იხ. ერკოტა, უნაგირა.

დალენილები, – იხ. ვარნეთი.

დამპალი ქალა, – **ქალა**. სოფლის ქვევიდან არის წყარო, რომელსაც **ქვედა წყარო** ჰქვია. ეს წყალი გადის ქალაში და აჭაობებს მას, ამიტომ ეძახიან **დამპალქალასაც** და **ჭაობსაც**.

დამპალწყარო, – იხ. ერკოტულა, ზურგანა.

დამპალქალა, – იხ. დამპალი ქალა.

დარბუჯები, - იხ. სკოლიყანები.

დარბუჯი, - იხ. სკოლიყანები.

დასაქანი, - **დაღმართი**. **დასაქანი** ერქვა ერკოტაში რამდენიმე ადგილს.

დასაქანი იყო **მოდრეკილაში**, **ჩიტინყაროსთან** და **გადაკვეთილასთან**, ამიტომაც იტყოდნენ ხოლმე „ფრთხილად ჩამოდი **მოდრეკილას დასაქანში**“; „ურემი დამიგორდა **ჩიტინყაროს დასაქანში**“; „ძნელად გადმოვიარე **გადაკვეთილას დასაქანი**“ და ა. შ. ე. ი. გვქონდა შესაბამისად: **მოდრეკილას დასაქანი**, **ჩიტინყაროს დასაქანი** და **გადაკვეთილას დასაქანი**. მოვაკებული ადგილიდან რომ უცბად ეშვება გზა, დასაქანი ჰქვია და დაკავშირებულია ურმის მოძრაობასთან. დასაქანში ურმის თვალს (გოგორას) ჯაჭვით დააბამდნენ, რომ არ ებრუნა, ან ჩაუბამდნენ უკნიდან რაიმეს, ვთქვათ, დიდი მორს სიგრძივ, რომ არ დაგორებულყო. იყო შემთხვევა, რომ ქვაც ჩაუბამთ სიჩქარის შესანელებლად. დასაქანი დაღმართს ჰქვია მესხურ დიალექტში.

დიდი ზიარეთი, - იხ. ზიარეთი.

დიდი ლოდი, - **ლოდი**. დიდი შავი ლოდი, რომელიც გამოჩნეულია აგრემოში. მის სიახლოვესაა **ბრმანყარო**, ხოლო დასავლეთით—**შასანას ქალა**.

დიდი ყანები, - იხ. ნაფუზარი.

დუბე, - იხ. ვარნეთი.

ევგენას ყანა, - იხ. ნაგუთნები.

ევგენას ნისქვილი, - იხ. ერკოტულა.

ეკლესია, - იხ. ფერისცვალების ეკლესია.

ეკლესიის საფლავეები, - იხ. ფხაკო.

ერბოყანა, - იხ. ვარნეთი.

ერკოტა, - **სოფელი**. სოფელი ერკოტა, რომელიც დღეს ნასოფლარია, მდებარეობს ერუშეთის მთიანეთის ფერდობებზე. მის გარშემო იყო შემდეგი სოფლები: ჩრდილოეთით - **ვარნეთი**, რომელიც აგრეთვე ნასოფლარია დღეს, დაცარიელდა იქიდან მაქმადიანთა გადასახლების შემდეგ და **ასპინძა**. ჩრდილო-აღმოსავლეთით—**ივერია**, რომელიც არის აღდგენილი სოფელი და მდებარეობს ნასოფლარ **ოსკერიის** ტერიტორიაზე. თავად ოსკერია მტკვართან ახლო სოფელი იყო. აღმოსავლეთით სოფელს ესაზღვრებოდა სოფელი **დადეში** და ნასოფლარი **ძველი დადეში**. დღეისათვის დადეშიც ნასოფლარია. დადეშელები ჩავიდნენ აწყვიტაში საცხოვრებლად. ერკოტის დასავლეთით მოსაზღვრე სოფლებია **ორგორა** და **საყუდაბელი**. სამხრეთით ერკოტას ემიჯნება აგრეთვე ნასოფლარები **ბერიები** და **ჭურა**. სოფელი გაშენებული იყო მესხეთისათვის ტრადიციულ კლდოვან ადგილზე, რომელიც აგრეთვე მზისგულს ნარმოადგენდა. ერკოტის სიმ-

დიდრე მუდამ ტყე და წყალი იყო და არის. მრავალი დიდი და პატარა წყარო გამოდის ერკოტის მიდამოებში.

ნასოფლარის ცენტრში დგას **ფერისცვალების** ეკლესია. სოფელს ჰქონდა უბნები, რომლებშიც კომპაქტურად იყო დასახლებული გვარები. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს **ქურქიენთ უბანი** ერქვა. ქურქიენი ტივაძეები იყვნენ. სადაც ცალკელამანიძეები ცხოვრობდნენ, **ქურჩაანთ** უბანი ერქვა, რადგან ცალკელამანიძეები ქურჩაანი იყვნენ მეტგვარად.

ერკოტაში ყველაზე დიდი გვარი ბერიძეთა გვარი იყო, ამიტომ მათი განაყრებით დასახლებულ უბნებს ასე ერქვათ: **ჰალაჯიენთ უბანი** (ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით); **ყვრათლიენთ უბანი**, **ყაყოონთ უბანი**, **გიგოლანთ უბანი**, **სოსანანთ უბანი**, **ალიკოონთ უბანი**, **კორკოტანთ უბანი**, **ჰუშუტიენთ უბანი**. ჰუშუტიენთ ალექსას ნათელმირონობა ჰქონდა დადევნებულ ბერიძეებთან ოდითგანვე. ეს ოჯახი ცნობილი იყო მოტეხილობის მკურნალლობით და ხალიჩის ქსოვით. **ბაღდოონთ უბანი** ხატიძეების უბანი იყო. ისინო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ეკლესიის მოშორებით ცხოვრობდნენ.

საგვარეულო დაყოფის გარდა სოფელი იყოფოდა **ზედა უბნად** და **ქვედა უბნად**. **ზედა უბანი** ეკლესიის ზევით მდებარე უბანი იყო, ხოლო **ქვედა უბანი** ეკლესიის ქვევით მდებარე ნაწილს ერქვა. ქვედა უბანს ჰქონდა თავისი წყარო და მას **ქვედა წყაროს** ეძახდნენ, გამოდიოდა ადგილზე. **ზედა უბანს** ჰქონდა **ზედა წყარო**, რომელიც მთელი სოფლის წყაროც იყო. ის გამოდიოდა **უკანხეში**. სოფლიდან კაცი ჩამოდიოდა ხევში და მოდიოდა **ზედა წყაროზე**. **ზედა** და **ქვედა წყაროების** წინ ხის ავაზნები იდგა. სოფლის ერთი უბანი გამოიყოფოდა **ქართლელას წყაროს** გარშემო, მაგრამ მას **ქართლელას წყაროს** უბანი არ ერქვა, ის **ზედა უბანში** შედიოდა, შემდეგ გვარების მიხედვით ირჩეოდა. მესხეთის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გზაგასაყარზე ან ერთ გზაზე მდებარეობენ, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონტაქტებს მეზობელ სოფლებთან თუ კუთხეებთან. მართალია ხშირი იყო მტერთა თავდასხმა, მაგრამ სოფლის არსებობისათვის უფრო მნიშვნელოვანი სამეურნეო და სატრანსპორტო დანიშნულების საშუალებები – გზები იყო. მტერს ემალებოდნენ დარნებში, ან იცავდნენ თავს, იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-სიმაგრეებს და ქვაბ-სამალავეებს. ერკოტაში ციხე არ იდგა, სამაგიეროდ ცნობილი და მნიშვნელოვანი ციხეები იყო ვარნეთსა და ასპინძაში. ეს ციხეები წარმოადგენდა ერკოტელების იმედსაც. ერუშეთის მთიანეთის ფერდობები, რომლებიც ეშვებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მჭიდროდ

იყო დასახლებული და დაკავშირებული ერთმანეთთან გზებით. ვახუშტი ბატონიშვილი ერკოტას არ აღწერს მაშინ, როდესაც დასახლებული და აღწერილია მისი სიახლოვის მნიშვნელოვანი პუნქტები და ხევ-ღეღეები. მის გარშემო ცნობილი ციხე და მონასტერი იყო ვარნეთსა და დადეშში. ერკოტა სწორედ პირველ რიგში ამ სოფლებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

დადეშიდან ერკოტაში შემოდიოდა ორი გზა. პირველი გზა მოდიოდა **გადაკვეთილას** გავლით, გავიდოდა შუა სოფელში და ჩიტინყაროსთან უერთდებოდა მეორე გზას, ასევე ძველი დადეშიდან მომავალს, რომელიც გამოივლის **მელაჯვარას, ქვაბიძირს, საბადურს**, გადადის **სხალნარში**. მეორე გზას აქვს განშტოება **გზავაიარას გზის** სახით, რომელიც ძველი დადეშიდან მომავალი **მელაჯვარას** შემდეგ გაუხვევს მარცხნივ, ადის აღმართზე, უნაგირას ფერდობზე, გადადის უნაგირაზე, ასცდება სოფელს და გადის **ბერიებში**.

ასპინძიდან ორი გზა მოდიოდა. საურმე გზა მოდიოდა **საქორისთაების** გავლით და უერთდება **გადაკვეთილას გზას** გადაკვეთილამდე **გლურძნარას** ტერიტორიაზე. ასპინძიდან ადიოდა საცალფეხო გზაც, რომელზეც მგზავრობდნენ ფეხით, ვირით, ცხენით. იგი ვარნეთის გავლით ადიოდა ერკოტაში. გაივლიდა **ნისქვილების ბაღს**, ადის **ჭალის ყანაში, ლომიასულში** და ერკოტაში. ერკოტა ვარნეთთან დაკავშირებული იყო სამარხილე გზით, ოღონდ ეს იყო გზა კვირაცხოველობის ეკლესიამდე. ეკლესიიდან შეიძლებოდა მოსვლა ვარნეთში, საიდანაც ეკლესიის, ციხის მხრიდან შეიძლებოდა ასვლა **ხარის სანოლში**, შემდეგ გვალაში და ბოლოს ერკოტაში.

დადეშიდან და ვარნეთიდან მომავალი გზები იყრებოდა ინასათიბში, საიდანაც გადადიოდა სხალნარში და იყოფოდა რამდენიმე მიმართულებით: **ჭურას გზა, ბერიების გზა** და **ზეულ-ჭობარეთის გზა**. ბუზმარეთისაკენ მიმავალი გზა გადის ბერიების ძირზე.

გზები მოსაველელად ძნელი იყო. ჩვენ არ შემოგვრჩენია ტრადიცია გზის გაყვანისა, მაგრამ აშკარად ემჩნევა, რომ გზას დაჰყვებოდა ნიაღვარიც ხოლმე, ჩალრმავდებოდა ესა თუ ის ადგილი, რომლის განმენდის შედეგად ამოსული ქვები ჩარიგდებოდა გზის პირებზე, რაც დღესაც მიგვანიშნებს გზების მიმართულებებს.

ერკოტის ხეზე 6 ნისქვილი მუშაობდა, ისინი ხევის ჩაყოლებაზე იყო ჩარიგებული. ინფორმატორთა ხსოვნაში ოთხი ეკუთვნოდა ჰალაჯიენტ (ბერიძე). ჰალაჯიენტ ოთხი ძმა ყოფილა: როსტომი, სიდორა, ევგენა, თედორა (ლოლოს ეძახდნენ, ლო-

ლოს მაღალს ეტყოდნენ, ყინულის ლოლოსავით წაგრძელებულს. მამამისს ერქვა და შვილზეც გადმოვიდა). ამ ძმებს ჰქონდათ თავიანთი წისქვილი. ამ ხევზე ორი წისქვილი ჰქონდათ ყურათლიენტ და სოსანიენტ (ბერიძეები).

ერკოტელებისათვის უმთავრესი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, რაც უკავშირდებოდა მთად გასვლას ზაფხულობით. ერკოტას ახლომახლო საძოვრები ზაფხულობით არ ჰყოფნიდა და სიცხეში უჭირდა საქონელს. ვიდრე ზაფხულში, ალპურ ზონაში ავიდოდნენ, სადაც ხე აღარ ხარობს, იენისის დასაწყისში პირველ მთად გადიოდნენ უნაგირაში, რომელიც განთქმული იყო საუკეთესო ბალახით. ამით საშემოდგომოდაც იზოგებოდა სოფლის გარშემო საძოვრების ბალახი. **უნაგირაში** კედლიანი, მინური ბინები ჰქონდათ, როგორც ერკოტელებს ისე დადემელებს. ასეც ეძახდნენ: **ერკოტული ქოხები** და **დადემური ქოხები**. ეს მხოლოდ ქოხი არ იყო. შიგ ცხოვრობდნენ კიდეც, ინახავდნენ საკვებს, პროდუქტს, ხბორებისთვის ჰქონდათ სადგომი. საქონელთან ერთად პირველ მთად გაჰყავდათ ღორი და ქათამი. გადიოდა ყველა, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა. ზოგიც გაატანდა, მიაბარებდა საქონელს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ან მორიგდებოდნენ გადაზიდვაში, მწყემსობაში დახმარებას. მემთეული დიასახლისი მხოლოდ ყველ-ერბოს დამზადებით არ იყო დაკავებული. უნაგირაზე აგროვებდნენ თხილს, მაცვალს, პიტნას, ქონდარს. იყო ერთგვარი ბალახი, რომელსაც ჯონჯოლს ეძახდნენ და მწნილად დებდნენ. კეთდებოდა ტენილი ყველი ქოთნებში და გუდის ყველი. ტენილი ყველი კეთდებოდა ცხვრის რძით. პირველმთობას რჩებოდნენ ივლისის ბოლომდე, ვიდრე თოვლი ჩამოდნებოდა **ზედა მთაზე**. ხანდახან აგვისტოს ბოლომდე იყო სანამქრეში თოვლი.

უნაგირაზე ტოვებდნენ ბინებს, აიყრებოდნენ და ადიოდნენ **ზედა მთაზე**, **ცხრაკენტას** ტერიტორიაზე, იქვე იყო **პაკოსები**, **ბებრის კლდე** და **გვირგვინების** დასავლეთი მხარე. ზედა მთაზე ერკოტელები რჩებოდნენ აგვისტოს ბოლომდე, ზოგჯერ სექტემბრის ნახევრამდე, ამინდის მიხედვით. აქ კეთდებოდა ზამთრის სარჩო-საბადებელი. მზადდებოდა მატყლიც. ცხვრის ერთი პარსვა **ზედა მთაში** ხდებოდა.

გადამწყვეტი იყო დიდოჯახიანობა, რაც მეტნი იყვნენ ოჯახის წევრები, მით მეტი დოვლათი იქმნებოდა. ხშირად ერთ ჭერქვეშ სამი ძმა ცხოვრობდა. ნაწილი მთად მიდიოდა, ნაწილი კი სოფელში რჩებოდა, ხილისა და პურეულის მოსავალს პატრონობდა. დარჩენილები სოფელში მინას უვლიდნენ, ბალს, ყანას. ასევე რჩებოდა ოჯახის ისეთი წევრიც, რომელიც ყიდდა მოწე-

ულ პროდუქტს, რომ საჭირო ნივთები და იარაღი შეეძინა. სოფელში რჩებოდნენ მოხუცებიც.

მე-16 საუკუნეში ერკოტა პატარა სოფელი იყო. ის ულ ნკომლისაგან შედგებოდა. *ვარძელ გიორგისძე, პაპუნა ბერისძე, სამადა იოსებისძე, იმარინდო ქეთხუდა - იასე, თაყა ბალიასძე* და *კვირიკას შვილიშვილი* (ჯიქია, 1941:138) ესენი იყვნენ მაშინდელი ოჯახის უფროსები. ერთ-ერთი მათ შორის *ბერისძეა*. უკვე ამ დროს ბერიძეთა გვარი არსებობდა ერკოტაში და ცხოვრობდნენ ამ გვარის წარმომადგენლები.

ერკოტის დაცარიელება დაიწყო 1944 წლიდან, როდესაც მაჰმადიანები გაასახლეს მესხეთიდან. რაიონული ცენტრი, როგორც დღეს, იყო ასპინძა, რომლის ძირითადი მოსახლეობა მაჰმადიანი ქართველობა იყო. მათი გასახლების შემდეგ რაიონული ცენტრი, რომელიც ძირითადად ციხის გარშემო დასახლებას წარმოადგენდა და აქა-იქ გაჩნდა ახალი ტიპის შენობები ახალციხე-ახალქალაქის გზის გასწვრივ. 1944 წელს რამდენიმე ოჯახი ჩამოსახლდა ასპინძაში ერკოტიდან. ასეთი ბუნებრივი მიგრაცია გაგრძელდა 1947 წლამდე. შემდეგ შეჩერდა პროცესი და 1959-1961 წლებში ჩამოსახლეს მთელი მოსახლეობა. მათი ასპინძში დასახლება მოხდა ძირითადად ერთ უბნად მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ერეკლეს ნახიდართან. აქვე გაკეთდა ხიდი მტკვარზე. ამ უბანს ასპინძაში *ერკოტის უბანი* ჰქვია.

ერკოტა-ასპინძის გზა, - იხ. სიმინდის ყანები.

ერკოტა-დადეშის ზიარეთი, - იხ. ზიარეთი.

ერკოტის ეკლესია, - იხ. ფერისცვალების ეკლესია.

ერკოტის მინები, - იხ. ვარნეთი.

ერკოტის მხარე, - იხ. კონახურა.

ერკოტის სასაფლაო, - იხ. ფხაკო.

ერკოტის ტბა, - იხ. ჭურა, ჭურას ტბა.

ერკოტის ტყე, - ტყე. ნასოფლარ ერკოტის ტერიტორიის ვრცელი ნაწილი უკავია ტყეს, რომელსაც სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა სახელი ჰქვია, თუმცა, როდესაც ნასოფლარ ჭურას ტერიტორიის ადგილის სახელებს მიუთითებენ, ორიენტირად გვხვდება *ერკოტის ტყე* (იხ. *აბრამას ჩოქაქი*). სხვა შემთხვევაში ერკოტის ტყე უპირისპირდება სხვა სოფელთა ან ნასოფლართა მიხედვით სახელდებულ ტყეს. მაგალითად: *ერკოტის ტყის* საპირისპიროდ გვაქვს *ვარნეთის ტყე*, *ჭობარეთის ტყე*, *ზველის ტყე* და სხვა. იხ. აგარული ნაჩხი, ბერიები.

ერკოტის ქვაბები, - იხ. მალარიები.

ერკოტის ლელე, - იხ. გამოღმა ბალები.

ერკოტის წყლის გვერდი, - *ფერდობი*. *ერკოტის წყალი* (წყარო) და *ქარ-*



თლელა უერთდება ნისქვილებთან. წყაროს გვერდით არის ერკოტის წყლის გვერდი.

ერკოტის ხევი, - იხ. ერკოტა.

ერკოტულა, - ხევი. ერკოტულას **ერკოტის ხევის** უწოდებდნენ ვარნეთელები. ეს იყო დახვეებული წყალი, რომელიც იმდენად წყალუხვი იყო, რომ მასზე ნისქვილები იდგა. გაჭირდებოდა ხოლმე ზაფხულობით, როდესაც ერკოტულათი ირწყვებოდა ველ-მინდვრები. ასეთ შემთხვევაში ნისქვილი უნდა გაჩერებულიყო. თუ ერკოტელები მოწყვეტდნენ, ღელეში (ხევში) წყალი აღარ მიდიოდა, ამიტომ ამ წყალზე ხშირად დავობდნენ ვარნეთელები და ერკოტელები.

ერკოტულა იყო ქართლელადან დაწყებული ხევი, რომელიც გაივლის **უკანხევში**, შეუერთდება **ზედანყარო**, **წერილი წყაროები**, **ფონას წყარო**, **დამპალწყარო**, **პორფილას წყარო**, **ლუკმინის წყარო**, ვარნეთში შეუერთდება **ინასათიბის ღელე**, გაივლის **კაკაველს** და უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან **ერეკლეს ნახიდარს** ზევით იქ, სადაც კოლექტივის დროს იდგა წყალსაქაჩი.

ერკოტულაზე (ერკოტის ხევზე) იყო შემდეგი ნისქვილები: **ჭულუკიენთ ნისქვილი** // **ვეგენას ნისქვილი**, **სიდორას ნისქვილი**, **ალაჯიენთ ნისქვილი**, **სოსანიენთ ნისქვილი**, **ყვრათლიენთ ნისქვილი**, **ბადალაშვილის ნისქვილი**. ყველა მეპატრონე ბერიძე იყო.

ერკოტულას ღელე, - იხ. კლდეკარი.

ერკოტული ქოხები, - იხ. ერკოტა, უნაგირა.

ერუშეთის მთები, - იხ. სანამქრე.

ვარნეთი, - ნასოფლარი. მდებარეობს ნასოფლარ **კაკაველსა** და **ერკოტის მიწებს** შორის. **ერკოტის ხევი** ჩაუვლის ვარნეთს აღმოსავლეთის მხრიდან. ვარნეთს ჰქონდა **კვირაცხოვლობის** სახელობის ეკლესია და **ვარნეთის ციხე**. აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ 1944 წლამდე. ალექსი ბერიძე მოგვითხრობს: „ერკოტასა და ვარნეთს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ. მამაჩემს ილია ბერიძეს, რომელიც 1930 წელს დაქორწინდა, ძველი ტრადიციის მიხედვით, ნათელმირონად ვარნეთელი აბდულა ჰყავდა. ამით გარდა კიდევ ორ ოჯახთან გვქონდა ნათესაობა. ერთი იყო ქვედაყარა (ორი ყარა. იყო - ქვედაყარა და ზედაყარა. ერთი **ზედა უბანში** ცხოვრობდა, მეორე **ქვედა უბანში**), აგრეთვე, თაარა, დურგალი კაცი იყო, რომელთანაც მთელი ოჯახით ვმეგობრობდით.

1918 წელს, როდესაც გვარბევდნენ, ქვედაყარამ სამი ბავშვი შეიფარა: მამაჩემი (ილია ბერიძე), გიორგი ბერიძე (ჯაბდო) და ივლიანე, მამიდაჩემი. პაპაჩემი გაქცეული იყო და **ზოვრეთში** ხუციშვილებთან იყო შეფარებული. ექვსი თვის შემდეგ პაპაჩემი

ჩამოვიდა ვარნეთში და წაიყვანა ბავშვები.

აბდულას მამა იყო მოლა. აბდულას ნათლიობა იმით გამოიხატებოდა, რომ ქორწილში ნათლიის ადგილას იჯდა. მართალია ბავშვს არ ნათლავდა შემდეგ, რადგან მაჰმადიანი იყო, დანარჩენ წესს – მისვლას, ნათლიის საჩუქარს, ოჯახის ახლობლობას – ასრულებდა“.

ნათლიის აღმნიშვნელად იყო თურქული ტერმინი „ქირვა“. ასეთი ნათელმირონობა ხდებოდა კათოლიკეებსა და მართმადიდებლებს შორისაც. „ქირვა“ შემოიღეს იმისათვის, რომ ქართული „ნათლა“ გამოხატავდა ნათელმირონობას მართლმადიდებლებს შორის.

ვარნეთში მცხოვრებთა ძირითადი შტო იყო *მახარაანნი*, როგორც *ზანდარაანი* (ბერიძეები) ერკოტაში.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ვარნეთელი ახმედ დროდვანოლი უსეინოვისაგან ჩანერილი მაქვს ტოპონიმები, რომლების ადგილ-მდებარეობა, სამწუხაროდ, არ მიმითითებია. ამავე ტოპონიმებში შერეულია *ზემო ოშორის* საკუთარი სახელები, მაგრამ მათ მაინც მოვიყვან, რადგან ეს არის ისტორიული ფაქტი. აი, ეს სახელები: *დალენილები, ტიბეთი, საბანიებელი, ფერსათხევი, საგაროვი, კაკალაია, ჯოყოფი, ტვიტელი, დუბე, კეტალაია, ერბოყანა, მეისი, ჭანჭურაყანა, კიბია, კაკაველი, ოლიაური, საბიეი, ხუცური, ნალეკი, თავნები, სხანნარი* (ბერიძე, 2009:12). თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით არაფრით გამოირჩევა ჩამოთვლილი სახელები მესხეთის სხვა ტოპონიმთაგან.

ვარნეთსა და ერკოტას ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკური, მეზობლური, ტერიტორიული კავშირი ჰქონდათ.

ვარნეთის თავი, – იხ. ლენინის თავი.

ვარნეთის ტყე, – იხ. ვარნეთიტყე.

ვარნეთის ლელე, – იხ. კაკაველი.

ვარნეთის ციხე, – იხ. ვარნეთი.

ვარნეთიტყე/ვარნეთის ტყე, – *ტყე*. ტყე მდებარეობს ვარნეთის დასავლეთით და ერკოტის ჩრდილოეთით. ვარნეთის ტყეს უწოდებდნენ *ბერბუკიდან* დაწყებული, *საროსყაფანის* აღმოსავლეთით, ვიდრე დასავლეთით *სხალნარის ხევამდე* და *საყუდაბლამდე*. ვარნეთის ტყე თავდებოდა *საყუდაბლის გადასახედთან*. ძირითადად ტყე არის ფოთლოვანი. ხარობს მუხა, რცხილა, ვერხვი, პანტა, ნეკერჩხალი, ვარნეთის ტყე ერქვა, რადგან იგი ეკუთვნოდა ვარნეთელებს, ვიდრე მათ გაასახლებდნენ.

ვარნეთული ჭალები, – *ჭალა*. მდებარეობს ჭურას ტერიტორიაზე, ნასოფლარ ჭურას აღმოსავლეთით, მისი მეორე სახელია *შაფხას-ჭალები*. ერკოტელებსა და ვარნეთელებს გვერდიგვერდ ჰქონ-

დათ ქალები. ვარნეთული ქალები (*შაფხასთაეის ქალები*) შუბლივით ტერიტორიაა და ნაწილია შაფხასთაეისა, რომელიც ამჟღავნებული აადგილია, ხოლო ქალები ძირია მისი. აქვეა აბრამასთაეი, *კურდღლისთაეი* (იგივე *შაფხასთაეი*) და *ჭურასთაეი*.

ვარძიის თაეი, - იხ. აგარული ნაწეხი.

ვაშთაყანები, - *ყანები*. ყანები მდებარეობს სოფლის თაეში, ბალდვიენტ შეყოლებაზე, „დანკეპილი ყანები“.

ვერანა დადეშის ეკლესია, - იხ. ქალაჯვარა.

ზედა გვალტყე, - იხ. გვალიტყე.

ზედა გორა, - იხ. ქალის ყანა.

ზედა მთა, - *მთა*. მთა ნიშნავს საზაფხულო საძოვარს, სადაც არის საზაფხულო საცხოვრებელიც. მთაში, როდესაც ბარში სიცხეა, საქონელი აჰყავთ და შემოდგომამდე ამყოფებენ. მთაში უკეთესად ინველება საქონელი, სუქდება და ემზადება გამოსაზამთრებლად.

ზედა მთას აღმოსავლეთით ესაზღვრება *ქუნცის სანამქრე* და *დადეშის სანამქრე*, დასავლეთით ზველის ტერიტორია, კერძოდ - *ცრანყარო*. მთად ზედა მთაში ადიოდნენ ერკოტელები და ვარნეთელები.

მართალია არ არსებობს ანტიპოდი ტოპონიმი ქვედა მთა, მაგრამ ზედა მთა ზედა იყო *უნაგირასთან* მიმართებაში, სადაც ერკოტელები და დადეშელები ადიოდნენ მთად პირველად, ხოლო ივლისის ბოლოს უნაგირადან მიდიოდნენ უფრო მაღლა *ზედა მთაში*.

ზედა რგვალი ტყე, - იხ. გვალიტყე.

ზედა უბანი, - იხ. ერკოტა.

ზედა წყარო, - იხ. ერკოტა.

ზეელის გზა, - იხ. ბერიები.

ზეელ-ჭობარეთის გზა, - იხ. ერკოტა.

ზიარეთი, - *მთა*. უნაგირას მთას აქვს მწვერვალი, რომელზეც დგას სამლოცველო, მას *ამაღლებას* ეძახიან. ამ მთას ერკოტელები უწოდებენ ზიარეთს და სადღესასწაულოდ ადიან *ამაღლებას*. ერკოტელებთან ერთად ზიარეთს დადიოდნენ დადეშელები და ვარნეთელი მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ანთებდნენ სანთელს და ქეიფობდნენ. ინფორმატორთა ნაწილი ვარნეთელთა მონანილეობას არ ადასტურებს.

ნასოფლარ როკეთის დასავლეთით არის მაღალი მთა, მის წვერზეც არის სალოცავი. ამ მთას სოფლელები *ამაღლების მთა* საც ეძახიან. ასე ეძახიან მთას მტკვრის მარცხენა ნაპირის სოფლელები, ხოლო გაღმელი მარჯვენა ნაპირის სოფლელები - *ხიზა ბავრა* და *სარო* - საკვირიკეს ეტყვიან. ორივე ზიარეთზე სალო-

ცავად ამაღლებას ადიოდნენ. როკეთელებთან ერთად ამაღლებას ზეიმობდნენ **ქუნცელები** და **ანყვიტელები**.

გავეთის დასავლეთით მთას ძველ რუსულ რუკებზე **დიდი ზიარეთი** ჰქვია. ის ერუშეთის ერთ-ერთი მწვერვალია.

ვალის საბაჟოს ჩრდილო-დასავლეთით ნასოფლარ მარელთან და ხვანასთან არის ეკლესია, მთას **ზიარეთი** ჰქვია.

ერკოტა-დადუშის ზიარეთზე, ვიდრე წვერზე ავალოთ, 50 მეტრით დაბლა არის წყარო, რომელსაც **უნაგირას წყარო** ჰქვია. ასევე არის წყარო როკეთის ზიარეთზე და მას **ზიარეთის წყაროს** ეძახიან. ზიარეთზე ერკოტის მხარეს არის ძველი გზა, რომელიც იწყება **უნაგირას ქალებიდან** და ჩადის დადუშში ჩრილოეთიდან. ამ გზას **გზაგაიარა** ჰქვია.

ზიარეთის ფერდი, რომელიც დასცქერის ასპინძას, არის **ტალაგვერდი**. ერკოტის მხარე – **გზაგაიარა**, ხოლო ბერიების მხარე – **უნაგირა**.

ერთმანეთისაგან გასარჩევად იხმარება **ერკოტა-დადუშის ზიარეთი** და **როკეთის ზიარეთი**. ასევე შეიძლება ვთქვათ **გავეთის დიდი ზიარეთი**.

ზიარეთი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნმინდა ადგილს, სალოცავს ნიშნავს. იგი შემოვიდა მესხურ დიალექტში და მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო – ეთ დაბოლოებამ და ზიარ – ფუძის ქართულად გააზრებამ, დაუკავშირდა ზიარებას, ქართულ საწყისს. ზიარეთი შეიძლება ნებისმიერი რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ერკოტისა და როკეთის ზიარეთებზე ამაღლებას ადიოდნენ სალოცავად, მას ამაღლებასაც ეძახიან. რადგან სარო-ზიზაბაერა საკვირიკეს უწოდებს, ეს უკვე გვაფიქრებინებს, რომ ზიარეთი ერთ რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს არ აღნიშნავდა. ამის მაჩვენებელია ზიარეთების სიმრავლეც.

- ზიარეთის მთა**, – იხ. ზურგანა.
- ზიარეთის წყარო**, – იხ. ზიარეთი.
- ზოვრეთი**, – იხ. ვარნეთი.

ზურგანა, – **გორაკები**. ერკოტის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის გორაკები, რომლებიც დაკავშირებულია **ქეთქეთასთან**. თითქოს **ზიარეთის მთას** მოსწყდა რალაც დატალღური ნიადაგი სერის ფორმით. ეს ტალღოვანი გორაკები მაინცდამაინც სახნავ-სათესად არ გამოიყენებოდა (ა. ბერიძე). **ქვაბისძირი** მოვაკებულია, ხოლო **ზურგანა** და **ქეთქეთა** ამაღლებული, ერთმანეთზე მიბმული პატარა გორაკებია.

ზურგანაში არის **ზურგანას წყარო**, რომელიც მუდმივად არ დის, გაზაფხულობით და წვიმების დროს გამოდის ხოლმე.

ინფორმატორთა აზრით სახელი ზურგის გამოა შერქმეული „ზურგანა“, როგორც ცხენის ზურგი, ისეთი შემალღებული ადგილია“.

ზურგანას წყაროს *მარკოზას წყაროს* და *დამპალწყაროსაც* უწოდებენ.

ზურგანას ყანა, – იხ. კოპლიანთ ყანა.

ზურგანას წყარო, – იხ. ზურგანა.

თავიკალო, – იხ. თავკალო.

თავიჭალები, – *მინდორი*, *ბალები*. ერკოტის დაბლა, *პატარა გორის* ქვემოთ გაგრძელებაა *ვალმა ბალებამდე*. ბალების გაგრძელება იყო *ჭალა*, *ყანა*, *სათიბი*. ამ წყაროზე გადმოივლის *ფონას წყარო*, *დამპალწყაროს* წყალი და *ქვეშანწყაროს* წყალი. თავიჭალებს *თაფიჭალებსაც* უწოდებენ. თაფიჭალები თარგმანია თავიჭალებისა. თავს მაჰმადიანები თაფას ეძახდნენ.

თავკალო, – *ნაკალოარი*. *თავკალო* ორ ადგილზეა, ერთი არის *საბადურის* ტერიტორიაზე, *პატარა მოვაკებული* ადგილია, მეორე არის *საროყაფანის* ნასოფლარის ზედა ნაწილი, რომელიც თითქოს ხელოვნურადაა მოსწორებული. ხმარობენ ორ ვარიანტს: *თავიკალო* და *თავკალო*. „სწორია თავიკალო ე.ი. ამალღებული თავია და მოვაკებულია, გინდა თავკალო იყოს, სულ ერთია (ა. ბერიძე)“.

შესაბამისად არის *საბადურის თავკალო* და *საროყაფანის თავკალო*.

არის აგრეთვე ვარიანტებიც: *საბადურის თავიკალო* და *საროყაფანის თავიკალო*.

თავნები, – იხ. ვარნეთი.

თავშავი, – *ბორცვი*, *ნასახლარი*. *ჭურას* ტერიტორია მოვაკებული ადგილია, სადაც რამდენიმე „თავია“, ამალღებული ადგილია. *თავშავი აბრამას თავის* მიმდებარე ტერიტორიაა. თავშავის ნაწილი ტყიანია. თავშავზე ნასოფლარი არ არის, არის მხოლოდ ნაქონხრები. თავშავზე ამოდის საურმე *გზა საკარიდან*.

აბრამას თავის დასავლეთით ჩამოდის *ცხრაკენჭას წყალი*, მის ხელმარჯვნივ არის თავშავი, *ხევიჭალების* სამხრეთით.

აქ არის *სიდორას ყანა*, რომელიც მან ზველელებისგან იყიდა. სახელი მიღებილი უნდა იყოს ბალახის სახელიდან – *თავშავა*.

თაფიჭალები, – იხ. თავიჭალები.

თეთრას წყარო, – იხ. თეთრანწყარო.

თეთრანწყარო, – *წყარო*. თეთრანწყაროს ეტყვიან თეთრ, რძისფერ წყაროს, რომელსაც სილურჯე გადაჰკრავს. ასეთმა წყაროებმა გაზაფხულზე იცის გამოსვლა. თეთრანწყარო რამდენიმეა ერკოტის

ფარგლებში. უნაგირას წყარო თეთრანყაროა. ასეთივე თეთრანყარო არის ხატმანაშენიდან ჭურაში მიმავალი გზის პირას, ვიდრე ჭურაში ავალოთ. თეთრა წყარო თოვლის ნაწურია. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩანერილი მაქვს თეთრას წყარო. თუ ამ შემთხვევაში გადააზრებასთან არა გვაქვს საქმე, თეთრა ადამიანის საკუთარი სახელი შეიძლება იყოს. თეთრა ქალის გავრცელებული სახელია მესხეთში. გვხვდება მეტსახელადაც (შდრ. გვარი თეთრადე, თეთრაშვილი, თეთრაული). რაც უფრო მაღლა ავდივართ, მატულობს თეთრანყაროთა რაოდენობა, რადგან არის ადგილები, სადაც სანამქრეებზე თოვლი გვიანობამდე დევს. ნასოფლარ ბუზმარეთში მე მიცხოვრია ძველ, მიწურ სახლში, რომლის დარბაზშიც მთელი წლის განმავლობაში გამოდიოდა ასეთი წყარო. ეს იყო მაჰმადიან ქართველთა საცხოვრებელი, ვიდრე ისინი გაასახლეს. ჩემს დროს კი აქ ასპინძის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმა იყო.

თორნეული, - ტყე. **გვალტყის** ჩრდილოეთით მისსავე გაგრძელებაზე არის ეს ტყე. „ადგილს რო დახედო ზევიდან, თონის პურს ჰგავს. ისეთი ფორმა აქვს თითქოს თონეში ამოგიკრიაო. შუაში განიერია და ბოლი ამოშვერილი აქვს. ალბათ ამიტომ ჰქვია თორნეული. ნამოსახლარი ახლომახლო არ არის, რომ თონესთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. სახნავი მიწა იყო, ახლა ტყით არის დაფარული“. მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ითვისებოდა ყანად, მერე სატყეო მეურნეობამ სანერგე გააკეთა და ფიჭვნარმა გადაფარა.

ზოგიერთი ინფორმატორის აზრით „სხალნარიდან სამხრეთ-დასავლეთით, ქვედა გვალტყის ქვემოდან არის ნასოფლარი (იოსებ ბერიძე 76 წლის)“.

თორნეულის გუბე//თორნეულების გუბე, - გუბურა. თორნეულის ტაფობზე ხელოვნურად გადაკეტავდნენ, აგუბებდნენ წყალს და შიგ ბანაობდნენ. ეს იყო დროებითი საბანაო.

თორნეულების გუბე, - იხ. თორნეულის გუბე.

თხილიყანები, - ყანები. ეს არის იგივე **ნაქურთალი**, რომელსაც გიგოლიენტ ყანასაც ეძახდნენ. ზვრებში თხილი იდგა.

ივერია - იხ. ერკოტა, საქორიას თავები.

ინასათიბი, **სახნავ-სათესი**, **საძოვარი**. ტერიტორიულად უკავშირდება ბერბუკს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მოდრეკილას, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან - ნაგუთნებს. ერკოტიდან მიმავალი გზა, რომელიც გაივლის საბადურის ქვეშ, ავა სხალნარის მიმართულებით, გადის ინასათიბის ზედა ნაწილში. სხალნარის გადასახედზე, სადაც სარწყავი არხი (რუ) მოდის არის რუსთავი, ინასათიბში რუ იყოფა ორ ნაწილად. ერ-

თი მიდის **ვარნეთისკენ**, მეორე – **ერკოტაში**.

ინასათიბი ვაკეც არის და ბორცვიც. არის საძოვარეც, სათიბიც, თავის დროზე იხენებოდა და ითესებოდა კიდეც. სათიბი მხოლოდ ჭალა არ არის. ითიბებოდა პურეული და სხვა კულტურები, ამიტომ სათიბში ისიც იგულისხმება. ინა კაცის სახელი უნდა იყოს (შდრ. **ინაშვილი**, **ინაური**).

ინასათიბის გლერდნარა, – იხ. გლერდნარა.

ინასათიბის გლერძნარა. – იხ. გლერდნარა.

ინასათიბის ლელე. – იხ. ერკოტულა.

იოკას ჭალა, – **ჭალა**. ჭალა არის უნაგირას ფერდობზე. სხვა ჭალებიდან იმით გამოირჩევა, რომ „შემოკრილი“ ჭალაა. რომელიც ყურათლისა იყო (ყურათლინთ შტოს სათავის დამდეგი ბერიძეთა გვარში), რომელიც ვაჟკაცი კაცი ყოფილა, ჰყვარებია ქეიფი, სმა. თავის ჭალასთან ქეიფობდა, შემოლევია სასმელი, უთქვამს დადეშელი იოკა ივანიძისათვის, ორი ლიტრა არაყი მომიტანე და ეს ჭალა შენი იყოსო. იოკა დატრიალდა, იშოვა არაყი და ჭალა მიიღო. იოკა არის იოკიმეს შემოკლებული ფორმა.

ირმისრქა/ირმირქა, – **მთა**. ირმისრქა ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთი მწვერვალია. ამ მთის ჩრდილოეთი კალთა არის ჭობარეთის მხარე **ყიშილეთი**; **ცხრანყარო** – ზველის ტერიტორიაა. **ცხრაკენჭა** – ერკოტისა, სადაც აწყვიტასაც აქვს ფართობები. ისტორიულად აქ მთად აღიოდნენ: **ერკოტელები**, **ვარნეთელები**, **ზველელები**, **ჭობარელები** და **დადეშელები**.

კოლექტივის დროს, კომუნისტების პერიოდში, **ირმისრქის** ტერიტორიები ჩამოართვეს სოფლებს და მას სახელმწიფო აქორავებდა, აძლევდა კახეთიდან ჩამოსულ მწყემსებს. **ცხრაკენჭაზე** მოჰყავდათ **წყნეთის**, **ტაბახშელის** საქონელიც.

ირმისრქიდან სათავეს იღებს ჭობარეთისკენ მიმავალი ნყლები. ირმისრქიდან ერკოტისაკენ ნყალი არ იღვრება, ჩადის **ბუზმარეთის მხარეს**, **ყოინდარაში**. ირმისრქა ჰქვია მწვერვალს, შემდეგ სახელი მის დანარჩენ ფერდობებს და ტერიტორიებსაც ეწოდა, ამიტომ ირმის რქაზე ბევრი სხვა სახელიც არის: ობოლკლდე – სამხრეთ-აღმოსავლეთით, **ცივინყარო**, **პტენის მთა** (პტენელები მოდიოდნენ მთად).

ირმირქა, – იხ. ირმისრქა.

კაკაველი, – **ნასოფლარი**. ნასოფლარ ვარნეთის ტერიტორიაში შედის. ეს არის ვაკე ადგილი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე **ერკოტის ლელის** (რომელიც ვარნეთის გავლის შემდეგ **ვარნეთის ლელედ** იწოდება) დაბოლოების ნაწილი. იყო ყანები და ბალები, კოლექტივიზაციამდე აქ ექვსი კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. რადგან სოფელი პატარა იყო და კოლექტივის ვერ ჩამო-

აყალიბებდა, შეუერთეს ვარნეთს. მაჰმადიანთა გასახლების შემდეგ, კაკაველი ასპინძის კოლმეურნეობაში შევიდა. აქ ძირითადად ხეხილის ბაღები და სიმინდის ყანები ითესებოდა კოლმეურნეობის დროს. იხ. ვარნეთი.

კალოები, - ნაკალოარი. ინფორმატორთა ცნობით ახორციელის (იხ) ძირში, ნაფუზარში (იხ.) იყო კალო, სადაც სოფლის მარცვლეული იღენებოდა. იხ. ნაფუზარი.

კაპანი, - გზა. რამდენიმე კლდიან ადგილზეა გასასვლელი გზა, რომელსაც კაპანი შქვია. იხ. ბერბუკები, გზაგაიარა.

კაცკალია, - იხ. ვარნეთი.

კეტალია, - იხ. ვარნეთი.

კერკედა, - იხ. კონახურა.

კვირანათხევი, - იხ. ბერიები.

კვირაცხოვლობა, - ეკლესია. ნასოფლარ ვარნეთის ზედა ნაწილში იდგა ეკლესია, რომლის ნანგრევებმა, ისევე, როგორც ციხის ნანგრევებმა, დღევანდელობამდე მოაღწია. ვარნეთში მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. კვირაცხოვლობას ერკოტელები ჩამოდიოდნენ ამ ეკლესიაში. მე-19 საუკუნეში დადიოდნენ ვარნეთელებიც. ერკოტიდან კვირაცხოვლობამდე ძველი ნაგზაური ჩანს, იმდენად ვიწროა **კვირაცხოვლობის გზა**, რომ საურმეს ვერ ეტყვი, უფრო სამარხილე გზა უნდა იყოს, აღმართ-დაღმართიანი და ფერდობზე გამავალი. ეს გზა გაივლის ლელეზე, სადაც არის **ხარის საწოლიც (ხარისაწოლი//ხარის საწოლები)**. ლელე ჩამოდის **ინასათიბიდან**, ჩადის ერკოტასა და ვარნეთს შუა, ჩადის ვარნეთში და უერთდება **ერკოტის ლელეს** ვარნეთის ტერიტორიაზე და ერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

კვირაცხოვლობის გზა, - იხ. კვირაცხოვლობა.

კიბია, - იხ. ვარნეთი.

კლდეკარი, - გზა. **კლდეკარი** იყო **ერკოტისა** და **ვარნეთის** საზღვარი ერკოტულას ლელეში. კლდეკარს ისეთ ადგილს უწოდებენ, სადაც წყლისგან არის გაჭრილი კლდე, სადაც გადის გზა, კლდეკარი შეიძლება იყოს ხელოვნურად გაჭრილი კლდეც, ოღონდ გზა უნდა გადიოდეს.

კომუნის სახლები, - ნასახლარი. **ჭურას თავსა** და **კურდღლის თავს** შორის დაფერდებული ადგილია, სადაც ეტყობა ფაგები, ნასახლარი. გადმოცემით 1926 წელს ერკოტაში შექმნეს კომუნა ოთხმა ოჯახმა. თავკაცობდა ერთ-ერთი ბერიძე. ეს ოჯახები, მაშინდელი აგიტაციის შედეგად, გამოეყო სოფელს, ავიდნენ ჭურაში და იქ დასახლდნენ. მართალია, მათი კომუნა მხოლოდ 2 წელიწადს არსებობდა, შემდეგ დაიწყო კოლექტივიზაცია და კომუნებიც დაიშალა, მაგრამ ამბავი იმდენად უცნაური იყო, რომ ადგილს

შემორჩა ეს სახელი. კომუნის წევრებს წისქვილში საერთო მიწა დი ჰქონდათ. საერთო იყო მათი ყანები, სათიბი, სათესი, აკეთებდნენ ერთიან საქმელს, ერთად ჭამდნენ. ინფორმაციური მომსწრეა კომუნის ზოგიერთი წევრისა და მათგან იცის ეს ამბავი.

სახლი იყო მიწური, როგორც ყველა სახლი მაშინდელ მესხეთში. გააკეთეს დიდი საქვებ. საქვე იყო კედლის გასწვრივ მიშენებული ხის გრძელი სანოლი.

კობლიანთ ყანა, - ყანა. ზურგანას ყანასთან იყო კობლიანთ ყანა. კობლიას ეძახდნენ ევგენა ბერიძეს. ყანა მას და მის შთამომავლებს ეკუთვნოდათ.

კორანთა ხევი, - იხ. ბერიები.

კორკოტაანთ ბალები, - იხ. გაღმა ბალები.

კორკოტაანთ გაღმა ბალები, - იხ. გაღმა ბალები.

კორკოტაანთ უბანი, - იხ. ერკოტა.

კორკოტიენტ სახლები, - იხ. ოქოონთ სახლები.

კორკოტიენტ ყანები, - იხ. ფონა.

კუდაშარიფას ქალა, - იხ. კუდაშარიფა.

კურდღლის გორა, - იხ. საკურდღლე.

კონახურა, - ყანები. **გაღმა ყანებისა და ფხაკოს** მიმდებარე ტერიტორიაზე არის ყანები, მოვაკებული ადგილია კონახურა. ყანებს შორის ზღვრებში იცის კონახური და სახელიც ამიტომ შეერქვა. ს. ჯიქიას დამონმებული აქვს მე-19 საუკუნის დოკუმენტი, რომლის მიხედვით **კონახურა** არის მთა, გორა და ის დასახელებულია ერკოტის რელიეფის დასასაბუთებლად: „Попа пуари (ფუარ-თურქ. piar „წყარო“), на воз-ушенном месяце под подошною горы **Керкеда**, над оврагом **Уканхеви** и против горы **Коцахура...** (ს. ჯიქია, 1958, გვ.190)“.

გაღმა და გამოღმა ბალები განისაზღვრებოდა ფონას წყაროს მიხედვით. ფონას წყარო მიედინება **ერკოტის ლელისაკენ, ვარნეთის** მიმართულებით. ამ წყლის მიხედვით **ერკოტის მხარის** ბალები არის **გამოღმა ბალები**, ხოლო წყლის გაღმა არის **გაღმა ბალები**. ამჟამად, რომ ერთი და იმავე ობიექტზეა საუბარი. ეტყობა ყანების გარდა გარშემო მთა-გორებსაც კონახურა რქმევია მე-19 საუკუნეში.

კუდაშარიფაი, - ტყე, ქალა. ეს იყო **საკარის** გაგრძელება და თავშავის დასავლეთი ნაწილი. ალაგ-ალაგ სათიბებიც არის, აქვე, ქალასთან ახლოა **ყაჩალების ბუნავი**. **კუდაშარიფა** კომპოზიციური მეტსახელი უნდა იყოს ადამიანისა. შარიფა იქნებოდა ადამიანის სახელი და მას რაღაც თვისებების გამო დაერქმეოდა **კუდაშარიფა**.

ფა. კუდა მეტსახელად ბევრგან გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ეშმაკ კაცს ეტყვიან კუდას. სახელის კომპოზიტურობამ განაპირობა, რომ ადამიანის საკუთარ სახელს მანარმოებელი არ დაერთო და ისე მოხდა ნომინაცია. კუდაშარიფას **კუდაშარიფას ჭალასაც** ეძახიან.

კუდაშარიფას ჭალა, - იხ. კუდაშარიფას ჭალა

ლაშაზი წყარო, - წყარო. ეს არის **ზედამთის** წყარო, რომელსაც მაჰმადიანურ გარემოში შეეცვალა სახელი და **გვეზალუა** ეწოდა. მოხდა სახელის თარგმნა, თუმცა მესხურისათვის დამახასიათებელი ნახევარხმოვანი ხმოვანფუძიან სახელთან მაინც გაჩნდა.

ლაშქარა, - იხ. მელაჯვარა.

ლაშხევი, - იხ. საკურდლლე.

ლაშხევის ლელე, - იხ. საკურდლლე.

ლეკთა ხევი - იხ. ყანნისი.

ლეკმინა, - იხ. ლეკმინები.

ლეკმინები, - ნასოფლარ ერკოტის ჩრდილოეთით არის **ლეკმინა**, რომელსაც **ლეკმინებსაც** ეძახიან. ადგილობრივთა მტკიცებით ლეკმინის ეტიმოლოგია უკავშირდება ლეკებს: „ლეკები შემოსევიან, ის მინა აუოხრებიათ და **ლეკმინებს** ეძახიან“. იციან აგვრეთვე, რომ ლეკი არის მცენარე. ლეკმინებს დასავლეთით ესაზღვრება **ინასათიბი** და **ნაგუთნები**, ხოლო ქვევით, ჩრდილოეთით - **გვალა//გვალაი**.

აღექსი ბერიძის აზრით (აღექსი ბერიძე პროფესიით გეოლოგია) ლეკმინა კი არა და უნდა იყოს **ლექმინა**. „მთლიანად ეს ტერიტორია არის დანალექი მასალა, საიდანაც არის მოტანილი სილა, თითქოს გადმოსროლილი მასალაა. ასეთი მინა დადეშშიც არის. ეს დალექილი მასალა ზოგიერთ ადგილში 50 მ. სისქის ფენაა, ზოგან ჩარეცხილია. ამ დანალექ მასალაში არის ოფსიდიანის ქვარგვალეები. ერთხელ ვნახე ირმის რქაც, ნახევარი რქა იყო. ამ მინაზე იყო წყარო, რომელიც ნიაღვარმა წაიღო და დაიკარგა. ვთხარეთ მინა ვეძებეთ წყარო და ვნახეთ. თხრის დროს რალაცას მოედო კირკა, გამოვიღეთ რქა 10 მეტრი სისქის ქვეშიდან, დაჭერით და დანის ტარი გავაკეთეთ. ლეკმინებში წყლები გამოდის. იქიდან გამოსულ წყლებს თავს უყრიდნენ და იმით რწყავდნენ. როგორც ჩუნჩხა-პტენის ქვეშ ნიადაგის ერთ სისტემაში ჩამოდის წყალი, ასეა ერკოტაში, როკეთში, დადეშში, ზველში. ეტყობა ვულკანური განფენია. ზოგჯერ ამალღებული მთა აწევს ზემოდან. ესენი ნაგვიანები ვულკანებია“.

ლეკთან დაკავშირებით და მისგან წარმოქმნილ ტოპონიმებზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგჯერ შეიძლება ეთნოტერმინი იგულისხმებოდეს ჯავახეთში **ლეკიანთ ბაღებისა** და

ლეკინაჩების შემთხვევაში, ხოლო ლეკის ხევის (რუსთავი) და ლეკმინების (ერკოტა), შემთხვევაში ლეკი მცენარეს უნდა გულისხმობდეს: „ლეკი ხე თეთრი ხეა. ამ ხისგან ჭურჭელს ამზადებენ. ლეკიხეს ლეკაც ჰქვია“ (ბეიძე, 2008ნ:131). შესაძლებელია არც ლეკინაჩებში იყოს ეთნოტერმინი ლეკი, რადგან მოსალოდნელია, ამ დროს მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციურ ფორმასთან გვეკონდეს საქმე. ლეკინაჩები ნიშნავდეს არა ლეკის ნაჩებს, არამედ ნაჩხ ლეკს.

ლეკმინებში გამოდიოდა ოცამდე წყარო სხვადასხვა ადგილზე, სამწუხაროდ, ცალცალკე სახელები არ ახსოვთ. ყველას ერთად კი ლეკმინის წყაროს ეძახდნენ.

ლეკმინის წყარო, – იხ. ერკოტულა.

ლენინის თავი, – გორა. ვარნეთის თავზე საროყაფანს აქვს თავი, რომელსაც თავკალო ჰქვია. მოშიშვლებული თავი ასპინძიდან კარგად ჩანს. ამ მოშიშვლებულობის გამო ირონიით სულ ბოლო დროს (მე-20 საუკუნის 80-იან წლებში) შეარქვეს ის სახელი.

ლექმინა, – იხ. ლეკმინები.

ლოდის ყანები, – იხ. ბერიები.

ლომიასული, – ყანები. სოფლის ძირში, ჩრდილოეთით, რამდენიმე ჰექტრიანი ყანა იყო. დღეს გაკორდებული ადგილია. სამცხე-ჯავახეთში -ეულ დაბოლოებიანი ტოპონიმები გვხვდება, მაგრამ დღეისათვის დიალექტს აღარ ახასიათებს მსგავსი წარმოება. ლომიასულთანავეა **ღვდლიყანა**. რომელი მღვდლისა იყო არ იციან.

მაკენას ოქრო, – ხევი. კვარანთის ხევის, ერთ-ერთ ადგილს სულ ბოლო დროს შეერქვა ეს სახელი კინოფილმში გადაღებული ადგილების მიმსგავსებით და ანალოგიით.

მანასასული, – ყანა. სკოლიყანების ბოლოში არის ბალდევენთ (ჩატიძეები) ყანა 90 მეასედამდე, რომელსაც ასე მოიხსენიებენ. ვინ იყო მანასა არ იციან.

მარკოზას წყარო, – იხ. ზურგანა.

მალაზიის კარები, – მოედანი. ჭიტვლიენთ (სოფ. ოთაში გადასული ბერიძეების შტო) კარმიდამო იქცა მალაზიის წინ მდებარე ტერიტორიად, რის გამოც შეერქვა სახელი.

მალარიები/ქვაბები, – გამოქვაბულები. ამ სახელებით ცნობილია გამოქვაბულები დადებულიან ერკოტისაკენ მიმავალი გზის გზაგაირას თავზე. გამოქვაბულების ქვეშ არის ქვაბიძირი. მალარიების ერთ გამოქვაბულს სათხე ჰქვია (იხ.). მალარიები და გამოქვაბულები (ქვაბები) მესხეთში პარალელურად იხმარება, ოღონდ გვაქვს მალარა და არა მალარო, რის გამოც არის, რომ ვლუბულობთ ფორმას მალარიები←მალარაები. მალარიებს ქვაბების

გარდა ერკოტის ქვაბებსაც ეძახიან.

მალარიძეები, – იხ. ქვაბისძირი.

მალარისძირები, – იხ. ქვაბისძირი.

მეისი, – იხ. ვარნეთი.

მელაჯვარა, – საძოვარი, გზა. ორი გზა მოდიოდა დადუშიდან ერკოტამდე. ერთი გადმოივლიდა **გადაკვეთილაზე**, მეორე გამოდიოდა **ძველი დადუშიდან**, გამოივლიდა **მელაჯვარას**, მერე **ქვაბისძირს** და შემოვიდოდა სოფელში. მელაჯვარაში არის ბორცვი, რომელსაც **მელაჯვარას გოლგოთი** ჰქვია. შეიძლება იქ სსაფლაოც იყოს. ის მოშორებული ადგილია დასახლებული პუნქტებიდან. ძველი დადუშიდან და ერკოტიდან. ამიტომ თუ აქ სასაფლაო იყო, ნასოფლარიც უნდა ყოფილიყო ახლო-მახლო, რომელიც გამქრალია.

გადმოცემით მელაჯვარას გოლგოთზე ქვის ჯვარი იდგა.

ინფორმატორთა მტკიცებით სახელი ცხოველს, მელას, არ უნდა დაუკავშირდეს, რადგან ჯვარია და ნმინდა ადგილია. უფრო ქალის სახელს მელანოს, მელანას უკავშირებენ. ერკოტაში იყვნენ ამ სახელის მატარებელი ქალები, რომელთაც მოფერებით **მელოს** ეტყოდნენ. თუ მელოა, შეიძლება მელაც იყოს მოფერებით.

ჯვარი ბევრი სოფლის ტოპონიმიაში დომინირებს და ეს ბუნებრივიცაა, ბევრი მათგანი გზასთან არის დაკავშირებული, თუმცა არის სხვა კომპონენტებიც. მაგალითად მოვიყვანო ღრელსაფარას შორის არსებულ ტოპონიმს: **„საფარიეაკის ქვემოთ, ჩრდილოეთით არის უბნისწყარო, ხოლო მის აღმოსავლეთით, ვიდრე საფარას გადავხედავთ, ამოდიოდა ლაშქარადან გზა, გზაჯვარედინი იქმნება და ამ ადგილს საჯვარე ჰქვია. საჯვარიდან 200-ოდე მეტრია იმ ადგილებამდე, სადაც პირველად გამოჩნდა საფარა. საჯვარე ჰქვია გზას ლაშქარას შესაყართან (მინაძიდან ამოდის). საჯვარეს საფარის გზა ჰყოფს ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ნაწილად. გზიდან მის ქვედა მხარეს დგას მუხა, მიმდებარე ტერიტორია არის ტაფობი. ბორცვზე, რომელზეც მუხა დგას, ნასახლარი ეტყობა. საჯვარის ცენტრად აღიქმება ბორცვი მუხით (მ. ბერიძე, ღრელის საფარის და ლაშქარის ტოპონიმია, ახალციხის ინსტიტუტის შრომები, I, 20085. გვ.31)“.**

სოფ. ქუნციის შესასვლელში არის ბორცვი, რომელსაც **ჯვარი** ჰქვია და ბალები სახელით – **ჯვართუქანები**. ამ ადგილზე ქვის ჯვარს მიუთითებენ.

მელაჯვარას გოლგოთი, – იხ. გოლგოთი.

მიხვეილა, – იხ. ფხაკო.

მოდრეკილა//მოდრეკილაჲ, ფერდობი, ნაყანარი. მოდრეკილა იწყება

სოფლის ზედა დასახლებიდან ზემოთ, **საბადურსა** და **ინასათობს** შორის. **ქვედა ყანები** ბევრი იყო, 7-8 ყანა, ფართობითაც მეტი და გაშლილი. ეს ყანები შუაში მოხრილი და ბოლოებში ვიწროა. ფერდობში არის ისეთი, რომ შუაში შენოლილია შიგნით და ყანის ფერდები ფრთებივით არის. ნახევარმთვარის, ნალის ფორმისაა, მოდრეკილია. ზოგი ინფორმაციით მოდრეკილას **ბრუდეყანასაც** ეძახიან.

მოდრეკილაი - იხ. მოდრეკილა.

მოდრეკილას დასაქანი - იხ. დასაქანი.

მოკრილჭალა, - ჭალა. მოკრილი მესხურ დიალექტში შელობილს, ყორემემოვლებულს ნიშნავს. ჭალა, რომელიც შემოზღუდულია ყორით არის მოკრილჭალა. იხ. გორაი, ჭალის ყანა.

მოსისხლე ხევი, - იხ. ყანნისი.

მოხვეილა, - იხ. ფხაკო.

ნაგუთნები, ყანები. **ბასტიას კლდის თავზე** მოვაკებული ადგილია, რომელსაც **გიგოლას ყანა** ჰქვია, რომლის გაგრძელებაც **ლეკმინების** დასავლეთით არის **ნაგუთნების ყანა**. მას ნაგუთნებიც ჰქვია. ნაგუთნებში იყო **ვეგენას ყანა** (ბერიძე).

ნაგუთნების ყანა - იხ. ნაგუთნები.

ნალეკი, - იხ. ვარნეთი.

ნაორები, - იხ. გვირგვინი.

ნაფუზარი, - ვაკე. **ახორტყის** დაბლა, დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით მოვაკებული ადგილია, რომელსაც **ნაფუზარი** ჰქვია, მაგრამ **კალოუბსაც** ეძახიან, რადგან აქ ყველა გვარს თავისი კალო ჰქონდა. „მახსოვს ექვსი კალო რომ იყო ამ ადგილზე და ილენებოდა“. ამ კალოს ხარი აშყავდათ ახორტყეში საძოვრად და ღამის გასათევად. ნაფუზრებში იყო შემდეგი კალოები: **გიგოლაანთ კალო** (ბერიძეები), **სოსანანთ კალო** (ბერიძეები), **ქუჩიანთ კალო** (ტივაძეები), **ქუჩიანთ კალო** (ცალქალამანაძეები), **ყვრათლინთ კალო** (ბერიძეები), **ჰალაჯიანთ კალო** (ბერიძეები).

ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით „ნაფუზარი იგივე **ქვაბიძირია**, იგივე **გრძელი ყანებია** და იგივე **დიდი ყანებია**“.

ნაფუზარის ყანა, - იხ. საკირე.

ნაქურთალი, - იხ. განიგზა, თხილიყანები.

ნალემა, - იხ. სანამქრე.

ნიალის ველი, - იხ. აგარული ნაჩეხი.

ნიალის სანამქრეები, - იხ. სანამქრე.

ნუსხაყანა, - ყანა. მალარობის ძირზე. სამკუთხედის ფორმის ყანა იყო და იმიტომაც შეარქვეს სახელი.

ორგორა, - იხ. ბერიები.

ორთახევი, - ხევი. ყანნიროს ნყლისა და ბერიების ნყლის შესართავს
ჰქვია **ორთახევი**, რომელიც შემდეგ შედის ორგორა-სახუდაბელს
შორის.

ელგუჯა ბერიძის (დაბ. 1934წ.) თქმით, ორთახევს **ორხევიც**
ჰქვია: „**ცხრაკენჭას** ნყალი ჩამოდის ჭურაზე, ჩამოივლის ჭურას
და **ორხევში** უერთდება **ბერიების ნყალს**“.

ორხევი, - იხ. ორთახევი.

ოსკერია, - იხ. ერკოტა, საქორის თავები.

ოსმანასული, - იხ. ბრუდეყანა.

ოსმანასული ყანა, - **ყანა**. ეს ყანა **სკოლიყანებთან** არის ახლოს, ერთი-
მეორეს მოკიდებულია სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ
ყანებს ფლობდნენ ბერიძეები, რომელთაც გვარში ოსმანა არ ახ-
სოვთ. ეტყობა ვინმე ოსმანასგან არის შექმნილი. ყანა დაგრეხი-
ლია, ამიტომ **ბრუდეყანასაც** ეძახიან.

ოქოონთ სახლები/ოქრუანთ სახლები, - **ნასახლარი**. ოქოონი იგივე
კორკოტიენი იყვნენ, ამიტომ **კორკოტიენტ სახლებსაც** უწოდებ-
დნენ ამ ადგილს.

ოქრუანთ სახლები, - იხ. ოქოონთ სახლები.

ოლიაური, - იხ. ვარნეთი.

პაკოსები, - **კლდე**. **ზედა მთაზე ბებრის კლდის** ჩაყოლებზე ბებრის
კლდისავე ნაწილია ფრიალო, მაღალი კლდე, რომელსაც **პაკოსე-
ბი** ჰქვია. იგი თითქოს სოლივით არის ამოსული მიწიდან. გეო-
ლოგი ინფორმატორის ა. ბერიძის თქმით - „კლდის მასალა
მკვერივია, უფრო ბაზალტია, ეტყობა კლდე დაიშალა, ნაწილი გა-
დაფარა მიწის ფენამ, ნაწილი ისევ დარჩა“. **პაკოსების კლდის
ძირში** მყუდრო ადგილია, ამიტომ ერკოტელები მთად რომ ადი-
ოდნენ პაკოსების კლდის ძირში ჰქონდათ ბინა, საქონლისა და
ცხვრის სადგომები იყო გაკეთებული. **პაკოსების** დასავლეთი
მხარე არის ფერდა, რომლის სიმაღლე ზოგან 16 მეტრია, აღმო-
სავლეთით ჩამოჭრილია. ამ ტერიტორიაზე ქარი მთელი წლის
განმავლობაში დასავლეიდან აღმოსავლეთისაკენ უბერავს, ამი-
ტომ პაკოსები არის ბუნებრივი საფარი.

პაკოსების კლდის ძირი, - იხ. პაკოსები.

პანტები, - იხ. გვალიტყე.

პატარა გორა, - სასაფლაო ჭურამში.

პირდაპირაი, - **ფერდობი**. სოფლის მოპირდაპირე მხარე აღმოსავლე-
თით, ფხაკოს ზევიდან.

პორფილას ნყარო, - იხ. ერკოტულა.

პტენის მთა, - იხ. ირმისრქა.

რგვალი ტყე, - იხ. გვალიტყე.

როკეთი, - იხ. ბერიები.

როკეთის ზიარეთი – იხ. ზიარეთი.

როსტომიენთ კალო, – ნაკალოარი. სოფლის ტერიტორიაზევე იყო კალო, რომელიც პალაჯიენთ (ბერიძეებს) ეკუთვნოდა. მათ ერთ ნაწილს როსტომიენთაც ეძახდნენ.

რუსთავი, – სათავე. იოსებ (სოსო) ბერიძის მტკიცებით **რუსთავი** არის ერკოტაში, ოღონდ ის არ არის მნიშვნელოვანი პუნქტი. **რუსთავი** ერქვა **ბერიებსა** და **უნაგირას** შორის, უნაგირადან დასავლეთით, სადაც იყოფოდა არხის წყალი **ვარნეთისა** და **ერკოტის** მიმართულებით.. ვარნეთი ნასოფლარია, იქ მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. დღეს ერკოტაც ნასოფლარია, იქაურები მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ასპინძაში ჩამოასახლეს.

ეს არხი იწყება ბერიებიდან, მოჰყვება ტყეს უნაგირას გადაღმა, **ბერიების ტყეს** სჭრის შუაზე, გადმოივლის **სხალნარის თავზე** და გადმოდის ნასოფლარ უნაგირაზე. არხში დის გრძელი ქალის წყალი, ზოგიც ბერიებიდან ჩამოდის ნაწური წყალი და ავსებს არხს. **ცხრაკენჭას** წყალი აქ არ ჩამოდის, ის ჩადის **ხეივანელებზე**.

ამ ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი არხია. ერთი მოდიოდა ბერიებისკენ **გრძელიქალიდან**, მეორე ჩადიოდა **დადეშში** და როკეთის მხარეზე, ხოლო, ვარნეთსა და ერკოტას საზიარო არხი ჰქონდათ. არხი ახალი ტერმინია, ის შემოვიდა კოლმეურნეობის დროს და ძირითადად ადმინისტრაცია ხმარობდა. არხს ხალხი რუს ეძახდა. არხი ანუ რუ ხელოვნურია. მას გარშემო ქვა ჰქონდა ჩარიგებული და ამ ქვებს შორის მიდიოდა წყალი. ამ ყველა რუთაგან გამორჩეულად **რუსთავი** ერკოტა-ვარნეთისკენ მიმავალ რუს ჰქონდა.

რუსპირი, – **მინდორი**. **რუსთავის** შემდეგ, **ინასათიბის** მიმდებარე ტერიტორია, სადაც იყოფა რუ. შეიძლება შეგვხვდეს **რუჰპირი** ფორმითაც. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩანერილი მაქვს ამავე ადგილებში **რუჰყანა**.

რუჰპირი, – იხ. რუსპირი.

რუჰყანა, – იხ. რუსპირი.

რძიანა, – **გორა**. დღევანდელი სოფ. **ივერიის თავზე**, მის გარშემო იყო სახნავ-სათესი ფართობები. ასპინძიდან მიმავალი გზით ივერიის შემდეგ ავდივართ **რძიანაში**. სახელს ეძახიან იმიტომ, რომ ამ მიდამოში რძიანა ბალახი იცის. ეს ბალახი პრასიევით იზრდება, გადატყევისას თეთრი სითხე რძესავით გამოდის.

საბადური, – **ტყე**. ნასოფლარ ერკოტის სამხრეთით **ჩიტინყაროს** გვერდით არის ტყე, რომელსაც **საბადურს** უწოდებენ. ერკოტელი იოსებ ბერიძის(70 წლის) თქმით სოფელში ჰყვებოდნენ ერთ ამბავს: „ერკოტელი ქიტესა ბერიძე იყო, ვაჟკაცი კაცი, გააფრთხილეს.

თათრები მოდიანო. დიეცემიან *მოდრეკილას* (ნასოფლარია დლეს). ამბავი მოხუც ქალმა მოუტანათ, ქალი შეუსყიდიათ, რომ შენ გამოიყვან გოგოს *ჩიტინყაროზე*, *საბადურიდან* დახურულია და არ ჩანს დამალულები. ქიტესა გაათხრევიანს იამას, თოფებს ჩაანყოფს, ესერის და ჩახოცავს თათრებს". საბადური ტყიანი, „დახურული“ ადგილია, ჩიტინყარო კი როცა ნეიმიანია მაშინ გამოდის. მოდრეკილას აღმოსავლეთით არის ჩიტინყაროც და საბადურიც. ჩიტინყაროზე ხშირად ფრინველები იკრებებოდნენ, წყალს სვამდნენ. საბადურში შაშვი, გნოლი, კაკაბი იყო სავსე.

საბადურის შესახებ ალექსი ბერიძისგან ჩავიწერე შემდეგი: „საბადური არის ერკოტის სამხრეთით ფერდობიანი, ტყიანი ადგილი. ტყის სოფლის მხარის ნაწილი არის პანტიანი და მუხიანი, ზედა ნაწილზე ვიდრე ფერდობის თავამდე ავიდოდეთ, სადაც სერის დაბოლოებაა, ხარობს რცხილა, ნეკერჩხალი, ვერხვი. **საბადური** არის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო დასავლეთის მხარეს ჰქვია **საკურდლლე**. ქედის გასწვრივ ტერიტორიას კი ჰქვია უნაგირა. **ჩიტინყარო** არის საბადურის ბოლოზე, ერკოტიდან მიმავალ გზაზე. ეს წყარო მუდმივი წყარო იყო, დავემხობოდით ბავშვობაში და გავგრილდებოდით ხოლმე. დაიკარგა, აღარ დის, მხოლოდ გაზაფხულობით ნაჟურის სახით გამოდის“. ასევე არის საბადური ახალციხის რაიონის სოფ. ტყემლანის თავზე, იქაც ტყეა, გამოდის წყარო და მასაც ჩიტინყარო ჰქვია.

საბადური სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ბადის მისადგამი ადგილი (ორბელიანი, 1966: 21)“. ბადის „მიმდგმელს“ მებადური ჰქვია. მებადური, როგორც წესი მეთევზის სინონიმი, ამიტომ ბადეობა, ბადით ნადირობა, თევზის ჭერას ნიშნავს, მაგრამ ბადე იყო სხვადასხვა სახისა. „ბადე არის თევზთ შესაპყრობელი“ და აგრეთვე არის შესაპყრობელი **ფრინველთა**: აშრიალი, ოჯიჯი, სასირე, ჩიტბადე, ტრედბადე; მრავალრიგნი არიან (ორბელიანი, 1965: 93)“. **საბადური** როგორც ერკოტაში ისე ტყემლანაში თევზის ჭერასთან არ არის დაკავშირებული. იგი ფრინველზე სანადირო ადგილი იყო, რასაც **ჩიტინყაროც** ადასტურებს.

ჩიტინყაროს ფრინველთა სიმრავლის გამო შეერქვა სახელი. ამ სიმრავლის გამო ნადირობდნენ კიდევ ბადით.

საბადურის თავკალო, - იხ. თავკალო.

საბანიებელი, - იხ. ვარნეთი.

საბიე, - იხ. ვარნეთი.

საგაროვი, - იხ. ვარნეთი.

სათუთას წყარო, - იხ. ბერიები.

სათხე, - **გამოქვაბული** - დადემიდან ერკოტისკენ მიმავალი გზის თავ-

ზე ერკოტის მხარეს არის გამოქვაბულები. სულ არის სამი გამოქვაბული. დადუმიდან ერკოტის მიმართულებით პირველ გამოქვაბულში ერთი ქვაბია, მეორეში არის სამი ქვაბი, ხოლო მესამეში – ორი ქვაბი. ჩამოტანილი მიწით სავსეა მეორე და მესამე გამოქვაბულები, პირველი უკეთესად ჩანს. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სამივე კარგად ჩანდა, პირველი გამოქვაბული, რომელიც დღესაც კარგად ემჩნევა ფერდს, შედარებით უხეშად, „უკულტუროდ“ არის ნაკაფი. **სათხე** ჰქვია მესამე ჯგუფს ქვაბებისა, ეტყობა ვიღაცა თხებს რეკავდა შიგ. **ქვაბებს** საერთო სახელადაც მოიხსენიებენ. შეიძლება **ერკოტის ქვაბებიც** თქვან.

ჯავახეთში გვხვდება სოფლის სახელად **სათხე**, რომელიც ცნობილია თავისი ძველი კულტურის ძეგლებითა და ისტორიით (იხ. ბერიძე, 2010: 44-56).

სათხე, – **ფერდობი** – სოფლის აყოლება ტერიტორია, ვიდრე ჩიტინყა-რომდე მივალთ, გზის ნაპირია. თიხიანი ადგილია და ამოტომ შეერქვა სახელი.

საკარე, – **ტყე. სხალნარში** არის **ზედა გვალტყე** და **ქვედა გვალტყე**. ამ **გვალტყეების** დასავლეთით არის დაბურული ტყე, რომელსაც ჰქვია **საკარე**. სხალნარიდან დასავლეთით **საკარის ტყის** გაგრძელება მთავრდება **თავშავით**. საკარიდან არის **ძველი საურმე** გზა თავშავაზე. საკარეს **საკარის ტყესაც** უწოდებენ. ეს ტყე გამორჩეულია დიდი ხეებით. ძირითადად მუხნარია. შეიძლება ერთ დროს იყო წინწარიც. ტყეს ხშირად იმის მიხედვით ახასიათებდნენ, თუ რისთვის შეიძლება გამომდგარიყო იქ მოჭრილი ხე მასალად. ასეთი ადგილები იყო ტყეში **საყავრე**, სადაც ყავარისთვის საჭირო მასალა მოიპოვებოდა, ან გამოიხდებოდა ყავარი. ასევე მიუთითებდნენ **საკევერე** მასალას ან საკევერე ადგილს ტყეში. კევერი რომ გამოეყვანათ ფართო ფიცარი იყო საჭირო და შესაბამისი დიამეტრის ხე. ზოგიერთი კევერი ორი ფიცრისგან იკვრებოდა, უკეთესი იყო, ერთი ფიცრით გაკეთებული კევერი. ტყეში ხეების შერჩევა ხდებოდა. სპეციალურად ეძებდნენ ხეს თავლორი ურმისათვის. თავლორი თივის მოსატანი დიდი ურემია, რომელსაც შუა წელში უყენია გოგორები და სპეციალური ხისგან გამოთლილი საცურავი. ამ ნაწილისთვის ეძებდნენ ისეთ ხეს, რომელიც ფერდობზე ხარობდა და ძირითადი ფესვი ხის ვერტიკალურად შედიოდა ფერდობში. ასეთ ნაწილს კუთხის გადაბმა არ დასჭირდებოდა. **საკარის ტყე**, ინფორმატორთა აზრით, ისეთი ტყეა, სადაც კარისთვის საჭირო ფიცარს რომ გამოიღებდნენ, ისეთი ხეები ხარობს.

ადამიანისა და ტყის ურთიერთობისათვის საინტერესოა ინფორმატორის შემდეგი მონათხრობი: „ერთი ბერიძე ნიკოლოზა

იყო, ტყეში რომ შევიდოდა, ნახავდა ტოტისგან ან ხისგან, ვთქვათ, კარგი ფოცხის, ბარის სატარე ან საულლე გამოვიდოდა, არ მოჭრიდა. სიცოცხლეშივე ფორმას აძლევდა, ზედმეტს შეაჭრიდა, მისთვის საინტერესო მიმართულებას მისცემდა, რომ მომავლისათვის მისგან საჭირო იარაღი გამოეთალა. იგი ამარაგებდა არამარტო სოფელს საჭირო იარაღებით, ჯავახეთშიც მიჰქონდა გასაყიდად. განსაკუთრებით ფასობდა ურმის ნაწილები (შდრ. საძველი (მ. ბერიძე, საძველი, „გულანი“ №3(7), 2009გვ. 17-21)".

საკარის ტყე, – იხ. საკარე.

საკირე, – ნიადაგი – ნაფუზართან, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნაფუზრის ყანის დაბოლოებაზე არის თეთრი ფერის კიროვანი ნიადაგი, საიდანაც კირს იღებდნენ და გამოწვავდნენ ხოლმე ფურნეში, ცეცხლში. კირი ძირითადად გამოიყენებოდა ქვით ამოშენებული ორმოების ამოსალესად და სამშენებლოდ. ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს საკირე.

კირის ადგილები იყო **ნყორძასა** და **შურდოში**, მაგრამ კირის გამოსანველი მასშტაბური საკირეები არ შემოგვრჩენია. ბოლო დროს დიდი ეკლესიები აღარ შენდებოდა, ასევე ველარ პატრონობდნენ ციხე-სიმაგრეებს, რომ იქ სამშენებლო სამუშაოები ჩაეტარებინათ, ხოლო საცხოვრებელი სახლებისათვის კირს არ იყენებდნენ. საცხოვრებელი ძირითადად მინური ტიპის სახლები იყო დიდი ქვებითა და თიხატალახით ნაშენი. იყო შემთხვევები, როდესაც სახლებს ნაკელითაც კი ლესავდნენ. მთავარი იყო სითბოს შენარჩუნება.

საკირის თავი, – ტყე. **საკირის ტყის** თავია, **აბრამას თავის** გაგრძელება..

საკურდღლე, ტყე, – მინდორი. კურდღელი ბევრი იცოდა ერკოტაში. საერთოდ არ იყო ამ მხარეში ტურა, მაგრამ მომრავლდა მე-20 საუკუნი ბოლოს. ტურამ თანდათან განყვიტა კურდღელი. საკურდღლე ეწოდება **საბადურის** დასავლეთ მხარეს. მეჩხერი, ფოთლოვანი ტყეა. კურდღლის სიმრავლეზე მიუთითებს სხვა ადგილებიც, მაგალითად, **კურდღლის გორას** ედახიან მომალეებულ ადგილს. იგი მდებარეობს ერკოტასა და დადემს შუა ჩამავალ ლელის, რომელსაც **ლაშხევს (ლაშხევის ლელეს)** ედახიან, მარცხენა მხარეს. აქ ისეთი ადგილია, „არსად რომ კურდღელი არ ყოფილა, აქ არ ასცდებოდა“. ეტყობა ან ბალახია ისეთი, ან თავს კარგად აფარებს კურდღელი და იმალება. არის აგრეთვე **კურდღლის თავი** ნასოფლარ ჭურას ტერიტორიაზე ბერიების მხარეს. კურდღლის თავი ეწოდება არა კურდღლის „თავის“ გამო, არამედ ადგილის ამაღლებულობის გამო, რომ აქ არის „თავი“, გორა, რომელზეც მრავლად იცოდა კურდღელი. იხ. საბადური.

სალაპკორდები, - სათიბი. ვარნეთის ტყეში, მის სამხრეთ მხარეს იყო ნაყანარები. სალა ადამიანის სახელი უნდა იყოს.

სანამქრე, - მთის ნანილი. უნაგირას მთაზე დადებული ქოხებთან იყო სანამქრე. ქოხები დადებულების - დადემის მხარეს იყო, ერკოტელებისა - ერკოტის მხარეს. როდესაც მთას აქვს სწორი ზედაპირი, ზამთარში ქარი თოვლს ნაკლებად ტოვებს, მიაქვს სანამქრეებში, სადაც გროვდება დიდი რაოდენობით თოვლი. ნამქერი ზოგჯერ 20 მეტრი სისქის ფენა იქნება. ასეთი თოვლის ბუნებრივი საცავი ბევრია ერუშეთის მთიანეთში. დიდი სანამქრეებია მუსხის ტერიტორიაზე, ვიდრე გუმბათამდე ავალთ, ირმის რქის დაბლა ქობარეთის მხარეს, ყიმილეთში, ნიალის ზემოდან რამდენიმე სანამქრეა, აწყურს აქვს ურავლის ხეობაში მთა ნალევა სანამქრით, ნყორძის ტერიტორიაზე შუაკარავში არის სანამქრე. იმის მიხედვით, თუ რომელ მთაზეა, სანამქრეც შესაბამისად არის სახელდებული: გუმბათის სანამქრე, ყიმილეთის სანამქრე, ნიალის სანამქრეები, შუაკარავის სანამქრეები და სხვა. სანამქრეში თოვლი დიდხანს რჩება, გვიან ზაფხულამდე. სანამქრეები კვებავს ხშირად წყაროებს. მის გარშემო თავისებური ალპური მცენარეულობა ხარობს.

გვირგვინზე არის დადებულების სანამქრე და ქუნიცელების სანამქრე. ზოგჯერ ორივეს ერთად მოიხსენიებენ სანამქრეებად. ქარი ნამდვილი შემოქმედიც ამ დროს. გვირგვინის სანამქრეები მთას ამჩნევია, როგორც შუბლი, თვალები და წარბები.

სანამქრეები, - იხ. გვირგვინი, სანამქრე.

სართუმალაი, - ყანა. სხალნარში ვალოდიენტ (ბერიძეები) ჰქონდათ ყანები.

სარიჭალა, - იხ. იხ ჭურას ჭალა.

სარიჭალები, - ჭალები. ჭურაში ყვითელბალახიანი ჭალაა და სახელი იმიტომ შეერქვა.

საროსყაფანი, - ნასოფლარი - ერკოტასა და ვარნეთს შორისაა ეს ნასოფლარი. ნასახლარი რომ ყოფილა, კარგად ეტყობა „სულ 7 ოჯახს უნდა ეცხოვრა“. ვარნეთის ტყის მიმდებარე ტერიტორიიდან ამ ადგილამდე გამოდის რუ, რომელიც რუსთავიდან იყოფოდა. რუ ჩაუვლიდა ნასოფლარს. თავდაპირველად, როცა სოფელი იყო აქ, უფრო ადრე და პირველი იყენებდა ამ რუს, ვიდრე ვარნეთელები. გადმოცემით აქ, მაღალტანიან მეომარ ხალხს უცხოვრია. „მესხურ გადმოცემაში საროსტანიანი მაღალ კაცს ჰქვია, სარო იმიტო ჰქვია, საროს ტანისააო, მაღალი ხალხიაო. ამ ნასოფლარში მინახავს თონე ნაცრით სავსე და ფურნეც. აქვე უნახე ხორბლის საჭყლეტი მოწყობილობა. ასეთი რამ ძალიან იშვიათია. ხორბლის საჭყლეტი ოდნავ გულამოღებული ქვა არის,

შიგნიდან ამოსუფთავებული. მას ახლავს ელიფსისებრი, კვერცხის ფორმის ქვა, რომლითაც იჭყლიტებოდა (ასეა!) ხორბალი. ხორბალს შეახმობ და მერე იჭყლიტება. ვლებულობთ ჰერკულესის მსგავს პროდუქტს. ამ სოფელს ნისქვილი შორს ჰქონდა, შეიძლება ასეთ ნახევარფაბრიკატს ამზადებდნენ. ასეთი ხორბლის საჭყლეტი მინხავს ძველ როკეთში (ა. ბერიძე)". ნასოფლარის ტერიტორიაზე ბევრი თიხის ნამტვრევია. ინფორმატორის თქმით ყაფა თურქული სიტყვაა და ნიშნავს თავს. სახელი კი მისივე თქმით უნდა გავიგოთ საროსთავი, ე.ი. მაღალი ხალხის თავები, რაც საეჭვოდ მეჩვენება.

მართლაც ბევრი „თავი“ ითარგმნა მესხეთში და იქცა „ყაფა-ნად“ ან „თაფად“, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს არა მაღალი თავის ხალხი, არამედ სარო იყო მცენარე, ასე ერქვა ადგილს და თავი, არის გეოგრაფიული ტერმინი. შდრ. *კურდღლისთავი, ჭურასთავი, აბრამასთავი* და ა. შ. ინფორმატორი ნიგნიური კაცია, ამიტომ, როდესაც მაღალი ტანის ხალხზე აკეთებს აქცენტს, ეს შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა იყოს.

„საროსყაფანს“ ჰქონდა თავისი სასაფლაო ქვაყუთებისა. 90-იან წლებში ვილაცებმა გათხარეს ძვირფასეულობას ეძებდნენ. ზოგი ინფორმატორის ცნობით – „საროსყაფანის თავზე არის კალო, სადაც ქართველთა კალო ულენიათ ლეკებს (ო. ინასარიძე, გ. ბერიძე)".

საროსყაფანის თავიკალო, – იხ. თავკალო.

სატალაო, – იხ. ტალაგვერდი.

სატიკნე, – იხ. ჭურა

საფარის გზა, – იხ. მელაჯვარა.

საფარივაკე, – იხ. მელაჯვარა.

საქორის თავები, – *საძოვარი. რძიანას* ზევითა ფერდობებს ერკოტა-დადეშის მიმართულებით ჰქვია *საქორის თავები*. გზის პირას უცებ ამალღებული ბორცვიანი ადგილია. ამ ადგილზე ძირითადად *ოსკერიის* მხრიდან (დღევანდელი *ივერია*) ქრის ქარი. ქორმა იცის ქარის საპირისპიროდ დგომა ჰაერში. არ ფრენს, თითქოს არაფერს აკეთებს, ამ დროს 100 მეტრზე ათვალიერებს კურდღელს, კაკაბს ან მწყერს, კარგად ხედავს ბუჩქებში, სად გაძვრება თავი ან შაშვი, რომ დაეცეს და დაიჭიროს (ა. ბერიძე).

როგორც ეტყობა, ადგილს *საქორე* ან *საქორია* ერქვა. ხოლო „თავები“ ბორცვების გამო ეწოდა ისევე, როგორც ბევრი „თავი“ ერკოტაში.

საყარაულო, – *გზა*. გზა გადის ერკოტიდან ზველის მიმართულებით. საყარაულო ჰქვია *თორნეულსა* და საკარეს შორის, ვიდრე მი-

ვალთ **ყანისის ლელემდე.**

„თათრის შემოსევის დროა ერკოტიდან ზველში გადაიოდა გზა. ვარნეთელები (მაჰმადიანები) ადიოდნენ, ჩასაფრდებოდნენ და ძარცვავდნენ ხალხს. ბევრი ერკოტელი ჩაომსულა სოფელში ნიფხავ-პერანგის ამარა. სადამდე უნდა ვიყოთ ასეო, —უთქვამს ბიძაჩემს, შეუკრებია რამდენიმე კაცი, აუღიათ თოფ-იარაღი, ასულან და უყარაულიათ. ორი კაცი მოიკლიათ, ისინი იქვე დაუმარხიათ, ბიძაჩემი დაიჭრა ამ ბრძოლაში და დაკოჭლდა. ამიტო მქვია **საყარაულო** (ელგუჯა ბერიძე დაბ. 1934წ.)“.

საყდარი, — იხ. სუდრიყანები.

საყდრიყანები, — **ყანები**. **თეთრანყაროსთან** ტყეში არის ნაეკლესიარი, რომლის გარშემო ყანებსაც საყდრიყანები მქვია, ხოლო ადგილს — **საყდარი**.

საყუდაბლის გადასახედი, — იხ. ვარნეთიტყე.

საჯვარე, — **გზა, ყანები**. **რუზე** გასასვლელი, ვიდრე **ბერბუკში** და **სხალნარში** გადავიდეთ, არის ყანები, რომელსაც საჯვარე მქვია. ამ ადგილზე იყოფა გზა. ერთი მიდის **ჭურაში**, მეორე — **ბუზმარეთისკენ**. ეს არის გზაგასაყარი.

ელგუჯა ბერიძის მტკიცებით (დაბ. 1934წ.) — საჯვარეზე „ქვა ყოფილა, ჯვარი ჰქონია ქვას და იმიტომ ეძახიან საჯვარეს“. მართალია ინფორმატორი თავად არ მოსწრებია ამ ქვას, მაგრამ გადმოცემა მისი არსებობის შესახებ არაერთხელ სმენია. იხ. მელაჯვარა.

სახუდაბელი, — იხ. ბერიები.

სერგინეს ყანა, — იხ. ყაყვიენტ ყანა.

სიდორას ყანა, — იხ. თავშავი.

სიდორას ნისქვილი, — იხ. ერკოტულა.

სიმიინდის ყანები, — **ნაყანარი**. **ერკოტა-ასპინძის გზაზე**, **რძიანას** დასავლეთით, ერკოტისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ყანები, სადაც ითესებოდა სიმიინდი. კოლექტივის დროს სიმიინდი ბევრგან ითესებოდა, მაგრამ **სიმიინდის ყანები** ამ ადგილს ერქვა, ეტყობა სიმიინდი რომ შემოვიდა, პირველად აქ დათესეს.

სისხლიანი ლელე, — იხ. ყანისი.

სკოლიყანები, — **ყანები**. ამ ადგილზე ვიდრე სკოლა გაშენდებოდა ყანებს **დარბუკებს** ეძახდნენ. სკოლის გაშენების შემდეგ შეერქვა **სკოლიყანები**.

დარბუკები ჩანერილი მაქვს **დარბუკეი** ფორმითაც. როგორც ჩანს, გექონდა მრავლობითი რიცხვის გარეშეც. სახელი **დარბუკეი**, რომელმაც ბოლო ხმოვნით ნანილში ნანილობრივი ასიმულაციით მოგვცა -**ეი**.

სოსანანთ ბალები, — იხ. გაღმა ბალები.

- სოსანანთ ბალი, – იხ. გამოლმა ბალები.
 სოსანანთ გამოლმა ბალი, – იხ. გამოლმა ბალები.
 სოსანანთ ვალმა ბალები, – იხ. ვალმა ბალები.
 სოსანანთ კალო, – იხ. ნაფუზრები.
 სოსანანთ უბანი, – იხ. ერკოტა.
 სოსანანთ ყანები, – იხ. ფონა.
 სოსანიენტ ლარები, – ყანები. მალაროების ძირზე არის ყანები, რომელ-
 საც სოსანიენი (ბერიძეები) ფლობდნენ.
 სოსანიენტ ნისქვილი, – იხ. ერკოტულა.
 სხალნარი, – იხ. გვალიტყე.
 სხალნარის გადასახედი, – იხ. ინასათიბი.
 სხალნარის თავი, – იხ. რუსთავი.
 სხალნარის ხევი, – იხ. ვარნეთიტყე.
 ტაბახმელა, – იხ. ირმირქა.

ტალაგვერდი, – **ფერდობი** – ზიარეთის მთის ერთ-ერთი ფერდი არის **ტალაგვერდი**. „ძველი დადუშიდან უნაგირამდე, დასავლეთით დიდი ფერდობია, ალაგ-ალაგ ემჩნევა ნაყანარი“. ზიარეთის ფერდობებს სხვა სახელებიც აქვს. ერკოტის მხარეს ჰქვია **გზა-გაიარა**, ბერიების მხარეს – **უნაგირა** და ასპინძის მხარეს **ტალაგვერდი**. ტალაგვერდი საერთოა ერკოტა-დადუშისათვის. იგი გვხვდება **ტალაჰვერდი** ფორმითაც. ამოსავალია ფუძე **ტალა**, რომელიც გვაქვს სახელში **სატალაო** მთის სახელი **ტოლოშა** და **გოგაშენში**. ტალა დარაჯს, ყარაულს ნიშნავდა (ბერიძე, 2008: 136-137).

სხვა მოსაზრებით თითქოს მარილის საბადო იყო აქ. „ტალა ადგილია, საქონელი მიდიოდა და ლოკავდა ამ ადგილებში. ქვა-მარილის მოყვითალო მუქ ადგილებს ტალა ჰქვია (ელგუჯა ბერიძე, დაბ. 1934)“.

ტალაჰვერდი – იხ. ტალაგვერდი.

ტვიტელი – იხ. ვარნეთი.

ტიბეთი – იხ. ვარნეთი.

უბნისის წყარო – იხ. მელაჯვარა.

უკანხევი, ხევი – **ზედანყაროსა** და **ქართლელას წყაროს** შეერთების ადგილს ეწოდება უკანხევი. ხევი სოფლის უკანაა. (იხ. კონახურა)

უნაგირა – **გზა** ზიარეთის მთის ერთ-ერთი ფერდობი არის **უნაგირა**. იგი დასცქერის ბერიებს. ზიარეთს **უნაგირას მთასაც** ეძახიან. უნაგირას იყენებდნენ მთად ერკოტელები და დადუშელები. აქ რჩებოდნენ ივლისის ბოლომდე, ხოლო შემდეგ გადადიოდნენ **ზედა მთაში**. სახელი ფორმის გამო შერქმევია. უნაგირა გზისა და გადასასვლელის სახელად სხვაგან გვხვდება მესხეთში. უნაგირაზე გადის **გზაგაიარას** გზა. უნაგირაში არის **უნაგირას ქალა**

და უნაგირას წყარო, ხოლო ერკოტელებისა და დადემელების საზაფხულო ბინებს ერქვა *ერკოტული ქოხები* და *დადემური ქოხები*.

უნაგირას წყაროზე, რომელსაც *უნაგირას წყალსაც* ეძახიან, არის შემდეგი გადმოცემა. «ვილაცა ქალმა მატყლი გარეცხა უნაგირას წყალზე. მატყლი წყლის დინების ადგილებში გაიჭედა, წყალი უნაგირაზე გაქრა და გამოვიდა ერკოტაში *ქართლელას წყაროზე*».

უნაგირას მთა, - იხ. უნაგირა.

უნაგირას წყალი, - იხ. ინაგირა.

უნაგირას წყარო, - იხ. ზიარეთი.

უნაგირას ქალა, - იხ. გზაგაიარა.

უნაგირას ქალები, - იხ. ზიარეთი.

ფერისცვალების ეკლესია, - *ეკლესია* - ეკლესია დგას ნასოფლარის ცენტრში. ის იყო ფერისცვალების სახელობისა. მას უბრალოდ *ეკლესიასაც* ეძახდნენ, *ერკოტის ეკლესიასაც* და *ფერისცვალების ეკლესიასაც*. ეკლესიას ეტყობა ადრე შეკეთების კვალი. სამრეკლო მე-19 საუკუნეშია აღდგენილი. გალავანის შიგნით არის ძველი საფლავები. ეკლესიის გარშემო ცხოვრობდნენ სოფლის ძველი გვარები: ბერიძე, ტივაძე, ცალქელაშვილი.

ფერსათ ხევი, - იხ. ვარნეთი.

ფიქლაური, - იხ. ყანისი.

ფონა, - *ყანები*. ერკოტის ჩრდილოეთით. ფონაში გამოდის წყარო, რომელსაც *ფონას წყარო* ჰქვია, იგი უერთდება *ერკოტის ლელეს*. ფონას წყარო დადასტურებული მე-19 საუკუნეში (ჯიქია, 1958: 190). ფონასთან დაკავშირებით ინფორმატორები განმარტავენ, რომ „ფონი ადგილია, დუბე“. ფონას ვარიანტებად გვხვდება *ფონა* და *ფონიები*. ფონას ტერიტორიების, ყანების სახელად. ფონაში ძირითადად ბერიძეებს ჰქონდათ ყანები: *ყვრათლიენტ ყანები*, *კორკოტიენტ ყანები*, *ქურჩიენტ ყანები*, *გოგოლიენტ ყანები*, *სოსანიენტ ყანები*.

ფონა, - იხ. ფონა.

ფონას წყარო, - იხ. ფონა, გამოღმა ბალები.

ფონიები, - იხ. ფონა.

ფხაკო, - *სასაფლაო*. ასპინძიდან შესასვლელი გზის მარჯვენა მხაეს 80 მეტრში არის ნაკლებმოსავლიანი ადგილი, ღარიბი მინაა, „გაფხეკილი ადგილია“ და ამიტომ აურჩევიათ საფლავების ადგილად. ძირითადად მე-19 - მე-20 საუკუნის საფლავებია. არის ქვის საფლავებიც და რკინით შეღობილიც. ცნობილი წყევლაა: „შენ გაგიტანე ფხაკოში“. სოფლის ტერიტორიაზე მიუთითებენ სხვა



სასაფლაოებსაც. სოფლის ქვემოთ **პატარა გორაზე** არის ქვაყუთის ტიპის საფლავეები. ამ ადგილზე ბერიძეთა ერთ-ერთი შტო ცხოვრობდა მე-19 საუკუნის ბოლოს. არის ქრისტიანული სასაფლაო აგრეთვე უშუალოდ სოფლის ნაპირშივე, დადგმიდან მისასვლელი გზის მარცხენა მხარეს ძველი საფლავის ქვებით. ინფორმატორთა თქმით ამ სასაფლაოზე იტყოდნენ უპატრონოთა საფლავებიაო. ხშირად გზად მიმავალნი ერთ ჭიქას წააქცევდნენ ამ გზაზე და უპატრონოთა შესანდობარს ამბობდნენ. იგულისხმებოდა უპატრონოდ დამარხულები, თორემ უპატრონოდ დარჩენილებზე რომ ყოფილიყო საუბარი, ვინმეს მაინც ეყოლებოდა შთამომავალი, მომგონებელი. ამ ადგილას **მიხვეილას** ან **მოხვეილას** უწოდებენ.

„ერთი სამსონე იყო, ენაკვიმატი კაცი, ცოლს ეხუმრებოდა და ცოლი ეუბნებოდა, შენ გაგიყვანე მიხვეილაში“. აქ გადის გზაც.

სახელი მოხვეულადან უნდა მოდიოდეს. შემდეგ ხდება მისი სემანტიკური გადააზრება და უკავშირდება საკუთარ სახელს მიხვილას, მაგრამ თავდაპირველი ვ, რომელიც **მოხვეულაში** გვაქვს, არ იკარგება.

კიდევ ერთი საფლაო იყო, რომელსაც **ეკლესიის საფლავეები** ერქვა, ეს იყო საფლაო ფერისცვალების ეკლესიის გალავნის შიგნით. თანამედროვეთა მეხსიერებაში იქ არავინ არ დამარხულა. როდესაც ბავშვები ამ საფლავეებზე თამაშობდნენ, ან საფლავის ქვებს გადააჯდებოდნენ ხოლმე, უფროსები ეტყოდნენ: „ჩამოდი, იცით, რა ვაჟაკების საფლავებია ეგენი?“

ერკოტის სასაფლაო 1942 წელს ასეთია: „ხოლო საფლავებიდან მოშორებით არის ძველიც, ვინ იცის როდინდელი, ცხერის და ვერძის გამოსახულებანი საფლავის ქვებით. ზოგიერთი მათგანი სანახევროდ მიწაშია ჩაფლული, ზოგ ვერძს მხოლოდ თავი უჩანს; არის სწორი ქვასამარხი. რომელზეც ჩემთვის გაუგებარ ენაზე რაღაც აწერიან. ზოგი საფლავის ქვის წარწერა თითქმის გადაშლილია. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე არის ჯერის გამოსახულება და წარწერა (ჯ. რუხაძე, დღიური, ჩანაწერი თუ Varia, კრებული „ჯავახეთი“, 2002წ. გვ. 219-220)“.

ქალაჯვარა, - ყანები. სკოლის ყანების დაბოლოება, მალარის ძირების გასწვრივ, ტალაგვერდის დაბლა იყო ეკლესია, რომელსაც ერკოტელები **ვერანა დადუშის ეკლესიას** ეძახდნენ. ეკლესიის ზევით არის **ქალაჯვარა, ყანები**, რომელსაც **ქალაჯვარას ყანებსაც** ეძახიან.

ქალაჯვარას ყანები, - იხ. ქალაჯვარა.

ქართლელა, - წყაროს სახელია. მსხვილი მილით გამოდის ნასოფლარ

ერკოტის თავში, ჩამოივლის უკანხევს, ლომიასეულს, ქალის ყანას. ქალის ყანასა და გვალას შორის ჩაივლის და თავდება წისქვილების ბალით. ქართლელას ერქვა აგრეთვე ქართლელას წყარო და ქართლელას ღელე. აქ იმხელა წყალი მოდიოდა, რომ ექვს წისქვილს აბრუნებდა. ინფორმატორი მოგვითხრობს: „ბოლო წისქვილი იყო ჩვენი, პაპაჩემის ნაქონი წისქვილით თავდებოდა ერკოტის ტერიტორია და ინყებოდა ვარნეთის მიწები. ერთი ექვს მეტრიანი ჩანჩქერია იქა, ბავშვები ებანაობდით, ისეთი სიმძიმით ეცემა, გვარტყენდა, წაგვაქცევდა ხოლმე. სანამ ერკოტა დაიშლებოდა და ასპინძაში ჩავიდოდა, ერთი წისქვილი კიდევ მუშაობდა, მამაჩემის ბიძაშვილი იყო, პეტრე, რომელიც მუშაობდა მენისქვილედ, მეორეში კოჭლი მარკოზა იყო. კოჭლი მარკოზა ცნობილი მეცხვარეც იყო. 500 ცხვარ-ბატკანს გაარჩევდა და დაბნეულ ბატკანს დედას უპოვიდა. თუ რაიმე დაავადება არსებობდა ცხვრისა, ყველა იცოდა და ყველას მკურნალობდა (ა. ბერიძე)“.

ქართლელას უერთდება პატარ-პატარა წყაროები. მაგალითად: სოფლის ბოლოს ერთვოდა ფონას წყარო მარჯვნიდან. დამპალწყარო ქაობიან ადგილებში გამოდიოდა სოფლის ბოლოს და იქვე ერთვოდა ქართლელას. სოფლის ქვედა უბანს ქვეშა წყარო, რომელიც აგრეთვე ქართლელას ერთვოდა. „ამ ქვეშა წყაროში დარანი გამოდიოდა, დიდი ლოდებით იყო გადაფარული. კორკოტას დარანიყო იტყოდნენ. დარანი მალლა ადიოდა სოფლისკენ. ერთი უშუალოდ კორკოტას სახლში ადიოდა (კორკოტა ბერიძე იყო), მეორე შტო მიდიოდა ეკლესიისკენ. დარანი ჩამოდიოდა შიგ წყაროში. წყლის წამლებთ დარნით მიჰქონდათ წყალი სახლში. მე შევსულვარ დარანში დაახლოებით 5 მეტრზე. როცა ხალხი ცხოვრობდა, ხალხი ჩადიოდა დარნით წყაროზე. სოსო ბერიძე რუსთავში ცხოვრობს დღეს. იმის სახლიდან პირდაპირ წყაროზე ჩავიდოდნენ ხოლმე (ა. ბერიძე)“.

ქართლელა, ერკოტის დაბლა ჩამოსახლების შემდეგ, ორმა სოფელმა, ივერიამ (ოსკერია) და საყუდაბელმა, გაინანილა.

სახელი გამჭვირვალეა. ქართლელა ქართლიდან მოსულ კაცს ან რძალს შეერქმეოდა მეტსახელად და მისი სახელია გადასული შემდეგ წყაროზე.

ქართლელას ღელე, - იხ. ქართლელა.

ქართლელას წყარო, - იხ. უკანხევი, ქართლელა.

ქარნიოტას ღელე, - იხ. ბერიები.

ქეთქეთაი, - გორაკები. ქვაბისძირის მიმდებარე ტერიტორია, ფონადან დასავლეთით. „ქედი და ქედი“ ადგილია. თითქოს ზიარეთის მთას მოსწყვეტიაო გორაკების მასა, ისეთ შთაბეჭდილებას ტო-

ეებს. ქეთქედა უნდა იყოს მე-19 საუკუნის დოკუმენტის კერკე-
და (იხ. კონახურა).

ქეთქეთას გლერდნარა, - იხ. გლერდნარა.

ქეთქეთას გლერძნარა, - იხ. გლერდნარა.

ქეთქეთას გოლგოთი, - იხ. გოლგოთი.

ქეთქეთას გორა, - გორა. ქეთქეთაი (იხ.) არის გორაკები, ხოლო მისი ერთ-ერთი ნაწილი არის *ქეთქეთას გორა*, თუმცა შეიძლება მთელი ქეთქეთაიც მოიაზრებოდეს მასში.

ქვაბები, - იხ. მალარიები.

ქვაბისძირი/ქვაბიძირი, - *ყანები* - დღეს ყანები აღარ არის. ამ ადგილის ზემოდან გადის *გზაგაიარას გზა*, ხოლო სახელი მიღებულია იმ ქვაბების გამო, რომლებიც თავს დასცქერის ქვაბიძირს. მათ *ქვაბები* ან *ერკოტის ქვაბები* ჰქვია. ერთ-ერთი მათგანის სახელი არის *სათხე*. ქვაბისძირს, *ქვაბისძირები* და *მალარისძირებიც/მალარიძირები* ჰქვია.

ზოგი ინფორმატორის აზრით, ქვაბისძირი არის ნაფუზარის გაგრძელება დადემის მხარეს და მას *გრძელი ყანებიც* ჰქვია.

ქვაბიძირი, - იხ. ქვაბისძირი, გადაკვეთილა.

ქვაბიძირიყანები, - იხ. გადაკვეთილა.

ქვედა გვალიტყე, - იხ. გვალიტყე.

ქვედა გვალტყე, - იხ. გვალიტყე.

ქვედა უბანი, - იხ. ვარნეთი, ერკოტა.

ქვედა წყარო, - იხ. ერკოტა, დამპალიჭალა.

ქვედა ყანები, - იხ. მოდრეკილა.

ქვეშა ჩრდილი, - *ტყე*. საკარის ტყესთან არის *ქვეშა ჩრდილი*. „ჩრდილი ადგილია მუდმივად. ზედა ჩრდილი არ არის“.

ქვეშა წყარო, - იხ. თავიჭალები, ქართლელა.

ქიტესას წისქვილი, - *წანისქვილარი*. „ქიტესაანი ჭულუკიენია. უკანხევეში პირველი წისქვილი მაგათია“.

ქორეთი, - იხ. ბერიები.

ქუნცა, - იხ. ბერიები.

ქუნცელების სანამქრე, - იხ. სანამქრე.

ქუნციის სანამქრე, - იხ. ზედა მთა.

ქურჩიენთ მოკრილი, - *ბალი*. ბალი სოფელშივეა. მოკრილი ჰქვია, რადგან შემოლობილია. ქურჩიენი არიან ტივაძეები.

ქურჩიენთ უბანი, - იხ. ერკოტა.

ქურჩიენთ ყანები, - იხ. ფონა.

ქურხნები, - *ფერდობი*. სიდორას წისქვილის თავზე, სოფლის დაბლა ფერდობი, ზღვარი ადგილია.

ქურჩაანთ კალო, - იხ. ნაფუზრები.

ქურჩაანთ უბანი, - იხ. ერკოტა.



ქუჩიანთ კალო, – იხ. ნაფუზრები.

ლელეუნაგირა, – ლელე, ყანები. ლელე, რომელიც ჩადის ჩიტინყაროსა და ახორტყეს შორის უნაგირამდე. „ლელე არ არის, მაგრამ არის ტაფობი და ყანები, რომელსაც ლელიყანებით ვჭევი“. ლელეუნაგირას ლელეუნაგირაიც ვჭევი.

ლელეუნაგირაი, – იხ. ლელეუნაგირა.

ლელიყანები, – იხ. ლელეუნაგირა.

ლვდლიყანა, – იხ. ლომიასეული.

ყადრაულა//ყადრაული, – ბორცვი, გზა. ვიდრე ხატმანაშენამდე ავალთ, სხალნარის ტერიტორიაზე არის გზის გამყოფი ადგილი. ინფორმატორთა თქმით გაუვალი გზის გამო შეერქვა სახელი „ურემი გადაბრუნებულა“. ზოგის მოსაზრებით მხოლოდ გზის სახელია.

ყადრაული, – იხ. ყადრაულა.

ყანნი დარა, – იხ. ყანნისი.

ყანნი წყალი, – იხ. ყანნისი.

ყანნი ხევი, – იხ. ყანნისი.

ყანნისი, ყანისი, ხევი – ყანნისი იწყება ცხრაკენჭადან. ძირითადი წყალი იქიდან მოდის, ჩამოივლის ხევიჭალებს, ჭურას ჭალებს. ასევე ჩაუვლის მეორე ჭურას, რომელიც არის ზველისა, იქაც არის ხევიჭალები. ამ ადგილებიდან უკვე ერქმევა ყანნისი. „ყანნის ხევი. აქ იკვეთება ხევი, ერკოტიდან ზველის მიმართულებით მიმავალი გზით (რომელსაც ჭობარლები დადემიგ ზიებს უწოდებენ). შემდეგ გაივლის ხევი საყარაულოს, რომლის შემდეგაც არის ტყიანი ჭალა, რომელსაც ყანისის//ყანნისის ჭალა ვჭევი. ყანნისის წყალი, რომელსაც ემატება წყლები ბერიებიდან, ჩადის შემდეგ ორგორა-საყუდაბელს შორის ორთახევის სახით. „სანამ ზველისკენ გადავიხედავთ, ჭალა აქეთ არის გადმოხრილი, ამიტომ ყანნისი არ შედის ზველ-ჭობარეთის ტერიტორიაზე. ამ მიდამოში ფიქლურში გამოდის წყარო, რომელიც მიდის ნაკადულის სახით, ჩაივლის ჩარდახს და მიდის ჭობარეთისკენ.

ამრიგად ეს ხევი გვხვდება შემდეგი პარალელური ფორმებით: ყანნი დარა, ყანნი ხევი, ყანნი წყალი, ყანნისი და ყანისი. ამ ტოპონიმის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: ყანნისი ნაწილია გენეტიურმსაზღვრელიანი კომპოზიციისა.... სახელი ასე დაიძლეა: ყანნ-ის-ი. ყან (kan) თურქულად – სისხლი. ყანნისი – სისხლობი, სისხლიანი. ეს ხევი ერკოტიდან ჭობარეთის საზღვარში რომ შედის, მას პარალელურად მოსისხლე ხევის, სისხლიან ლელეს უწოდებენ (მ. ბერიძე, 2008წ.: 284-285).

საყაჩალო ადგილები სხვაც იყო მესხეთში. „მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რუსთავამდე (ახალციხიდან), სადაც ასპინძის რაიონის ტრაფარეტი დგას, ჩამოდის მცირე მშრალი ლელე,



რომლის ახლო-მახლო მონაკვეთს მტკვრისას ჰქვია **ყაჩაღების ლელე**. მეთევზეთა თქმით „ფაიტონებს ცარცვავენდენ ამ ადგილებში და ამიტომ შეერქვა ეს სახელი (მ. ბერიძე, მებადურობა, თევზები, სახელები, 2005წ. გვ.58)“. ყაჩაყების ლელეს **ლუკთა ხევსაც** უწოდებენ (მ. ბერიძე, 2005წ. გვ.58). შდრ. აგრეთვე **ყაჩაღების ბუნაგი** ერკოტაში.

უდავოა, რომ ყანნისი ასახავს მესხეთის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ყაჩაღობა, „გზაზე დასხდომა გზირისა“ ჩვეულებრივი ამბავია. ეს სახელი მნიშვნელოვანია თავისი ფორმითაც. თურქულ ფუძეზე დართულია ქართული სუფიქსი —ის. ორი ნ (ყანნ) თურქულსავე ნიადაგზე მიღებულად არის მიჩნეული (←kanli- სისხლიანი). რაც შეეხება **ყანნისის** ვარიანტს, როდესაც დაკარგულია ერთი ნ, ამ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული როლი ითამაშა სახელის მნიშვნელობის გადააზრებამ, მნიშვნელობა დაუკავშირდა **ყანა** სიტყვას.

ყანნისის წყალი, — იხ. ორთახევი.

ყანნისის ქალა, — იხ. ყანნისი.

ყანნისის ქალა, — იხ. ყანნისი.

ყაყვიენთ ყანა, — **ყანა**. ყანა იყო **ბერბუკში**, მას **სერგინეს ყანაც** ჰქვია.

ყაყვიენი ბერიძეები იყვნენ.

ყაყუნაჩეხი, — **ტყე**. **ჭურას გზის პირის** ტყეა. „ყაყოი იყო ბერიძე და იმისი ნაჩეხია“ ეს ყაყო ალბათ ყაყვიენთ შტოს სათავის დამდევია.

ყაყოონთ ბალები, — იხ. გაღმა ბალები.

ყაყოონთ ბალი, — იხ. გამოღმა ბალები.

ყაყოონთ გამოღმა ბალი, — იხ. გამოღმა ბალები.

ყაყოონთ გაღმა ბალები, — იხ. გაღმა ბალები.

ყაყოონთ უბანი, — იხ. ერკოტა.

ყაჩაღების უბანი, — იხ. კუდამარიფაი.

ყაჩაღების ლელე, — იხ. ყანნისი.

ყაჩაღების ბუნაგი, — **გამოქვაბული**. **ყანნისის ლელის** ზევით **ხევიჭალის** აყოლებაზე, ლელის მარჯვენა მხარეს, ციცაბო ფერდობზე, ერთ მოზრდილ კლდის ლოდზე იყო სამი დიდი ფიჭვი. ერკოტელთა მტკიცებით ეს ფიჭვი ძველი ტყის ნარჩენი იყო და ხანძარს გადაურჩა. კლდის ძირში ბუნებრივ გამოქვაბულში ცხოვრობდნენ ყაჩაღები, რომლებიც 1904-1906 წლებში დახოცეს და იქვე არიან დასაფლავებული. ამ ადგილს **საყარაულოს** ეძახიან. ზოგის თქმით, საყარაულო უფრო ძველი სახელია, ყაჩაღების ბუნაგი გვიან შეერქვა. ძველი ფიჭვების კვალი (ძველი ერკოტის ტყე, ვიდრე სატყეო მეურნეობა ფიჭვს გააშენებდა, ფოთლოვანი იყო), **ყანნისის ქალაშიც** უნახავთ. ფიჭვის ფესვები იყო გადარჩენილი, რადგან კვარიანია.

ყიმილეთი, – იხ. ირმისრქა, სანამქრე.

ყიმილეთის სანამქრე, – იხ. სანამქრე.

ყოინდარა, – იხ. ირმისრქა.

ყორნარა, – იხ. ყორნარაი, განიგზა.

ყორნარაჲ, – ყანა. გადაკვეთილასთან დადემისა და ერკოტის დამაკავშირებელი გზის სამხრეთით, ვიდრე **გადაკვეთილამდე** მივალთ, ყორებიანი ყანაა.

ყორნარიები, – იხ. ყორნარაი, განიგზა.

ყვრათლიენთ ბალები, – იხ. გაღმა ბალები.

ყვრათლიენთ გაღმა ბალები, – იხ. გაღმა ბალები.

ყვრათლიენთ კალო, – იხ. ნაფუზრები.

ყვრათლიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.

ყვრათლიენთ ყანები, – იხ. ფონა.

ყვრათლიენთ ნისქვილი, – იხ. ერკოტულა.

ყრუჰყანა, – ყანა. დღეს სოფლის ტერიტორიაზე გაკორდებული ადგილია. ეტყობა ყრუ მეტსახელი იყო ადამიანისა. შდრ. გვარი ყრუაშვილი.

შაფხა, – ყანები.

შაფხასთავი, – გორა. ბერიების ნასოფლარის გვერდზევე „მთას წამოხურული თავი აქვს შაფხასავით“. არის ყანები. ძირითადად ითესებოდა შემოდგომის ხორბალი. ხოლო სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება ხორბლის ჯიშს. (იხ. ბერიძე, 2008: 49)

შაფხასთავის ქალები, – იხ. ვარნეთული ქალები.

შაფხასქალები, – იხ. ვარნეთული ქალები.

შაქარპანტიძორი, – პანტა. ჩიტინყაროს ტერიტორიაზე არის პანტის ხე, რომელიც ტკბილ პანტას ისხამს.

შორას ტბა – ტბა. უნაგირას ტერიტორიაზე **ბერიშვიგულსა** და **უნაგირას ქალას** შორის არის პატარა ტბა, რომელიც ზაფხულობით არ შრება.

შუაკარავის სანამქრეები, – იხ. სანამქრე.

ჩათალყანები, – ყანები. ერკოტის დაბლა, „ყეჟელა ყანებია“. „ჩათალ“ თურქულად ნიშნავს ყეჯელას, „რაგატკის მაგვარს“.

ჩიტინყარო, – წყარო. გამოდის საბადურის დაბლა, ბოლოზე გამავალი გზის, ერკოტიდან და დადემიდან მომავალი გზების გადაკვეთაზე. **მელაჯვარაზე** მომავალი გზა გამოივლის **ქვაბისძირს**, **საბადურს** და უერთდება ერკოტიდან **ინასათიბისაკენ** მიმავალ გზას. სწორედ ამ ორი გზის შეერთების ადგილზე არის ეს წყარო, რომელიც მუდმივი წყარო იყო, აღარ არის მუდმივი, მხოლოდ ზაფხულში ნაჟური წყლებილა გამოდის. ერკოტაში წყარო ბევრია,

მაგრამ ჩიტისა ამ წყაროს შუერქვა, ფრინველის გამორჩეული სიმრავლის გამო.

ჩიტიწყაროს დასაქანი, - იხ. დასაქანი.

ჩოლალიენთ ლარები, - **ნაყანარი**. აბრამას თავზე იყო ყანები, რომელიც დღეს გაკორდებულია. ჩოლალიენი იყვნენ ბერიძეები, რომელთაც ლალაანთაც ეძახდნენ და ჭიტვლიენთაც. ლარები გრძელი პარალელური ყანების სახელია.

ჩუნჩხა-პტენა, - იხ. გვალა.

ჩხრიალო, - **ხევის მონაკვეთი**. ქართლელას ლელეში არის წყალვარდნილი, ჩანჩქერი წყალი.

ცივიწყარო, - იხ. ირმისრქა.

ცივწყარო, - იხ. ცხრაკენჭა.

ცხრაკენჭა, - **წყარო**. **ზედა მთის** სამხრეთით არის **ცხრაკენჭა**. ამ სახელით ცნობილია გარშემო ტერიტორიებიც. წყარო არის კარგი დებეტის, ბარაქიანი ცივი წყარო, რომელიც დის მუდმივად. სახელს ადგილობრივი ხსნიან შემდეგნაირად: წყაროში უნდა ჩაყო ხელი, სათითაოდ ამოთვალო ცხრა კენჭი ისე, რომ წყლიდან ხელი არ ამოიღო, ხოლო შემდეგ, ასევე სათითაოდ ჩათვალო. თუ ამას გაუძლებს ადამიანი, ძლიერია, გამარჯვებულია. წყალი იმდენად ცივია, რომ ხშირად ვინც პროცესს გაუძლებს, მაჯა უსივდება. მის გარშემოა საძოვრები, **ბებრიკლდე**, **გვირგვინები**, **ცივწყარო**. **ზედა მთაზე** აღიოდნენ მთად კოლმეურნეობის დროს, ხოლო ცხრაკენჭაზე იდგა მშრალი საქონელი და ცხვარი.

ცხრაკენჭას წყალი, - იხ. თავშავი.

ცხრაკენჭას წყარო, - იხ. ცხრაკენჭა, გვირგვინი.

ცხრანყარო, - იხ. ირმისრქა.

ძველი დადეში, - **ნასოფლარი დადეშის ტერიტორიაზე**. იხ. გადაკვეთილა.

ძველი საურმე გზა, - იხ. საკარე.

ძირიყანები, - **ყანები**. დადეშიდან ამომავალი გზით გადმოივლი **გადაკვეთილას** და იქვე ხელმარცხნივ არის ძირის ყანები (ძირიყანები). აქვეა ფონას წყაროც.

ძირის ყანები, - იხ. ძირიყანები.

წერილი წყაროები, - იხ. ერკოტულა.

წისქვილების ბალი, - იხ. ქართლელა.

წისქვილის ბალი, - იხ. ერკოტა.

წყნეთი, - იხ. ირმისრქა.

ჯაგირულების ტყე, - იხ. ჯაგირულები.

ჯვარი, - იხ. მელაჯვარა.

ჯვართუკანები, - იხ. მელაჯვარა.

ჯოყოფი, - იხ. ვარნეთი.

ჭალის ყანა, – ყანა. ამ სახელით ორი ყანაა, ერთი შიგ ერკოტაში, მეორე – **ჭურას** ტერიტორიაზე. ყანას რამდენიმე წელიწადს არ დათესენ, ჭალად იყენებდნენ **ზედა გორასთან** ახლოს იყო **მოკრილი ჭალა**. ეს იყო ყორით შემოღობილი ჭალა, რომელსაც ერთი კარი ჰქონდა შესასვლელი. როდესაც ასვენებდნენ, ზაფხულში შერეკავდნენ საქონელს, რომელიც ანოყიერებდა ჭალას. ასე ერქმეოდა ერთი შეხედვით უცნაური სახელი, რომ თუ ჭალაა, ყანა როგორღა იქნებოდა. **მოკრილი ჭალის** შემთხვევაში მოკრილი შეღობილს, დაცულს ნიშნავს. „მოკრილი – მოკრული, შემოღობილი ბაკი ქვებით საქონლის ან ცხვრისათვის (ბერიძე, 981, 89)“. იხ. ერკოტა.

ჭანჭურაყანა, – იხ. ვარნეთი.

ჭაროსეული ყანები – ამ ყანებს დღეს **ალიკვიენტ ყანები** (იხ.) ჰქვია. ჭარო ადამიანის სახელია.

ჭაობი, – იხ. დამპალი ჭალა.

ჭაჭნაკა, – იხ. ჭაჭნაქა.

ჭაჭნაქა/ჭაჭნაკას თავი, – გორა. ჭურაში, **შაფხას თავსა** და **აბრამას თავს შუა**, **ჭურას ტბის** გაგრძელებაზე, კომუნის სახლებთან არის ეს გორა, რომესაც მხოლოდ ჭაჭნაკალი ჰქვია.

ჭიტვლიენტ კარმიდამო, – იხ. მალაზიის კარები.

ჭობარეთის გზა, – იხ. ბერიები.

ჭორტის თავი, – გორა. **ვარნეთის ტყის** ასწვრივ არის გორა, რომელზეც **ჭორტია** დასმული. **ჭორტს** მესხეთში ეძახიან ერთმანეთზე დანყობილ ქვებს, რომელიც საზღვარს ან რაიმე სხვა ნიშანს აღნიშნავს

ჭულუკიენტ ნისქილი, – იხ. ერკოტულა.

ჭურას გზა, – იხ. ბერიები, ერკოტა.

ჭურას ეკლესია, – იხ. ჭურა.

ჭურას თავი, – იხ. კომუნის სახლები.

ჭურას ტბა, – ტბა. მდებარეობს ნასოფლარ ჭურაში (იხ.). ერკოტელები ასე ეძახიან და ეძახდნენ, მაგრამ როდესაც ერკოტაც ნასოფლარად იქცა და ჭურამ დაკარგა ერკოტის კუთვნილი ტეიტორიის ფუნქცია, ჭურას ტბას **ერკოტის ტბა** ეწოდება.

ჭურას ტბის წყალი, – იხ. დადემიჭალები.

ჭურას ყანები, – იხ. ჭურა.

ჭურას ჭალები, – იხ. ჭურა.

ჭურა – ნასოფლარი. ჭურა არის ნასოფლარი ასპინძის რაიონში, ნასოფლარ ერკოტიდან სამხრეთით, დაახლოებით 4 კმ. მანძილზე, ნასოფლარ ბერიებიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ნასახლარების კვალი დღესაც ეტყობა. ეს არის ერკოტელების ჭუ-



რა, არის მეორე ჭურაც, ოღონდ ის იყო ზვევლელების ტერიტორიაზე. ძირითადი მაინც ერკოტისა ჩანს, რადგან აქ არის ნაეკლესიარიც. ერკოტელები მას **ჭურას ეკლესიას** ეძახიან. ის იყო წმინდა ელიას სახელობისა, რადგან აქ ტრადიციულად ელიობას 2 აგვისტოს გადიოდნენ და კლავდნენ საკლავს. ალბათ ამის გამო იყო, რომ ეკლესიას **სატიკნესაც** ეძახდნენ. ჭურა ნასოფლარის გარდა ჰქვია ერცელ ტერიტორიას. მთავარი ამ მიდამოებში არის **ჭურას ტბა**, რომელიც 5000 მ² ფართობისა იქნება. ტბა დაჭაობებულია, ალაგ-ალაგ ბელტებივით ამოსულია ჭილი, ტბის მცენარე. ტბაში თევზი არ იცის, ზამთარ-ზაფხულს ბუდობს იხვი. ჭურას ტბას, მას შემდეგ, რაც ერკოტა ასპინძაში ჩამოსახლდა, **ერკოტის ტბასაც** ეძახიან. ბოლო დროს ტბაში გაუშვეს და მოამრავლეს თევზი კარასი. ნასოფლარები, ერკოტისა და ზველისა ჭურას ტბის გარშემოა. აქვეა **ჭურას ქალები**, **ჭურას ყანები** და სხვა. სანამ ერკოტიდან ჭურაში ახვალთ არის **სხალნარი** და **პანტები**, აქვეა **გვალტყე** „ზედაი და ქვედაი“. გვალტყეს **რგვალტყესაც** ეძახიან. ზედა გვალტყესა და ქვედა გვალტყეს შორის, შუაში, გადის გზა, რომელიც ზველ-ჭობარეთისაკენ მიდის. ეს ტყე თითქოს ხელით არის ნაშენები, სინამდვილეში ის ბუნებრივი ტყეა. ჭურას ტბის დასაუღლებით არის ნასოფლარი **აბრამას თავი**. ჭურასკენ მიდის ერთი საურმე გზა **ბერიებიდან**, მეორე ადის **სხალნარიდან**, სადაც გამოქვაბულებიც არის.

ჭურას ტბა ხელოვნურია, დაბეჯითებით ამტკიცებს ალექსი ბერიძე, 71 წლისა. თან ეს ტბა არ იყო ერთი სოფლისა. ის იყო **ერკოტის**, **დადეშისა** და **ვარნეთისა**. ზვევლელებსაც ამოჰყავდათ საქონელი წყლის სასმელად. მისივე აზრით, ტბაში არხით შემოდიოდა წყალი, რომელსაც სათავე ჰქონდა **ცხრაკენჭას** წყაროზე, გამოივლიდა **ხევიჭალას**, შეიერთებდა წვრილ-წვრილ წყაროებს (ერთი მათ შორის **იყო გეჯას წყარო**) და შემოდიოდა ტბაში. ტბას ორი მეტრის სიღრმე აქვს. საგუბარისთვის გაკეთებულია ორმხრივი ყვორე. შუაში ჩაყრილია მინა და ასეა დაგუბებული წყალი. ტბას იყენებდნენ ზაფხულობით საქონლის დასანყურვებად დადეშელები, ერკოტელები, ვარნეთელები და ზვევლელები. ა. ბერიძე შემსწრეა დადეშელი ივანიძისა და ერკოტელი ბერიძის დიალოგს, როდესაც ბერიძე საყვედურობდა ივანიძეს, რატომ მოგყავს საქონელი წყლის სასმელადო. ივანიძემ კი უთხრა: შენი კი არ არის ეს ტბა, პაპაჩემის გაკეთებულიაო. მასვე ახსოვს დაახლოებით 1957-1958 წლებში როგორ აიყვანეს ტრაქტორი ერკოტიდან ჭურაში. ტრაქტორი მეტრზე ხნავდა მინას. **ჭურას ტბის** დასაუღლებით იყო წყაწვევი ადგილი, ყორე-ქვით შემოსაზღვრული. ტრაქტორმა რომ მინა გადააბრუნა, ამოყარა ქვევრები

და თონეები თიხისგან დამზადებული. ქვევრებსა და თონეს ორნამენტები ჰქონია. ნატეხები თავადაც ნამოულია ინფორმატორს, ამიტომაც აცხადებენ ადგილობრივები, რომ „რატომ ჰქვია ჭურა, არ ვიცით, მაგრამ ჭურები რომ ამოყარეს, ვიცით“. „ჭურაში ერთგვარი ყაყაჩო ხარობს, რომელსაც ჭურას ყაყაჩოს ეძახიან, მსხვილი ღერო აქვს. ბავშვობაში, რომ შევჭამდით, გამოტყინებულიები დავდროდით“.

ჭურას ჭალას საროჭალასაც ეძახდნენ ყვითელი ყვავილის გამო, რომელიც აქ ხარობს.

ჭურას თავი, – გორა. **ჭურაში**, **ჭურას** ტბის ასასვლელთან, სამხრეთით აბრამას თავის სიმაღლის გორაა, ჭურას თავი ჰქვია იმიტომ, რომ გადმოსცქერის ერკოტა-ასპინძის მხარეს. მართალია **ჭურას თავიდან** ჭურაც ჩანს, მაგრამ ასპინძის მხარე უფრო მასშტაბურად აღიქმება. ეს თავი ერკოტელებისთვის არის ჭურას თავი და ჭურაში მყოფთათვისაც.

ხანუმიყანები, – კორკოტიენთ (ბერიძეები) ყანების გასწვრივ ეძახდნენ ასე.

ხარგაული, – ტყე, გზა. **ხარგაული** ორია. ერთი **საყარაულოსთან** და მეორე **თორნეულის** დაბლა, ამიტომ **საყარაულოს ხარგაული** და **თორნეულის ხარგაული** ჰქვია. ხარგაულს გზის ზემოდან აკეთებდნენ, ქვეშ გზა გადიოდა, რომ ადვილად დაეტვირთათ ტრანსპორტი.

დახარგაება ნიშნავს ტყიდან გამოტანილი შეშის დაგროვებას ერთად, რომ ტრანსპორტი დატვირთონ. **ხარგაული** არის ის ადგილი, სადაც გროვდება შეშა. როგორც წესი ადგილი შემალეული და გზის პირი უნდა იყოს. შდრ. **ხარგაული**.

ხარისანოლი, – ხევი, ტაფობი. ერკოტასა და ვარნეთს შორის არის პატარა ადგილი კვირაცხოვლობის ეკლესიის გზაზე, აქვეა ღელე, რომელიც სათავეს იღებს ინასათიბიდან, ამიტომ მას **ინასათიბის ღელესაც** ეტყვიან და რომელიც ვარნეთში უერთდება **ერკოტის ღელეს**. ზოგიერთი ინფორმატორის აზრით ხარისანოლში ნასოფლარიც იყო: „ხარისანოლში ჩემს ბავშვობაში შემიმჩნევია, რომ ნასოფლარიც იყო, ჩემმა მეგობარმა ორი მონეტა ნახა ამ ადგილზე (ა. ბერიძე)“. იხ კვირაცხოვლობა.

ხარის სანოლი, – იხ. კვირაცხოვლობა.

ხატმანაშენი, – იხ. ბერიები.

ხევიჭალები, – იხ. თავშავი.

ხუცური, – იხ. ვარნეთი.

ჯაგირულები, – ტყე. **სხალნარის ტყის** შესასვლელშივე **საკარესა** და **ხატმანაშენს** შორის იყო დაბალი ბუჩქნარი ტყე, ერკოტაში იტყოდნენ **ჯაგირულიაო**. „ალბათ ჯაგს უკავშირდება“. ადრე მაღა-

ლი ხე ჯაგირულში არ იყო. მერე თანდათან შეერია, ბოლოს მომრავლდა მუხაც. **ჯაგირულების ტყესაც** ეძახიან ჯაგირულებს.

ჰალაჯიენთ ბალები, – იხ. გაღმა ბალები.

ჰალაჯიენთ გაღმა ბალები, – იხ. გაღმა ბალები.

ჰალაჯიენთ კალო, – იხ. ნაფუზრები.

ჰალაჯიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.

ჰასანაჭალა, – იხ. ჰასანას ქალა.

ჰუშუტანთ ბალი, – იხ. გამოღმა ბალები.

ჰუშუტანთ გამოღმა ბალი, – იხ. გამოღმა ბალები.

ჰუშუტიენთ უბანი, – იხ. ერკოტა.

ჰასანას ქალა, – ქალა. **ყანნისთან საყარაულომდე, ჭურას გზის** მარჯვენა ნაპირზე არის პატარა ქალა, სადაც ზოგიერთი ინფორმატორი ნასოფლარსაც მიუთითებს. **ჰასანას ქალის** აღმოსავლეთით არის **დიდი ლოდი**. ჰასანას ქალაში დღეს ძირითადად ტყეა.



ერთ დროს სიცოცხლით სავსე სოფელი დღეს დაცლის პირას არის მისული. ეს პრობლემა ასპინძის მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელს უდგას. თითოეული სოფლის მატყიანე არის „მინის ენა“, ადგილის სახელები, რომლებიც მოგვითხრობენ მისი წარსულისა და დღევანდულობის შესახებ.

აბრამას ყანა, – ყანა. ვალმა სერზე კოლექტივიზაციამდე აბრამ შეშაბერიძის ყანა იყო, შემდეგაც, როდესაც გაერთიანდა კოლექტივად, ასე იწოდებოდა.

აგაროდები – იხ. ნაფუზრები.

ადები, – მდინარის პირი. კლდბალის შემდეგ, ახალქალაქის მიმართულებით, მდინარის პირას პქეია ადები. ადებში ტოტი გადმოდის ჯვახეთის მტკვრის (თაფარავენის წყლის) ნაპირზე. ადები იყოფა ორ ნაწილად: თოკის ადები და ვარგავის ადები. ადების პირდაპირ, ერთვის ჯვახეთის მტკვარს ცხრანყაროს ხევი. ვარგავის ადები არის ხერთთვისის მხარეს, ხოლო თოკის მხარეს არის თოკის ადები. ვარგავის ადებში იყო ბალები, ხოლო თოკის ადები ითიბებოდა. ადა თურქული სიყვავა და კუნძულს ნიშნავს, ეს არის მისი ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ სამცხესა და ჯვახეთში მას სხვა შინაარსიც შეუძენია და მდინარის ნაპირს, მდინარის ტოტს, ნახევარკუნძულს გულისხმობს. „ადა, ადები ასპინძასა და ახალქალაქის რაიონებში ბევრგან გვხვდება მდინარის მონაკვეთის სახელადაც. ხშირად იქ, სადაც ადრეც შეიძლებოდა კუნძული იყო, მაგრამ აღარ არის, კალაპოტის ცვლილების გამო, სახელი მაიც შერჩა (მ. ბერიძე, ვ. ბერიძე, ორი თურქული სიტყვა ქართული ენის შესახებ დიალექტში, თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, I, 1998წ. გვ. 130)“.

აკოფას ყანა, – ყანა. წერაკუნტაში ყიშლითავეზზე კაკაბას და პაველს ყანების გვერდით იყო მათი ძმის აკოფა დავლაშერიძის ყანა.

ალასტანის მხარე – იხ. ვალმასერი.

ალექსას ყანა//ალექსიყანა, – ყანა. ქვედა ქალებთან ნიკოს ყანის სამხრეთით მდებარე ყანა. ალექსი თარხნიშნილი ფლობდა ყანას.

ალექსიყანა – იხ. ალექსას ყანა.

ასკილის ყანები, – ყანები. ყანები, რომელიც მდებარეობს სამხრეთით ვარვენის გზასა და ედოს ქოხს შორის. ყანებს შორის საზღვარში იცის ველური ასკილი (ორი ყანაა), დაბალი ბუჩქი. ნაყოფი აქვს მრგვალი, შავი და წითელი. ასკილის გამო შეერქვა სახელი.

ახალი ბოსელი – იხ. ყორიანები.

ბასენი, წყალსაცავი, – საძოვარი. სათიხის ფერდში, პიოსჭალის მხრიდან, სოფლის მხარეს, საფლავეების ზემოთ სასმელი წყლის ბეტონის რეზერვუარია ჩადგმული, რომელიც შემოღობილია. გარშემო საძოვრებია. ეს წყალსაცავი შედარებით ახალია, გაკეთდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. აქედან გამოყვანილი წყაროები დის სოფელში. ეს არის ახალი წყაროები.

ბეგილარები, – ყანები. ასკილის ყანებიდან ვარევის გზის გაგრძელებაა ეს ყანები, ვარევის საზღვრამდე და ტყის ბოლოს შორის. 15-20 ჰექტარი ფართობია. ლარებს, ეძახიან სწორ, ვიწრო, პარალელურ ყანებს. ეტყობა ეს ლარები ბეგის საკუთრება იყო.

ბეგილარების ყანები – იხ. სკოლა.

ბოსლები – იხ. ბოსტნები. იგივე საცხერები.

ბოსელი – იხ. ვარგავის გზა.

ბოსტნები, – ნაბოსტნარი. ყიშლაში, ბოსლების მარჯვნივ და საგუბრის დაბლა არის ვაკე ადგილები, სადაც კოლმეურნეობა თესავდა ბოსტანს. მოჰყავდათ კიტრი პამიდორი, საზამთრო. ბოსტნებში იდგა რამდენიმე ჭადარი. იყო კაკლის ხეებიც **ხევის პირას.**

ბრშაბიჭის ყანა, – ყანა, საძოვარი. წყაროს ყანებში, ქვიანი, მოუსავლიანი ყანა იყო, რომელიც მოხნა ბრმა ბიჭმა, შემდეგ კოლექტივმა ნაილო და აღარ ხნავდნენ, რადგან ქვიანი იყო. ბრმა ბიჭი მეტსახელი იყო მიხ. შუშაბერიძისა.

ბრუმანას ერდო || ბრმა ანას ერდო, – გზის მონაკვეთი. ზედა ბაღსა და საცხერებს, ბოსტნებს აკავშირებდა ბილიკი, რომლის ერთ მონაკვეთს ერქვა ეს სახელი. ახლო-მახლო შენობა არ არის, ამიტომ ერდო არსად არის და არც ყოფილა. ბრუმა ანა შუშაბერიძეების რძალი ყოფილა. ქალბატონს მხედველობის პრობლემა ჰქონდა, ამიტომ, ეძახდნენ ბრუმას. ვარგაველების თქმით, ბრუმა ანა, ბალებიდან მომავალი დაღლილა და ამ ადგილზე წამოწოლილა, როგორც ერდოზე და იმიტომ დაერქვა სახელი. არის სხვა ვერსია: ანას სახლი სოფლის ცენტრში იდგა, რომლის ერდოზეც გროვდებოდნენ, ჭორაობდნენ, „ბორჯაობდნენ“, ბავშვების სათამაშო ადგილი იყო. **ბრმა ანას ერდო** გზის ის მონაკვეთია, სადაც აღმართზე მომავალს პირველი დასვენება სჭირდებოდა, გრეხილ გზაზე მომავლისთვის დასვენება უპრიანია, პატარა სუფთა ვაკე ადგილი დასვენების საშუალებას იძლევა და ერდოს ანალოგიით შეერქვა სახელი.

ბუჭულანისქვილი – იხ. გაღმა ყანები.

ბუხეტას ყანა – იხ. ყორიანის ყანები.

გაბოს ყანა – ყანა. გაღმა სერზე მდებარე ყანა, რომელიც კოლექტივში გაერთიანების შემდეგაც ასე იწოდებოდა და ასე ჰქვია დღესაც.

გამოქვაბულები, – გამოქვაბულები. კოლხოზის ყიშლაში არის **ქარაფის**

ძირში, საცხერების თავზე გამოქვაბულები. ერთს ჰქვია *დიდი გამოქვაბული*, მეორეს – *პატარა გამოქვაბული*. დიდში თრიალეთის კაცი შეეფარება.

გალმალარები – იხ. *გალმაყანები*.

გალმაყანები, – *ყანები*. *ბეგლარები* არის *ვარეულის გზის* ქვედა მხარეს, ხოლო *გალმაყანები* არის *ვარეულის გზის* ზემოდან, *სირონის ყანებამდე*. *გალმა* ჰქვია იმიტომ, რომ სოფლიდან მოშორებითაა და თვალით არ ჩანს. *გამოლმა* ფორმა არა გვაქვს.

გალმასერი, სერი – სერი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, *გოხებიდან, შუაგოხებიდან* და *შუაშანჭალებიდან* აღმოსავლეთით. *გალმასერის უკან* არის *საროს პირიქით ყანები*. *გალმა* ჰქვია იმიტომ, რომ *ალასტანის მხარეს* არის, სოფლიდან მოშორებით.

გალმა სერი ძირი – იხ. *სირონები*.

გალმაყანები, – *ყანები*. *გალმასერის* სამხრეთით *გადალმაყანებამდე* *გალმასერის ძირში* არის *ყანები*. სოფლიდან *გალმაყანებამდე* არის *ჭალები*, ამიტომ *გალმას* ეძახიან. *გალმაყანებს გალმალარებიც* ჰქვია, რადგან ვინრო *ყანებია* და *გრძელი*. *გალმაყანების* ახსნის თაობაზე არსებობს სხვა აზრიც: რადგან სოფელსა და *გალმაყანებს* შორის არის *ჭალები*, *ჭალები* კი *წყლის პირს* გულისხმობს *უეჭველად*, *უნდა ვივარაუდოთ*, რომ *მაშინ*, როცა *ტყე* არსებობდა, ამ ადგილებში *წყალი* მოდიოდა, რომელიც *აუვლიდა გვერდს* *თოკს* და *უერთდებოდა ხანდოს წყალს* (რობერტ შემაბერიძე დამ. 1934 წ.). *გადმოცემით* *ჭალების თავში* იყო *ნისქვილი*, რომელსაც *ბუჭულანისქვილი* ერქვა. *წინაპართა თქმით*, *ვინმე ბუჭულა* *უნდა ყოფილიყო*, *სინამდვილეში ბუჭულა* *ნისქვილი* *უნდა იყოს პატარა ნისქვილი*, რადგან *წყალი ნაკლები იყო*.

გოხები, – *ყანები*. *გოხები* არის *პატარა სერის უკან, წყაროებიდან* ჩრდილოეთით, *პიოჭალიდან* აღმოსავლეთით და *გალმასერიდან* დასავლეთით. *გოხები* არის *სათიხესა* და *გალმასერს შუა, შუაშია*, ამიტომ *შუაგოხებსაც* ეძახიან.

გრიშას ყანა – იხ. *ყორიანის ყანები*.

გრძელი ბაღი – იხ. *მარიობის ყურძენი*.

დათათგუბე – იხ. *საგუბარი*.

დათათყანები, – *ყანები*. *ნერაკუნტაში ხერთვისულების* დასავლეთით *ჩადის გზა*. *გზის ნაპირებშია* *ყანები*, რომლებიც *დათათვილებისა* იყო.

დამპალი წყარო – იხ. *სათიხე*.

დამპალყანები, – *ყანები*. სოფლის სამხრეთით, *თოკის გზის მარცხენა მხარეს* (*ვარგავიდან* *თოკის მიმართულებით*), *ტყის ზოლსა* და *ვარეულის გზას* შორის, *ტბის ყანების* მოპირდაპირე მხარეს არის



ეს ყანები. წყალი დგებოდა, ნესტიანი ადგილია და სახელი იმიტომ ჰქვია.

დამპალყანების გოხი, - ქვიანი ადგილი. დამპალყანების შუაში არის გოხი 1-1,5 ჰექტარი ფართობი, რომელიც დამპალყანების აღმოსავლეთით ასკილის ყანებამდე გრძელდება. გოხი არის ყანების შუაში აუთვისებული ქვიანი ადგილი, რომელიც არ იხვნება.

- დანას ყანა** - იხ. ყორიანის ყანები.
- დიდი გამოქვაბული** - იხ. გამოქვაბულები.
- დიდი კარკალი** - იხ. კარკლები.
- დიდი ზღვარი** - იხ. ყორიანები.
- დიდი ყანა** - იხ. წყაროს ყანები.
- დიდი ყორიანები** - იხ. ყორიანები.
- დიდი ყორიანის გოხები** - იხ. ყორიანები.
- დიდყანა** - იხ. ნაფუზრები.

დურსუნას ბაღი, - ბაღი. ვარგაეის ბაღში, გზის დიდი მოსახვევის შემდეგ, ახალქალაქის მიმართულებით, წყლის არხის ქვეშ (ეს არხი დღეს აღარ მუშაობს), ვაკე ადგილზე დღესაც დგას რამდენიმე თუთა. ამ ადგილს **დურსუნას ბაღი** ჰქვია. დურსუნას ვარგაველ შემაბერიძეს ეძახდნენ მეტსახელად.

ედოს ქოხი, - ყანები. სოფლის სამხრეთით სატყეოს ყარაული იყო ედო (ედვარდი), ჰქონდა პატარა ქოხი და იმის გამო შეერქვა სახელი.

ეთოს ყანა, - ყანა. კოლექტივიზაციამდე ყანები მოიხსენიებოდა მეპატრონის სახელით ან წარმომავლობით. **ეთოს ყანა** კოლექტივის დროს აღარ დამუშავებულა, იყო გაღმა სერის ძირში. ყანა ქვით შემოზღუდულია და ტრაქტორი არ შევიდა, ყანა ქვიანი იყო. ხარის დროს იხვნოდა. დღეს ქცეულია საძოვრად. მაინც ყანა ჰქვია. ეთო დავლაშერიძე იყო, შემდეგ გადასახლდა ოპორაში.

ერბოჯვარი - იხ. რუ.

ვარგავი, - სოფელი. ვარგაეის დაარსებას უახლოეს წარსულს უკავშირებს გადმოცემები. მიუთითებენ, რომ ვარგაველთა სოფლად მქცეველი იყო პავლე შემაბერიძე, რომელსაც **დალი** პავლეს, ეძახდნენ. შემაბერიძეები მოსულან **კასპის** რაიონის სოფელ **კავთისხევიდან**, სადაც ყოფილა **შეშაბერაანთ** უბანი. ერთი ვარიანტით სოფელი დაარსებულა ასპინძის ომის შემდეგ. დალი პავლემ გადმოიყვანა (უმეგზურა) ერეკლეს ჯარი ანყურიდან. დალი პალეს მამა გამოქცევია ბატონს, ამიტომ, როდესაც პავლეს შესთავაზეს წოდება, უარი თქვა და სოფელი მოითხოვა. სოფელი რომ ოფიციალურად ყოფილიყო, დამკვიდრებულიყო, საჭირო იყო ექვს გვარს ეცხოვრა. პავლემ შეაგროვა ექვსი გვარი, თავისი გვარის - შემაბერიძის გარდა, კიდევ ხუთი: თარხნიშვილი, თამაზაშვილი, ლაზარაშვილი, დავლაშერიძე და დათაშვილი. მე-

ორე გადმოცემა ასეთია: „კაცი იყო გადმოხვენილი კასპიდან მეშაბერიძე პალიკო, კავთისხევი სოფელი, იქიდან. პასკევიჩის ომები რო იყო 1828 წელს, მაშინ მიიღო მონაწილეობა ამ ომში. ეს ყველაფერი ვიცი მოხუცებისაგან. მეშაბერიძე ლაზარე (ლაზო) იყო და იმისაგან ვიცი, გარდაიცვალა 98 წლისა. ახალციხის, ახალქალაქის განთავისუფლების ბრძოლებში რომ მონაწილეობდა, დასახლება უნდოდა და უთხრეს, რო წადი, ნახე ადგილი, რომელიც მოგეწონებაო. წასულა და მოუძებნია ჩვენი სოფელი, მოსწონებია, უთქვია, რო ვარგაო და იქიდან არის სახელწოდება ვარგაი. წადი მონახე ექვსი გვარი, რო დასახლდეთ. ექვს გვარზე-ნა შედგეს სოფელიო. ლაზარაშვილები ამოუყვანია ნარმანიდან (ხერთვისის გაღმა), დათაშვილი და თამაზაშვილი - ხიზაბავრიდან. დავლაშერიძე - როკეთიდან. თარხნიშვილი - კოთელიიდან თუ ბარალეთიდან. ასე დაუმტკიცებიათ სოფლად (პავლე მეშაბერიძე, 50 წლის)”. „პავლეს ეძახდნენ დალი პავლეს. დალი გიჟს ნიშნავს, მამაცს. პავლეს ხიზაბავრიდან მოუყვანია ტატურაშვილის ქალი. შესძენიათ ხუთი ვაჟი: ივანე, გიგო, სოლომონი, კოსტანეი, პეტრეი. პირველ ვაჟს, ივანეს ჰყოლია ექვსი ბიჭი: იაკობი, ბასილა, პავლე, კონსტანტინე მღვდელი, ესია, აბრაამი”. პავლეს შვილებიდან და შვილიშვილებიდან მომრავლდნენ შემდეგ ვარგაველი მეშაბერიძეები, რომელთაც კანათ ეძახდნენ. პავლე იყო კანათი. კანა ყოფილა ისეთი ხმის პატრონი, რომ დაიყვირებდა, „ლამპიშუმას ხეთქავდაო”. პავლე იქცა საგვარეულო სახლად. დალი პავლეს შემდეგ იყო ხელაპავლე, პავლეს შვილიშვილი და სიმონ მეშაბერიძის მამა, რომელიც გარდაიცვალა 103 წლისა 1953 წელს. ასევე სიმონ მეშაბერიძის შვილიშვილს ჰქვია პავლე. დანარჩენ ხუთ გვარსაც ჰქონდა თავისი საგვარეულო სახელი. თარხნიშვილებს ავგვისტინეთ ეძახდნენ, თამაზაშვილებს - თამაზათებს, ლაზარაშვილებს - ქონინთ, დათაშვილებს - დათათ და დავლაშერიძეებს - როკეთლიენტ, რადგან ისინი მოსულები იყვნენ როკეთიდან. ამ ორი ვერსიიდან სარწმუნო ჩანს მეორე, რომ პასკევიჩის ბრძოლების შემდეგ განახლდა სოფელი, რადგან დალი პავლეს შვილიშვილი, რომელსაც ჩვენს დრომდე უცხოვრია, დაბადებულა 1847 წელს. ვარგაი, როგორც სოფელი მე-19 საუკუნემდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. მე-16 საუკუნეში ის უკვე გაუკაცრიელებულია, წასოფლარია (ჯიქია, 1958: 289), ამიტომ სარწმუნოა მისი აღდგენა, ხელახლა დასახლება მე-19 საუკუნის დასაწყისში. სახელი დაკავშირებული უნდა იყოს ვარგ- ფუძესთან. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ვარგი არა თუ ავი, სავარგონი (ორბელიანი, 1965:258)”. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ვარგი იგივეა, რაც ვარ-

გისი (ქ. ე. მ. ლ. IV, 1955: 23)". — ავ არის სუფიქსი, რომელიც ტოპონიმიში ხშირად გვხვდება (შედრ. ტყეიავი, ბოდავი, ცურა ტავი და ა.შ.) სოფლის ვარგისიანობას და სილამაზეს განაზღვრავს სოფლების გალექსვა, რომელიც ჯავახეთში მიღებული იყო. იგი ჩანერილი აქვს სერგი მაკალათიას:

„ვარგავი კი პატარაა, მაგრამ კოხტა ადგილია,
უფრო კარგი იქნებოდა, თუ რომ ჰქონდეს დიდი ნყალი

(მაკალათია, 1938:125)".

სამწუხაროდ, ერთ დროს აყვავებული და კარგი სოფელი დღეს დაცლის პირასაა მისული და მხოლოდ რამდენიმე კომლი-ლა ცხოვრობს.

ვარგავის ადები — იხ. ადები.

ვარგავის ბალები, — ბალი. ასპინძიდან ახალქალაქის მიმართულებით, ხერთვისის შემდეგ, არის ნასოფლარი **შვიდრევანტა**. ნასოფლარი იყო ძირითადად გზის ზედა მხარეს და იმ ადგილზე, სადაც გზა გადის. გზის ქვევიდან ბალებია. **შვიდრევანტა** ეკუთვნის ხერთვისს. **შვიდრევანტის ბალების** ნანილი, შვიდ ჰექტრამდე ქვიანი ადგილი, არის **ხიზაბავრისა**. **შვიდრევანტის ბალები** არის სხვადასხვა სოფლისა და დასახლებებისა. **ხერთვისის შესის სათავიდან** ახალქალაქის მიმართულებით ქედია ერთი, ნყალგამყოფი, ჩასდევს ქვიანი ზღვარი, სადაც ბევრია ყვითელი ტყემალი. ეკუთვნის ხიზაბავრას და **ხიზაბავრის ტყემლები** ჰქვია. **ხიზაბავრის ბალები** არის ხიზაბავრის ტყემლების გასწვრივ **ვარგავის გზის შესახვევამდე**. ხოლო გზის ზევიდან ყიშლაა, რომელსაც **თხილნარის ხევი** ჰქვია, ახალქალაქის მიმართულებით ხერთვისისაა. თხილნარის ხევის გაგრძელება, ყიშლა, ვარგავისაა. ხიზაბავრას ბალები გზის ქვევით აქვს. **ვარგავის ბალები** იწყება ხიზაბავრის ბალების მოსაზღვრედ **მუსას ბლიდან**, სადაც არის **მუსას ქოხი**. მუსა მეტსახელია ვარგაველი დათაშვილისა, მას ჰქონდა აქ ქოხი, ყარაულობდა ბალებს. 1944 წლამდე მთელი ეს ტერიტორია დასახლებული იყო და აქ მაჰმადიანები სახლობდნენ. მათი გადასახლების შემდეგ შესთავაზეს ვარგავს დაბლა ჩამოსახლება, მაგრამ სოფელმა არ მოინდომა.

ვარგავის გზა, — **ქველი გზა**. ვარგავისა და თოკის მიმართულებით ძირითადი **სამანქანო გზა** ადიოდა ყიშლაზე. ასპინძა — ახალქალაქის გზიდან გადაუხვევედა, გაივლიდა **მუსაბაღს**, **ბოსტნებს**, **საგუბარს**, **საცხვრებს**, **ტირიფინყაროს** და ადიოდა ნერაკუნტით ვარგავში, ვარგავიდან თოკში. ნერაკუნტის შემდეგ **ნასაყდრალთან** იყოფოდა ორად: 1. **ზედა გზა**, რომელიც გაივლიდა **ყორიანის ზემოთ**, **სათიხის ყანების** ქვეშ და შედიოდა სოფელში. 2. **ქვედა გზა** გაივლიდა სოფლის ქვემოდან და **ბოსელთან** შემოდი-

ოდა სოფელში. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გაკეთდა *თოკის გზა* და ვარგავეის გზამ დაკარგა ფუნქცია. თოკიდან ადის *მანჭანა* ვარგავეში. ყიშლაზე ამავალ *ვარგავეის გზას* თოკელებიც ასე ეძახდნენ. ეს გზა დღესაც მიდის ბოსტნებამდე. ვარგავეის გზა პირობითად მოიაზრება ვარგავეისა და საროს საზღვრად *ყიშლის თავის* შემდეგ, რაც ხშირად ხდებოდა დავის საგანი. მაგალითად: *სიმონას ყანა*, რომელიც *კაყანის ძირზეა*, სამშვეტირიანი ყანაა, მოხვედა საროს მხარეს.

ვარგავეის გზის შესახვევი – იხ. ვარგავეის ბალები.

ვარგავეის ყიშლა – იხ. ცხრანყარო.

ვარგავეის წერაკუნტის ყანები – იხ. წერაკუნტის ყანები.

ვარგავეის ქალები – იხ. რუ.

ვარევენის გზა – იხ. ასკილის ყანები, ბეგილარები.

ვარევენის მხარე – იხ. სირონები.

ვარევენის საზღვარი – იხ. ბეგილარები.

ვარევენის სირონები – იხ. სირონები.

ვინრო ბალი – იხ. წყარო.

ზამთრის წყარო – იხ. წერაკუნტა.

ზაქროს ყანა, – *ყანა*. წერაკუნტაში *ზაქრო* დათაშვილის ყანა.

ზედა ბალი, – *ბალი*. ვარგავეის ბალებში *შუა ბალის* ზევით, გზის ზევიდან იდგა კარგი თუთები, რომელიც თ. პატიაშვილის რაიკომის მდივნობის დროს მოიჭრა გზის გაფართოების გამო. ის ყველაზე მაღლა მდებარე ბალი იყო, ამიტომ ჰქვია ეს სახელი.

ზედა გზა – იხ. ვარგავეის გზა.

ზედაველა – იხ. რუ.

ზედაველას რუ – იხ. რუ.

ზედაველის ტყე – იხ. რუ.

ზედა ყორიანი – იხ. ყორიანის ყანები.

ზედაჭალა – იხ. *სოფლის წყარო*, *სოფლის ქალა*. სოფლიდან გზა ვარევენისაკენ ორი მიმართულებით მიდის: 1. *ქვედა გზა*, რომელიც *ქვედა ქალებსა* და *დამპალყანებს* შუა გადის. 2. სოფლის შუადან (სოფელს შუაზე ყოფს) მიდის ვარევენისაკენ, *მოკლე გზაა*, რომელიც *ქვედა* და *ზედა ქალებს* შუა გადადის *გალმა სერის ყანების* სამხრეთით, ამიტომ გზის ქვემოთ (ზედა გზის) ქალებს ერქვა *ქვედა ქალები* (რომელიც ეკუთვნოდათ ლაზარაშვილებს, ეძახოდნენ *ქონიენთ ქალებსაც*, *ქონიენი ლაზარაშვილებია*). *ზედა ქალები*, გზის ზემოთ ეკუთვნოდათ *შეშაბერიძეებს*, ამიტომ მათ *კანათ ქალებსაც* ეძახდნენ. ეს კუთვნილება ნიშნავდა კოლექტივამდელ პერიოდს, მაგრამ სახელი შემორჩა.

ზედა ქალის თავი – იხ. სოფლის წყარო.

თუთრი მინები – იხ. სათიხე.

თეთრი წყაროები – იხ. წერაკუნტა.

თოკი – იხ. სატყეო.

თოკის ადები – იხ. ადები.

თოკის გადასახვევი – იხ. თოკის გზა.

თოკის გზა, – **გზა**. თოკის გზა ორია, ერთი რომელიც ვარგავის გზით ამოდის და ყიშლაზე და მიდის თოკში, ხოლო მეორე – **თოკის გადასახვევიდან** ამოდის თოკში და შემდეგ ვარგავში. იხ. დამპალყანები.

თოკის ყიშლა – იხ. ცხრანყარო.

თოკის ქალები – იხ. რუ.

თოხლის ყანა – იხ. ყორიანის ყანები.

თხილნარის ხევი – იხ. ვარგავის ბალები.

იაშას კარიერი – იხ. სათიხე.

იღუმლის ლელე (ბუ ზმარეთისა) – იხ. კოლხოზის ყიშლა.

იესიას ყანა – იხ. წყაროს ყანები.

კანათ ქალები – იხ. ზედა ქალები

კაკაბას ყანა, – **ყანა**. წერაკუნტაში მდარე ყანაა, რომლის პატრონსაც პეტრე დავლაშერიძეს, მეტსახელად კაკაბას ეძახდნენ.

კალო – იხ. ყორიანები.

კანათ ნაფუზრები – იხ. ნაფუზრები.

კარკალი – იხ. ცხრანყარო.

კარკლები, – **ქვანარი**. ორი კარკალია, **დიდი კარკალი** და **პატარა კარკალი**, ყიშლაში **ცხრანყაროსა** და **კუნლის ხევს** შორის. კარკალი არის დიდი ან წვრილი ქვის გროვა, სადაც ბალახი არ ამოდის, განმარტავენ ვარგაველები. კარკალი შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური. ხელოვნური კარკალი გროვდება ყანის აკარკლის შემდეგ.

კაჟანა, – **გორა**. პატარა გორაა **ყიშლის თავზე**, **წერაკუნტის ბოლოში**. მწირი ქვიანი ადგილია. კაჟანის აღმოსავლეთ ფერდზე სატყეოს მიერ გაშენებულია წიწვიან მცენარეთა ზოლი. კაჟანის დასავლეთით არის **წერაკუნტა**, სამხრეთით — **სიმონას ყანა**, ჩრდილოეთით გრძელდება საროს ტერიტორიაზე **ხიზაბავრის წერაკუნტის** გასწვრივ (ხიზაბავრის წერაკუნტა შქონიან ხიზაბავრელ ხუციშვილებს). ადგილი კაჟიანია და სახელიც იმიტომ შეერქვა.

კაჟანის გორა – იხ. წერაკუნტა.

კაჟანის მთა – იხ. წერაკუნტა.

კაჟანის ძირი – იხ. ვარგავის გზა.

კლდიბალი, – **ბალი**. ვარგავის ბალებში, **დურსუნას ბალის** ბოლოში, ახალქალაქის მიმართულებით, გზის ზედა მხარეს პატარა კლდე დგას, მის გარშემო ხარობდა თუთის ხეები, რომელსაც **კლდიბალი** ჰქვია. დაახლოებით შექტრამდე ტერიტორია იყო, რომელიც,

გაფართოების გამო, ნახევარი გზამ წაიღო.

კოლექტივის ყიშლა – იხ. კოლხოზის ყიშლა.

კოლხოზის ყიშლა//კოლექტივის ყიშლა, – საძოვარი. ყიშლის თავიდან ჩამდინარე ხევის მარჯვენა მხარე, **ნერაკუნტის ნიოხრების ქვე-** მოთ გამყოფი ხევი ჩადის მტკვრამდე, ეს არის გამყოფი საზღვარი აღმოსავლეთით. დასავლეთით **თხილნარის** ჩამომავალი ხევი არის ჯერ **საროს** და შემდეგ **ხერთვისის საზღვარი**, რომელიც ჩამოდის **შვიდრევანტაში ხიზაბავრის ბაღუბამდე**. **სერიოჟას** ბაღი არის გამყოფი ვარგავისა და ხიზაბავრის ბაღებისა. კოლხოზის ყიშლაში აშენებულია ტირიფის წყაროს აღმოსავლეთით **საცხერები**. ამ ყიშლას კოლმეურნეობა ფლობდა და სახელიც იქიდან მოდის. ზაფხულში მთაში აჰყავდათ ცხვარი, **მოიდოლოში** ან **იდუშლის ღელეში** (ბუზმარეთის მიდამოები), **კოხტას მთის** ჩრდილოეთით. გამოსაზამთრებლად ჩამოჰყავდათ ყიშლაში **საცხვარეებში**. 1500-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა კოლმეურნეობას.

კოპინა, – ქვა. **სათიხის თავზე**, მის სამხრეთ ნაწილში, არის გულამოღებული ქვა, რომელშიც ორ ლიტრამდე წყალი გროვდება წვიმის დროს. კოპინას თავზე პრტყელ ქვას დააფარებენ, რომ საქონელმა არ დალიოს წყალი, რომელსაც მწყემსები იყენებენ სასმელად. კოპინას **კოპინის ქვასაც** ეძახიან.

კოპინის ქვა – იხ. კოპინა

კოტყანის გოხის ძირი – იხ. რუ.

კოხტას მთა (ბუზმარეთისა) – იხ. კოლხოზის ყიშლა.

კუნლის ხევი, – ხევი. ხევი სათავეს იღებს წყაროდან, რომელიც არც არასოდეს შრება და არც არსად მიდის, გუბე ადგილია ქვევში, **ზოგჯერ** მიწა ავსებს და წმენდენ ხოლმე. ამ წყაროსთან ახლოს არის **კუნლები** და **კუნლის ხევიც** იმიტომ ჰქვია. **კოტყანის გოხიდან** იწყება და მიდის **სარო-ალასტნის გზამდე**.

კუნლის ხევის ძირი – იხ. რუ.

ლარები – იხ. **ნერაკუნტის ყანები**.

მარანი, – **ფერდობი**. ყიშლაში, საროს მხარეს, მარანს ეძახდნენ მწყემსები. ფერდობი ადგილია, განობია. ცხვარი პირდაპირ არ ჩადის, იმიტომ არ უჭირს ძოვა. მაკე ცხვარს ზევით-ქვევით რომ არ ევლო, ამ ადგილს ინახავდნენ საძოვრად. შალვა შეშაბერძის აზრით, „თივა ინახებოდა და ალბათ მარანს იმიტომ ეძახდნენ, ვაზთან და ღვინოსთან კავშირი არა აქვს. შენობა რაიმე არ იყო, რომ რეალურ მარანზე ვიფიქროთ. მარანი გან ადგილს ჰქვია.“

მარიობის ყურძენი, – **მაღლარი**. ვარგავის ბაღებში, ქოხის წინ იდგა თეთრი საჭმელი ყურძენი, ხოლო აღმოსავლეთიდან ქოხის ძირში ხარობდა ტალავერზე და ხეზე ასული **მარიობის ყურძენი**. მარიობის ყურძენიც თეთრია, შემოდის აგვისტოს ბოლოს, ისხავს

კარგად. მალლარი ყურძენი (სხვა სახის ვაზის ტრადიცია ამ მხარეში არ იყო) გვხვდება *გრძელ ბალებში* და *საფუტკრეში*.



მიხას კარიერი - იხ. სათიხე.

მოკლე გზა - იხ. ზედა ჭალა.

მონყვეტილი ბალი, ბალი - ძველი ბალი მდებარეობს *ზედა ბაღსა* და *დურსუნას ბაღს* შორის ვარგავის ბალებში *ქოხის ბაღების* პირდაპირ, გზის ზემოთ, სადაც მთაერდება *ზედა ბაღები*. მონყვეტილი იმიტომ ჰქვია, რომ მონიშნული, გამოყოფილი ადგილია. დღეს მხოლოდ ნანილია დარჩენილი, დიდი ნანილი ნაილო გზის მშენებლობამ.

მონყვეტილი ბალის ხევი, - *ხევი*. ყიშლაში *ბოსტნებიდან* იღებს სათავეს ჯაგახეთის მტკვრის მიმართულებით პატარა ხევი. ხევი რამდენიმე კაკალი და ჭერმის ხეებია. ხევი ჯაგახეთის მტკვარს ერთვის მარჯვენა ნაპირიდან მონყვეტილ ბალთან და სახელიც იმიტომ ჰქვია.

მუსაბალი - იხ. ვარგავის გზა.

მუსას ბალი - იხ. ვარგავის ბალები.

მუსას ქოხი - იხ. ვარგავის ბალები.

ნასაფლაგარი - იხ. ნასაფლარები.

ნასაფლარები. *ნასაფლაო* - ამ სახელით ცნობილია ორი ადგილი. ერთი არის *პატარა სერის ძირში*, *ძველი საფლავეები*, სოფლის მხარეს. დანასა და ჰაჯიას სახლებს შორის. სიმონას და ოქროს სახლებს უკან. გადმოცემით ამ ადგილზე დაიკრძალა პირველი მიცვალებულები, როცა დაფუძნდა სოფელი. მეორე არის *როკეთილინთ საფლავეები*. ის არის სოფლის სამხრეთით *ნაფუზრების ყანებს* შუა. აქ რამდენიმე საფლაგია. დაკრძალული არიან როკეთიდან ამოსული დავლაშერიძეები, რომლებსაც კათოლიკობა არ მიუღიათ და საფლაგი ცალკე ჰქონდათ. სოფელში მათ ქართველებს ეძახდნენ, კათოლიკებს კი ისინიც და სხვებიც ფრანგებს ეძახიან. მათ სახელად ჩანერილი მაქვს *ნასაფლაგარიც*.

ნასაყდრავი, - *ნაეკლესიარი*. *სათიხის ძირში*, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არის ჩაღრმავებული ადგილი. შემორჩენილია რამდენიმე კუთხის ქვა, ემჩნევა ფუნდამენტის ნანილი. ამ ადგილს *ნასაყდრავს* ეძახიან. ნასაყდრავში სანთელს ანთებენ და საღეთოსაც კლავენ. გავლისას პირჯვარს იწერენ. ტოვებენ ხურდა ფულს, რომელსაც ბავშვებიც კი არ იღებენ.

ნასაყდრევეითავი - იხ. რუ.

ნაფუზრები, - *ყანები*. სოფლის სამხრეთით, ახლოსვე გაყოლებული ყანებია, რომლებიც კოლმეურნეობის დროს 30 მეასედობით განაწილებული იყო მოსახლეობაზე. *ნაფუზრის ყანას* ეძახიან აგრეთვე *სოფლის ქალის* აღმოსავლეთით *დიდყანას*. ნაფუზრებში

ცალკეული ნაკვეთი მოიხსენიებოდა მეპატრონის სახელით ან მეტსახელით: **დუნკას ყანა** (ვალიკო თარხნიშვილი), **ქრისტინას ყანა**, **ქენზას ყანა** (შალვა შეშაბერიძე, ტრაქტორისტი), **ლორიაკოს ყანა**, **კონიას ყანა**, **ვაითას ყანა** (აკო ლაზარაშვილი), **რაზბონიკის ყანა** (სიმონ შეშაბერიძე), **გერშინას ყანა** (იაშა შეშაბერიძე), **დომეს ყანა** (დომენტი შეშაბერიძე), **პაჯიას ყანა** (ზაქრო დათაშვილი), **არუთას ყანა** (არუთ ლაზარაშვილი), **მანაკას ყანა** (გიორგი ლაზარაშვილი), **სიკოს ყანა//რიჯას ყანა** (სიმონ შეშაბერიძე), **ოქრუას ყანა** (ოქრო, მიხეილ შეშაბერიძე), **სერიოფას ყანა** (სერგო შეშაბერიძე), **სოსოს ყანა//ბზიკას ყანა** (იოსებ შეშაბერიძე), **ფოლადას ყანა** (იაკობ ლაზარაშვილი). **ილიკოს ყანა//ხვედას ყანა** (ილია დავლაშერიძე), **ანეტოს ყანა** (ანეტა შეშაბერიძე), **მახარას ყანა** (მიხეილ შეშაბერიძე), **ტუჩიანის ყანა** (ალექსანდრე შეშაბერიძე), **ბულამიშას ყანა** (მიხეილ შეშაბერიძე), **სოლომონას ყანა** (სოლომონ თამაზაშვილი), **ტიხას ყანა** (ბაგრატ შეშაბერიძე). ეს ყანები იყო სოფლის წინ, თოკისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, გზიდან **ქვედა ჭალეზამდე**, გრძელდებოდა ვარევენის გზამდე და **დამპალყანების გზამდე**. ვარგავიდან **თოკის** გზის მარჯვენა მხარეს **ბოსლების** ბოლოში იყო შემდეგი ყანები: **ფესიას ყანა** (მიხეილ შეშაბერიძე), **ჯუჯას ყანა**, **იობლას ყანა**, **მუნჯი გოგიას ყანა** (გიორგი ლაზარაშვილი), **ჯორი შაქროს ყანა**, **ერმონას ყანა** (ერმონა შეშაბერიძეების რძალი იყო). სოფლის დასავლეთით იყო შემდეგი ყანები: **ფედისომინას ყანა** (შოთა შეშაბერიძე), **ტუნოს ყანა** (ზაქრო თამაზაშვილი), **აგვისტიტინენტ ქრისტინას ყანა** (აგვისტინენი იყვნენ თარხნიშვილები), **ლორი აეთოს ყანა**, **ჩინოს ყანა** (პეტრე ლაზარაშვილი), **ჭიას ყანა** (სიმონ ლაზარაშვილი), **რობერტას ყანა** (რობერტ შეშაბერიძე). **დანას ყანა** (ალექსანდრე დათაშვილი). „ნაფუზარი არის ფუძე, ნასახლარი. ვარგავის ნაფუზრები ნასახლარი არ არის, ალბათ უფრო საგლებო მიწებია და უპირისპირდება საბატონოს (აქვე ახლოს არის **ბეგილარები**). ასევე იყო თოკში. **ვარციხის** მიწების ნაწილი იყო თოკისა, საგლებო და კომუნისტებმაც ვერ ჩამოართვეს. ვარციხესთან ნაფუზარი არ ჰქვია მაგრამ მიწები საგლებოა (შალვა შეშაბერიძე, დამ. 1962წ.)“. ყანების ამ ნაწილს, ნაფუზრებს, სოფელი ეძახდა **აგაროდებს**. ხოლო მხოლოდ ნაფუზრები ერქვა **დიდყანას**. ნაფუზრებს, დიდყანას, **კანათ ნაფუზრებსაც** ეძახდნენ (კანათ შორის იყო განაწილებული ეს ფართობი). არის გადმოცემა, რომ ეს ნაფუზრები პირველად განაწილდა იმ ექვს ძმას შორის, რომლებიც პავლეს შვილები იყვნენ.

ნაფუზრების ყანები – ხ. ნასაფლარები.

ნაფუზრის ყანა – იხ. ნაფუზრები.

ნიკოს ყანა//ნიკოყანა, – **ყანა**. ქვედა ჭალების გვერდზე ნიკოს, ლაზარაშვილი ფლობდა ყანას და მისი სახელი ეწოდა.

ნიკოყანა – იხ. ნიკოს ყანა.

ოდისები – იხ. ნერაკუნტა.

ოდისის ნიოხრები – იხ. სათიხე.

პაატას ყანა – იხ. ყორიანის ყანები.

პავლეს ყანა, – **ყანა**. ნერაკუნტაში ყიშლითავეებზე კაკაბას ყანის გვერდზე იყო მისი ძმის პავლე დავლაშერიძის ყანა.

პატარა გამოქვაბული – იხ. გამოქვაბულები.

პაპათსერი – იხ. რუ.

პაპულას ყანა//პაპულაყანა, – **ყანა**. ნერაკუნტაში პაპულა დათაშვილის ყანა.

პაპულაყანა – იხ. პაპულას ყანა.

პატარა კარკალი – იხ. კარკლები.

პატარა სათიხე – იხ. სათიხე, სათიხის თავის ყანა.

პატარა სერი – იხ. პატრასერი.

პატარა ყორიანი – იხ. ყორიანის ყანები.

პატრასერი//პატარა სერი, – **სერი**. სერი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. სოფელი გაშენებულია **პატრასერის ძირში**. უკანა მხარე არის **წყაროს ყანა** და **შუშანას ჭალა** (შუშანა როკეთლიენთი იყო). პატარა სერის ძირში გამოდის **სოფლის წყარო**. საპირისპირო დიდი სერი არ არის სოფელში. ინფორმატორთა ცნობით „ზომით პატარაა“ და იმიტომ ეძახიან ამ სახელს. სერი კი არის ვარგაველთა მიხედვით „სიგრძეზე განოლილი მთა, მოგრძო მთა.“

პატრასერის უკანა ყანა – იხ. წყაროს ყანები.

პატრასერის ძირი – იხ. პატრასერი, ნასაფლარები.

პიოჭალა//პიოს ჭალა, – **ჭალა**. გოხებიდან სათიხის მხარეზე არის ორი ლარი ყანა, რომელიც **წყაროს ყანებში** შედის. ამ ყანებს შორის არის **პიოს ჭალა**. მისი ჩრდილოეთით **საროს მინდვრებია**. პიო იყო სპირიდონ ლაზარაშვილი, რომელსაც აქ ჰქონდა ჭალა.

პიოსჭალა – იხ. პიოჭალა.

პიოს ჭალის ყანები – იხ. წყაროს ყანები.

პირიქითყანები – იხ. გაღმასერი.

როკეთლიენტ საფლავები – იხ. ნასაფლარები

რუ, – **ნარუალი**. რუ იწყებოდა **ერბოჯერიდან** და **ზედაველის ტყიდან**, რომელსაც საერთოდ **ჭობარეთის ტყე** ჰქვია, მაგრამ **ზედაველა ხიზაბავრის** ნაწილია, იქვეა **საროს ჭალები**, **თოკის ჭალები** და **ვარგაეის ჭალები**. გამოივლიდა რუ **ხიზაბავრის წვერს**, **პაპათსერის** აღმოსავლეთით ჩამოვიდოდა **საროს პირიქითჭალებში**, კო-

ტყეანის გოზის ძირში, კუნლის ხევის ძირში, გამოივლიდა პიონ ქალაზე (ვარგავეში), სათიხის ძირის გავლით, სადაც ყანებს მუდამადიოდა საყდრითავემდე (იგივე ნასაყდრავეითავე) და წერაკუნტის გვერდის ავლით, დამპალწყაროს მიმართულებით, საროს ხევით მიდიოდა საროში. ვარგაველები ამ რუს ეძახიან ან ზედაველას რუს ან საროს რუს ან უბრალოდ რუს. რუ დიოდე 1-1,5 თვის განმავლობაში ზაფხულობით. რუ იყო გათხრილი მინა, ალაგ-ალაგ ქვაც ერია ნაპირების გასამაგრებლად გვერდებზე ჩალაგებული. ზაფხულში სოფელი გადიოდა და თავის ნილ ტერიტორიას წმენდდა. თქმულების თანახმად რუს წყალი მზითვებში გაატანეს საროში გათხოვილ გოგოს ხიზაბავრელებმა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კომუნისტებმა გამოიყვანეს ქობარულას წყალი ვარგავეში, საროსა და ხიზაბავრაში. წყალი მოექცა რკინის მილებში და იმის შემდეგ რუ აღარ ფუნქციონირებს.

რუსპირა ყანები - იხ. სათიხის ყანები.

რუსპირის ყანები - იხ. სათიხის ყანები.

საგუბარი, - **რეზერვუარი** - საცხერებიდან სამხრეთით არის ნათალი ქვით აშენებული წყლის რეზერვუარი. აქ შეგროვილი წყლით ირწყვოდა **ბოსტნები**.

საგუბარი, - **საძოვარი**. **სათიხესა** და **პატარასერს** შორის იყო ამოთხრილი დიდი ორმო, სადაც გუბდებოდა გაზაფხულის თოვლის წყლები. რჩებოდა მთელი წლის განმავლობაში. ეს გუბე შემდეგ ამოივსო მინით, ამიტომ წყალი აღარ დგება, მაგრამ ადგილს საგუბარი მაინც უქვია. ზოგი ამ ადგილს **დათათ გუბესაც** ეძახის, რადგან ახლოს არის დათაშვილების სახლი.

სათიხე, - **გორა**. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით არის თიხიანი გორა თავისი ქვის კარიერით. სათიხეზე მოიპოვებენ ორნაირ ქვას - თეთრსა და წითელს. სოფლის მხარეს არის წითელი და საროს მხარეს - თეთრი. სათიხე იყოფა ორ ნაწილად - **სათიხე** და **პატარა სათიხე**. პატარა სათიხე არის სათიხის გაგრძელება საროს ტერიტორიამდე. პატარა სათიხის ძირშია **ოდისის ნოხრები**, ნასოფლარი. სათიხეზე მოიპოვება თიხა, რომელსაც იყენებდნენ ფურნის ასაშენებლად. სახლების ასაშენებლად იყენებდნენ თეთრ მინას, რომელიც სათიხის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის საროს ტერიტორიაზე, **დამპალი წყაროს** მხარეს. მას **თეთრ მინებს** უწოდებენ. დიდი და პატარა სათიხე ცალ-ცალკე გამოყოფილი არ არის. ცალკე დიდი სათიხე არ ითქმის. გვაქვს მხოლოდ სათიხე და პატარა სათიხე. სათიხის ნაწილები დაყოფილი იყო ქვის მომპოვებელთა სახელების მიხედვით. **მიხას კარიერი** ეკუთვნოდა მიხა შეშაბერიძეს, რომელიც ძირითადად საფლავის ქვებს იღებდა და თლიდა. ქვა ამოჰქონდა მიწიდან, სოლებით აპობდა. სოლი,

ურო, ჩაქუჩი და რკინის კეტი იყო ძირითადად მისი იარაღი. **იაშას კარიერი.** იაშა შეშაბერიძეს შქონდა ცალკე კარიერი, სადაც სახლის კუთხის და სამშენებლო ქვებს თლიდა. ფაქტობრივად ორივე იყო ქვის სამტეხლოები, სერიოზული კარიერები არ ყოფილა. **სათიხის თავზე** მოძიებულ იქნა სპეციალური ქვა, მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში, რითაც რესტავრაცია გაუკეთეს კუმურდოს ტაძარს. სათიხის დასავლეთ ფერდიდან ამოვიღეთ და თსუ მესხეთის ფილიალში ჩამოვიტანეთ ვარგავის ქვა. მისგან არის დამზადებული გრიგოლ ხანძთელის ძეგლი, ჩატარდა ბიენალე, რომლის დროსაც გამოიკვეთა სასულიერო პირთა ქანდაკებები, თალი (თსუ მესხეთის ფილიალის ეზოში), ჭულევის ამალეების ჯვარი, სლესის ჯვარი და აგარის ჯვარცმის ნაწილი. სათიხე ძირითადად საძოვარია, შქონდა ყანებიც. სათიხის ბალახი თავისი ყუათიანობით, ცხიმოვანობით გამოირჩევა. აქ ნაძოვები ძროხა მეტ რძეს იწველის.

სათიხის თავი – იხ. სათიხე, სათიხის თავის ყანა.

სათიხის თავის ყანა, – ყანა. მდებარეობს **სათიხის თავზე** 4 პექტრამდე ყანა არის ვარგავისა, ხოლო მისი გაგრძელება **პატარა სათიხეზე** არის **საროს ყანები**, სამი პატარა ყანა.

სათიხის ფერდი – იხ. ბასეინი.

სათიხის ყანები, – ყანები. სათიხის სამხრეთი ფერდის ქვეშ არის ორი გრძელი ყანა, ლარები, რომელსაც **სათიხის ყანებს** ან **რუსპირის ყანებს** და **რუსპირა ყანებს** ეტყვიან, რადგან შუაში გადიოდა რუ, რომელშიც **ზედაველის წყალი** მოედინებოდა.

სათიხის ძირი – იხ. ნასაყდრავი.

სამანქანო გზა – იხ. ვარგავის გზა.

სარო-ალასტინის გზა – გზა. იწყება საროდან, შეუერთდებოდა **დამპალ-წყაროსთან** ხიზაბავრიდან წამოსული გზა, გაივლიდა ნასოფლარ **ოდისების** შუაზე, **კუნელის ხევის** ბოლოს, **გალმა სერის** ჩრდილოეთით და გადადიოდა ალასტანში, ბოლოს ბაკურიანისა და ბორჯომისკენ მიდიოდა.

საროს მინდვრები – იხ. პიოჭალა.

საროს პირიქითქალები – იხ. რუ.

საროს რუ – იხ. რუ.

საროს საზღვარი – იხ. კოლხოზის ყიშლა.

საროს ყანები – იხ. სათიხის თავის ყანა, ნერაკუნტის ყანები.

საროს ქალები – იხ. რუ.

საროს ნერაკუნტის ყანები – იხ. ნერაკუნტის ყანები.

საროს ხევი – იხ. რუ.

სატყეო, – ფიჭვნარი. ტყის ზოლი **თოკსა** და **ვარგავს** შორის გაშენდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. სახელმწიფო ზრუნავდა დარგული ფიჭვების გახარებაზე, ამიტომ ხელფასს უზღვიდნენ ედოონთ,

მიხანთ და ედისომინანთ ოჯახებს, რომ გაეთოხნათ და გაემარგლათ ნარგავები. ფიჭვნარს გვერდზე გასდევს პანტის, რიგაჲსი პანტამ გაიხარა და ნაყოფს იძლევა.

სატყეოს ზოლი – იხ. სკოლა.

საფლავები – იხ. ბასეინი.

საფლავის ყანები, – **ყანები**. ეს ყანები არის **ქვედაჭალის** აღმოსავლეთით **გადაღმა ყანებამდე**. ამ ყანების ტერიტორიაზე დღეს საფლავის რაიმე კვალი არ შეინიშნება. ვარგაველთა მიხედვით ყანა არის მონიშნული, დამუშავებული მიწის ნაკვეთი, რაც ითესება. ყანაში თესენ: პურს, ქერს, ბარდას, კარტოფილს.... ნებისმიერს ჰქვია ყანა. **ბოსტანი** მცირე ადგილის ნათესია, ითესება ბოსტნეული. **ჭალა** არის სწორი ვაკე, სათიბი ადგილი.

საფუტკრე, – **ბალი**. ვარგავის ბალებში არის ქვის ყორით შემოსაზღვრული ბალი. სადაც ფუტკარი ჰყავდათ ხოლმე. კოლმეურნეობის დროს აქ ჰყავდათ სოფლის ფუტკარი მუდამ და სახელი იმიტომ შეერქვა. ამ ადგილებში, შეიდრევანტაში, დღეს სომხებს ჩამოჰყავთ ფუტკარი. **ყიშლასა** და **შეიდრევანტაში** ამბობდნენ სხვა საფუტკრე ადგილებსაც, რადგან აქ იცის გრაკლი, მარმიჭის ბაღაბი და ისეთი მცენარეები, რომლისგანაც ფუტკარი კარგ ნექტარს იღებს და საუკეთესო თაფლს აკეთებს.

საყდრითავე – იხ. რუ.

საცხერები, – იხ. კოლხოზის ყიშლა.

საძალღე/საძალღე კლდე, – **კლდე**. ყიშლაში, გამოქვაბულებთან, ნერაკუნტის ნასოფლარის გაგრძელებაზე ქარაფის მხარეს, აღმართულია კლდე, რომელსაც **საძალღეს** ეძახიან. აქ მოიყვანდნენ მოძულეებულ ძალღს და გადააგდებდნენ კლდიდან, იცილებდნენ თავიდან. კლდის შუა ნაწილში იყო ქვა, რომელზეც დაცემული ძალღი ვერ გადარჩებოდა. ერთხელ დასაყრელი ძალღი ნაიყვანეს მწყემსებმა საძალღეზე გადასაგდებად, გადააგდეს, მაგრამ იმ ქვაზე არ მოხვდა, ამიტომ ერთი თვის მერე მოვიდა ძალღი და ლეკვებიც დაყარა.

საძალღე კლდე – იხ. საძალღე.

სერიოვას ბალი – იხ. კოლხოზის ყიშლა.

სიმონას ყანა – იხ. ვარგავის გზა, კაჟანა.

სირონები, – **ყანები**. **გაღმა სერის ძირში**, **ვარევის მხარეს** არის რამდენიმე ყანა და საძოვარი ადგილი. სირონს საზღვარს ეძახიან ვარგავში. ვარგავს ბევრ სოფელთან აქვს საზღვარი, მაგრამ სირონები მხოლოდ ვარევის საზღვარს ჰქვია. ეძახიან **ვარევის სირონებსაც** და **სირონის ყანებსაც**. სირონი ერქვა სერსაც, რომელიც **გაღმა სერის** გაგრძელებაა სამხრეთ-აღმოსავლეთით. რამდენიმე სერია ვარგავში: **სათიხე**, **პტრა სერი**, **გაღმა სერი** და **სი**

რონები. მათ შორის ყველაზე მომცრო ეს უკანასკნელია.

სირონის ყანები – იხ. გადაღმა ყანები, სირონები.

სკოლა, – სატყეოს ზოლი, ფიჭვნარი. ფიჭვნარის ზოლი, რომელსაც **სატყეოს ზოლიც** ჰქვია, იწყება **ნერაკუნტიდან**, **ბერთვისული ყანის (ბერთვისელების)** კუთხიდან, ვიდრე **ტბამდე**. ამ მონაკვეთს ჰქვია **სკოლა**, რადგან ნარგავების მოვლა-პატრონობასა და გახარებაში აქტიურ როლს თამაშობდა სკოლა. აქედან ფიჭვნარი გაივლის **ტბის ყანების** ძირში და **ბეგილარების ყანების** გავლით გრძელდება **თოკის ტერიტორიამდე**.

სოფლის ყიშლა – იხ. ყიშლა.

სოფლის წყარო, – წყარო. ზედა ქალის თავში გამოდის წყალი და არის გუბედ კლდეში, ქვებშია. სასმელად სოფელი არ იყენებდა, აქ რეცხავდნენ მატყლს და სარეცხს. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გათხარეს მცირე დებეტიანი წყაროს ადგილი, ამოაშენეს და გააკეთეს წყალსაცავი, საიდანაც ორასიოდე მეტრში გამოიყვანეს მილებით წყარო, რომელიც მალე გაუქმდა, შეუცვალეს მიმართულება და წყალი გაიყვანეს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქვის ავაზნები დადგეს. ეს მოხდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. ეს წყარო გამოივლის ორ რეზერვუარს. მეორე გაკეთდა წყლის მიმართულების შეცვლის შემდეგ. მეორე **სოფლის წყარო** არის **პატრა სერის** ძირში. გუბე ადგილია, მცირე დებეტიანი, ადგილზევე იყენებდნენ სასმელად. მეორე წყარომ და **ჭობარული წყლის** მოსვლამ ეს წყარო გააუქმა. ფუნქცია დააკარგვინა. გადმოცემით ეს წყარო კარგად მოდიოდა. თოკელმა ბეგმა ვერცხლის წყალი ჩაასხა, წყარომ მოძებნა ნაპრალი და თოკისკენ წავიდა, გამოვიდა თოკის ხრამში.

სოფლის ქალა, – ქალა. სოფლის აღმოსავლეთით არის დიდი ქალა, რომლის შუაში გადის გზა, რომელიც მას ჰყოფს ორ ნაწილად. ამის მიხედვით არის **ზედა ქალა** (ჩრდილოეთით) და **ქვედა ქალა** (სამხრეთით).

სტეფანეს ყანა, – ყანა. **ეთოს ყანის** სამხრეთით, დღესაც იხენება. სტეფანე შეშაბერიძე ფლობდა ყანას კოლექტივიზაციამდე.

ტბა, – **გუბე**. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით არის ადგილი, სადაც ნვიმისა და თოვლის დნობის დროს გროვდება მთებიდან ჩამოდენილი წყალი. უფროსები ამბობენ, რომ ხარ-კამეჩს ვაბანავებდითო. ინფორმატორის ბავშვობაში, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, ბანაობდნენ ზაფხულობით ამ ტბაში, ყურყუმელობდნენ, მშობლები დასდევდნენ, არ დაიხრჩოთო. დღეისათვის დარჩენილია პატარა გუბე, ზაფხულის ბოლომდე შემორჩება ხოლმე, როგორი გვალვიანი ამინდიც გინდა იყოს. ტბა ითიბება, არ იხენება, რადგან მაინც ნესტიანია.

ტბის ყანები, – ყანები. 40 პექტრამდე ტერიტორიაა ტბის მიმდებარედ, აღმოსავლეთით, ვიდრე **თოკის გზამდე** და ჩრდილოეთით **ყორიანის ყანებამდე**. ითესება ქერი, პური, კარტოფილი. გადანაწილებულია გლეხებზე.

ტბის ყანების ზღვარი – იხ. ყორიანები.

ტილიფის წყარო – იხ. ტირიფის წყარო.

ტირიფის წყარო//ტილიფის წყარო, – წყარო. გამოდის ყიშლის ზედა ნაწილში. იგი არის ცენტრი ყიშლისა. დის დიდი ლოდის ქვეშ, დებეტანი წყალია, რომელიც ზაფხულობით იკლებს, მაგრამ არ შრება. იქვეა საცხვრები. წყაროს წინ ცხვრის დასაწყურვებლად იდგა ხის ავაზნები, რომელიც რკინის ავაზნებით შეცვალეს. ტირიფის წყარო ჩამოდის **ბოსტნებამდე** და იკარგება ნიადაგში. **ტირიფის წყაროს ყიშლის წყაროც/ყიშლიწყარო** პქვია. დღეს წყაროსთან ტირიფი აღარ დგას.

ტირიფის წყლის ყანები, – ყანები. საცხვრების წინ, წყაროსთან ახლოს იყო 3-4 პექტარი ფართობის ყანები, სადაც ითესებოდა ქერი. ქერს ცხვრისთვის თესავდნენ. წყაროს სიახლოვის გამო შეერქვა სახელი.

ტყის ბოლო – იხ. ბეგილარები.

ურმის გზა – იხ. ძველი გზა.

ფილოს ყანა/ფილოყანა, – ყანა. **ალექსიყანის** აღმოსავლეთით ფილო ლაზარაშვილის ყანა იყო.

ფილოყანა – იხ. ფილოს ყანა.

ქარაფი – იხ. ცხრანწყარო.

ქარაფის პირი – იხ. ნერაკუნტა.

ქარაფის ძირი – იხ. გამოქვაბულები.

ქვედა გზა – იხ. ვარგავის გზა, ზედა ჭალა.

ქვედა საცხვარე, – **ბოსელი**. საგუბარის ქვემოთ, გამყოფი ხევის პირას იდგა საცხვარე, რომელსაც **ქვედა საცხვარეს** ეძახდნენ, რადგან დიდი საცხვარე იყო ზევით და ზედა იყო, ოღონდ მას უბრალოდ საცხვარეს ეტყოდნენ. დოლის დროს მშრალი ცხვარი (ყორი, თოხლი) ჩაჰყავდათ ქვედა საცხვარეში, სადაც ეტეოდა 500 სულამდე.

ქვედა ჭალა – იხ. სოფლის ჭალა, საფლავის ყანები.

ქიტოს ყანა/ქიტოყანა, – ყანა. ნერაკუნტაში ქიტოს (ქრისტეფორე დათაშვილის) ყანა.

ქიტოყანა – იხ. ქიტოს ყანა.

ქოხის ბალები, – **ბალები**. ვარგავის ბალებში გზის ქვეშ თუთებში იდგა მთავარი საყარაულო ქოხი. ქოხის უკან ორი დიდი თუთაა, ხოლო წინ საუკუნოვანი თუთის ხეებია. აქ მოწეული თუთით იხდებოდა თუთუის არაყი.

ყიშლა, – საძოვარი. იყოფა ორ ნაწილად: *სოფლის ყიშლა* და *კოლხოზის ყიშლა*. სოფლის ყიშლა წერაკუნტის ნასოფლარიდან ნიოსრების ჩათვლით (ნიობარი – ნასოფლარი) სოფლის ყიშლაში შედის. გადმოდის *ცხრანყაროს მხარეზე* თოკის საზღვრამდე. *ყიშლის თავიდან*, *საცხერებიდან*, აღმოსავლეთით ჩაედინება *პატარა ხევი*, რომელიც სოფლისა და კოლხოზის ყიშლების გამყოფია. ამ ხევს უერთდება *კუნლის ხევი* მარცხნიდან, რომელიც *ბოსტნების გვერდის* ავლით ჩადის *კლდბალების* დასაწყისში და უერთდება გზის შემდეგ *ჯავახეთის მტკვარს* მარჯვენა ნაპირიდან. ყიშლა ქვიანი, კარკლიანი, ფერდობი ადგილია, სადაც ბევრია გრაკლის ბუჩქები. ძირითადად ზამთრის საძოვარია, ზაფხულში საქონელი ყიშლაში არ გაჩერდება, რომ ჩარეკო ზევით გამოიშვას.

ყიშლის თავები – იხ. წერაკუნტა.

ყიშლის თავი – იხ. ვარგავის გზა, კაჟანა, ყიშლა, წერაკუნტა.

ყიშლის თავის ლარები – იხ. წერაკუნტის ყანები.

ყიშლიწყარო – იხ. ტირიფის წყარო.

ყიშლის წყარო – იხ. ტირიფის წყარო.

ყორიანები, – ყანები. ყორიანები იყოფა ორ ნაწილად: *დიდი ყორიანები* და *პატარა ყორიანები*, რომელიც მდებარეობს *ზედა გზასა* და *ქვედა გზას* შორის. აქ, სოფლიდან დასავლეთით კალოს გაგრძელებაზე, ძირითადად ყანებია. ყანების გარდა ბოსტნის უკან არის პატარა გოხი, რომელსაც *პატარა ყორიანის გოხი* ჰქვია. ქვედა გზის ქვემოთ, *ტბის ყანების ზღვრამდე*, რომელსაც *დიდი ზღვარიც* ჰქვია და *ხერთვისულების ყანამდე* ადგილი არის *დიდი ყორიანი*. დიდი ყორიანის უმეტესი ნაწილი გოხნარია, ამიტომ მას *დიდი ყორიანის გოხებსაც* ეტყვიან. დიდი ყორიანის გოხი იძლევა შთაბეჭდილებას, რომ ყოფილა პატარ-პატარა ყანები. ეტყობა ნაყანები ადგილი, რომელიც კოლექტივმა გააგოხა, აღარ მოხნეს. ამ გოხებზე არის რამდენიმე ყორე. ვარგაველები ყორეს ეძახიან ქვის გროვას, კარკალს, რომელიც შეიძლება იყოს ბუნებრივიც და ხელოვნურიც, ოღონდ არის, თითქოს ერთგვარი დიფერენციაცია, რომ *კარკალი* ძირითადად ბუნებრივია და დიდი, ხოლო *ყორე* მოკარკლული, ხელოვნური, ყანიდან შეგროვილი ქვა. ყორიანში შეიძლება *ჭორტი* დაესვათ. *ჭორტი* არის ქვის ნიშანი. სადაც *ჭორტი* დაისმებოდა, თუ ყანა არ იყო, გოხებზე და საძოვარზე ნახირი არ უნდა გაერეკეთ. ეს იყო *ჭორტის ფუნქცია*. ყანებს შორის და ყანის გვერდზე დასმული ნიშანი კრძალავდა ყანაში შესვლას, ან ტერიტორიაზე შესვლას და მას *ყორული* ჰქვია, ადგილი არის დაყორულებული. არის გადმოცემა, რომ ვარგავის გარშემო შეიძლია სოფელი არსებობდა. ყორიანების ადგილს *შვიდსოფლასაც* ეძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რა-



იმე ნასახლარი, გარდა ნასაყდრალისა, არაფერი ჩანს. სოფელთა/სახელებს არ მიუთითებენ.

პატარა ყორიანის გოხი – იხ. ყორიანები

ყორიანის ყანები, – ყანები. ყორიანის ყანები იყოფოდა ორ ნაწილად: **ზედა ყორიანის ყანები** და **ქვედა ყორიანის ყანები**. **ზედა ყორიანი** არის **პატარა ყორიანი** (იხ.) და **ქვედა ყორიანი** არის **დიდი ყორიანი** (იხ). ყორიანებში არის შემდეგი ყანები: **დანას ყანა** (ალექსანდრე დათაშვილი), **გრიშას ყანა**, **პატას ყანა/პუხეტას ყანა** (პაეულე შეშაბერიძე), **თოხლის ყანა**, **შოთას ყანა** (შოთა ლაზარაშვილი) და სხვა...

შვიდრევანტა – იხ. ვარგავის ბალები, საფუტკრე.

შვიდრევანტის არხი, – ნაარხალი. ვარგავის ბალებში **ადებიდან**, სადაც ტოტი გადმოდის დღესაც, მოდიოდა სარწყავი არხი, რომელიც გამოივლიდა **კლდბაღის** ძირში, შემდეგ **დურსუნას ბაღს**, საიდანაც **მონყვეტილ ბაღბამდე** გადმოდიოდა რკინის მილით, გაივლიდა **ზედა ბაღს** და **მუსა ბაღის** თავში კვეთდა გზას, ჩადიოდა **მუსა ბაღში**, გაივლიდა მას, **ხიზაბავრის ბაღს** მთლიანად და გადადიოდა **შვიდრევანტის ძირში**. შვიდრევანტისა ერქვა არხს იმიტომ, რომ ბოლო სარწყავი ამ ნასოფლარის ტერიტორიები იყო. მას მხოლოდ არხს უწოდებენ, განსხვავებით რუსგან, რომელიც სოფელზე გადის ვარგავში.

შვიდრევანტის ბალები – იხ. ვარგავის ბალები.

შვიდრევანტის გზა, – გზა. ტირიფის წყაროდან მარჯვენა მხარეზე გადადიოდა ბილიკი, რომელსაც შვიდრევანტის გზა ერქვა. ეს გზა დღესაც არის. გზა გადიოდა განზე. ყიშლის განზე გავლა იოლია, ისე ჩადიხარ, ვერ გრძნობ (შდრ. ერკოტის **განი გზა**). გზა ჩადის ნასოფლარ შვიდრევანტაში.

შვიდრევანტის ძირი – იხ. შვიდრევანტის არხი.

შვიდსოფლა – იხ. ყორიანები.

შოთას ყანა – იხ. ყორიანის ყანები.

შუა ბაღი, – ბაღი **ვარგავის ბაღებში** **ჭალის მიღმა** და გზას შორის ფერდობსა და ბაღს ჰქვია **შუა ბაღი**, რადგან მის ზევით არის **ზედა ბაღი** და **ჭალის ბაღი** იგულისხმება ქვედა ბაღად.

შუაგოხები – იხ. გაღმასერი, გოხები.

შუაზღვარი – იხ. ნერაკუნტის ყანები.

შუშანაჭალა, – **ჭალა**. **ჭალა** მდებარეობს გაღმასერის დასავლეთით და პატრასერის ჩრდილოეთით. ნახევარჰექტრამდე **ჭალაა**. დღეს საძოვარია. ეკუთვნოდა შუშანა თამაზაშვილს, ქმარი ადრე გარდაეცვალა. რადგან ქმარი არ ჰყავდა და თვითონ პატრონობდა, მისი სახელით მოიხსენიება. ამ **ჭალის** აღმოსავლეთით ჩამოდიოდა **პატარა რუ**, დღეს ნარუალია. გაზაფხულობით და წვიმების

დროს ყოველთვის მოდის წყალი.

ჩაკლაკას ყანა, - ყანა. გაღმა სერის ყანა. მეტსახელი იყო.

ჩალოს ყანა, - ყანა. სათიხის ძირში ჩალოს სახლის გასწვრივ არის ჩალოსავე ყანა.

ჩამხობილა - იხ. წერაკუნტა.

ჩამხობილას წყარო - იხ. წერაკუნტა.

ჩამხობილის თავი - იხ. წერაკუნტის ყანები.

ციხე - იხ. წერაკუნტა.

ცხრანყარო, - წყარო. ცხრანყაროს **ცხრანყაროს წყაროსაც** ეძახიან. იგი ყოფს თოკისა და ვარგავის ყიშლებს (**თოკის ყიშლა, ვარგავის ყიშლა**), გამოდის **ქარაფის ქვეშ, შუაყიშლის** ზევით. პატარა პატარა წყარო 5-6 ადგილში გამოდის და იმიტომ ეძახიან **ცხრანყაროს**. ეტყობა წყარო ერთია, მაგრამ გამოსავალი აქვს ბევრი. იქვე 100-150 მეტრში იკარგება **კარკლებში**. ყიშლაც ისეთია ცხრანყაროს ქვევით, რომ მიწა იხვევს წყალს. ცხრანყაროზე ხარობს დიფა (თელახარში//თელეხარში). სოფელი ძირითადად დიფას უწოდებს. დიფისგან იდება წლის პირველი მწნილი.

ცხრანყაროს მხარე - იხ. ყიშლა.

ცხრანყაროს წყარო - იხ. ცხრანყარო.

ცხრანყაროს ხევი - იხ. ადები.

ძველი გზა, - გზა. საცხვრებიდან ზევით სოფლამდე არის **ძველი გზა**, რომელსაც **ურმის გზასაც** ეძახდნენ, ისიც წერაკუნტაზე ადიოდა და შემდეგ შედიოდა სოფელში.

ძველი ნიოხრები, - იხ. წერაკუნტა.

ძველი საფლავეები - იხ. ნასაფლარები.

წერაკუნტა, - ნასოფლარი, ყანები. ამ სახელით ცნობილია ნასოფლარი და მის გარშემო ტერიტორიები. ეს არის **ყიშლის თავზე** ტაფობი ადგილი **ბერთვისული ყანიდან** ჩამავალი **თოკის გზის** დასავლეთით, ვიდრე **ქარაფის პირამდე**. ჩრდილოეთით ესაზღვრება საროს ტერიტორია - **ჩამხობილა, ჩამხობილას წყარო**, დასავლეთით - ნანილობრივ **კაჟანის გორა//კაჟანის მთა**. წერაკუნტას შუაზე ჰყოფს **შვიდრევანტიდან** მომავალი **ვარგავის გზა**, რომელიც მიდის სოფელში. წერაკუნტიდან სამხრეთით არის საძოვარი, რომელსაც **ყიშლის თავები** ჰქვია. ქვიანი ადგილია ქარაფის პირზე. ნასოფლარი წერაკუნტა მდებარეობს **ყიშლის თავზე**. ქარაფის პირას, **საძალე კლდიდან** აღმოსავლეთით პატარა კაჟანამდე. არის ტიპური ჯავახური ნასოფლარი, რომელიც კანიონის თავზე, სტრატეგიულ ადგილზეა გაშენებული. ეტყობა, რომ დიდი სოფელი ყოფილა. ნასოფლარში არის შემორჩენილი ამოშენებული ორმო, რომელსაც აფარია გახვრეტილი ქვა. ორმოს გვერდიდან აქვს მიდგმული პატარა ნაგებობა, რომელსაც კავშირი

აქვს ორმოს მუცელთან. კლდის ძირას, *ქარაფის კლდის ძირში* ეტყობა ნასახლარი, ხოლო თავზე შემორჩენილია ნაცისარი, რომელსაც *ციხეს* ეძახიან. ნასოფლარი ძალიან ადრეა დაცლილი. იქ ცხოვრება არავის ახსოვს, განსხვავებით *შვიდრევანტისაგან*. ნასოფლარში არაერთხელ ამოუთხრიათ თიხის დიდი და წვრილი მილები. დიდი მილებით შედიოდა, ეტყობა, წყალი სოფელში და შემდეგ წვრილი მილებით იყოფოდა უბნების მიხედვით. იტყვიან, რომ წყალი მოჰყავდათ *ზამთრის წყაროდან* და *სულოს წყაროდან*. ეს წყაროები საროს ტერიტორიაზეა *ოღისებში*. შეიძლება სოფელი უწყლობის გამო დაცარიელდა. *ტირის წყარო/ყიშლის წყარო* უახლოესი წყარო წერაკუნტისაგან კილომეტრით არის დაშორებული, ოღონდ ის დაღმართზე, ქვევით არის. იქიდან წყლის ზიდვა ადვილი არ იქნებოდა სოფლისათვის. წერაკუნტის ძირში არის ადგილები, რომლებიც კენჭებისაგანაც კი გასუფთავებულია ქვების გარშემო, ეტყობა ითიბებოდა. წერაკუნტას ძველ *ნოხრებსაც* ეძახდნენ. რობერტ შეშაბერიძის (დაბად. 1939 წ. ისტორიკოსი) მიხედვით წერაკუნტის ნასახლარები მიმართულია და გარკვეულად დაკავშირებულია ციხესთან. ყველა ნასახლარს გასასვლელი აქვს ციხისკენ. მისივე აზრით ერთ-ერთი სათავე წყლისა უნდა ყოფილიყო *თეთრი წყაროები* გამოედის ხოლმე გაზაფხულობით. ადრე, რადგან ტყე იყო, წყალი მეტი იქნებოდა. *თეთრი წყაროები* მდებარეობს საროს ტერიტორიაზე ვარგავის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ-ზე. სახელი წყაროს ფერის მიხედვით ჰქვია. *ზამთრის წყაროდან* და *სულოს წყაროდან* წერაკუნტაში სასმელი წყლის მომდინარეობის ნინაღმდეგია რ. შეშაბერიძე. თეთრ წყაროებთან ახლოს არის აგრეთვე *ხელიკის წყარო*.

წერაკუნტის ბოლო – იხ. კაჭანა.

წერაკუნტის დიდი ყანა – იხ. წერაკუნტის ყანები.

წერაკუნტის ყანები, – ყანები. ნასოფლარის გარშემო ტერიტორიები დანაწილებული აქვს სოფლებს. ვარგაველები წერაკუნტის ყანების დიდ ნაწილს *საროს ყანებს* უძახიან, იტყვიან *საროს წერაკუნტის ყანებსაც*. ამ ყანების გარშემო, *ჩაშხოზილას თავზე* და *კაჭანის* აღმოსავლეთ ფერდში გაშენებულია ფიჭვნარი, რომელიც დაირგო მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში. *ვარგავის წერაკუნტის ყანები*, რომელიც 25 ჰექტარი იქნება, იყოფა ორ ნაწილად: *წერაკუნტის დიდი ყანა* და *ლარები*, რომელსაც *ყიშლისთავის ლარებადაც* მოიხსენიებენ. *წერაკუნტის დიდი ყანის* შუაში არის დიდი გოხი, რომელსაც *შუაზღვარი* ჰქვია. ის არის ყანებს შორისი ადგილი, არ იხვენება.

წერაკუნტის ნოხრები – იხ. კოლხოზის ყიშლა.

წყარო, – **წყარო**. **ჭალის ბალის** თავში, **ვინრო ბალის** ქვეშ გამოდის წყალი მდინარიდან 50-60 მეტრში. ეს წყარო თუ ბალების მორწყვა დაგვიანდებოდა, დაშრობამდე მიდიოდა. შეიდრევეანტაში სხვა წყარო არ არის. ეს წყაროც ისევ მიწის შრეებში გამოვლილი მტკვრის წყალია.

წყაროს ყანები, – **ყანები**. წყაროს ყანებში მოიაზრება დაახლოებით 5 ჰექტარი ფართობის ყანები, რომელთაც თავთავისი სახელები აქვთ. **პატარა სერის** უკან ერთი დიდი ყანაა და ორი **ლარი** (**გრძელი ყანა**) **პიოს ჭალის** ქვემოთ. მათ ჰქვიათ: **პატარასერის უკანა ყანა**//**დიდი ყანა** და **პიოსჭალის ყანები**. აქვე იყო **იესიას ყანა** (შეშაბერიძე), რომელიც **შუშანაჭალის** დასავლეთითაა. **ბრმაბიჭის ყანა**, **შუშანაჭალის** აღმოსავლეთით მდებარეობს.

ჭალების თავი, – **ჭალა**. სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გაღმავანებსა და სოფლის წყაროს შორის ადგილს ეტყვიან ასე.

ჭალის ბალი, **ბალი** – ვარგავის ბალებში **მუსას ბალიდან** გზის ქვემოთ მდინარესთან ახლოს არის ვინრო ბალი, რომელსაც **ჭალის ბალი** ჰქვია. იხ. წყარო.

ჭობარეთის ტყე – იხ. რუ.

ჭობარულას წყალი – იხ. რუ.

ჭონიენთ ჭალები – იხ. ზედა ჭალა.

ხევის პირი – იხ. ბოსტნები.

ხერთვისის ჰესის სათავე – იხ. ვარგავის ბალები.

ხერთვისულები – **ყანა**. **ნასაყდრალთან** გამავალი გზის ქვემოთ **სატყეოს ზოლამდე**, ადგილამდე, რომელსაც **სკოლა** ეწოდება, არის ერთი დიდი ყანა. მისი ფართობი დაახლოებით 30 ჰექტარი იქნება. აღმოსავლეთით ესაზღვრება **ყორიანის ყანები**, დასავლეთით – **წერაკუნტა** და **ჰამაილები**. შეიძლება ეს ყანა ხერთვისისა იყო თავის დროზე. კომუნისტების დროს ამბობდნენ: „ხერთვისის ბატონს 10-დან ერთი მიჰქონდა, კომუნისტები ათიდან ერთს გვაძლევდნენ, ისევ ისინი სჯობდნენ. ეტყობა, ხერთვისს ჰქონდა საბატონო ვარგავში (შალვა შეშაბერიძე)“. ეს მიწა ეკუთვნოდა ბატონს, რომელიც ხერთვისში ცხოვრობდა. მისი გვარი იყო ხოჯევეანიშვილი. მიწას იჯარით აძლევდა ვარგავის მოსახლეობას, მიჰქონდა მეოცედი. ბზეს საერთოდ უტოვებდა გლეხს. მოსავლის იმ ნაწილს, რომელიც მას ეკუთვნოდა, ინახავდა ვარგავში. გაზაფხულით ხვნა-თესვის დანყების დროს ბატონი ეტყოდა მოსახლეობას, ვის აკლდა სათესლე და აძლევდა უსასყიდლოდ, ვისაც არ ჰქონდა. ასეთია გადმოცემა ხერთვისულების შესახებ (რობერტ შეშაბერიძე, დამ. 1939წ. ისტორიკოსი).

ხერთვისის საზღვარი – იხ. კოლხოზის ყიშლა.

ხერთვისული ყანა – იხ. სკოლა.

ხერთვისულების ყანა – იხ. ყორიანები.

ხელიკის წყარო – იხ. წერაკუნტა.

ხიზაბავრის ბალები – იხ. ვარგავეის ბალები, კოლხოზის ყიშლა.

ხიზაბავრის ტყეშლები – იხ. ვარგავეის ბალები.

ხიზაბავრის წერაკუნტა – იხ. კაჭანა.

ხიზაბავრის წვერი – იხ. რუ.

ჰამაილები, – ყანები. ეს ყანები არის **ნასაყდრალის** წინ, გზის ქვევიდან, **ხერთვისულების ყანის** გაგრძელება. დასაველეთით წერაკუნტაა და ჩრდილოეთით – ნასაყდრალი. ჰამაილებში ჰქონდა ყანა სიმონ შეშაბერიძეს, რომელსაც **ჰამაილების სიმონას ყანა** ჰქვია. ეს ადგილი გზის პირზევეა. პატრონის ნათქვამია : „**მინა მოხან ნაგზაური, პური მოვა აზნაური**“. კარგი მოსავალი იცოდა ამ ყანამ.

ჰამაილების სიმონას ყანა – იხ. ჰამაილები.

სოფელ ქობარეთის სახელი უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოში. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩანერგილი მასალა რამდენჯერმე გადამოწმდა. ცალკეულ სოფელთა ტოპონიმური ლექსიკონები საჭიროა და აუცილებელი, ვიდრე მესხეთის ტოპონიმთა საერთო ლექსიკონი გამოვა. ამ გზით შესაძლებელია, კიდევ ერთხელ შემოწმდეს თითოეული სახელი, მოხდეს ზუსტი ლოკალიზაცია. (იხ. აგრეთვე, ბერიძე, 2010: 120-134)

ავაზანიტავი, – საძოვარი. სოფლის აღმოსავლეთით, გოხებიდან ზევით, ჩრდილოეთით, ზველის საზღვარზე, **ზველის სირონებზე, ბალის ავაზნების** ჩრდილოეთით მდებარე საძოვარი. ავაზანიტავი ჰქვია, რადგან ბალის ავაზნების ზევითაა, თავზეა.

ავაზნები, – წყარო – ასპინძის რ. სოფ. ქობარეთი. „ქობარეთის წყაროები არის ოთხი. სამი ქვისა და ერთი ხისა. ავაზნებიდან ორილა დარჩა ქვისა (თითო ოთხიანია). ორი დაამცვრიეს, სამშენებლოდ წაიღეს. პირველ ავაზანს **თულუნჯიენთ ავაზანს** ეძახდნენ (თულუნჯიენი ხმალაძეები იყვნენ, რომლებიც თულებს, გუდასტვირს აკეთებდნენ, მერე მჭედლები იყვნენ, მათი გაკეთებულია, ამიტომ ჰქვია თულუნჯიენით). მათ **თულუნჯიენთ ავაზნებსაც** ეტყვიან, რადგან ოთხი ქვის ავაზანი დგას წინ, სოფლის ბოლოს, ზველის გზაზე, მარცხენა მხარეს. მეორეს **ხის ავაზანი (ავაზნები)** ერქვა, ის მდებარეობს თულუნჯიენთ ავაზნების ზევიდან. ამ წყაროსთან ახლოს დასახლება არ არის. მას საქონლის დასაწყურვებლად იყენებენ. სახელი მასალის გამო შეერქვა. ხე რომ ლპებოდა, ცვლიდნენ ხოლმე. მესამეს ერქვა **დანგრეული ავაზნები**, სოფლის აღმოსავლეთით იყო უზარმაზარ ლოდებში ამოკვეთილი ოთხი ავაზანი. რადგან წყალი აღარ მოდიოდა, აქედან ამოთხარეს, წაიღეს ქვები მანგალას გაღმა და სახელიც დანგრეული იმიტომ უწოდეს. მეოთხე – **ბალის ავაზნები**. ვერანა ქობარეთის ბალები იყო, დღეს ახალი დასახლებაა, ავაზნები კი ძველია და სახელი იქიდან მოდის. ბალის ავაზნებს **ბალების ავაზანსაც** ეტყვიან, წყარო გამოდის სოფლის აღმოსავლეთით, ზველის საზღვართან ახლოს. ვერანა ქობარეთსა და მანგალას შორის არის **თომიენთ ბალები** (თომიენი ზედგინიძეები არიან), რომლის ჩრდილოეთით, მიმა ივანიძის სახლთან ახლოს არის ოთხი ქვის ავაზანი, **ბალის ავაზნები**, რომლის წყალიც უკეთესია დებეტით და სასმელადაც შემრგოა. ავაზანი არის ქვისაგან ან ხისაგან გაკეთე-

ბული ჭურჭელი, რომელიც წყაროსთან დგას. ძირითადად ავაზნები განკუთვნილი იყო საქონლის წყლის სასამელად, ზოგჯერ გიერთი სოფელი, სადაც მდინარე არ იყო, წყალკურთხევის დროსაც იყენებდნენ რიტუალისათვის. ჭობარეთის ავაზნებ გაკეთებული უნდა იყოს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, კომუნისტებამდე, ზოგი, შეიძლება, ბევრად უფრო ადრეც. მათ შეიძლება ჰქონდეთ საერთო სათავე, მაგრამ, რადგან ბალის ავაზნის წყალი ძალიან ცივია, განსხვავდება სხვებისაგან, გვაფიქრებინებს, რომ მას სხვა სათავე უნდა ჰქონდეს. ავაზანს წყაროსაც ეძახიან, რადგან ავაზანი არის წყაროს წინ დადგმული "ჭურჭელი".

ათოკორდი - იხ. ატოკორდი

აკოფას წყარო, - წყარო. საყვეარში, კამეჩიმკვლელის აღმოსავლეთით ფერდობია, ფერდობის ზემო ნაწილში, მის შუაგულში გამოდის წყარო, მუდმივი წყაროა, მიდის დასავლეთით და იკარგება მიწაში. აკოფა ზედგინიძე იყო ჭობარელი მწყემსი კაცი. ამ ადგილზე წყარო არასოდეს ყოფილა. აკოფა ზედგინიძემ ნახა ნესტიანი, მწვანე ბალახით დაფარული ადგილი, მწყემსის ჯოხით დაუნყო თხრა, დასველდა მიწა, გადმოვიდა წყალი და გააკეთა აკოფამ წყარო. ადგილობრივთა თქმით, კერძოობის დროს აქ წყარო არ იყო, უწყლობით ვიხოცებოდითო. ზედგინიძეთა ამ შტოს საგვარეულო სახლია თომიენი. ზედგინიძეებში კიდევ იყვნენ ბარაგანიენი და ქუმელიენი (ზეთის გამოხდელეები ყოფილან. ზეთს წნეხავდნენ და გამოდიოდა ქუმელი).

ალექსანდრეყანა - ყანა. მდებარეობს ქვეშა ჭანჭახში. სახელი შეერქვა ალექსანდრე ინასარიძის გამო. „ადრე ყოფილა ყანები, შემდეგ იქცა ჭალად, დღეს საძოვარია, ჭალაც აღარ არის. ტყითავე ვუძახით, არი ტყითავილეუც. ტყითავილელის სამხრეთით არის ალექსანდრეყანა“.

ალექსანდრეს ყანა, - ყანა. ზედა საბადურში, სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით, დღესაც ყანებია. ესეც ალექსანდრე ინასარიძის სახელთან არის დაკავშირებული. მასაც შეიძლება დაუძახონ ალექსანდრეყანა.

ალიას ჭალა II შალიკოს ჭალა - ჭალა. ალია მაჰმადიანი იყო და იმის ჭალას ეძახდნენ, დღეს ტყის მცველი შალიკო გვირგვინი თიბავს და იმიტომ დაერქვა მეორე სახელი. „ალი ბიძას თივის სათიბი“- ასეც იხსენებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ალიბიძას თივის სათიბი - იხ. ალიას ჭალა.

ამალღება, იხ. სატიკნე. ჭობარეთის ჩრდილოეთით არის „ქვიჯვარი“. აღდგომიდან მეორმოცე დღეს ადის ჭობარეთის მოსახლეობა,



სამხთოს კლავენ, წითელი კვერცხიც აქვთ შეღებილი”.

ანდრუშაყანა II კადოს ყანა – ყანა. "ჭობარეთის ლელე რომ ჩამოდის, იმ ხევეგალმა, გზა გადის ტალახაურის დაბლა, რომელსაც ქვიშის გზასაც ეძახიან, რადგან ქვიშას ვილებდით აქედან. ეს გზა ზედ ანდრუშაყანის პირზე გადის სამხრეთიდან. ანდრუშა მას-კალსკია, მამა ანდრუშას პოლონელი ჰყავდა, დედა ქართველი. ანდრო ერქვა, მოფერებით ანდრუშას ეძახდნენ. ეს ყანა არის სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით." კადო ზედმეტი სახელია ყანის პატრონისა.

არაბაშვილები – იხ. არაბაშვილების მინდორი

არაბაშვილების მინდორი II არაბაშვილები – ტყე. ატოკორდის მოსაზღვრეა სამხრეთიდან. აღმოსავლეთიდან ნინოწყაროების ლელე (II ნინოწყაროების ხევი) ესაზღვრება. იქნება 20 ჰექტარი. ხარობს შერეული ფოთლოვანი ტყე. არაბაშვილების სამხრეთის ფერდობს არაბაშვილის აღმართი ჰქვია. აქვე იყო არაბაშვილების ყანები, რომელიც გატყვევებულია. ე. ი. იყო ყანა, საძოვარი, ტყე. ჭობარეთის ტყის ეს პატარა მონაკვეთი არაბაშვილებს ეკოთვნოდათ სოფლის აღმოსავლეთით. დღეს ეს გვარი სამხრეთ საქართველოში არ ცხოვრობს.

არაბაშვილების ყანები – იხ. არაბაშვილების მინდორი.

არაბაშვილის აღმართი – იხ. არაბაშვილების მინდორი.

აროსები II შაროსები – სათიბი. ეს სიტყვა ორი ვარიანტით იხმარება – ჰეთი და ჰაეს გარეშე. შაროსები ორ ადგილზეა. ორივე სათიბებია. ერთი სოფლის თავზეა, დაქანებული ადგილია. ტყის პირი. ერთიც არის საყვეარში, აღმოსავლეთით. დავახასიათებთ თითოეულს ცალ-ცალკე: 1. ზედა ჭანჭახის სამხრეთით უტყეო, სათიბი ადგილია, იქნება 60 ჰექტარზე მეტი. აროსების ნაწილია, სამხრეთით, ოსმანას ქალა, იქნება 20 ჰექტარამდე. ქალაში გამოდის წყარო და ჭაობნარი ადგილია, ვაკეა მოსწორებული. ოსმანას წყარო ამ ჭაობის ცენტრშია, იქვე ჭაობდება და იკარგება. წყაროს წყალს სვამენ, მაგრამ მხოლოდ გაჭირვების დროს, ისე უგემური წყალია. აროსებს ზევიდან არის გუბიები. გუბე დგება ორ-სამ ადგილს. თუ ნელინადი გვალვიანი არ არის, გუბიებში წყალი დგას, თუ გვალვიანია, ძალიან ცოტა წყალი რჩება.

2. მეორე აროსები არის საყვეარში, ნეფიწყაროს ჩრდილოეთით. აროსების აღმოსავლეთ ნაწილში არის ნასახლარები, რომელსაც აროსების ნასახლარი ჰქვია. დასავლეთ ნაწილში არის ნაეკლესიარი. შემორჩენილია საძირკველი და სალოცავი ქვა. ნაწილი ეკლესიისა ჩავარდა თეთრანწყაროს ლელეში, სადაც ალბათ "გალამა, რა ქნა, აღარ ჩანს". ეს არის აროსების ეკლე-

სია, საკურთხეველის ქვით. **პაროსების ყანები** დღეს გაკორდებულია, სათიბი და ტყეა, ეკლესიაშიც მუხებია ამოსული. ასევე გაკორდებულია ნასოფლარი. **პაროსი** არის გაკორდებული ყანა, ყამირი ადგილი.

აროსების ეკლესია – ნასოფლარი. შდრ ეკლესია პაროსებში (საყვეარ-ში).

აროსების ნასახლარი – იხ. აროსები.

არყები – ტყე. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით. არყები შუაზე ჰყოფს **ზედა და ქვეშა ჭანჭახებს**. ამის მიხედვით არის ქვეშა **არყები და ზედა არყები**. ხარობს არყი.

არყია – ტყე. იხ. ტყითავე. არყია არის ზველისა და ჭობარეთის საზღვარზე, ტყითავეის დასაწყისი აღმოსავლეთით. ტყე არის ჭობარეთის მხარეს, ზველის მხარეს კი საძოვარი. ამ სახელს უფრო ზველელები ეძახიან. სახელი ტყის გამო შეერქვა. დღეს ძირითადი ნაწილი ფიჭვნარია, არყი ნაკლებია, პატარა ადგილზეა, "ამიტომაც ჰქვია არყია".

არყინყარო – **წყარო** – საყვეარში დიდი არყის ძირზე გამოდის ცივი წყარო, სათავეს იღებს ადგილზე და **კალმახს** უერთდება **წისქვილებთან** (დღეს ნანისქვილარია). წყაროს გვერდით, დასავლეთით უზარმაზარი ლოდებისაგან აშენებული ნაგებობა.

არწივიკლდე – **კლდე**. კლდის გარშემო არის ტყიანი ფერდობები, რომელსაც **მზიგული** ჰქვია. ტყის გარდა არის სათიბები. კლდე მაღალია, შეიძლება არწივი ბუდობდა, ამიტომ შეერქვა სახელი. არწივი კლდეს სამხრეთიდან ესაზღვრება **ლუკას ქალა**. **ჭანჭახების** სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება **მოსამართლის (ყადის) მკვლელი** (ქალა და წყარო). სამხრეთიდან ესაზღვრება **საურშია ღელის მარჯვენა ნაპირი**, ტყიანი ფერდობი. მაჰმადიანებმა თარგმნეს სახელი და არწივიკლდეს **ყართალყაიას** უწოდებდნენ.

არწივიკლდის მზიგული – სათიბი. სოფლის სამხრეთით, ქვეშა ჭანჭახის ბოლო. იქვეა **გაბოს სათიბი**.

ატოკორდები – იხ. ნინოწყაროყანა

ატოკორდი II ათოკორდი – სათიბი. **ჭობარეთის ტყეში**, სოფლისა და **ნინოწყაროების** სამხრეთით, **საბატონოს ძირამდე** გაყამირებული ადგილია. **გ. ივანიძისა და ტ. ივანიძის მტკიცებით** ათოკორდი არ არსებობდა, ეძახდნენ ატოკორდს მხოლოდ, მაგრამ მე ასეც მაქვს ჩანერილი 1979 წელს, ამიტომ **ზოგი ვარიანტით**, ამ ადგილის **პატრონს** ერქვა ათო და იმიტომ დაერქვა სახელი. არის ცდუნება ატოკორდის პირველი ნაწილის ატოლთან დაკავშირებისა, მაგრამ ატოლი ბოლომარცვალმოკვეცილი, თუნდაც კომპოზიტში, არ გვხვდება. ატოც, ალბათ, რომელიმე სა-

ხელის შემოკლებული ვარიანტია.

ატოკორდის ლელე II ატოკორდის ხევი - ხევი. სათავეს ლებულობს შალიკოს ქალიდან (იგივე ალიას ქალიდან), გაივლის მუხინყაროს, შემდეგ - ატოკორდს, ჩამოვა ნინონყაროზე, ჩამოვა ღერძალელზე, ხევიყანებში და უერთდება სოფლილელეს (მანგალის ლელეს) მარცხნიდან.

ატოკორდის ხევი - იხ. ატოკორდის ლელე.

აქეთა ბალები II აქეთბალები - ბალი. მაჭიხეთში საურმიას ლელე და ბუზიყლაპა რომ უერთდება სოფლის ხევს, მარჯვენა მხარეს არის აქეთა ბალები, რადგან სოფლის მხარეა. ნყალწმინდის მხარეს არის იქითა ბალები. აქეთა ბალებში არის შემდეგი ბალები: ვაჟას ბალი (ივანიძე), პეტუშას ბალი II პეტრეს ბალი (ჯვარიძე), ვენახების ბალი, პეტუშას ბალის დასავლეთით. კოლექტივის დროს დაირგო ვენახი და იმიტომ ეწოდა სახელი. ვენახმა არ გაამართლა, მაგრამ სახელი დარჩა და ბარაგანიენტ ბალები (ზედგინიძე).

აქეთბალი - იხ. აქეთა ბალი.

აქლემის სადგომი, - ნასოფლარი. ამ სახელით ქობარეთში ორი ადგილია ნასოფლარი თუ ნასახლარი, ერთი არის მაჭიხეთში, ხოლო მეორე საყვეარში, სადაც იგი მდებარეობს ნაგუთნების ქვეშ პაროსებიდან ჩრდილოეთით ასი მეტრით დაბლა. ნაგუთნებს ნაგუთნიც ჰქვია. მის ტერიტორიაზე დღესაც ხარობს გარეული ჭვავი, არის ჭალა, სათიბი. სწორედ ამ ნაგუთნის მიწდერის დასავლეთით არის პატარა გორაკი, აქლემის სადგომი, ნასახლარებით. გადმოცემით აქ საქარავნო გზა გადიოდა და აქლემებს ასვენებდნენ ხოლმე.

ასევე გორაკზე, მაჭიხეთში, იქითა და აქეთა ბალების ჩრდილოეთით არის ნასახლარები, რომელსაც ჰქვია აქლემის სადგომი. მის ძირზეა ნანისქვილარი - ნისქვილები. ეს ნისქვილები ბოლომდე მუშაობდა, მენისქვილე იყო შავო ინასარიძე.

აღმადალმიები II ჩახყრჩუხური - ჩავარდნილი, დანგრეული ადგილი. ზოგი ვარიანტით აღმადალმიებს ჰქვია ჩახყრჩუხური. დედოფლების და გაქვავებული ქორწილის ადგილებს ჰქვია ჩახყრჩუხური ხოლო ჩუხური არის ნასოფლარი სოფლის დასავლეთით, სადაც ქობარეთის წყალი უერთდება ბუზიყლაპიას და ნყალწმინდას. ჩუხური ჩავარდნილი დამტვრეული ადგილია, ასეთივე ან სანინაალმდეგო თვისებისა არის ჩახყრი. აღმადალმიები მდებარეობს საყვეარში, ნაგუთნის ჩრდილოეთით. აღმადალმიებს კალმახის ლელე ჩაუდის ჩრდილოეთით. ამ ადგილზე ლელე ღრმა და კლდოვანია. დასავლეთით ესაზღვრება ნყალწმინდა

და ტყიანი ფერდობი. წყალმინდასთან ახლოს არის **შაქრის ქალა II შაქირას ქალა**. აღმადღმები ალმოსავლეთიდან ესაზღვრება **დამპალგუბე**, იგივე **გუბიქალა**, ქაობიანი, უსწორმასწორო ადგილი, სათიბი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად – **ქვეშა გუბიქალა** და **ზედა გუბიქალა**. აღმადღმები 15 ჰექტრამდე იქნება. იგი არის სერი, ფერდობი, რომელიც დატალღულია და სახელსაც იმიტომ ეძახიან

აღმართი, იხ. აღმართიგზიები, ნახირიგზა

აღმართიგზიები II აღმართი, – **გზა**, ნასოფლარი. სოფლის სამხრეთით ტყისაკენ მიმავალი გზა, რომელიც მიდის **გოგოროშვილის ქალაზე** ("ჩვენ გოგოროშვილ ვუძახით"). გზა მიდის ზევით, სადაც 300 მეტრის დამორებით, როგორც უნაგირი, ისეთი ადგილია. აქ არის ნასახლარები. აღმართიგზიების ერთ ნაწილს **ნახირი გზა** ჰქვია.

ახალი ნაჩეხი – მინდორი. ტყე იყო, გაჩეხეს, მინდვრად აქციეს. ინფორმატორის ცნობით: „მეც კი მახსოვს, რო ჩეხდნენ“. არის **ძველი ნაჩეხი** მოპირდაპირე მხარეს, სოფლის სამხრეთით. ეს იყო ჭობარეთისა და ხეოთის საზღვარზე. ახალსა და ძველ ნაჩეხებს შორის გადის **მთის II თის გზა**. გაჩეხილიდან ნამოვიდა ახალი ტყე, გაუვალი, ძირითადად ფოთლოვანი შერეული ტყე: ვერხვი, თხილნარი, აქა-იქ მუხაც არის. მუხას ისე არ ჩეხავენ და ვერხვი ისევე გაიჩეხა სანვაგად. ძირითადად ასპინძლებს მიაქვთ აქედან შეშა, რადგან იოლი მისასვლელია. „**ჭობარეთის ტყეში** არის ტყის ორი მონაკვეთი. ერთს ჰქვია **ძველი ნაჩეხი**, მეორეს **ახალი ნაჩეხი**. ტყე, ერთი ადრე გაუჩეხიათ, მერე მოშენებულა, ახალი ნაჩეხი – ცოტა მოგვიანებით.“

ახორტყე – იხ. დადემიგზიები.

ბაგრატაყანა – **ყანა**. პატრონის სახელი შეერქვა ყანას.

ბადალიენტ სათიბი, იხ. ბადალიენტ ქალა.

ბადალიენტ ქალა II ბადალიენტ სათიბი – სათიბი ჰაროსებში. ბადალიენი არიან ჯვარიძეები. ჯვარიძეები არიან, აგრეთვე, მარკოზიენი და პანჭიკიენი.

ბადალიენტ ყანა – **ყანა**. ბადალიენტ **ბადალიენტ უბნის** ჩრდილოეთით აქვთ ყანა **ბაირთავებიდან** **ჭიმურიებამდე**. ითვისება ქერი, ხორბალი, კარტოფილი.

ბადალიენტ უბანი – **უბანი**. ძველი სოფლის ცენტრში იყო უბანი, სადაც ბადალიენი (ჯვარიძეები) ცხოვრობდნენ აქ იყო არჩილ და მიხა ჯვარიძეების სახლები (მინურები).

ბაირთავეები – **ყანები**

ბაირთავეები – იხ. ბადალიენტ ყანა.

ბაირის თავი – **საძოვარი**. სოფლის ჩრდილოეთით თეთრმინანიადაგიანი

ადგილია სოფელშივე. აქვს ძირი და თავი. ბაირ — თურქ. /
თეთრი მინა.

ბაირიძირი — ნიადაგი. თეთრნიადაგიანი მინაა, დიატომიტის.ძირში გა-
დის გზა სოფ. ზველისაკენ.

ბაკი — ტყე, მუხნარი. მდებარეობს მუხინყაროსა და თეთრმინებს შუა.
„სადგომი ყოფილა, ზოგი ამბობს, აქლემისათვის ღამე უთენე-
ბიათო. ჩემ დროს ცხენებ რეკემდნენ, ხარს, მერე მოანგრიეს
კედელი, დარჩა სახლი.“ პირუტყვის საზაფხულო სადგო-
მი.სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ბაკი არს ზღუდე
ხვასტაგათათვის, რასაგანაც მოვლებული იყოს (ორბელიანი,
1965:296). ძველ ქართულში ბაკი არის: „ეზო“, საჩხი.
„ალაშშნა ბაკი, რამცა შეკრიბო ცხოვარნი თვსნი (აბულაძე,
1973:28).სულხან-საბას მიერ მოყვანილი განმარტებით ბაკი
ხვასტაგისთვის არის განკუთვნილი ე. ი. საქონლისათვის. „სე-
რაპიონ ზარშმელის ცხოვრებაში“ ბერები ეკითხებიან ადგი-
ლობრივ მკვიდრს იას: „საყუარელო ია, რაა ენოდების ადგილ-
სა ამას?“ ხოლო იგი ეტყოდა: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი
ნადირთა ველისათაა და ბაკთა ენოდების (ვაჩანაძე, 1975:163)“

IX საუკუნეში ბაკთა ადგილის სახელია.მოყვანილი განმარტე-
ბიდან და ამონაწერიდან ჩანს, რომ ბაკი კეთდება როგორც ში-
ნაური ისე გარეული ცხოველებისათვის. ერთ შემთხვევაში მათ
დასაცავად, ხოლო გარეულ ცხოველებზე — სანადიროდ. ქარ-
თული სახელი ბაკი შეცვალა თურქულმა სახელმა ხალხამმა.
ხალხამი ბევრგან გვხვდება ადგილის სახელად. მისი 2 განმარ-
ტება ასეთი: 1. დროებით შემოვლებული შემოფარგლული ად-
გილი ზაფხულობით საქონლის სადგომად. 2. მხოლოდ კედ-
ლებშემორჩენილი, დანგრეული სახლი, რომელიც შეიძლება
საქონლის სადგომად გამოიყენო (მარტიროსოვი, 1984.:252)“
სამცხე-ჯავახეთში ბაკი უკვე აღარ გვხვდება ძველი მნიშვნე-
ლობით. იგი მხოლოდ ტოპონიმია შემოგვინახა.

ბარაგანიენტ ბალები — იხ. აქეთა ბალები.

ბარაგანიენტ ყანები — ყანები, ზედგინიძეების საგვარეულო სახლებია:
ბარაგანიენი და თომიენი. ბარაგანა კაცის ზედმეტი სახელია.

ბარაგანიენტ წყარო — იხ. ბარაგანიენტ ჭალა.

ბარაგანიენტ ჭალა — საძოვარი. მდებარეობს ტყითავეჭალასთან სოფ-
ლის აღმოსავლეთით. ტყითავის სამხრეთი ნაწილია ბუზიყლა-
პის ლელის სათავესთან მარჯვენა მხარეს. შიგ წყაროც არის,
ბარაგანიენტ წყაროს ეძახიან, გამოდის გაზაფხულზე და წვი-
მის დროს, გვალვაზე შრება. ბარაგანიენი არიან ზედგინიძე-
ბი.

ბატონის აღმართი - აღმართი. „სანამ ზველის გზაზე გახვალ, მეღმარ-
ცხნივ არის გორაკი, აღმართი, გზაც გადის ზედ, თუთრნი და გი-
ნი მინაა (დიატომიტი). მის ძირში იყო მასკალსკების სახლი“.

ბალები - ბალები. სოფლის აღმოსავლეთით არის გამეჩხერებული ბაღი,
რომელსაც ბახჩებსაც ეძახიან. აქ გამოდის **ბახჩინყარო**.

ბალების ავაზანი - იხ. ავაზნები

ბალის ავაზნები - იხ. ავაზნები

ბახჩალიები - იხ. ბახჩის წყარო.

ბახჩის წყარო II ბახჩინყარო - წყარო. წყარო მდებარეობს სოფლის აღ-
მოსავლეთით, ზველის საზღვართან, გზის ქვეშ. ადრე ვერანა
ჭობარეთისა იყო. ამ წყლით სარგებლობდა ვერანა ჭობარეთი.
ხევში ბალებია, ამიტომ **ბალების (ბახჩის) წყარო** ჰქვია მიშა ივა-
ნიძის სახლის გვერდითვე. ამ წყაროს **ბაღჩალიებსაც** უწოდებ-
დნენ. აქაური წყალი ძალიან ცივი და მარგებელიაო, - ამბობენ
მთქმელები. როცა ეს წყალი გამოდიოდა, მაშინ ამ ადგილზე
ბალები იყო. დღეს აღარც წყაროა და აღარც ბაღი.

ბახჩინყაროს ყანები, - ყანები

ბექოჭალა II ბექოს ჭალა - ჭალა, ბექო კაცის ზედმეტი სახელია.

ბექოს ჭალა, - იხ. ბექოჭალა და ყურყურას წყარო.

ბოზვიენტ ჭალა, - სათიბი, ჭალა. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთ-
ით, ჰაროსების დასავლეთით, ტყითავესა და ჭანჭახს ზევით.
ბოზვიენი ხეთელი, მაჰმადიანი ქართველები იყვნენ. კაცს ერ-
ქვა სახელი ბოზო. **მოლიენტაც** უწოდებდნენ, სანახირი გზის
გვერდით სახლობდნენ. სოფლის სამხრეთით. ასევე იყო სო-
ფელში მაჰმადიანთა ოჯახი, რომელსაც **ჭიანურიენტ** ეძახ-
დნენ.

ბოზვიენტ ჭალიტყე - ტყე

ბოსტანა. იხ. ბოსტანიები

ბოსტანიები II ბოსტანა II რუსიენტ ფაგები II რუსი ფაგები, - ნასოფლარი.
სოფლიდან ჩრდილოეთით ბაირითავის ჩაგრძელება ვაკე ადგი-
ლი იყო **სატიკნის** ძირამდე. ადრე ბოსტნები ყოფილა. დამშრა-
ლი წყალიც ეტყობა, ნასოფლარიც უნდა ყოფილიყო. გადმო-
ცემით რუსებს უნდა ეცხოვრათ აქ. უფრო სწორი იქნება თუ
„რუსიენტ“ ფორმას მივიჩნევთ ამოსავლად. **რუსიენნი** ერთ-
ერთი მეტგვარი იყო ზველში. „დღესაც ემჩნევა, რომ ოდეს-
ღაც აქ წყალი ყოფილა და მოსახლეობას ბოსტნებიც ჰქონია“-
გვიმტკიცებენ ინფორმატორები.

ბოჭკვიენტ სათიბი, - სათიბი. ბოჭკვიენტ გვირჯიშვილებს ეძახიან.

ბოჭკვიენტ აღმადალიები - ყანები. არაბაშვილებსა და თავჯვრის შუა
მდებარე ყანები.

ბოჭკვიენტ უბანი, - უბანი. უბანში გვირჯიშვილები (ბოჭკვიენი) ცხოვ-

რობენ. ბოჭკვიენტ შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ისინი გაამაჰმადიანეს ხეოთში, დიდი ხნის განმავლობაში ჩუმად, მაღალულად ინახავდნენ მათლმადიდებლობას და როგორც კი საშუალება მიეცათ, კვლავ მოინათლნენ ქრისტიანებად „ბოჭკვაში“ ჩასახმული წყლით, „ამიტომაც ეძახიან ბოჭკვიენტ (გ. ივანიძე)“.

ბოჭკვიენტ ჭალა, – ჭალა.

ბოჭკვიენტ ყანები, – ყანები

ბრმა ხევი, – იხ. დიდვაკის ლელე

ბრუდე გზეები, იხ. მრუდე გზეები

ბრუდე ყანები, – ყანები. მესხურ დიალექტში ზედსართავი „მრუდე“ გამოთქმის როგორც „ბრუდე“. ყანების უსწორმასწორო ფორმის გამოა შერქმეული ეს სახელი.

ბუზიყლაპა – იხ. ბუზიყლაპაი, აქეთა ბაღები.

ბუზიყლაპაი || **ბუზიყლაპია** || **ბუზიყლაპიას ლელე** || **ბუზიყლაპინყალი ბუზიყლაპა** – მდინარე. ტყისთავის ზევით გაკორდებული მიწებიდან იღებს სათავეს, სოფლის სამხრეთით. „ბუზიყლაპაი იმიტომ ჰქვია, რომ ამ მდინარის მიდამოებში ბევრი ბუზი იცის, საქონელს ძოვის საშუალებას არ აძლევს. ზველის ადგილებიდან სასოფლოს ეძახიან, მგონი, გაივლის ტყითავისა და ჭნავადის მთის შუაში, შემდეგ – მზიგულში, ტყითავიდან დასავლეთით, ჩადის ბექოჭალაში და უერთდება საურმიას ლელეს მარჯვენა ნაპირიდან. საურმია უერთდება მარცხნიდან, მდინარეს ისევ ბუზიყლაპია ჰქვია, გაივლის ხეოთს, მერე მაჭიხეთს და უერთდება ჭობარეთის წყალს მარცხნიდან (ჭობარეთის წყალი უერთდება მარჯვნიდან), ჩადის წყალწმინდაში და ფულასთან უერთდება ურავლის წყალს.“

ბუზიყლაპია, – იხ. ბუზიყლაპაი

ბუზიყლაპიას ლელე – იხ. ბუზიყლაპაი და ტყითავი

ბუზიყლაპის მზიგული, – ტყე

ბუზიყლაპინყალი, – იხ. ბუზიყლაპაი და საურმიახევი

ბულბულაანთ უბანი, – უბანი. ბულბულას მოსე ჯვარიძეს ეძახდნენ.

ბულბულიენტ ყანები, – ყანები

ბუჯოშავოს ყანა, იხ. ბუჯოს ყანა.

ბუჯოს ყანა || **ბუჯოშავოს ყანა**, – ყანა. ბუჯო ზედგნიძე იყო. შავოს მეტსახელად ეძახდნენ.

ბურმაღელე || **ქორდარა** || **უნყლო ლელე**, – ხევი. სათავეს იღებს ლოროსის ბოლოდან, მალარობთან უერთდება წითელწყალს მარჯვენა მხრიდან. ქორდარა თარგმანია ბრმაღელისა.

გაბოშიჩანაგი, – იხ. გაბოს სათიბი და არწივის კლდის მზიგული.

გაბოს სათიბი || **გაბოშიჩანაგი**, – სათიბი. ბიჩანაგი თარგმანია ქართული



სათიბისა.

გამოღმა მაჭიხეთი, – ბალები, ნასოფლარი. მდებარეობს მუსხისა და ქობულაძის ბარეთის საზღვარზე.

გამოღმა კორდები, – ყანები

გაურგვინეი – საძოვარი. მაჰმადიანები ქრისტიანებს გააურებს ეძახდნენ. ქრისტიანული სოფლების საქონლის საძოვრებს, რომელიც მზისგულზე იყო მოქცეული, ეწოდებოდათ გაურგვინეი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავდა გააურის (ქრისტიანის, ქართველის) მზვარეს, მზისგულს. მესხეთის ტოპონიმიაშ შემოგვინახა სამეურნეო – გეოგრაფიული ტერმინი მზვარე, როგორც ეს დაადასტურა ს.ჯიქიამ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. მზვარე აქ ადმინისტრაციულ ტერმინადაა ქცეული. მზვარე, როგორც ტერმინი, აღარ შემოგვრჩა, სამაგიეროდ გვაქვს მისი სინონიმი „მზიგული“ არაერთი ადგილის სახელად მესხეთში როგორც ცალკე, ისე კომპოზიტის შემადგენლობაში. ქართველთა გამუსლიმანების შემდეგ მესხეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მომრავლდა ქართულ ტოპონიმთა თარგმნა და კალკირება, „გვინეიმ“ შეცვალა „მზვარე“ და „მზიგული“. ეს თურქული სიტყვა მესხურ დიალექტში არ შემოგვრჩა, შემოგვინახა ტოპონიმიაშ.

გაქვავებული ქორნილი, – იხ. დედოფლები

გალმა კორდები, – ყანები

გახვრეტილი ქვა, – იხ. დადემიგზიები, „ლოდია ცალი მხრიდან გახვრეტილი, გულამოღებული“.

გვეზიები, – იხ. თვლები.

გვეზიების ფაგები, – ნასოფლარი

გველიანი, – იხ. გველისჭალა

გველისჭალა II გველიანი, – ჭალა. მდებარეობს საყვეარში. ნითელი გველი იცის, რის გამოც შეერქვა სახელი.

გზისპირის ნყარო, – იხ. ქვემა ჭანჭახი.

გლიკლდე, – იხ. მგლის კლდე.

გლის კლდე, – იხ. მგლის კლდე, კლდე

გოგორიშვილის ჭალა, – საყანეები, სათიბი. მართალია გოგორიშვილი – ასეთი გვარი დღეს სამხრეთ საქართველოში აღარ არის, მაგრამ ისტორიულად დასტურდება. „მესხური დავითნის მატიანეში“ არაერთი გოგორიშვილია მოხსენიებული, კერძოდ: **გოგორიშვილი ბეჟან** (შარაშიძე, 1961:55) **გოგორიშვილი როინ** (შარაშიძე, 1961:47) და მისი ძმა **ბერი ერუშნელი**; **გოგორიშვილი ზურაბ** (შარაშიძე, 1961:169). ჭობარეთში აღარ ახსოვთ ასეთი გვარი, მაგრამ ტოპონიმიაშ შემოგვინახა იგი. ერთი ინფორმაციით არის გოგორიშვილი იხ. **აღმართი.**

გოგორიშვილიჭალის მზიგული, – საძოვარი, ქალა. ხეოთისა და ქობარეთის ტყის საზღვარზე არის ეს ქალა.. გოგორიშვილიჭალა ხეოთისაა მზიგული – ქობარეთისა.

გომარელი II გომარლები II გომარლის დასახლება II გომარლების უბანი –ნასოფლარი, ყანები. სოფლის სამხრეთით, კვრიანი ხევის მარცხენა ნაპირზე არის ნასოფლარი და მის გარშემო ყანები. ნყორძაში არის აგრეთვე **გომარეთი**, მთა, მოვაკებული ადგილი.

გომარეთი, – იხ. გომარელი

გომარლები – იხ. გომარელი

გომარლის დასახლება, – იხ. გომარელი.

გომარლების უბანი, – იხ. გომარელი.

გორა, ნასოფლარი.

გორგიას ფიჭვნარი, – ტყე. მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით არაბაშვილების მინდორსა და ნინოწყაროს შუა..„გორგია ინასარიძე, იგივე გიორგი ინასარიძე, რომელიც 1894 წელს რომ ეკლესია აშენდა, ამ საქმეს ედგა სათავეში, სოფლის თავკაცი იყო. ეკლესიის შესასვლელში მისი „ბიუსტი“ დგას. პირადად უკეთებია კედელი ყველაზე დიდი ქვებით ეკლესიის სამხრეთი, სოფლის მხარეს.“

გორის ძირები II გორიძირები, – სახნაე-სათესი

გორიძირები, – იხ. გორის ძირები.

გოხები II გოხიანები, – გორაკი. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, ზველის საზღვარზე, **ვერანასთან** ახლოს. „ქვიან ადგილს გოხიანებს ეძახიან.“გოხები მთელ სიგრძეზე გასდევს. ამოდის ბაზალტის ქვა. კომუნისტების დროს ქვის საჭრელი იყო, სოფელს კარგი შემოსავალი ჰქონდა. ამ ბაზალტით შენდებოდა ზველის, ქობარეთის, **ვერანის** ეკლესიები. აქვე ამოდიოდა ობოლი მარმარილო, არა მასიურად. აქვე გოხების მიჯნაზე ამოდის **მანგალას წყალი**, რომელიც, თუ გაათბობ, ქარებისაგან სამკურნალოა. სამცხესა და ჯავახეთში გოხი არის „მწირი, მაღლობი ადგილი (მარტიროსოვი, 1984:228).“ გოხებისათვის დამახასიათებელია ქვიანი ადგილი. თუშურსა და ფშაურში არის დიდი ქვა, ლოდი (ლლონტი, 1984:160) ქართლში არის „გაუტყეხელი ურწყავი, მაღალი ადგილი, უბალახოა და მწირი (ლლონტი, 1984: 160).

გოხიანები, – იხ. გოხები

გრაკნალი, – საძოვარი, გრაკლი და ბრანი მცენარეთა სინონიმური სახელებია სამცხესა და ჯავახეთში.

გლიკლდე, – იხ. მგლის კლდე.

გუბეები, – იხ. გუბიები

გუბიები II გუბეები, – სათიბები. მდებარეობს ჰაროსებსა და ზედა მთას

შუა. ნვიმიან ნელინადს წყალი დგება და იმიტომ შვერქვა სა-
ხელი.

გუბიებიწყარო, – წყარო. მდებარეობს გუბიებში

გუბიჭალა, – ჭალა. გუბიჭალა იყოფა ორად – ზედა გუბიჭალა და ქვედა
გუბიჭალა II ქვეშა გუბიჭალა. ამ ადგილს დამპალგუბესაც ეტყვი-
ან.

გრძელსათიბი, – სათიბი. მდებარეობს საყვევარში, მთელ სიგრძეზე ქვე-
ბი ყრია, გრძელსათიბებთან ხარობს შავი მოცხარი.

გრძელჭალა, – იხ. დადეშიგ ზიები

დადათხელა, – ნასოფლარი. მდებარეობს ბუზიყლაპის (ასეა!) მზიგულ-
ში, ჩრდილოეთით

აქლემის იათალი, – ნასოფლარი. პატარა გორაკი ნაგუთნების ქვეშ

დადეშიგ ზა, – იხ. დედადეშიგ ზიები

დადეშიგ ზიები II დადეშიგ ზა, – გზა. „გზა მიდის ჭობარეთიდან ძველიდა-
დეშამდე. მიუხედავად იმისა, რომ გაივლის ერკოტას, მაინც
დადეშიგ ზიები პქვია, ამიტომ ზოგი ისეთი სახელი მოხვედბა
ამ ადგილებში, რომელიც სხვა სოფლისაა: ინყება თავრიყანი-
დან, გაივლის მოკრილყანას, გადავა ნინონყაროზე, გახვრე-
ტილქვას, ათოკორდას, მუსტიაჭაობს II მუსტიას ჭაობს, დი-
დალმართს, ძველ ნაჩეხს, პატარა იაილლას, ტყითავს, ბარაგი-
ენტ ჭალას, ჭანჭახებს, ქვეშა ჭანჭახს, დველმიენტ ჭალას, ზედა
ჭანჭახებს, ცივწყაროს (დავითა წყაროს) ნაბადქვას, ოსმანჭა-
ლას, გუბიებს, ერბუანყაროს, ზედა ცხრანყაროს მთას, ყურყუ-
რას, ირმირქას, ობოლოკლდეს, ობოლწყაროს, თუშიათალი-
სერს, ჯინჭრობს, ნშინდა წყალს, დადეშიგ ზიყანებს, მონათლუ-
ლებს, ჩარდალიას, გრძელჭალას, ყანისხევს, სხალნარას II სხა-
ლანი, ახორტყეს, ჩადის ძველდადეშს.

დადეშიგ ზიყანები, – იხ. დადეშიგ ზიები

დავითანყარო, – წყარო. გამოდის ზედა ჭანჭახებში

დავითანყარო, – იხ. დადეშიგ ზიები

დავითანყაროს ჭალა, – ჭალა. მდებარეობს დავითანყაროსთან

დამპალგუბე, – საყანეები, ნასახლარები. იხ. გუბიჭალა, აღმადაღმიები.

დამპალწყარო, – იხ. ქუბელანყარო

დარანეთი, – ხევი

დანკიპულპანტები, – ყანები, პანტები. პანტები რიგზე არის ჩამწყრივე-
ბული.

დედოფლები, – გამოფიტული კლდე. საყვევარში მდინარე წყალწმინდას
მარცხენა მხარეს არის მაღალი, გამოფიტული კლდეები, რო-
მელთაც სხვადასხვა ფორმა აქვთ და ამსგვასებენ დედოფლი-
ებს. აქვეა მდინარის მარცხენა მხარეს, ნასოფლარ მაიკეთის
დაბლა, მის ჩრდილოეთით და საყვევრის დასავლეთით, ზედ

წყლის პირას ადგილი, რომელსაც გაქვავებულ ქორწინლს ეძახიან. მასშივეა სამალავები, მიუვალი ადგილია და გამოქარული კლდე იძლევა მრავალი ლეგენდის შექმნის საფუძველს. სახელდების მოტივაცია არის ზღაპრულ-მითოლოგიური.

დველმიენტ ჭალა II დვენმიენტ ჭალა, - იხ. დადემიგზიები. «დველმიენტ ეძახდნენ სოფ. ჭობარეთში მცხოვრებ დვერიშოვებს. მათი წინაპრები ქართველი მუსლიმანები ყოფილან. «ერთ-ერთი ამ სახლის შვილი ვინმე გიორგი (პირვანდელი გვარი არ ახსოვთ) ჭობარეთში გადმოსულა და ხმალაძეების ქალი მოსწონებია, ქალის მშობლებს უარი უთქვამთ იმის გამო, რომ ის რწმენით მუსულმანი იყო. გიორგის გვარი შეუცვლია, ისევ ქრისტიანად მონათლულა და შეურთავს ხმალაძის ქალი».

დვენმიენტ ჭალის აღმართი, - აღმართი. მდებარეობს ქვეშა ჭანჭახში.

დვენმიენტ ყანა. მდებარეობს ქვეშა ჭანჭახში. დვენმი (თურქ.) - დაბრუნებული. დვენმიენნი იყვნენ დაბრუნებული ჭობარეთში, აქვე დაუბრუნდნენ ისინი სარწმუნოებას.

დიდალმართი, - გზა. დადემიგზიების ერთი მონაკვეთი, რომელიც წინონყარვიების აღმოსავლეთითაა და ადის მუსტიაჭალაში. აქ იწყება დიდალმართი, ადის ტყითავე, არყიას დასავლეთით. ძალინ მძიმე აღმართია, სადაც საურმე გზა ადიოდა. ასეთ ადგილებში ძირითადად დადიოდა საცურაო ურმები, დიდი ურმები, რომელთაც წინ რქებივით მალლა აშვერილი ნაწილი ჰქონდათ, ამიტომაც მათ რქები ერქვა. ეს რქები მთლიანი ხისაგან იყო გამოთლილი. მოგლეჯდნენ ძირიანად ნაძვს და დაამუშავებდნენ. ეს ფესვები ბუნებრივად ებმოდა მარხილივით ძირს. ამ ურემს უკანა ბორბლები (თვლები) ჰქონდა და განკუთვნილი იყო დიდალმართებისათვის, რადგან იგი თან ცურავდა და თან უკანა თვლებით მოძრაობდა. დაშვებისას ცურავდა, მოძრაობა ნელდებოდა.

დიდვაკე, - საძოვარი, ყანები. სოფლის ჩრდილოეთით გადის სამანქანო გზა სატიკნის ქვემოდან და მიდის დიდვაკეზე, სადაც იყო თედიენტ (ივანიძეები) ყანები. კარგი ნოყიერი მიწაა, მაგრამ მაღალია. «დიდვაკეზე ჩხუბობდნენ მუსხელები და ჭობარლები. მუსხელების მხარეს არის ჩრდილის ტყე, რომელიც ზველამდე გადიოდა (იტყოდნენ, ჩრდილში მოვდივარო), ეძახდნენ ზედა ტყესაც. როცა ავიდნენ ყანის მოსახნავად იობ ივანიძე და მისი ძმიშვილ ერასტი, დახვდნენ მუსხელები, რომ ადგილი ჩვენიაო. ძმისშვილი პატარა იყო. მუსხელებმა იობი დაჭრეს. ძმიშვილი გამოიქცა სოფელში და სოფელს შეატყობინა. ავიდნენ სოფლები და წამოიყვანეს კაცი. ამოიყვანეს ქირურგი ახალციხიდან. გასინჯა და ხელი არ მოჰკიდა, მკვდარიო. ორფოლი-

დან გამოიყვანეს ქართველი მაჰმადიანი ხალხური მკურნალი, რომელმაც გადაარჩინა იობი. მომსწრენი ამბობენ, თავს რომ იპარსავდა, თითები ჩადიოდა ნახანჯლარშიო. კოლექტივის შემდეგ ივანიძეებმა დაირჩინეს დიდვაკე, წინაპარს სისხელი აქვს დაღვრილიო. კარგი სელი მოდიოდა. სელს მაღალი, გრილი ადგილი უყვარს. წყალთბილაში იყო ზეთის სახდელი”.

დიდვაკის ლელე, – ლელე. დიდვაკის ძირიდან ჩადის დიდვაკის ლელე, რომელიც მაჭიხეთთან უერთდება ჭობარეთის წყალს, ამ მონაკვეთს ბრმა ხევს უწოდებენ, რადგან მოფარებული, დაბურული ადგილია.

დიდვაკის ძირი, – იხ. დიდვაკის ლელე

დიდვაკიჰყანა, – ყანა

დიდი გუბე, – სათიბი. მდებარეობს გუბიებში

დიდი ყუშლა, – საძოვარი

დოდოფლები II მოლაქვა, – ქვასვეტი. იხ. აგრეთვე კალმახიხვეი. მდებარეობს მუსხისა და ჭობარეთის საზღვარზე. მაჰმადიანები მოლაქვას უწოდებდნენ, მართლმადიდებლები – დოდოფლებს. გარეგნული ფაქტორით არის მოტივირებული სახელდება. დოდოფალი მესხურ დიალექტში დედოფალია. მრავლობითი რიცხვი ქვის გარშემო ფართობების სიმრავლეს გულისხმობს.

დუნდუკოს ყანა II დუნდუკოყანა II მოლლიენთყანა–ყანა. ინასარიძე ბესოს მეტსახელად ერქვა დუნდუკო. მას ხეოთელ მოლლიენთან უყიდა ყანა და ორივე სახელი შერჩა.

დუნდუკოყანა, – იხ. დუნდუკოს ყანა.

ედუსაყანა, – ყანა. პატრონს სიღო ერქვა.

ეთოს ყანა, – ყანა. ეთო მოფერებითი სახელია ექვთიმესი.

ეიბას წყარო, – წყარო. ვინმე ეიბას გაუკეთებია ქანჭახის თავზე. ეიბა მოფერებითი ფორმაა ელიზბარისა.

ეკლესიის ზედა უბანი, – უბანი. ცხოვრობენ გვირგვინილები.

ეკლესიის ქვედა უბანი, – უბანი. ცხოვრობენ ზედგინიძეები.

ერბონწყალი II ერბუნანწყარო, – წყარო. გამოდის ერბონწყლის ქალაში.

ერბონწყლის ქალა, – სათიბი. მდებარეობს გუბიებში. ცალკეა ადგილის სახელად ერბონწყალი, რომელიც ამავე ქალაშია..

ერბუნანწყარო, – იხ. ერბონწყალი და დადუმიგზიები..

ემშაკიფაგები II შაითანფაგები, – ნასოფლარი. წყლის სათავეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს ქიტოშვილებს უწოდებენ, ქიტოშვილების ქვეშ მდებარეობს ნასოფლარი. მესხეთში გვაქვს ემშაკთან დაკავშირებული ტოპონიმები, მაგალითად, ემშაკთუბანი სოფლის სახელი იყო მე-16 საუკუნეში პეტრეს ლივამი (ბორჯომის ხეობა) (ხ. ჯიქია), იმავე მიდამოებში მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი ემშაკთუბნის ხევს. ემშაკთუბანი ერქვა უბ-

ნებს ხერთვისსა და დანკალში. ეშმაკიფაგები კომპოზიტური სახელია, რომლის მეორე ნაწილი თურქული სიტყვაა და ნასახლარს ნიშნავს. იგი შემოვიდა დიალექტში. ა. მარტიროსოვი „ქართული ენის ჯავახურ დიალექტში“ ფაგს ასე განმარტავს: „დანგრეული სახლი, რომელსაც კედლები აქვს შერჩენილი, – ნასახლარი“. თავიდან იყო ეშმაკინასახლი ან ნასახლარი, რომლის ნაწილობრივ თარგმანს წარმოადგენს ეშმაკიფაგები, ხოლო მთლიანს – შაითანფაგები.

ვარკანეთი, – ნასოფლარი, იხ. ყურყურა

ვაჟას ბალი – იხ. აქეთა ბალები.

ვახტანგას ბალი – იხ. იქითა ბალები.

ვახტანგას ბალის წყარო – იხ. იქითა ბალები.

ვახტანგას წყარო – იხ. იქითა წყარო.

ვერანა, – იხ. ძველი ჭობარეთი. ვერანა ნასოფლარს, გავერნებულ ადგილს ჰქვია. ვერანებით მოფენილია ისტორიული და დღევანდელი მესხეთი. ბევრი ვერანა აქვს აღრიცხული ნიკო ბერძენიშვილს „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიურში“.

ვერანაყანები, – იხ. ვერანიყანები.

ვენახის ბალი – იხ. აქეთა ბალები.

ვერანაჭობარეთი, – იხ. ძველი ჭობარეთი. ვერანა ჭობარეთს მხოლოდ ვერანას ეძახიან უკვე, ჭობარეთს აღარ ამბობენ. მდებარეობს ჭობარეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით თითქმის შუერთდა სოფელს. ამ ნასოფლარის სიცოცხლე არ ახსოვთ. მინის ზევით იყო სოფელი, ამიტომ ადვილად განადგურდა და მის ნაცვლად მინის ქვეშ, მინაში შეჭრილი მზიანეთი ანუ ჭობარეთი გაშენდა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ეწოდა ვერანა. ვერანაში, ეკლესიის ეზოში, კვირაცხოვლობას აღნიშნავენ სოფლელები. აქ, როგორც სატიკნეზე, ზველელებთან ერთად გადიოდნენ, იმართებოდა პურის ქამა, შეჯიბრი ჭიდაობაში და „ბულებსაც აჭიდებდნენ“, აქვე გადიოდნენ მარიამობის (მარიობის) დღესასწაულზე.

ვერანაჭობარეთის უბანი, – უბანი. ვერანაჭობარეთის ანუ ძველი ჭობარეთის მხარის დასახლებას უწოდებენ ასე.

ვერანის ეკლესია, – იხ. ძველი ჭობარეთი

ვერანაყანები, – იხ. ვერანიყანები

ვერანიყანები II ვერანაყანები – ყანები. მდინარე მანგალიხევის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ყანებს სოფლის სამხრეთ – აღმოსავლეთით უწოდებენ ასე, რადგან შუაში ძველი ჭობარეთის (ვერანის) ნასოფლარია და სახელიც აქედან მიიღო ადგილმა.

ზედა არყები, – იხ. არყები

ზედაგუბიჭალა II ზედაგუბიჭალა, – სათიბი, ჭალა. მდებარეობს საყე-

ვარში. იხ. გუბიჭალა.

ზედაგუბიჭალა, – იხ. ზედაგუბიჭალა.

ზედათორგიები, – ყანები

ზედათორგიები II ზედა თორგიების ყანები. – ყანები მდებარეობს ხეთისა და ქობარეთის საზღვარზე.

ზედათორგიების ყანები, – იხ. ზედა თორგიები.

ზედა კოკოლია, – იხ. კოკოლა და ქვეშა კოკოლა.

ზედამთა, – იხ. დადეშიგზიები.

ზედა მთა, – მთა, საძოვარი.. ზედა მთაში ზაფხულობით ადიოდა ხალხი.

მე-20 საუკუნის ბოლოს სოფლის ფერმა იყო. ქვედა მთა არის საყვეარში. მთაში წასვლა ნიშნავდა საზაფხულო საძოვრებზე წასვლას. მთა არის გეოგრაფიული ტერმინიც და მასში დევს სოციალური შინაარსიც. მთაში იგულისხმება საძოვრები, სათიბები, ჭალები,საქონლის სადგომები,ფერმები და ხალხი. რომელიც ამ ყველაფერს უვლის და პატრონობს.ქობარეთის მთათა მაგალითიდან ჩანს, რომ სოფელს შეიძლება ორი მთაც ჰქონოდა,რომლებზეც წლის სხვადასხვა დროს სრულდებოდა სამუშაოები. ეს ორი მთა სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობდა,ამიტომაც იყო გარჩეული ზედა და ქვედა მთა, რომელიმე მათგანს ცალკე სახელიც ჰქონდა ხოლმე,როგორც ეს ქვედა მთის შემთხვევაში მოხდა,ამის გამო ქვედა მთა იშვიათად იხმარებოდა ორიენტირად,ძირითადი ორიენტირი ამ შემთხვევაში საყვეარია,რასაც ვერ ვიტყვით **ზედა მთაზე**, რადგან მას პარალელური სახელი არ გააჩნია. ტერმინი მთა ზოგჯერ შეცვალა თურქულმა იაილლამ ან ეილამ,რომელიც იაილლის ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს.

ზედა კლდე, – კლდე

ზედა საბადური – იხ. ალექსანდრეყანა.

ზედა ტყე, – იხ. დიდვაკე

ზედა ჩუხური, – იხ. ჩუხურიები

ზედა წყარო, – წყარო

ზედა წყაროს უბანი, – უბანი. უბანში ძირითადად ჯვარიძეები ცხოვრობენ.

ზედა ჭანჭახები, – იხ. დადეში გზიები

ზედა ჭანჭახი, – იხ. დადეშიგზიები.

ზედა ჭიმურიები, – იხ. ჭიმურიები

ზედა ჯინჭრობი, – იხ. ჯინჭრობი

ზემო კაპანი, – იხ. კაპანიები.

ზეელის გზა, – გზა

ზეელის ზედა მთა, – იხ. ტყითაფი.

ზეელის სატიკნე, – იხ. ზოლი და სატიკნე.



ზეელის სირონები, - იხ. ავაზნითავი
ზოლი, - ხელოვნური ტყე. იწყება ზეელის სატიკნიდან და გადის თაროგვერდამდე, უფრო ზუსტად - მათიენთ ყანებში. საზღვარი ზეელსა და ჭობარეთს შორის..

თავებიყანები, - ყანები

თავიჯვარი, - იხ. თავეჯვრისპირა ყანები || თავეჯვარი

თავრიყანა || თავრის ყანა, - ყანა მანგალის ხევის მარცხენა ნაპირზე. „თავარი ყოფილა ზეელში. იმ გლავასგან უყიდიათ ჩვენებურებს. იმ თავარ პაპას გაუყიდია ეგ ადგილი. უყიდია ჯვარიძე მარკოზას. იმის მერე მარკოზიენთ ეძახიან.“

თავრის ყანა, - იხ. თავრიყანა

თავეჯვარი, - იხ. თავეჯვრისპირა ყანები.

თავეჯვრისგზა, - გზა

თავეჯვრისპირაყანები, - ყანები. მდებარეობს ხეოთსა და ჭობარეთს შორის. თავეჯვარი || თავიჯვარი ნასოფლარია ხეოთის ტერიტორიაზე.

თაროგვერდი, - იხ. ზოლი

თბილი წყარო, - წყარო. გამოდის კახოჭალასა და კალმახს შორის.

თედიენტ ნაფუძარი, - უბანი. სოფლის სკოლა დგას თედიენტ ნაფუძარში, შემდეგ გაშენდა მალაზია და ბოლოს რიტუალების სახელი. ადგილი ივანიძეებს კოლმეურნეობამ ჩამოართვა ომის წინა წლებში. გ. ივანიძის (დაბ. 1926წელს) მამა მუშაობდა მილიციაში, რის გამოც კოლმეურნეობაში შევიდა დაგვიანებით, 1939 წელს, ამიტომ მამული იქცა ნაფუძრად. თედიენი ივანიძეები არიან. მათ წინაპარს თედო || თევდორე ერქვა და ცხოვრობდა დადეშში. ჭობარეთში დადეშიდან, რომელიც დღეს ნასოფლარია, ჩამოსულა თედიენტ სიმონა.

თედიენტ ონისემეს ყანა, - იხ. თედიენტ ყანა. ონისიმე ივანიძე თედიენტ წარმომადგენელია.

თედიენტ პალეს ყანა, - იხ. პალეს ყანა.

თედიენტ რგვალი ყანა, - ყანა. ყანას აქვს მრგვალი ფორმა, მდებარეობს ტელევიზიის ანძასთან ჭობარეთში.

თედიენტ ყანა || თედიენტ ონისიმეს ყანა, იგულისხმება თედიენტ ონისიმეს, პავლეს, ერასტიას და ისიდორეს ყანები, რომლებიც გვერდიგვერდ იყო.

თედიენტ ყიშლა, - საძოვარი ჯინჭრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყალწმინდის მარჯვენა ნაპირზე.

თედორაგუბე, - იხ. თედორაყანა.

თედორაყანა || თედორაჭალა || თედორაგუბე - ყანა, გუბე. მდებარეობს ქვეშა ქანჭახში, გარშემო ყანაა, შუაში - გუბე. თედორა ჯვარიძის გამო შეერქვა სახელი.



თედორაჭალა, – იხ. თედორაყანა.

თეთრანყარო, – **წყარო**. გამოდის ბრუდე გზების ქვეშ, საყვერის მხარეს, იქვეა ნაციხარი, ნასოფლარი და საქონლის სარეკი, სადაც ნასოფლარი ეტყობა.

თეთრანყაროს ლელე, – იხ. აროსები.

თევზმზიგული, – **საძოვარი**. მდებარეობს სოფლის დასავლეთით. თევზო კაცის სახელია. დღის დიდ ნაწილში მზე ადგას ამიტომ მზიგული ჰქვია.

თვლები II გვეზიები, – **წყარო**. აქედან მოდის სოფლის წყალი, ნარჩენები უერთდება **კალმახინწყალს** საყვეარში. **თვლებისწყალი**, იგივე **გვეზიებისწყალი** უკვე **კალმახისწყალი** შუაზე ჰყოფს **ოჩანეთს**. გვეზიები თარგმანია თვლებისა. სულხან — საბა ორბელიანის მიხედვით „თვალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი.“ არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით გამოსული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წყაროს თვალი არის „ადგილი, სადაც წყაროს წყალი გამოდის“.

თივებიყანები II თივიყანები, – ყანები

თივიყანები, – იხ. თივიყანები.

თირები, – **ნიადაგი**. თეთრი ფერის მინაა.

თის გზა – იხ. მთის გზა.

თომიენთ ბალები, – იხ. ავაზნები

თომიენთ ყანა, – **ყანა**. თომიენნი ზედგინიძეები იყვნენ. სოფლიდან სამხრეთით, ქვიშიგზიდან სამხრეთით ჯერ **შაიყანაა**, შუაში მაღალი ზღვრებია და შემდეგ არის **თომიენთ ყანები**. შაია მაჰმადიანი ქართველი იყო. თომიენთ ღამე გაჰქონდათ ყანაში აკვნები, იქ არწევდნენ, რომ არ გასცდნენ ქალებიო.

თომიენთ ყანები – იხ. თომიენთ ყანა.

თორგიები, – **ყანები**. სოფლის სამხრეთით.

თულუნჯიენთ ავაზანი, – იხ. ავაზნები.

თულუნჯიენთ ავაზნები, – იხ. ავაზნები.

თუშიათალი II თუშისადგომი – **საძოვარი**, **სადგომი**. საყვეარში ადრე თუშები ჩამოდიოდნენ, ცხვარი მოჰყავდათ ზაფხულობით და მათგან დარჩა ეს სახელი.

თუშიათალის სერი – იხ. დადეშიგზიები.

თუშისადგომი, – იხ. თუშიათალი

იაილის ჭალა, – იხ. ყურყურას წყარო.

იაილიჭალიბოლო, – იხ. საურმიახვეი.

იაღმურიენთ ყანები, – **ყანები**. სოფლის სამხრეთით. იაღმურიენი მაჰმადიანები იყვნენ, სხვა გვარი არ ახსოვთ, აიღმურიენთ ეძახდნენ.

იობაყანა, – **ყანა**. იობა კაცის სახელია.

იოკატყე, – ტყე. იოკა კაცის სახელია. იოკა ლარიბი კაცი იყო, ტყიდან ფიჩხს ზურგით ეზიდებოდა. მას შემდეგ დაარქვეს იოკატყე. იოკა არის იოკიმეს მოფერებითი ფორმა.

ირმირქა, – მთა. ეს მთა საერთოა ერკოტის, ზველისა და ჭობარეთისათვის სოფ. ჭობარეთის სამხრეთით დაახ. 20 კმ. მანძილიდან გადმოჰყურებს სამი მთა, სამიდან ერთ-ერთს, ყველაზე მაღალ მწვერვალს ჰქვია ირმირქა. „ამ მთას ირმის რქის მოყვანილობა აქვს, აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. ამ მთაზე თოვლი ზამთარ-ზაფხულ არის“.

ირმის წყარო, – წყარო, ლელე. უერთდება კალმახიხევს.

ისლიგაჭალა, – სათიბი. საყვეარში ბუზმარეთელი ისლიგა გადმოდიოდა სათიბად, ისლიგა თარაქამა იყო. მის სათიბს ეწოდა ისლიგაჭალა.

იქითა ბალები – იხ. აქეთა ბალები. იქით ბალებში არის: შალიკოს ბალი, ვახტანგას ბალი (ივანიძე), ვახტანგას ბალის წყარო II ვახტანგას წყარო (დღეს ამ წყაროსთან წყალმინდაზე არის ოთარ გვირჯიშვილის საკალმახე) და სიმონას ბალი (ინასარიძე).

იქითმზიგული, – მინდორი

კადოს ყანა, – იხ. ანდრუშაყანა.

კალმახი – იხ. კალმახიხევი.

კალმახის ლელე – იხ. აღმადაღმიები.

კალმახიხევი II კალმახი, – მდინარე. სათავეს იღებს კოჩანეთში, ჩადის ნითელსევში დოდოფლებთან უერთდება ნითელწყაროს, კალმახიხევს უწოდებენ კალმახსაც. „სათევზაოდ მივალ კალმახში“.

კამეჩის მკვლელი, – მთა. ამ მთაზე, საყვეარში, ისეთი ბალახი იყო, კამეჩს ხოცავდა.

კაპნები, – ქვიანი ფერდი, მუსხსა და ჭობარეთს შორის საზღვარზე. დღეს კაპანი, გზა, აღარ არის, მაგრამ ფერდობებს ჰქვია ზემო კაპანი და ქვემო კაპანი. ინფორმატორისაგან მაქვს ჩანერილი: „კაპნებს თივის პატარა ზვინებს ეძახიან“; „მაჭახეთში კლდეზე მიმავალ გზას კაპნები ჰქვია“.

კარკალი, – საძოვრები. მდებარეობს ირმისრქის ჩრდილოეთით. საძოვარზე არის კარკალი, ქვაყრილები. ეს სახელი პროდუქტიულია მესხეთში. ბევრი სოფლისა თუ ნასოფლარის ტერიტორიაზე დიდი ან მცირე ქვანარის აღსანიშნავად (ბერიძე, 2008წ:127).

კარწინაროსები II კარწინაროსები, – სათიბები. სოფელთან ახლოს სამხრეთით მდებარე სათიბები.

კარწინაროსები, – იხ. კარწინაროსები.

კასრაძიყანა, – ყანა. მდებარეობს ვერანიყანებსა და დადუშიგზიებს შორის. გვარი კასრაძე დღეისათვის სამხრეთ საქართველოში

ალარ ცხოვრობს. **კასრადე** შეიძლება მოიხსენიონ **საზღვრული** გარეშეც, ოღონდ ამ დროს იგი არ აღიქმება როგორც **გვარი**, ის უკვე - ძე-ზე დაბოლოებული ადგილის სახელია.

კახოს ქალა II კახოქალა, - ქალა. ქალა მოქცეულია **კალმახიხე**სა და **გუბიქალას** შორის. კახო კაცის სახელია.

კახოქალა, - იხ. კახოს ქალა.

კერიანი ხევი - იხ. ლელე.

კლდეკარები - გზა. ასე ჰქვია **მრუდე გზების** ნაწილს. გაჭრილია მასიური, მთლიანი კლდე. გზა **გველიანის** შემდეგ ჩადის **ურაელის** მიმართულებით **წყალწმინდის** მარჯვენა ნაპირზე. ვიდრე სამანქანო გზა გაკეთდებოდა, კლდეკარი იყო ვიწრო. მე-20 საუკუნის 50- იან წლებში ჩამოჭრეს და გააფართოვეს გასასვლელი. ამ ადგილზე გზა გადადის მდინარის მარჯვენა ნაპირზე, შემდეგ - მარცხენაზე და ა. შ. დღეს ალარც ეს გზა ფუნქციონირებს, მხოლოდ ბილიკია. კლდეკარს მესხეთში ეძახიან კლდეში გაჭრილ გზას. ცნობილი კლდეკარია თმოგვიდან ვარძიისაკენ მიმავალ გზაზე, თმოგვის ციხის შემდეგ.

კოკოლა II კოკოლები II კოკოლიები, - კლდე, ქალები. კოკოლა და კოკოლები მდებარეობს **საყვეარსა** და **ლოროსს** შორის. **შაქროს ქალასთან** სოლივით კლდე დგას, მის გარშემო ყანებს კოკოლები ჰქვია. კოკოლა, არის კლდე, ხოლო კოკოლები - იგივე ზედა და ქვედა კოკოლა, საძოვრებია. კოკოლა ამ ადგილზე ერთი არ არის. მართალია კლდეა, მაგრამ რამდენიმე ადგილზეა ნამოზიდული კოკოლიები, აღმართულია კლდეები, ამიტომ უწოდებენ კოკოლიებს. ამგვარად, მრავლობითი რიცხვი აღნიშნავს როგორც ქალებისა და საძოვრების სიმრავლეს, ისე კოკოლების რიცხვსაც.

კოკოლები, - იხ. კოკოლა.

კოკოლიები, - იხ. კოკოლა.

კორდები, - ყანები. კორდი არის ნასვენი ყანა. ტყის ნაპირზეა, სოფლის სამხრეთით, აქ გადის **სანახირო გზა**, რომელიც **საყვეარში** მიდის. კორდებში არის ნასოფლარი, დარჩენილია ნასახლარები. აქვეა **აქლემის სადგომი.**

კოჩანეთი, - ნასოფლარი. საყვერის საყდრის და ირმირქის აღმოსავლეთით ირმირქის ფერდობზე.

კოჭლი ლევანას ყანა // ლევანაყანა, - ყანა. მდებარეობს ზედა თორგებში. ლევანა ზედგინიძემ გაჩეხა და გააკეთა სათესი, ამიტომ დაერქვა ლევანას ყანა.

ლარები - ყანები. სოფლის სამხრეთით პარალელური, ნაგრძელებული, სწორი ყანებია.

ლევანაყანა - იხ. კოჭლი ლევანას ყანა.



- ლეკოსანდრეს ყანა, – ყანა. სანდრე ზედგინიძეს ზედმეტ სახელად ლეკოს ეძახდნენ და მისი ყანა იყო.
- ლობიოყანა, – ყანა. ლობიო კარგი მოდიოდა. „ლობიოს თესავდნენ მცირემოსავლიან ნიადაგებში. რადგან ლობიო სათოხნია, თოხნისასა ყანა უმჯობესდებოდა. ამის შემდეგ კი შეეძლოთ სხვა რამის დათესვა“.
- ლოროსი II ლოროსიჭალა, – საძოვარი. ადრე ყანები იყო. მდებარეობს საყვეარსა და ჩანგძელას შუა.
- ლოროსის თავი, – მთა.
- ლოროსიჭალა, – იხ. ლოროსი
- ლუკას ჭალა II სალემნიშო II სატყეოჭალა, – ჭალა. მდებარეობს ჭანჭახებში. მუსხელ ოქრომელიძე ლუკას ჰქონია ჭალა. სატყეო სამსახურებს ჰქონდათ ჭალები სალემნიშო ანუ სატყეო. „ლემნიში“ როსულიდან შემოსული სიტყვაა და მტყევეს ნიშნავს.
- მაზმიენტ უბანი, – იხ. ქვეშა უბანი.
- მაზმიენტ ყანები, – ყანები. მაზმიენი ინასარიძეები იყვნენ. „მაზმანი“ – თოკის მგრეხავი (თურქ.)
- მაზმიენტ ჭალა, – იხ. ჰაროსები.
- მათიენტ ყანა, – იხ. ზოლი.
- მამაჭიხეთი, – იხ. მაჭიხეთი
- მანგალა II მანგალიები II მანგალახევი II მანგალის ხევი II მანგალის ყანა, მანგალის ლელე – ყანა, ხევი.
- მანგალახევი – იხ. მანგალა.
- მანგალის ლელე – იხ. მანგალა, ატოკორდის ლელე.
- მანგალის ყანა – იხ. მანგალა.
- მანგალის ხევი – იხ. მანგალა.
- ფიქრულის წყალი – მდინარე. სათავეს იღებ ფიქრულიდან (ზველისაა). ჩარდალადან მოდის ჩარდალის წყალი, მათი შეერთების შემდეგ გვაქვს მანგალას ხევი, რომელიც გრძელდება მაჭიხეთამდე სხვადასხვა სახელით: ქვაბიჭლილელე, ნარგიზას ლელე, ნითელკლდის ლელე. ლელეებს სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვა სახელი აქვს. მაჭიხეთამდე მაჭიხეთის წყალს უერთდება სოფლის ლელე. მანგალს მესხურ დიალექტში უწოდებენ ნამგალს ისევე, როგორც ძველ ქართულში, ამიტომ ადგილს ეს სახელი შეერქვა ფორმის გამო.
- მანგალას გზა, – გზა. სოფლიდან მანგალასკენ მიმავალი გზა.
- მანგალახევი, – იხ. მანგალა.
- მანგალიები, – იხ. მანგალა.
- მანგალის ყანა, – ყანა. მანგალიხევის მარჯვენა ნაპირი.
- მანგალის ხევი, – იხ. მანგალა.
- მარალიმთა – იხ. სატიკნე.

მარკოზიენთ უბანი, – უბანი. მარკოზიენი იყვნენ ჯვარიძეები.

მარკოზიენთ ყანა, – ყანა. ყანა მდებარეობს ქვეშა ჭანჭახში.

მარკოზიენთ ქალა, – იხ. ჰაროსები.

მაღაროები – გამოქვაბულები. მდებარეობს გაურგვინის ძირში.

მაცხოვრყაია, – კლდე, ნაეკლესიარი. სახელი კომპოზიტურია, რომლის პირველი ნაწილი არის მაცხოვრის შიმოკლებული ვარიანტი, „ყაია“ არის თურქული „კლდე“. ზველისა და ჭობარეთის საზღვარზე მთის ზოლში მოჩანს კლდე – მაცხოვრყაია. ამ კლდეს, როგორც მარტო მდგარ კლდეს, ეწოდება **ობოლი კლდეც**. როგორც ჩანს, ნაეკლესიარი მაცხოვრის სახელობისაა.

მარნანეთი, – ნასოფლარი. იხ. ყურყურა.

მაჭიხეთი, – ნასოფლარი ეკლესიით, მას **ზედა მაჭიხეთსაც** უწოდებენ. ნასოფლარი ეკლესიით მდებარეობს **მაჭიხეთის სერზე**, ვაკე ადგილია ორ მდინარეს შორის – **წყალმწინდასა** და **ბუზიყლაპიას** შორის. **ქვედა მაჭიხეთი** მდებარეობს ბუზიყლაპიას მარჯვენა მხარეს, **სოფლის შარაგზის** გაღმა. აქვეა ეკლესია. **ზედა მაჭიხეთში** ბოლოს უცხოვრიათ მუთრუფებს, რომელთა ნარმომავლობა არაეიან იცის. მუთრუფს, **სამცხეში** უწოდებდნენ ყველაზე ჩამორჩენილ, ჭუჭყიან ადამიანს. 44 წლამდე უცხოვრიათ მათ. მომთაბარეები ყოფილან.

ს. ჯიქიას აზრით სწორი ფორმაა **მამაჭიხეთი**. ასეა დაფიქსირებული მე-16 საუკუნეში (ჯიქია, 1958:228).

მაჭიხეთის ადები, – წყლის მონაკვეთი, ხეოთის წყალზე.

მაჭიხეთის სერი, – ნასოფლარი, ეკლესია.

მგზავრის წყარო, – წყარო. გამოდის საყვევარში

მგლის კლდე II გლის კლდე II გლდიკლდე, – კლდე. მდებარეობს საყვევარში. ამ კლდეში ბევრი გამოქვაბულია, სადაც ბინადრობს მგელი.

მელისოროები, – ყანები. „მელა ბუდობს“....

მეფინყარო – იხ. ნეფინყარო.

მეფის წყარო – იხ. ნეფინყარო.

მზიანეთი, – იხ. ჭობარეთი

მზიანი, – იხ. ჭობარეთი.

მზიგული, – მინდორი. იხ. ბუზიყლაპიაი, არნივიკლდე.

მთა, – იხ. ნახირიგზა.

მთის გზა II თის გზა – იხ. ახალი ნაჩეხი.

მიხას ყანა, – ნაყანარი, **გზა**. ზველსა და ჭობარეთს შორის საზღვარზე გადის **გზა**. დღეს ყანა აღარ არის. ზველელი ვინმე მიხა ყოფილა და მისი სახელი დაერქვა.

მოკრილი ყანა, – იხ. დადეშიგზიები.

მოლაქვა, – იხ. დოდოფლები. მოლაქვა არის მუსხისა და ჭობარეთის

საზღვარზე. ბუნებრივად აღმართულია კლდე, რომელიც ადა-
მიანის გამოსახულებას ჰგავს.

მოლლიენთ ყანა, – იხ. დუნდუკოს ყანა.

მონათლულები, – იხ. დადეშიგზიები. ზველის ტერიტორიაზეა.

მოსამართლის მკვლელი – იხ. არნივიკლდე.

მოსისიხლე ხევი II ყანნიდარა, ყანნისი, – ხევი (იხ. ბერიძე, 2008: 284-285).

მრუდე გზები II მრუდე გზიები, – ნასოფლარი, გზა, „საყვერის სამხრეთ-დასავლეთით ირმის რქის განშტოებაზე ჩამოდის საქარაენო გზის ერთი შტო, – მოგვითხრობს გ. ივანიძე –რომელიც გადადიოდა ბუზმარეთში ქვემო და ზემო ჯინჭრობის გავლის შემდეგ. ბრუდე გზიები II გზები იმიტომ ჰქვია, რომ უღელტეხილზე გადასვლის დროს ზიგზაგით ადი-ჩამოდიოდა. გადასასვლელი ირმის რქის განშტოებაა დასავლეთით. აგრეთვე იხ. თურქული თარგმანია მრუდე გზებისა.

მრუდე გზიები, – იხ. მრუდე გზები.

მურადას ქალა, – ქალა.

მუსტიაქალა – იხ. დიდალმართი.

მუსტიას ქაობი, – იხ. დადეშიგზიები.

მუსტიაქაობი, – იხ. დადეშიგზიები.

მუსხის სირონები – იხ. სირონები.

მუხინყარო, – წყარო. მუხის ძირზე გამოდის წყარო, რომელიც სათავეა ატოკორდილელისა. იხ. ატოკორდის ღელე.

მშრალიხევიქალა, – ქალა. მდებარეობს საყვეარში.

ნაბადქვა, – ქალა. – მდებარეობს ეიბას წყაროს თავზე, სახელი შეერქვა ქვის ფორმის გამო. მაჰმადიანმა მოსახლეობამ სახელის კალკი გააკეთა, რის გამოც შემოგვრჩა ქეჩატაში. იხ. აგრეთვე დადეშიგზიები.

ნაგუთნი II საყვერის ნაგუთნი II ნაგუთნები, – ნასოფლარი, სასაფლაო. მდებარეობს ჰაროსებსა და ფოტოროებს შორის საყვეარში. არის ნაეკლესიარიც, არის სათესი ტერიტორია, ამუშავებდნენ ხის გუთნით. დღეს სახნავი გაუქმებულია და მხოლოდ სათიბად იყენებენ.

ნაგუთნები, – იხ. ნაგუთნი.

ნაგუთნის მინდორი – იხ. აქლემის სადგომი.

ნაგუთნიყანები, – ყანები.

ნარგიზას ღელე, – იხ. მანგალა.

ნარგიზაყანა II თავრიყანა, – ყანა. „თავრისა იყო თავიდან, მისი ნაყი-დია, მერე ნარგიზას მისცეს.“

ნასელარი, – ყანები. „ლარიბ ნიადაგში თესდნენ სელს. დღეს სელი აღარ ითესება, ამიტომაც ჰქვია ნასელარი



ნაძენარი, – იხ. ყურყურას წყარო

ნახირი გზა, – გზა. სოფლიდან, მისი დასავლეთით, იწყებოდა და დაპირდა დაპირადიოდა ტყის პირისაკენ **კორდებში** (ნასოფლარი) გზა, რომელიც ორივე მხრიდან ქვის ყორით იყო გამოყოფილი, რომ ნახირი არ გადასულიყო ყანებში. გზა მიდიოდა მთაში, საყვევარში, ტყეში. ეს იყო ძირითადი გზა.

ნახირი გზის უბანი, – უბანი.

ნაჩეხი ტყე, – ტყე. ეს ტყე ხან ხეოთისა იყო ხან ჭობარეთის, ჭობარეთის დასავლეთით და ხეოთის აღმოსავლეთით. გაიჩნება შემის გულისათვის, თორემ ფერდი ადგილია, ყანის გულისათვის არ ივარგებდა. აქედან აღიოდა გზა **ალმართზე**.

ნანისქვილები, – **ნანგრევები**. სოფლის სამხრეთ – დასავლეთით ხევის პირზე ნისქვილები როდის იყო, აღარ ახსოვთ. ბოლოს მოქმედი ნისქვილი იყო მაჭიხეთში, ეკლესიის პირდაპირ, გაღმა, მშვენიერი ორთვლიანი ნისქვილი. თავისი ღამის სათევით, მაგრამ მოისპო, აღარ არის. **მაჭიხეთის, ჭობარეთის** ნისქვილებში ახალციხიდანაც კი მოდიოდნენ.

ნეფინყარო, – წყარო. **პაროსებთან საყვევარში** არის ნეფინყარო II ნეფის წყარო, რომელიც გამოდის ყიმილეთისაკენ მიმავალი პაროსების გზის ქვეშ. ეს არის ტყიანი ფერდობი. გზიდან დაახლოებით 4 მეტრში სათავეს იღებს მაჯის სიმსხო ცივი წყარო. იგი ათიოდე მეტრში უერთდება მარცხენა ნაპირიდან ყარაყუზუხის ხევს. ამ ხევს იქვე ახლოს უერთდება მარჯვენა მხრიდან თეთრანყარო. თეთრანყაროც გველიანის სამხრეთით იღებს სათავეს. შვერთებული ყარაყუზუხი და თეთრანყარო უერთდებიან წყალწმინდას მარჯვენა ნაპირიდან. ნეფინყაროსთან გზა რომ არის, კარგად ეტყობა. გადმოცემის მიხედვით, ამ გზაზე მეფეს გაუვლია, წყაროსთან შეუსვენებია და სახელიც იქიდან მიუღია. ზოგჯერ მეფინყაროსაც II მეფის წყაროსაც იტყვიან ხოლმე. მეფის წყაროს უწოდებენ აგრეთვე წყაროს ერკოტასა და ზველს შორის.

ნეფის წყარო – იხ. ნეფინყარო.

ნიკოლოზას ყანა, – ყანა. მდებარეობს ქვეშა ჭანჭახში. ნიკოლოზ ინასარიძის ყანა იყო.

ნინონყარეები, – იხ. ნინონყარო, დიდალმართი.

ნინონყარო, – წყარო. მდებარეობს ჭობარეთის სამხრეთით, სადაც იწყება ტყე. ჭოჭი და ფოტორო ადგილია. ლეგენდა მოგვითხრობს: ჭობარელი ქალიშვილი ნინო აძოვებდა კრავს და თან პატარა წყაროებს აკეთებდა, გზას აძლევდა წყალს. მას დაინახავენ ლეკები, გოგოს დაიჭერენ და გააუპატიურებენ. ნამუსახდელი გოგო თავისივე დანით იკლავს თავს და ამიტომ დაერქვა ნინონყარო. მთის გარშემო ადგილებს ჰქვია ნინონყარო.



ვიები (ნინონყაროები).

ნინონყაროს ლელე, - ლელე. ნინონყაროდან იღებს სათავეს, დღეს აღარ არსებობს აღარც წყარო და მშრალ ამინდებში აღარც ლელეში მოდის წყალი. ნინონყაროს ლელის მარჯვენა ნაპირზე თედორაყანაა, მარცხენაზე - ლევანყანა. თედორა ჯვარიძისა და ლევანა ზედგინიძის ნაშიერი ცხოვრობს დღეს სოფელში.

ნინონყაროს ხევი - იხ. არაბაშვილების მინდორი.

ნინონყაროყანა, - ყანა. მდებარეობს კასრადიყანასა და ატოკორდებს შორის სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ობოლკლდე, - კლდე. მდებარეობს ზედა მთაში „არსად კვლდე არ არის იქ, არი მარტო იმ ტერიტორიაზე, წყაროც არ არის არსად და ობოლი მიტომ ჰქვია“. იხ. დადეშიგზიები.

ობოლწყარო, - წყარო. ამოდის ზედა მთაში, ირმისრქის სამხრეთით, ჩადის ფოხლიურდზე.

ორთაყანები, - ყანები. ორთა თურქულად არის „შუა“.

ოსმანაწყარო, - იხ. ჰაროსები.

ოსმანაჭალა - იხ. ჰაროსები, დადეშიგზიები.

ჰალეს ყანა II თედიენტ ჰალეს ყანა, - ყანა.

ოჩანეთი, - ნასოფლარი. „მდებარეობს საყვერის სამხრეთით, მაღალი მთის ძირში, საყვერიდან 1-1,5 კმ-ზე. ნასოფლარის პირი სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული. კარგად ჩანს ნასახლარები, ორი კალო და ორი დარანი(ივანიძე, - 2007:217)“.

ოჩანეთიმზიგული, - სათესი. მიუხედავად იმისა, რომ ნასოფლარი ოჩანეთი მთაშია, დიდია სიმაღლე, ადგილობრივთა მტკიცებით აქ ვენახი ხარობდა. ოჩანეთიმზიგული, რომელიც ნასოფლარის თავზე მაღალი მთის ფერდობს წარმოადგენს, გამოჩენიულად მზიანია, რაც გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება, მართლაც ეხარა ამ ადგილზე ვაზს.

პატარა გორა, - გორაკი. მდებარეობს ყიშლიძირზე.

პატარა გუბე, - სათიბი. მდებარეობს გუბიებში.

პატარა იაილლა, - იხ. დადეშიგზიები. პატარა იაილლაზე სოფელს ჰქონდა საზაფხულო სადგომი. აქ ჰყავდათ პირუტყვი, ჰქონდათ ქოხები.

პეტიენთ ბალი - ბალი. ჭობარეთში ახალციხიდან შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არის ბალი, სადაც იყო წყაროც, რომელსაც პეტიენთ წყაროს ეძახდნენ. ბალის ნაწილს პეტიენთ ბალიბოლო ჰქვია. პეტიენი ივანიძეების განაყრებია. "პეტიე დადეშიდან ნამოსულა, მიდიოდა ანდრიანმინდაში, გზად მოსულა ჭობარეთში, სადაც ჭიანურიენტოს ერთს (ჭიანურიენი მაჰმადიანები იყვნენ) გაუჩერებია და უთქვამს: - აგერ შენ დათესილი ყანა, მოიმკე და მხოლოდ თესლი დამიბრუნე, დანარჩენი შენი იყო-

სო."



პეტიენტ ბალიზოლო – იხ. პეტიენტ ბალი.

პეტიენტ ყადისაფლაევი, – სათიბები. პეტიენნი ივანიძეებია. „ყადი“ თურქულად მოსამართლეს ნიშნავს, რომლის საფლავსაც მიუთითებენ ამ ადგილზე. ყადისაფლაევი გულისხმობს არა მხოლოდ საფლავს, არამედ, სათიბებსაც მის გარშემო. პეტიენტ ჰქონდათ სათიბი ყადისაფლაეში.

პეტიენტ ყანა, – ყანა.

პეტიენტ წყარო – იხ. პეტიენტ ბალი.

პეტრეს ბალი – იხ. აქეთა ბალი.

პეტრუშას ბალი – იხ. აქეთა ბალები.

რაჟდენას ყანა II რაჟდენაყანა, – ყანა. რაჟდენა ინასარიძე იყო.

რაჟდენაყანა, – იხ. რაჟდენას ყანა.

რეშიდიენტ ყანა, – ყანა. რეშიდიენი მაჰმადიანი ქართველები იყვნენ.

რუ – არხი, რუ. იწყება სასოფლოს ძირიდან, მაგრამ წყალი მოდის იაილიდან (ზევლისა). ჩამოივლის ქალებს, არყიას. არყიაზე იყო რუს გამყოფი ქვა. მოხუცების თქმით, ბოლო დრომდე იყო ეს ქვა, რომელიც სამად ანაწილებდა წყალს. ორი ნაწილი მიდიოდა ზველსა და ლობიეთში, ხოლო ერთი ნაწილი – ჭობარეთში.

რუსიენტ ფაგები, – იხ. ბოსტანიები.

რუსიენტყანა, – ყანა.

რუსიფაგები, – იხ. ბოსტანიები.

საბაანთ ყანები, – იხ. საბიენტ ყანები.

საბადური – მინდორი. გ. ივანიძის (დაბად. 1926 წ.) ინფორმაციით "სოფლის გაღმა არის ახალი სასაფლაო, რომელსაც ჰქვია ტალახაური. ტალახაურის შუაზე გადადის ძველი გზა, რომელიც მიდის ხეოთში. ამ ადგილს საბადურსაც ეძახიან და თორგებსაც (იხ.), რადგან გაშლილ ბადესავით არის ყანები ტაფობში. გზა საბადურს გვერდზე ჩაუვლის". საბადურები მესხეთში დაკავშირებულია ფრინველზე ბადეობასთან (იხ. საბადური ნასოფლარ ერკოტაში).

საბატკნე, – საძოვარი. მდებარეობს ზედა მთაში. „ძოვს მხოლოდ ბატკანი, ცხვარსა და ძროხას ვერ შერეკავენ. მზიგულია, მალე შრება ნამი, კარგი ბალახი იცის და ბატკანი კარგი ხდება.“

საბატონოს ძირი – იხ. ატოკორდი.

საბიენტ ფიჭვნარი, – ტყე. მდებარეობს სოფლის სამხრეთით გორგაის ფიჭვნარის ქვეშ.

საბიენტ ყანები II საბაანთ ყანები, – ყანები.

საბილეთი, – ნასოფლარი. კალმახის მარჯვენა ნაპირზე საყვეარში მდებარეობს ნასოფლარი. „სანვავ შემას ადრე ამ ტყიდან აძლევდნენ, ამიტომ ჰქვია საბილეთი.“ ტყის სანვავი შემის ბილეთ-

თან დაკავშირებული ხალხური ეტიმოლოგია მეოცე საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. ნასოფლარის ტერიტორიაზე არსებული გამოქვაბულები ადასტურებს, რომ ნასოფლარს დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს.

საბილეთის მზიგული, – მინდორი. მესხეთში სოფლები საერთოდ მზის მხარეს შენდებოდა, მიუხედავად ამისა, რადგან მძიმე კლიმატური პირობები იყო, ზამთარი ხანგრძლივი იცოდა, განსაკუთრებით ფასობდა მზვარე, მზიგული ადგილი, სადაც ხშირად პირუტყვსაც აძოვებდნენ.

საზამთრო საძოვრები, – საძოვარი. საზამთრო საძოვრებზე თოვლი ნაკლები იცოდა, ამიტომ გვიან შემოდგომამდე ან ხშირად ზამთარშიც ძოვდა საქონელი.

სათიკნე, – იხ. სატიკნე.

სათესველი საყვევარა, – იხ. საყვევარი.

სალეშნიშო, – იხ. ლუკას ჭალა.

სამარილეები II სამარილეები, – ტყე, მინდორი. სამარილე (მარილის დასაყრელი) ბრტყელი ქვებია საქონლისათვის. იქვეა საქონლის შესარეკი ბაკი.

სამარილეები, – იხ. სამარილეები.

სასოფლო ყანები, – ყანები.

სატიკნე II ამაღლება II სათიკნე, – სალოცავი. „ნამდვილი სატიკნე და ამაღლება ეს არის“. **ჭობარეთსა და ზველს** შორის ქედზე არის **ამაღლება** ეკლესიის ნანგრევებით და უძველესი მშრალი ნყოფით ნაშენი გალავნის ნარჩენებით. დღესასწაულებზე ორივე სოფელი აღიოდა. „სანხთოდ“ აუცილებლად **ტიკანი** უნდა დაეკლათ. ასევე ერთად ზეიმობდნენ კვირაცხოვლობას. **ვერანა ჭობარეთში** „ამაღლება აღდგომიდან მე-40 დღეს დგებოდა. ხალხი ჯერ ეკლესიაში გადიოდა. ისმენდნენ ნირვა-ლოცვას, შემდეგ კი აღიოდნენ **მარალი მთის – სატიკნეს თავზე**, სადაც ეკლესიის ნანგრევები და საკურთხეველია. აქ მიდიოდა ორი სოფელი – ზველი და ჭობარეთი. სატიკნეზე ხალხი ფეხით, ცხენებით და ურმით მიდიოდა. მიჰყავდათ საღვთო შესანიერი (მაგალითად თიკანი) (ივანიძე, 2007:323-324).

1956 წელს ჩატარდა დიდი სამხედრო მანევრები ამ მიდამოებში, რომლის დროსაც გაიჭრა სანგრები და გადაითხარა სატიკნე, რამაც ძეგლი ძლიერ დაზარალა. მიუხედავად ამისა, საკურთხეველის ქვა დღესაც დგას. 2009 წელს გაზის გაყვანის დროს **სატიკნის ძირში** აღმოჩნდა კულტურული ფენა – სამარხი დიდი და პატარა ჩონჩხით. სატიკნის დასაველეთით არის ციხის ნარჩენები, რომელსაც მაჰმადიანები **ყალაჯულს** უწოდებდნენ. ეს სიტყვა გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილზე ერთ



დროს მართლაც ციხე იქნებოდა, ყალბა თურქულად (ადგილობრივ მაჰმადიანთა მეტყველებაში და აქედან მესხურ დიალექტშიც) ციხეს ნიშნავს.

სამცხე-ჯავახეთში უფროსი თაობის მეტყველებაში ძირითადად ტიკანი გვხვდება. „ქართულ-ზანურისათვის საერთოა თიკანი, რომლის პარალელურად გვხვდება ჭანურსა და მესხურში ტიკანი. „ჭანურში ტიკანი მიღებულია თიკან-ისაგან თ-ს მკვეთრი ტ-თი შეცვლით ძირეულია თიკ-; - ან დეტერმინანტი სუფიქსია (არნ. ჩიქობავა).“ მართალია, მხოლოდ თიკანი გვაძლევს ტიკანს და „არა პირუკუ“ (არნ. ჩიქობავა), მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ ჯავახური იცნობს მხოლოდ ტიკანს (ბერიძე, 2005:51-52)“ შდრ. ათოკორდები II ატოკორდები.

სატიკნეს თავი - იხ. სატიკნე.

სატიკნიგზა, - გზა.

სატიკნის ძირი - იხ. სატიკნე.

სატყუო, - იხ. ლუკას ქალა.

საურმია, - იხ. საურმიახევი, ყურყურას წყარო.

საურმიანი, - იხ. საურმიახევი.

საურმიაღელე, - იხ. ტყითავი.

საურმიახევი II საურმიანი II საურმია II საურმიაღელე, - ხევი. ინყება იაილიჭალიბოლოდან და ბექოჭალაში უერთდება ბუზიყლაპინყალს საყვეარში. „ამ გზაზე ურმებით მიდიოდნენ საყვერისაკენ“.

საფლავების ყანები, - იხ. საფლავების ყანა.

საფლავების ყანა II საფლავებიყანები, - ყანები. სახელი შეერქვა სასაფლაოს სიახლოვის გამო.

საფლავებიყანები, - იხ. საფლავების ყანა

საქვიჭალა, - ვაკე, ქალა. მდებარეობს საყვეარში. „საქვივით ქალაა“.

საქვიჭალის მზიგული, - ქალა.

საყდრიყანები, - ყანები. საყდრიყანები ეწოდებოდა იმ ტერიტორიას, რომელიც გამოყოფილია სასაფლაოსთვის. ეს მიწები ეკუთვნოდა ეკლესიას.

საყავრის ხევი, - იხ. საყვეარი.

საყვეარა, -იხ. საყვეარი.

საყვეარი, - ნასოფლარი. მე-20 საუკუნის ბოლომდე იყო სოფ. ჭობარეთის ფერმა. „ყვეარი“- წყვილი ხარი. აქედანაა წარმომდგარი ამ მთის სახელწოდება, შესაბამისად ეკლესიაც ასე მოიხსენიება.“განმარტავენ ადგილობრივნი. საყვეარს ნასოფლარი კარგად ეტყობა, არის თლილი, ფერადი ქვით ნაშენი ნაეკლესიარი წმინდა გიორგის სახელობისა. გ.ივანიძისა და მ. ივანიძის მიხედვით „ნასოფლარს სამხრეთიდან ცივი და ანკარა წყალი ჩა-

მოუდის, რომელსაც „საყავრის ხევს“ – „საყვერის წყალს“ უწოდებენ (ივანიძე, – 2007წ:217). ნასოფლარის სახელი მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში“, როგორც სათესველი სეყვეარა. ამგვარად, სახელის ისტორია მე-16 საუკუნიდან იწყება (იხ. ბერიძე, 2010: 132-134).

საყვერის ნაგუთნი, – იხ. ნაგუთნი.

საყვერის წყალი, იხ. საყვეარი.

სერიყანები, – ყანები. „მაღლობზე, მზის ზონაში არსებულ ყანებს ჰქვია.“

სილების ყანები II სილიანი, – ყანები. სახელი სილიანი ნიადაგის გამო შეერქვა.

სილიანი, – იხ. სილების ყანები.

სიმონას ბალი – იხ. იქითა ბალები.

სინორები, – იხ. სირონები.

სირონები II სინორები, – ყანები. სირონები ჭობარეთიდან ჩრდილოეთით იწყება და გრძელდება ზველის დასავლეთით. სახნავი ყანებია, ითესება ხორბალი, კარტოფილი, ქერი. გრძელდება ჭიმურიე-ბამდე. „სხვა შემთხვევაში ვაზუსტებთ ზოლმე – ზველის სირონები, მუსხის სრონები, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიტყვიტ მხოლოდ სირონებს. სირონი არის მიჯნა, საზღვარი ყანებს შორის. შეიძლება სხვაგვარადაც, მაგ. მუსხსა და ლობიეთს შორის ადგილსაც, მინდორს, ყანებს სირონები ჰქვია. სირონი არის სოფლებს შორისაც, შეიძლება ითქვას: „ჩვენი სირონია, ნუ გადმოდიხარ.“ „სირონი“ ბერძნული სიტყვაა, შემოსულია მესხურ დიალექტში, რომელშიც დღესაც იხმარება. დიალექტური ფორმა დაედო სახელდებას საფუძვლად.

სოფლის ღელე, – იხ. მანგალა.

სოფლის შარაგზა, – იხ. მაჭიხეთი.

სოფლის ხევი – იხ. აქეთა ბალები.

სხალაი, – იხ. დადეშიგზიები.

სხალნარა, – იხ. დადეშიგზიები.

ტალახაური II ტალახაურები, – სასაფლაო.

ტალახაურები, – იხ ტალახაური.

ტოფოს ყანა, – იხ. ქინქლაყანა. ტოფო კაცის სახელია. სავარაუდოდ, სტეფანე უნდა რქმეოდა.

ტყე, – იხ. ნახირიგზა.

ტყემლიყანები, – ყანები. ხარობდა ტყემალი. ტყემალთან არის ბევრი მიკროტოპონიმი დაკავშირებული, მათ შორის, სოფლის სახელი ტყემლანა ახალციხის რაიონში.

ტყითავი, – მინდორი, საძოვარი. ტყითავს ეძახიან იმის გამო, რომ ტყე მთავრდება და იწყება მოტიტვლებული ადგილი ხეებს შორის.

ვრცელი ტერიტორიაა სოფლის აღმოსავლეთით. ტყითავე არის ტყითავეიწყარო, ტყითავეიჭალა, ტყითავეისამარილეები II სამარილეები, ტყითავეილეუ, რომელიც სათავეს იღებს ზველის ზედა მთიდან, ჩამოდის არყიაზე, უერთდება ტყითავეიწყალს, შემდეგ – ბუზიყლაპიას ღელეს, ჩადის საურშიაღელეში და უერთდება ხეოთის წყალს მარჯვენა ნაპირიდან.

ტყითავეისამარილეები, – იხ. ტყითავეი.

ტყითავეისამარილეები, – იხ. ტყითავეი.

ტყითავეილეუ, – იხ. ტყითავეი.

ტყითავეიწყალი, – იხ. ტყითავეი.

ტყითავეიწყარო, – იხ. ტყითავეი.

ტყითავეიჭალა, – იხ. ტყითავეი.

ტყის გზა, – გზა.

ტყიძირები, – საძოვარი.

უწყლო ღელე, – იხ. ბერმა ღელე.

ფათუანთ ყანა, – ყანა.

ფილოს ყანა, – იხ. ფილოყანა.

ფილოყანა II ფილოს ყანა, – ყანა. (ხმალაძე) ფილიპეს მოფერებითი სახლია ფილო.

ფიქრული, – იხ. მანგალა.

ფიქლულის წყალი, – იხ. ფიქრულის წყალი.

ფიქრულის წყალი, – იხ. მანგალია. ზველისა და ქობარეთის საზღვარზე მოდის წყალი. „აქ არის ფიქალივით გათლილი ქვები, ამიტომ ეწოდება ფიქრულის ან ფიქლულის წყალი“.

ფიჩხიანი ზღვარი, – ყანის პირი. ზღვარი ყანებს შორის გაკორდებული, გამყოფ ადგილს ჰქვია, სადაც ხშირად მრავალწლიანი მცენარეებიც ხარობდა.

ფოტოროები, – ნიადაგი. საყვეარში ფხვიერ მიწას ჰქვია.

ფოშტა II ფოშტის ფაგები II ფოშტიფაგები – ნასოფლარი, ტყე. „ფოშტიფაგები საყვეარში გრძელი შენობებია „საქვიჭალასა და კალმახშუა“. სახელი შეიძლება დაუკავშირდეს რუსულიდან შემოსულ „ფოსტას“. „ფაგები“, როგორც წესი, ახალდანგრულ შენობებს კედლებშემორჩენილ ნასახლარებს ჰქვია.

ფოშტის ფაგები, – იხ. ფოშტა.

ფოშტიფაგები, – იხ. ფოშტა.

ფოშტის ტყე, – ტყე.

ფულა – იხ. ბუზიყლაპიაი.

ქალაქიგზა, – გზა.

ქალაქიგზის უბანი, – უბანი. მასკალსკები ცხოვრობენ.

ქალაქიგზის ყანა, – ყანა. ქალაქში იგულისხმება ახალციხე.

ქვაბიჭალა, – ჭალა. „ქვაბივით ადგილია“.



ქვაბიჭლილე, - იხ. მანგალა. ფუძეუკუმშველი სახელები მესხეთის ტოპონიმიში განიცდის კუმშვას კომპოზიტის შემადგენლობაში: **ქვაბიკრის ლელე**; **ბერთაყნის ქვაბები** და სხვა.

ქვასობილა, - იხ. ჭიმურიები.

ქვედაგუბიჭალა II ქვეშაგუბინალა, - **ჭალა**. მდებარეობს საყვეარში

ქვედა თორგიები, - **ყანები**.

ქვედა მაჭიხეთი, - იხ. მაჭიხეთი.

ქვემო არყები, - იხ. **ჭნავაძე**.

ქვემო კაპანი, - იხ. **კაპნები**.

ქვემო კორდები, - **ყანები**.

ქვემო ჯინჭრობი, - იხ. **ჯინჭრობი**.

ქვეშა არყები, - იხ. **არყები**.

ქვეშაგუბიჭალა, - იხ. **ქვედაგუბიჭალა**.

ქვეშა თაფჯვარი, - **ტყე**. სოფლის დასავლეთით.

ქვეშა კოკოლა, - **საძოვარი**. **კოკოლას** ქვედა ნაწილი. არის **ზედა კოკოლა**, რომელიც **კოკოლას** ზევით მდებარე **საძოვარია**.

ქვეშა უბანი II მაზმიენთ უბანი, - **უბანი**.

ქვეშა ჩუხური, - **„ქვეშა ჩუხურიები** არის **საძოვარი** ხეოთის **გზის ქვეშ**.” იხ. **ჩუხურიები**.

ქვეშა ჩუხურიები, - იხ. **ქვეშა ჩუხური**.

ქვეშა ჭანჭახი, - **მინდორი**. დაჭაობებულ სათიბ ტერიტორიას ეწოდება **ჭანჭახი**. მდებარეობს სოფლის სამხრეთით, **ტყითაჲის** გაღმა **ჭნავაძემდე**. **ჭაობიანი** ადგილია, **გაყოფილი** იყო **ორად** — **ზედა** და **ქვეშა ჭანჭახად**. იქვეა **ჭანჭახიწყარო** და **გზიპირის წყარო**. **თედორაყანა**, **დვენმიენთ** **ჭალის** **აღმართი**, **დვენმიენთ ყანა**, **ქვეშა ჭანჭახის ტყე**.

ქვეშა ჭანჭახის ტყე, - იხ. **ქვეშა ჭანჭახი**.

ქვეშა ჭიმურიები, - იხ. **ჭიმურიები**.

ქვიშიგზა, - **გზა**. **ქვიშას** იღებდნენ **კარიერიდან**. **კარიერისკენ** მიმავალ **გზას** **შეერქვა** ეს სახელი.

ქვიშის გზის ყანა, - **ყანა**

ქინქლაყანა II ტოფოს ყანა, - **ყანა**. **ტოფო** **სტეფანეს** **შემოკლებული** **ფორმაა**, ხოლო **„ტოფოს ქინქლაი** **ერქვა** **სახელათ**”.

ქიტოშვილები II ქიტოშვილების ყანა, - **წყლის სათავე**. **პატარა აუზი**, **წყლის სათავე**,**საიდანაც** **სოფლისთვის** **წამოიყვანეს** **წყარო**. **საქეიფოდ** **დადის** **იქ** **სოფლის** **მოსახლეობა**. **ვინ** **იყო** **ქიტოშვილი** **არ** **იციან**. **დღეს** **ეს** **გვარი** **მესხეთში** **არ** **არის**.

ქიტოშვილების ყანა, - იხ. **ქიტოშვილები**.

ქორდარა, - იხ. **ბერმაღელე**, **„ქორდარა”** **პირდაპირი** **თარგმანია** **ბრმაღელისა**.



ქოსიები, – საძოვარი. ყურყურა წყაროს მარცხენა ნაპირი „გაქუცული ადგილია, დაბალი ბალახი იცის, ქოსიებს ეძახიან.“ ქოსა-ებ-ი→ქოსე-ებ-ი→ქოსიები.

ქუმელაანთ ყანა, – ყანა. ქუმელაანი არიან ზედგინიძეები.

ქუმელას სათიბი, – საძოვარი. მდებარეობს ზედა მთაში ქუმელანწყაროს გარშემო.

ქუმელანწყარო. – წყარო. ზედა მთაში ამოდის და ადგილზევე, ასიოდე მეტრში იკარგება, დამპალწყაროს სახით გამოდის მერე. „ზედგინიძეები იყვნენ ქუმელაანი და იმათი წყარო იყო“.

ლელე II ხევი II კვრიანი ხევი. ხევი. ჩაუდის შუაში კორდებს. აქვეა ქუმელას სათიბი (საძოვარი).

ლედლიყანები, – ყანები. „ჭობარეთისა და ზველის საზღვარზე არსებული ყანები ეკუთვნოდა მლედელს“.

ლილინაანთ უბანი, – უბანი. „ჯვარიძეებს ლილინიენტ ეძახიან იმის გამო, რომ მათი წინაპარი ბადალაი მოსაჩვენებლად თათრულად ყოფილა მონათლული, ქრისტიანობას კი მტკიცედ იცავდა. ლილინაი იმიტომ რქმევია, რომ სიარულის დროს ლოცვებს ხმამადაბლა ამბობდა, ლილინებდა“.

ლილინიენტ ყანა, – ყანა „ლილინიენნი ჯვარიძეებია“.

ლილინიენტ ჭალა, – იხ. შაროსები.

ღერმა ლელე, – იხ. ატოკორდის ლელე.

ღერმა ლელის ყანები, – ყანები.

ყალაჯული – იხ. სატიკნე.

ყანიდარიები, – ყანები. ყანიდარა ყანისის, სისხლიანი ხევის, თურქული სახელია. მის გარშემო მდებარე ყანებს შეერქვა ეს სახელი.

ყანის ხევი, – იხ. დადეშიგზიები

ყანნიდარა, – იხ. მოსისხლე ხევი. სისხლიანი ლელე იყო. ამ ლელეში ყაჩაღები იყვნენ და მგზავრებს თავს ესხმოდნენ (იხ. ბერიძე, 2008: 284-285).

ყარაულქოხითავები II ყარაულქოხის თავები, – გორაკი. „საყარაულო ყოფილა“. სოფლებს თავისი საყარაულო ანუ სატალაო ჰქონდათ, რიგრიგობით დარაჯობდნენ. იქვე იყო საყარაულო ქოხი.

ყარაულქოხის თავები, – იხ. ყარაულქოხითავები.

ყარაყუზეი – იხ. ყარაყუზეის ხევი.

ყარაყუზეის ხევი – იხ. ნეფინყარო. ხევი, რომელსაც უერთდება ნეფინყარო. ყარაყუზეის ხევს საზღვრულის გარეშე ყარაყუზეისა ც ეტყვიან, ყარაყუზეის ხევის შენაკადია თეთრანყაროც. ადგილობრივნი დაჟინებით უწოდებენ ამ ხევს შავი ბატკნის ხევს ან შავ საბატკნე ხევს. ეს არ არის თარგმანი. ეტყობა ეს სახე-

ლიც ერქვა ამ ხევს. ყარაყუზეი სიტყვასიტყვით ნიშნავს **შავ ჩრდილს**, ჩრდილისა და მზვარეს ან მზიგულის რაიონებად იყო დაყოფილი მესხეთი. ამ დაყოფას გეოგრაფიულ-ეკონომიკური დახასიათება ედო საფუძვლად (ს. ჯიქია) (მდრ. გვინეი კომპოზიტში გაურგვინეი).

ყართალყაია - იხ. არნივიკლდე
ყიმილეთი, - ნასოფლარი, ქალები.

ყიშლიძირი, იხ. - პატარა გორა, ყიშლა - უხეო, გაშლილი ადგილი, რომელსაც საქონლის საძოვრად იყენებს მოსახლეობა.

ყურყურა II ყურყურას წყარო, - წყარო, მინდვრები. ზედა მთაში (იხ. აგრეთვე დადეშიგზიები). „ჭობარეთის კუთვნილ პირუტყვის საზაფხულო საძოვარზე გამოდის წყარო, რომელსაც ბუნებრივად ყურყური გააქვს, ყურყურენს, რო ამოდის, ყურყური გაუდის. გაივლის საბატკნისა და ქოსიებ შუა, ჩადის იაილის ქალაში, საურშიაში, ნასოფლარ მარნანეთში, აგრეთვე ნასოფლარ ვარკანეთში, ნაძვნარში, ბექოს ქალას და ხეოთში უერთდება ბუზიყლაპიას.

ყურყურას წყარო, - იხ. ყურყურა.

ყურყურაწყაროს ფერდობი, - საძოვარი, წყაროს მარჯვენა ნაპირი.

ყუზყული, - იხ. ბერმა ლელე, საყვერის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, რომელსაც ესაზღვრება ნითელი კლდე „ყუზყულ“ - თურქულად ნითელს ნიშნავს.

ყუშლიძირიგზა, - გზა.

შავი მალარიები - გამოქვაბულები. საყვეარში მდინარე წყალმინდის მარჯვენა ნაპირზე არის გამოქვაბულები, სადაც აზამთრებდნენ ცხვარს. 600 სული ცხვარი ეტეოდა. შავი ერქვა, რადგან ცეცხლის ნთებისაგან იყო გაშავებული. ერთ ადგილას სანთლის დანთების კვალი და ნაეკლესიარი ეტყობა.

შავი ბატკნის ხევი - იხ. ყარაყუზეის ხევი.

შავი საბატკნე ხევი - იხ. ყარაყუზეის ხევი.

შავი ქვა, - კლდე.

შავი ჩრდილი II შავჩრდილი II ჩრდილი - ფერდობი. „ფერდობზე ხარობს წვრილი, შავი ხეები.“ჭობარეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება მთა ყალაჯული (ნაცინხრები). აქ ხე არ ხარობს. მთის ჩრდილოეთ მხარეზე კი არის ბუნებრივი ტყე ამ ტყეს ჰქვია ჩრდილიტყე.

შავჩრდილი, - იხ. შავი ჩრდილი.

შავი ქალა, - ქალა. მდებარეობს საყვეარში. გუბიების ბოლოს არის ქალა, რომელშიც მოდის შავი, მაღალი ცოცხა ბალახი, რის გამოც უწოდებენ ამ სახელს. მის თავზე არის შავი ქალის ტყე.

რომელსაც ყარაჩაირის ტყესაც უწოდებენ. ყარაჩაირი თურქულ-
ლად შავ ქალას ნიშნავს.

შავი ქალის ტყე, - იხ. შავი ქალა.

შავექვის ყანები, - ყანები

შაიაყანა - იხ. თომიენტ ყანები.

შაითანფაგები, - იხ. ეშმაკიფაგები.

შალიკოს ბალი - იხ. იქითა ბალები.

შალიკოს ქალა, - იხ. ალიას ქალა.

შალიკოქალა, - ქალა. სოფლის სამხრეთით.

შაქირას ქალა - იხ. აღმადალმიები.

შაქროს ქალა, - ქალა კოკოლასა და მალაროებს შორის.

შაჰპაზოლლები, - ყანები.

შუამთა, - იხ. ქიმურიები.

შუაუბანი, - უბანი. ივანიძეები ცხოვრობენ.

შუა ყანები, - ყანები. მდებარეობს სოფლის სამხრეთით.

შუაიათალები, - ტყე-ტყეში არის საქონლის სადგომი ღამით.

შუა ყვშლა, - საძოვარი.

შუბლა, - ქალა. საყვეარში, ბოზვიენტ ქალის ბოლოს შუბლივით ადგი-
ლია, შიშველი, ზევიდან და ქვევიდან ტყე აქვს.

ჩანგძელა, -საძოვარი. საყვეარში მდებარეობს. „საყვერიდან ჭობარე-
თისკენ მიმავალ გზაზე შევხვდებით საურმიას ხეზე ჩამომა-
ვალ ქედს“ (იხ. ზველის ჩანგძელა).

ჩარდალა, - იხ. დადუმიგზიები.

ჩარდალის წყალი, - იხ. მანგალა.

ჩახყრჩუხური, - იხ. აღმადალმიები - ქალა საყვეარში.

ჩრდილი, -იხ.შავი ჩრდილი.

ჩრდილის ტყე, - იხ. დიდვაკე.

ჩოქაქყანები, - ყანები. სოფლის დასავლეთით ჩოქაქი, ჩალრმაცებული
ადგილია, სადაც ყანები მდებარეობს.

ჩუხურიები || ჩუხურიყანები, - ყანები. ყანები ორად არის გაყოფილი -
ზედა ჩუხური და ქვეშა ჩუხური. ქართული ენის ზოგიერთ დი-
ალექტში ჩუხური ჩულურ- ფორმით არის შემოსული. თურქულ-
ლად იგი ორმოს, ფოსოს,ლრმა ხრამს, ფლატეს, დაბლობს, და-
ცემულ ადგილს ნიშნავს,როგორც ეს თეიმურაზ ბერიძემ გაარ-
კვია თბილისის ერთ-ერთი უბნის ისტორია-ლოკალიზაციის
დროს.ჩუხური ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება ად-
გილის სახელად მე-18 საუკუნის დასაწყისში(ბერიძე, 1977:153-
154). ჩუხურმა მოგვცა თბილისის ჩულურეთი. „ფოსო ანუ ჩუ-
ლურეთი“ ცნობილი პუნქტია ვახუშტი ბატონიშვილის „ღწერა-
ში“ ჯავახეთსა და ეროუმეთს შორის. ჭობარეთში, სადაც ჩუ-

ბურს მიუთითებენ, რაიმე დასახლება ან ისტორიულ-კულტურული ნიშანი არ არის. ჩუხური, როგორც ლექსიკური ერთეული შემოსულია მესხურ დიალექტში ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობებით. ერთ შემთხვევაში გაფორმებულია მრავლობითი რიცხვის ნიშნით, რომლის წინაც გაჩენილია მესხურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის ანალოგიით — ი და ვლებულობით **ჩუხურიებს**. **ჩუხურიყანების** შემთხვევაში ჩუხური მსაზღვრელია.

ჩუხურიყანები, — იხ. ჩუხურიები.

ციცნყარო II დავითანყარო, — იხ. დადეშიგზიები „დავითამ გააკეთა ეს ნყარო და სახელწოდებაც ამის მიხედვით დაერქვა.“

ციხე, — ნაციხარი. **ჭობარეთისა და ხეოთის საზღვარზე** არის ნაციხარი, რომლის ზემოთაც საძოვარს **ციხის თავი** ჰქვია

ციხის თავი, — იხ. ციხე.

ცხრანყარო, — იხ. დადეშიგზიები.

ძენნიანი, — **წყლის მონაკვეთი**. ხეოთის წყალზე, მუსხის საზღვარზე ძენნიანი ადგილია.

ძველი ნაჩხი, — იხ. დადეშიგზიები.

ძველი სატიკნე, — **გორაკი**. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ზველულები გადიოდნენ ამაღლებად. „ჩვენი სატიკნე სხვაგან არის. ჭობარეთის სატიკნე არის **ლობიეთისა** და ჭობარეთის საზღვარზე. საღვთოს თიკანს (ტიკანს) კლავდნენ და ამიტომ დაერქვა სატიკნე.“

ძველი ჭობარეთი II ვერანა **ვერანა ჭობარეთი** — **ნასოფლარი**. სოფლის სამხრეთაღმოსავლეთით მდებარეობს ნასოფლარი ნაეკლესიარით. გვერდზე ჩაუდის **მანგალის ხევი**. **ვერანის ეკლესიაში** გადიან „მარიობათ“, 28 აგვისტოს. ახალ ჭობარეთს რქმევია **მზიანეთი**“.

ნითელკლდის ღელე, — იხ. მანგალია.

ნითელწყალი, — იხ. ბერმა ღელე.

ნითელწყალი, — იხ. კალმახიხევი.

ნითელხევი, — იხ. კალმახიხევი.

წირნები ყიშლა, — საძოვარი. წირანს დიალექტში ჭერამს უწოდებენ.

წისქვილები, — იხ. არყინწყალი, აქლემის სადგომი.

წისქვილები, — **წანისქვილარი**. მდებარეობს მუსხის საზღვარზე, იქვეა ნაეკლესიარი.

წინვების ყანა II წინვებიყანები, — **ყანები**. სოფლის სამხრეთით მდებარე ყანებია. წინვებს ფიჭვნარს უწოდებენ.

წინვებიყანები, — იხ. წინვების ყანა.

წმინდა წყალი, — იხ. დადეშიგზიები.

წყარვიების უბანი, — უბანი.

წყაროთავეები, - ყანები.

წყალწმინდა, - მდინარე. სათავეს იღებს ცხრანყაროდან, ჩამოდის ზემო დარანეთში, შუა და ქვემო დარანეთში, ჩადის ნალვარევში, ხეოთსა და ორცებს შორის გადის და მაჭიხეთში უერთდება ჭობარეთის წყალსა და ბუზიყლაპია წყალს, ჩადის, ფულასა და ნყორძას შორის, უერთდება მდ. ურაველს. წყალწმინდა რუსულ რუკებზე აღნიშნულია როგორც **ინჯასუ**, სუფთა (წმინდა) წყალს.

ჭადიენტ ყანა, - ყანა. ჭადიენნი მაჰმადიანი ქართველები იყვნენ.

ჭალის ყანები II ჭალიყანები - ყანები. სოფლის სამხრეთით უწყლო ადგილია, წყლის პირი არ არის. არცა არის აუცილებელი, რომ ჭალა იყოს წყლის პირას.

ჭალიყანები, - იხ. ჭალის ყანები.

ჭანჭახები, - იხ. დადეშიგზიები, არნივიკლდე.

ჭანჭახების ბოლო, - ტყე, სათიბი.

ჭანჭახიწყარო, - იხ. ქვემა ჭანჭახი.

ჭიანურიენტ ყანა, - ყანა. „ჭიანურიენტ ამბობენ, რომ ისინი ამ სოფლის პირველი მკვიდრნი ყოფილან. მათ სცოდნიათ საზზე და ჭიანურზე დაკვრა. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც.“

ჭიმურიები, - ყანები. იყოფა ორ ნაწილად: ზედა ჭიმურიები და ქვემა ჭიმურიები. მიწაა ისეთი, ჭიმურიებით იფხვებდა, ნოყიერი, ნაყოფიერი მიწაა სოფლის ჩრდილოეთით, ჭობარეთის მთაზე (ციხესავით მთა არის). იყოფა ოთხ ნაწილად: **სატიკნე, შუამთა, დიდვაკე, ქვასობილა.** შუამთა **შუამთა.** ჭიმური სულხან-საბა ორბელიანთან ნ. ჩუბინაშვილთან და ქართულ დიალექტებში არის „ერბოში ან ქონში მოხრაკული პურის ნაფხვენი (ბერიძე, 1981: 170),“ გამოირჩევა ყუათიანობით და მანიერობით, რის გამოც ერქმევა ნაყოფიერ მიწებს.

ჭნავაძე, - ნასოფლარი. არნივისკლდის მზიგულსა და ქვემო არყებს შუა, ბუზიყლაპის სამხრეთით არის ეს ნასოფლარი.

ჭნავაძის თავი, - ტყე. ტყე მდებარეობს ნასოფლარის თავზე.

ჭნავაძის მთა - იხ. ბუზიყლაპიაი.

ჭობარეთი II მზიანეთი II მზიანი, - სოფელი. 1979 წელს ჭობარეთის მოსახლეობისა და ადგილის სახელების შესახებ მასალა ჩავიწერე 1928წელს დაბადებული ადგილობრივი მკვიდრის სკოლის დარაჯის მიხეილ ონისიმეს ძე ივანიძისაგან. მისი ცნობით სოფელში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **ინასარიძე** (მოსულია ანდრიანწმინდიდან); **ზედგინიძე** (ზეელიდან); **გვირჯიშვილი** (ხეოთიდან); **ანთაძე** (ხიზაბავრიდან); **მასკალასკი** (პოლონელია);



ივანიძე (დადეშიდან); **ჯვარიძე** (ზველიდან); **დევერიშოვი** (ურავ-ლიდან); **ნათენაძე** (გოგაშნიდან); **გოხაძე** (გოგაშნიდან).
 ჭობარეთში იყრის თავს ხევილელები: აღმოსავლეთიდან **ზველის საზღვარზე ჩამოდის მანგალას ხევი**, სამხრეთიდან, ტყიდან ჩამოდის **ყანების ხევი**, ხოლო მესამე არის **კვრის (კვარის, კვრიანი) ხევი**, სოფელს ჩაცდენილი მაჭიხეთამდე უერთდება მარჯვენა მხრიდან **ბრმახევი** და მარცხნიდან **სისიხლიანი (ყანნი) ხევი**.

ჭობარეთის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა: „აღრე ჭობარეთის მოსახლეობა მთაში ცხოვრობდა. რამდენიმე კომლი ბარში ჩამოსულა საცხოვრებლად, მოსწონებია ადგილი და მთაში მყოფთათვის დაუძახია: „ჭო, ბარში ჩამოდით“.

ჭობარეთის წყალი – იხ. ბუზიყლაპიაი

ჭობარეთის ხევი, – **ხევი**

ხარისადგომი, – იხ. ხარის სადგომი

ხარის სადგომი II ხარისადგომი, – **საქონლის სადგომი**. ქვის ყორით შემოღობილი ადგილი ჩანგძელას ბოლოზე.

ხევი, – იხ. ღელე.

ხევიჭალა, – **ჭალა**. სოფლის აღმოსავლეთით ჩავარდნილი ადგილია.

ხევის უბანი, – **უაბანი**.

ხევიყანები, – **ყანები**.

ხეოთიგზა, – **გზა**.

ხიკიზე II ხიკიძე, – **ნასოფლარი** „იგი მდებარეობს წყალწმინდას ხეობაში. მდინარის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის თხემის თავზე, მოვაკებულ ადგილას, სოფელ ხეოთის სამხრეთით და ნასოფლარ საყვერის ჩრდილოეთით (ივანიძე, 2007:197)“.

ხიკიძე, – იხ. ხიკიზე.

ხის ავაზანი, – იხ. ავაზნები.

ხის ავაზნები, – იხ. ავაზნები.

ხეოთიგზის ყანა, – **ყანა**.

ხეოთის წყალი, – იხ. ტყითავი.

ჯინჭრობი, – იხ. დადეშიგზიები.

ჯინჭრობი, – **ნასოფლარი**. მე-20 საუკუნის ბოლომდე რუსთავის ფერმა იყო. იყოფა ორ ნაწილად — **ზემო** და **ქვემო ჯინჭრობად**. მესხურ დიალექტში ჭინჭარი ჯინჭარ-ფორმით იხმარება ისევე, როგორც ძველ ქართულში (შდრ. „ჯინჭრება – სხეულის ტეხვა, ყრიალი, ყრუანტელი, შიშის ან ზიზლისგან სუსხვა, ი. მაისურაძე“). ჯინჭრობი გამორჩეულად ჭინჭრიანია.

პაროსები, – **სათიბები**. ებანყაროსა და ნაბადქვის გამოსწვრივ, სოფლის სამხრეთით. პაროსებში არის წვრილი ჭალები: **მაზმიენთ**

ჭალა (ინასარიძეები), ლილინიენტ ჭალა (ჯვარიძეები), თედიენტ ჭალა (ივანიძეები), მარკოზიენტ ჭალა (ჯვარიძეები), ბადალი-ენტ ჭალა (ჯვარიძეები), ბოჭკვიენტ ჭალა (გვირჯიშვილები), ოსმანაჭალა და ოსმანანყარო. ოსმანა მაჰმადიანი იყო. იხ. აროსები.

პაროსები, - საძოვარი. საყვეარში არის ნაეკლესიარი. პაროსი - გა-კორდებული, სათიბად ქცეული ყანის ნაკვეთი (მარტიროსოვი, 1984:256) იხ. აროსები.

პაროსების გზა - იხ. ნეფინყარო.

პაროსების ყანები - იხ. აროსები.

პაჯიტამები II პაჯიას სახლი - სათიბები. სოფლის აღმოსაველეთით. მაჰ-მადიან პაჯიას ჰქონია ბინა. „ტამი“ თურქულად სადგომს ნიშ-ნავს.

პაჯიას სახლი, - იხ. პაჯიტამები.

ბამოყენებული ლიტერატურა:



- აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი გართული ენის ლექსიკონი, 1973.
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966 წ.
- ალხაზიშვილი, 1978 - ი. ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, 1978წ.
- აფრიდონიძე, მაკალათია 1980 - შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები, კრებული, ტოპონიმთა, II, 1980 წ.
- ახალი ქართლის ცხოვრება, 1959 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959 წ.
- ბერიაშვილი, 1973 - ლ. ბერიაშვილი, მინათმოქმედება მესხეთში, 1973.
- ბერიძე, 1969 - მ.ბერიძე, ტრადიცია პატრონობას მოითხოვს, გაზეთი "ლელო", 1969წლის 30 ნომბერი;
- ბერიძე, 1977 - თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977 წ.
- ბერიძე, 1981 - გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981წ.
- ბერიძე, 1988 - გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, 1988
- ბერიძე, 1992 - მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონომიკური ანალიზი), თბილისი, 1992წ.
- ბერიძე, 2000 - მ. ბერიძე, მეთევზეობა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმია, კრ. "ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, 2000წ.
- ბერიძე, 2005 - ნ. ბერიძე, მ. ბერიძე, ზანურ მესხური შეხვედრები, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005წ.
- მ. ბეიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, 2008წ.
- ბერიძე, 2008 - მ. ბერიძე, ეკლესიონიმები სამცხის ტოპონიმიაში, «ქართველოლოგია», №9, 2008 წ.
- ბერიძე - მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი, 2009წ.
- ბერიძე, 2010 - მ.ბერიძე, ტაძრები და სახელები, 2010წ.
- ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964წ
- ბერძენიშვილი, 1985 - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1985წ.
- ბერძენიშვილი, 2006 - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, 2006 წ.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1966წ.

- გვარამაძე, 1882 – ივ. გვარამაძე, გაზეთი "დროება", №217, 1882 წლის 17 ოქტომბერი;
- გვარამაძე, 1907 – ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, ლექსიკონი, 1907 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52;
- გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961 წ.
- გორდეზიანი, 2007 – რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, I, სანყისი, 2007 წ.
- გურგენიძე, 1986 – ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ცნობარი, შემდგენელი ვ. გურგენიძე, 1986 წ.
- ვაჩნაძე, 1975 – ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, 1975 წ.
- ვახუშტი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973 წ.
- თაყაიშვილი, 1909 – Материалы по архэологии Кавказа, выпуск XII, под редакцией графини Уваровой, Москва, 1909 წ.
- თაყაიშვილი, 1960 – ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960:
- თოფურია, 1985, – გ. თოფურია, ლინგვისტური გეოგრაფია, ტოპონიმია და ენის ისტორია (ქართული ენის მასალების მიხედვით), კრ. "ხელეური", 1985 წ.
- თოფურია, XXX – ვ. თოფურია, ხმოვანთავსართოვანი სახელები, სტალინის სახელობის თსუ შრომები, XXX, I, II,
- ივანიძე, 2007 – გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ურავლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა), 2007 წ.
- იველაშვილი, 1991 – თ. იველაშვილი, ხალხური სამზარეულო სამხრეთ საქართველოში, 1991 წ.
- იმნაიშვილი 1957 – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957 წ.
- ინგოროყვა 1963 – პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი I, რუსთველიანა, 1963 წ.
- კეკელიძე – კ. კეკელიძე, К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1957 წ.
- კემულარია, 1994 – მ. კემულარია, ქვემო ქართლის სინონიმური ტოპონიმები, ონომასტიკური კრებული, თბილისი, 1994 წ.
- მაისურაძე, 1964 – ი. მაისურაძე, ნაისა (სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი), "წითელი დროშა", №136, 1964 წ. 17 ნომბერი.
- მაისურაძე, 1990 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1990 წ.
- მაკალათია, 1938 – ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938 წ.



მაკალათია, 1987 – ფ. მაკალათია, სინონიმური ტოპონომები ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ონომასტიკა, თბილისი, 1987წ.

მარტიროსოვი, 1984 – ქართული ენის ჯვავახური დიალექტი, თბილისი, 1984წ.

მახარაძე, 1995 – ნ. მახარაძე, საიდან მომდინარეობს სახელწოდება „გელათი“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995, №4.

მელიქიძე, 2007 – ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, 2007 წ.

მერჩულე 1949 – გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პავლე ინგოროყვამ, 1949 წ.

ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, 1965 წ.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, 1966 წ.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, 1999 წ.

ჟამთააღმწერელი, 1959 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959.

ჟორდანია, 1896 – თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და "ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, 1896 წ.

ჟღენტი, 1965 – ს. ჟღენტი, გურული კილო, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965 წ.

ჟღენტი, 1965 – ს. ჟღენტი, რ ფონემა მეგრულ-ჭანურში, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965 წ.

რუსთაველი, 2002 – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და ლიტერატურის გარჩევა დაურთო ნ. ნათაძემ, 2002.

ს მ ე ე ლ, 2007 – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007 წ.

საქართველოს ტოპონიმია, 1989 – საქართველოს სსრ ტოპონიმია, ტ. I, ზემო იმერეთი, გამოსაცემად მოამზადეს და ინვერსიული სია დაურთეს: ი. ბაქრაძემ, შ. აფრიდონიძემ, ვ. ჯოჯუამ, 1989

საქართველოს ტოპონიმია, 1999 – საქართველოს ტოპონიმია, II, 1999წ., შემდგენლები: ს. მელიქიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია, პ. ცხადაია.

საქართველოს ტოპონიმია, 2003 – საქართველოს ტოპონიმია, III, 2003წ., შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია.

სილოგავა, 2006 – ვ. სილოგავა, ახალი ეპიგრაფიკული მასალა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები, I, 2006



- სიმფონია-ლექსიკონი, 2005 – ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, ნ.გოგუაძის, ზ. სარჯველაძის, მ. შანიძის რედაქციით, 2005 წ.
- სუმბატ დავითის-ძე, 1955 – სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955 წ.
- ტალახაძე, 2009 – ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება. 2009წ ფეინრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000 წ.
- ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974წ.
- ქაძსლ, 2005 – ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, ნ.გოგუაძის, ზ. სარჯველაძის და მ. შანიძის რედაქციით, 2005წ.
- ქეგლ, 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. III, 1953წ.
- ქეგლ, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, 1955წ.
- ლლონტი, 1971 – ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, 1961წ.
- ლლონტი, 1974 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბილისი, 1974წ.
- ლლონტი, 1975 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონტმა, I-II, 1974, 1975წწ
- ლლონტი, 1984 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984 წ.
- ყიფშიძე, 1914 – И. кипшидзе, Грамматика мингрельского (Иверского) языка, СПб., 1914წ
- შანიძე, 1927 – ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, "თბილისის უნივერსიტეტის მოამბე", VII, 1927წ.
- შანიძე 1973 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973
- შანიძე, 1981 – ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981წ.
- შარაშიძე, 1961 –ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), 1961 წ.
- ჩიქობავა, 1929 – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 1929წ.
- ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938წ.
- ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942წ.
- ცეცხლაძე, 2000 – ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, 2000 წ.

- ციბაძე, ხაჩიძე 1979 - ა. ციბაძე, გ.ხაჩიძე, ოლიმპიური საქართველო, 1979წ.
- ცხადაია, 1993 - პ. ცხადაია, კოლხეთის ტოპონომიიდან: მიგარია, ოჩ-ხონაფუ, სალიში, კრ. "ტოპონიმიკური კრებული" 1993წ.
- ჭუმბურიძე, 2003 - ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 2003.
- ხორნაული, 2010 - გ. ხორნაული, შვილთათვის დასარქმევი სახელები, 2010წ.
- ჯავახიშვილი, 1965 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965წ.
- ჯავახიშვილი, 2002 - ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002წ.
- ჯავახიშვილი, 1983 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983 წ.
- ჯანგიძე, 1983 - ვ. ჯანგიძე, ქართული სუბსტრატული ლექსიკა ართვინ-შავშეთ-არტანუჯ-არტაანის მეტყველებაში, აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბილისი, 1983წ.
- ჯიქია 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, 1941 წ.
- ჯიქია, 1947 - ს. ჯიქია, შენიშვნები "სიმინდ-სიმინდალის" შესახებ, სტალინის სახელობის თსუ შრომები მიძღვნილი აკ. შანიძის 60 წლისთავე, XXX b-XXXIb, 1947 წ.
- ჯიქია 1958 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, 1958 წ.
- ჯიქია, 1984 - ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, II, მაცნე, ენისა და ლიტერატურეს სერია, 1984 წ.
- Древнетюрский словарь, 1969 Древнетюрский словарь, Л. 1969г.
- Їtdjhnzy, 1974 В. Їtdjhnzy, Этимологический словарь тюркских языков, М. 1974г.
- Турецко-русский словарь, 1977 Турецко-русский словарь, М., 1977г.

უძველესი ქართული ტოპონიმის ტენდენციური ეტიმოლოგიები.....	3
ორმოცი წყარო ჯავახეთში.....	12
„რაჟთა ზედამინევენითა ცნას“ ..	17
„ასპინძას ერეკლე ვნახე. . .“.....	27
აგარის დედათა მონასტრისა და სხვა აგარათა ისტორია- ეტიმოლოგიისათვის	32
ცხეკნელა – ნასოფლარი ჯავახეთში.....	43
ნაისა	48
ქორთან დაკავშირებული ნასოფლარის სახელი სამცხეში....	52
ალაგური – ნასოფლარი მტკვრის ხეობაში.....	54
ჯავახეთის სოფელი აზმანა.....	57
ერკოტა და ტრადიცია	62
ნასოფლარ ერკოტის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის.....	66
ზანურ-მესხური შეხვედრები	73
ორი თურქული სიტყვა მესხურ დიალექტში.....	80
2. ადა.....	80
2. დალი აბდალა.....	83
ზოგიერთი სამეურნეო ტერმინის წარმოებისათვის მესხურ დიალექტში.....	86
ზოგი საკუთარი სახელის შესახებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“	90
გ) კუპრა.....	90
მეტსახელად შემორჩენილი ისტორიული სახელი.....	93
ოცხე თუ აბასაანთ უბანი?.....	94
ჯავახეთის მტკვარი თუ ფარავანი?	96
აშენდება მინაძის წყალსაცავი?	99
მინაძის წყალსაცავი – ალტერნატივა?!	103

ერკოტა – ერუშეთის მთების უძველესი ნასოფლარი და მისი ტოპონიმია.....	213
სოფელ ვარგავის ტოპონიმია.....	166
ჭობარეთის ტოპონიმთა ლექსიკონი	189
გამოყენებული ლიტერატურა	227

06-

23/1642



გარეკანის პირველ გვერდზე სოფელ ვარგაუის ინფორმატორები

ფოტოები ავტორისა



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

283.834

3

JANUARY
2023



ISBN 978-9941-17-415-5



9 789941 174155